გუსტავ ლე ბონ - მასების ფსიქოლოგია
Gustave le Bon - Psychologie des foules

ქვეყნდება შპს iBooks-ის მიერ
ვაჟა-ფშაველას მე-3 კვ., მე-7 კ.
0186 თბილისი, საქართველო
www. iBooks.ge

თარგმანის ავტორი - ქართველი.

iBooks© 2017 ყველა უფლება დაცულია.

მოცემული პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება იქნას რეპროდუცირებული, გავრცელებული ან გადაცემული ნებისმიერი ფორმითა და ნებისმიერი საშუალებით, მათ შორის ელექტრონული, მექანიკური, კოპირების, სკანირების, ჩაწერის ან რაიმე სხვა გზით გამომცემლის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. გამოქვეყნების უფლების შესახებ გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: info@iBooks.ge

სარჩევი

წინასიტყვაობა
შესავალი
პირველი ნაწილი. ბრბოს მენტალობა.
თავი პირველი. ბრბოს ძირითადი მახასიათებლები და მისი მენტალური ერთობის ფსიქოლოგიური კანონი
თავი მეორე. ბრბოს განცდები და მისი ზნეობა
თავი მესამე. ბრბოს იდეები, შეხედულებები და წარმოსახვა
თავი მეოთხე. რელიგიური ფორმები, რომლებითაც ბრბოს შეხედულებები იმოსება
ნაწილი მეორე. ბრბოს შეხედულებები.
თავი პირველი. ბრბოს შეხედულებისა და რწმენის დისტანციური ფაქტორები
თავი მეორე. ბრბოს შეხედულების მყისიერი ფაქტორები
თავი მესამე. ბრბოს ბელადები და დარწმუნების მათი მეთოდები
თავი მეოთხე. ბრბოს შეხედულებებისა და მრწამსის ცვალებადობის საზღვრები
მესამე ნაწილი. ბრბოს კლასიფიკაცია და მისი სხვადასხვა კატეგორიების აღწერა
თავი პირველი. ბრბოს კლასიფიკაცია
თავი მეორე. დანაშაულებრივი ბრბო
თავი მესამე. ნაფიცი მსაჯულები და მოსამართლეები
თავი მეოთხე. არჩევითი ბრბო
თავი მეხუთე. საპარლამენტო სათათბიროები
განმარტებები

წინასიტყვაობა

წინამორბედი შრომა ერის მენტალობის აღწერას მივუძღვენით, ახლა კი დროა ბრბოს მენტალობის შესწავლას შევუდგეთ.

საერთო თვისებები, რომლებიც მემკვიდრეობით არის განპირობებული ერთი და იმავე ერის ინდივიდებში, ამ ერის მენტალობას შეადგენს. მაგრამ როდესაც ასეთ ინდივიდთა გარკვეული რაოდენობა მოქმედ ბრბოს ქმნის, დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ინდივიდთა ასეთი დაახლოების შედეგს ახალი ფსიქოლოგიური თვისებები წარმოადგენს, რომლებიც არა მხოლოდ უპირისპირდება ერის ხასიათს, არამედ ხშირად მისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება.

ორგანიზებული ბრბო ყოველთვის დიდ როლს თამაშობდა ერების ცხოვრებაში, მაგრამ არასოდეს ჰქონია მას ისეთი მნიშვნელობა, როგორიც დღეს. ჩვენი ეპოქის მთავარ მახასიათებელს ინდივიდთა შეგნებული ქმედების ჩანაცვლება წარმოადგენს ბრბოს არაცნობიერი ქცევით.

მე შევეცადე შემესწავლა ბრბოს რთული პრობლემა მხოლოდ მეცნიერული მეთოდების გამოყენებით, ანუ ვცდილობდი მიმეგნო მეთოდისთვის და უარი ვთქვი შეხედულებებზე, თეორიებსა და დოქტრინებზე. მიმაჩნია, რომ ეს ერთადერთი საშუალებაა, რაც შესაძლებლობას გვაძლევს ოდნავ მაინც ავხადოთ ფარდა რთულ საკითხს, რომელიც ესოდენ აღელვებს გონებას.

სწავლული, რომელიც რაიმე მოვლენის შესწავლას შეუდგება, არ არის ვალდებული გაითვალისწინოს ინტერესები, რომლებსაც შესაძლოა მისი აღმოჩენები შეეხოს. ამას წინათ ერთმა ფრიად ცნობილმა თანამედროვე მოაზროვნემ გამოთქვა შენიშნვა, რომ რადგან მე არც ერთ თანამედროვე სკოლას არ ვეკუთვნი,

საკმაოდ ხშირად ვარ ოპოზიციაში ყველა სკოლის დასკვნებსა და შეხედულებებთან. წინამდებარე ნაშრომი, სავარაუდოდ, მსგავს შენიშვნებს წარმოშობს.

ეკუთვნოდე რომელიმე სკოლას, ნიშნავს უპირობოდ იზიარებდე მის ცრურწმენასა და წინასწარ ჩამოყალიბებულ შეხედულებებს.

მიუხედავად ამისა, თავს ვალდებულად ვთვლი, ავუხსნა მკითხველს, თუ რა მიზეზით ხდება, რომ ჩემს კვლევებში ზოგჯერ სრულიად განსხვავებულ დასკვნებამდე მივდივარ, ვიდრე ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს: მაგალითად, მე აღვნიშნავ ბრბოს გონებრივი უნარის ძალიან დაბალ ხარისხს, ვგულისხმობ რა მათში რჩეულთა სათათბიროებსაც, თუმცა იმავდროულად ვაცხადებ, რომ სახიფათო იქნებოდა ასეთ სათათბიროთა აგებულების ხელყოფა.

ისტორიული ფაქტების ყურადღებით შესწავლამ მაიძულა მივსულიყავი დასკვნამდე, რომ სოციალური ორგანიზმების სტრუქტურა ისეთივე რთულია, როგორც ყველა ცოცხალი არსების ორგანიზმისა და რომ ჩვენ არ ხელგვეწიფება მათში სიღრმისეული ცვლილებების გამოწვევა. ბუნება ზოგჯერ რადიკალურად მოქმედებს, მაგრამ - არასოდეს იმ აზრით, როგორც ჩვენ გვესმის ეს; ამიტომაცაა, რომ დიადი რეფორმების მანია ესოდენ დამღუპველია ერისთვის, როგორ კეთილისმომასწავებლადაც არ უნდა გვეჩვენებოდნენ ისინი თეორიულად. ისინი სარგებლობას მხოლოდ იმ შემთხვევაში მოიტანდნენ, თუ შესაძებელი გახდებოდა ერის მენტალობის მყისიერი შეცვლა, მაგრამ ამდენად ძლევამოსილი მხოლოდ დროა. ადამიანებს მართავენ იდეები, განცდები, ადათები, - ის, რასაც ჩვენში ვატარებთ. კანონები და დაწესებულებები მხოლოდ ანარეკლია ჩვენი მენტალობის, ჩვენს საჭიროებათა ასახვაა; ამიტომაც არ ძალუძთ მათ ერის მენტალობის შეცვლა, რადგან თავად წარმოდგებიან მისგან.

შეუძლებელია სოციალურ მოვლენათა შესწავლის გამიჯვნა იმ ერებისგან, რომლებშიც ამ მოვლენებს ვაკვირდებით. ფილოსოფიური გაგებით ეს მოვლენები შესაძლოა აბსოლუტურ ღირებულებასაც კი წარმოადგენდნენ, მაგრამ პრაქტიკული თვალსაზრისით მათი ღირებულება ყოველთვის შეფარდებითია. ამიტომ, რომელიმე სოციალური მოვლენის შესწავლისას იგი თანმიმდევრულად უნდა განვიხილოთ ორი სხვადასხვა მხრიდან. ამგვარად, უფრო ცხადი ხდება ის დებულება, რომ საკმაოდ ხშირად წმინდა გონების ბრძანება პირდაპირ წინააღმდეგობაშია პრაქტიკული გონების შეგონებებთან. აღნიშნული ყველგან შეიმჩნევა, იქაც კი, სადაც საქმე ფიზიკის მონაცემებს ეხება. აბსოლუტური ჭეშმარიტების თვალსაზრისით კუბი და წრე უცვლელ გეომეტრიულ ფიგურებს წარმოადგენენ, რომლებიც მკაცრად არის განსაზღვრული ცნობილი ფორმულებით, მაგრამ ჩვენი თვალისთვის ამ ფიგურებმა შესაძლოა სრულიად განსხვავებული ფორმები მიიღონ. ასე მაგალითად, პერსპექტივამ შესაძლოა კუბი პირამიდად ან კვადრატად აქციოს, წრე - ელიფსად ან სულაც სწორ ხაზად, ხოლო ეს ფიქტიური ფორმები ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია, ვიდრე რეალური, რადგან ჩვენ მხოლოდ მათ ვხედავთ, და ფოტოგრაფია და ფერწერაც მხოლოდ მათ ასახავს. არარეალური ზოგ შემთხვევაში რეალურზე მართალია. საგანთა წარმოდგენა მხოლოდ მათი ზუსტი გეომეტრიული ფორმებით ბუნების დამახინჯება იქნებოდა და მას ვერსაცნობად აქცევდა. ისეთი სამყარო წარმოვიდგინოთ, რომლის ბინადრებს სხვადასხვა საგანთა მხოლოდ გადახატვა და ფოტოგრაფირება შეეძლებოდათ მათი შეხების გარეშე. მათ ფრიად გაუჭირდებოდათ ამ საგანთა ფორმის შესახებ მართებული წარმოდგენის შექმნა. თუმცა, ასეთი ფორმის ცოდნა, რაც სწავლულთა მხოლოდ მცირე ნაწილისთვისაა მისაწვდომი, მათთვის დიდი ინტერესის შემცველი არ იქნებოდა.

ფილოსოფოსს, რომელიც სოციალურ მოვლენებს სწავლობს, უნდა ახსოვდეს, რომ თეორიულთან ერთად მათ პრაქტიკული ღირებულებაც გააჩნიათ, ცივილიზაციის ევოლუციის თვალსაზრისით კი ეს უკანასკნელი - ერთადერთია, რომელსაც რაიმე მნიშვნელობა ენიჭება. ასეთი თვალსაზრისი მას უკიდურეს სიფრთხილეს ანიჭებს დასკვნებთან მიმართებით, რომლებსაც, როგორც ჩანს, მას ლოგიკა კარნახობს. მაგრამ სხვა მოტივებიც აიძულებენ მას, თავშეკავებული იყოს დასკვნებთან მიმართებით. სოციალური ფაქტების სირთულე ისეთია, რომ მათ ყველას ერთდროულად ვერ მოიცავთ და ვერც მათი ურთიერთგავლენის შედეგს განჭვრეტთ. გარდა ამისა, ხილული ფაქტების უკან ძალიან ხშირად ათასობით უხილავი მიზეზი იმალება. სოციალური მოვლენები კი წარმოადგენენ ვეებერთელა არაცნობიერი შრომის შედეგს, რომელიც უმეტესწილად ჩვენს ანალიზს არ ექვემდებარება. ეს ხილული მოვლენები შეგვიძლია შევადაროთ ტალღებს, რომლებიც ოკეანის ზედაპირზე ჩვენთვის უცნობი წყალქვეშა ძვრებითაა გამოწვეული.

ვაკვირდებით რა ბრბოს ქმედებათა უმეტესობას, ვხედავთ, რომ უფრო ხშირად ისინი მისი შესამჩნევად დაბალი გონებრივი დონის ასახვას წარმოადგენენ. მაგრამ ისეთი შემთხვევებიც არსებობს, როდესაც ბრბოს ქმედებებს, როგორც ჩანს, იდუმალი ძალები წარმართავენ, რასაც უწინ ბედს, ბუნებას, ბედისწერას უწოდებდნენ, ახლა კი მიცვალებულთა ხმა ჰქვია სახელად. ჩვენ არ შეგვიძლია არ ვაღიაროთ ამ ძალების ძლევამოსილება, თუმცა სრულიად არ გვესმის მათი არსი. ხანდახან გვეჩვენება, რომ ერის წიაღში იმალებიან ძალები, რომლებიც მათ ქმედებებს განსაზღვრავენ. მაგალითად, რა შეიძლება იყოს უფრო რთული, უფრო ლოგიკური და მეტად გასაოცარი, ვიდრე ერის ენაა?

შესავალი. ბრბოს ეპოქა

თანამედროვე ეპოქის ევოლუცია. - ცივილიზაციის დიადი ცვლილებების არსი ერების აზროვნების ცვლილების შედეგია. - ბრბოს ძლიერების თანამედროვე რწმენა. - იგი გარდაქმნის სახელმწიფოთა ტრადიციულ პოლიტიკას. - როგორ წარმოდგებიან უმდაბლესი კლასები და როგორ ვლინდება მათი ძლიერება. - ბრბოს მხოლოდ დამანგრეველი როლის შესრულება ძალუძს. - ბრბო ასრულებს მოძველებულ ცივილიზაციათა დაშლის პროცესს. - ბრბოს ფსიქოლოგიის საყოველთაო არცოდნა. - ბრბოს შესწავლის მნიშვნელობა კანონმდებლებისა და სახელმწიფო მოღვაწეებისთვის.

დიდი გადატრიალებები, რომლებიც ცივილიზაციის შეცვლას უსწრებს, მაგალითად, რომის იმპერიის დაცემა და არაბულის ჩამოყალიბება, ერთი შეხედვით უმთავრესად პოლიტიკური ცვლილებებითაა განპირობებული, უცხო ტომის ხალხთა შემოსევებითა და დინასტიების დაცემით. მაგრამ ამ მოვლენათა უფრო სიღრმისეული შესწავლა გვიჩვენებს, რომ მოჩვენებით მიზეზებს მიღმა ხშირად ერის იდეათა ფუნდამენტური ცვლილება დევს. ჭეშმარიტად ისტორიული არა ის გარდაქმნებია, რომლებიც სიდიადითა და ძალით გვაოცებენ. უმნიშვნელოვანესი ცვლილებები, რომელთაგან ცივილიზაციის განახლება გამომდინარეობს, იდეებში, წარმოდგენებსა და სარწმუნოებაში ხორციელდება. მსხვილი ისტორიული მოვლენები მხოლოდ ხილულ შედეგებს წარმოადგენენ ადამიანთა აზროვნების ცვლილებისა. თუმცა, ასეთი ცვლილებები იშვიათად ხდება, რადგან ყველაზე მყარი ერის ორგანიზმში - მისი აზრების მემკვიდრეობითი საფუძვლებია.

თანამედროვე ეპოქა ერთ-ერთ იმგვარ კრიტიკულ ფაზას წარმოადგენს, როდესაც ადამიანის აზრი ცვლილებისთვის ემზადება. ამ ცვლილების საფუძვლად ორი ძირითადი ფაქტორი დევს. პირველია - რელიგიური, პოლიტიკური და სოციალური რწმენის განადგურება, რამაც საწყისი მისცა ჩვენს ცივილიზაციას; მეორე - არსებობის ახალ პირობათა და სრულიად ახალი იდეების წარმოშობა, რომლებიც მეცნიერებისა და წარმოების სფეროში გაკეთებული აღმოჩენების შედეგს წარმოადგენს.

წარსულის იდეები, თუმცა კი სანახევროდ განადგურებულნი არიან, ჯერ კიდევ ინარჩუნებენ ძალმოსილებას; ის იდეები კი, რომლებმაც ისინი უნდა ჩაანაცლვონ, ჩამოყალიბების პროცესში იმყოფებიან. ამიტომაა, რომ თანამედროვე ეპოქა გარდამავალ და ანარქიულ პერიოდს წარმოადგენს.

რთული არ არის იმის წინასწარმეტყველება, რა მოყვება ასეთ პერიოდს, რომელსაც, გინდა თუ არ გინდა, ქაოტური ხასიათი გააჩნია. როგორი იქნება ძირითადი იდეები, რომლებზეც მათი შემცვლელი ახალი საზოგადოებები დაფუძნდება? ეს ჯერ ჩვენთვის უცნობია.

მაგრამ ჩვენ უკვე შეგვიძლია დავინახოთ, რომ ჩამოყალიბებისას მათ მოუწევთ ანგარიში გაუწიონ ახალ ძალას, თანამედროვე ეპოქის უკანასკნელ მბრძანებელს - მასების ძლევამოსილებას. ეს ძალა აღმოცენდა ნამსხვრევებზე მრავალი იდეისა, რომლებიც ოდესღაც ჭეშმარიტად ითვლებოდა, ახლა კი გამქრალია, მრავალი ძალისა, რომელიც რევოლუციების მიერ იქნა განადგურებული, და, როგორც ჩანს, ის მზადაა სხვებიც შთანთქას. და იმ დროს, როდესაც ყველა ჩვენი უწინდელი რწმენა ირყევა და ნადგურდება, ხოლო საზოგადოების ტრადიციული საყრდენები ერთიმეორის მიყოლებით ეცემა, მასების ძლიერება წარმოადგენს ერთადერთ ძალას, რომელსაც არაფერი ემუქრება და რომლის მნიშვნელობა განუხრელად იზრდება. მომავალი დრო ჭეშმარიტად მასების ეპოქა იქნება.

არაუმეტეს საუკუნის წინ სახელმწიფოთა ტრადიციული პოლიტიკა და ხელმწიფეთა მეტოქეობა მოვლენათა მთავარ ფაქტორებს წარმოადგენდნენ. მასების აზრს ანგარიშს არ უწევდნენ, და ხშირად იგი არც კი არსებობდა. დღევანდელ დღეს კი პოლიტიკური ტრადიციები, მონარქთა პირადი მიდრეკილებები და მათი მეტოქეობა უკვე აღარ წარმოადგენს ინტერესს და პირიქით, ბრბოს ხმა იქცა დომინირებად ძალად. მასები კარნახობენ ხელისუფლებას ქცევის წესებს, ის კი ცდილობს მათ სურვილებს მოერგოს. არა ხელმწიფეთა თათბირებზე, არამედ ბრბოს მენტალობაში იჭედება ერის ბედი.

სახალხო კლასების გამოსვლა პოლიტიკური ცხოვრების სარბიელზე ანუ სინამდვილეში მათი თანდათანობითი ქცევა ხელმძღვანელ კლასებად, ჩვენი გარდამავალი ეპოქის ერთ-ერთ ყველაზე დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს.

სარბიელზე გამოსვლა სულაც არ გახლდათ განპირობებული ხმის საყოველთაო მიცემით, რასაც დიდხანს არ გააჩნდა დამოუკიდებელი, ხელმძღვანელი ფუნქცია და ადვილად ექცეოდა გარეშე გავლენის ქვეშ. ბრბოს ძლიერების პროგრესული ზრდა პირველ რიგში განხორციელდა კონკრეტულ იდეათა გავრცელების გზით, რომლებიც ნელ-ნელა იბეჭდებოდა ადამიანთა გონებაში, შემდეგ კი - ინდივიდთა ასოციაციების თანდათანობითი შექმნის მეშვეობით თეორიულ ნაგებობათა განხორციელების მიზნით. ასოციაციების გზით ბრბომ შეიმუშავა იდეები (თუ სრულად სამართლიანი არა, ყოველ შემთხვევაში, საკმაოდ განსზღვრული) საკუთარ ინტერესთა შესახებ და საკუთარი ძალა გააცნობიერა. ბრბო ქმნის სინდიკატებს, რომელთა წინაშე ყველა ხელისუფლება კაპიტულირებას ახდენს; აფუძნებს შრომის ბირჟებს,

რომლებიც შრომის პირობებისა და ხელფასის კონტროლისკენ მიისწრაფვიან. ბრბო გზავნის სამთავრობო სათათბიროებში საკუთარ წარმომადგენლებს, რომლებიც სრულად არიან მოკლებული ინიციატივას და, ყველაზე ხშირად, მარტივ იარაღს წარმოადგენენ იმ კომიტეტთა ხელში, რომლებმაც ისინი აირჩია.

დღევანდელ დღეს ბრბოს პრეტენზიები უფრო და უფრო განსაზღვრული ხდება. სამუშაო საათების შეზღუდვა, მადნეულების, რკინიგზების, ფაბრიკების, მიწების ექსპროპრიაცია, პროდუქტების თანაბარზომიერი განაწილება და ა.შ. - აი, რაში მდგომარეობს ბრბოს მოთხოვნები.

არიან რა ნაკლებად მიდრეკილნი თეორიული მსჯელობისადმი, მასები იოლად მოქმედებენ. დღევანდელი სტრუქტურის წყალობით ბრბომ უზარმაზარი ძალაუფლება მოიპოვა. დღეს ჩანასახოვან მდგომარეობაში მყოფი დოგმატები მალე ძველი დოგმატების ანუ იმ უზენაეს ტირანულ ძალმოსილებას მოიპოვებენ, რომელიც ყოველნაირ მსჯელობას დაუშვებლად მიიჩნევს. ხელმწიფეთა ღვთიური უფლება მასების ღვთიურმა უფლებამ უნდა ჩაანაცვლოს.

მწერლები, რომლებიც ჩვენი თანამედროვე ბურჟუაზიის სიმპათიით სარგებლობენ და საუკეთესოდ ძალუძთ მისი შედარებით არაშორსმჭვრეტელი იდეების, ზედაპირული სკეპტიციზმისა და დროდადრო გდაჭარბებული ეგოიზმის გამოხატვა, იბნევიან ახალი ძალის ხილვისას, რომელიც მათ თვალწინ იზრდება, ხოლო იმისათვის, რათა როგორმე დაძლიონ გონებაში არსებული „უწესრიგობა“, სასოწარკვეთილი ძახილით მიმართავენ ეკლესიის ზნეობრივ ძალებს, რომლებსაც ისინი ოდესღაც სრულად უგულვებელყოფდნენ. ისინი მეცნიერების გაკოტრების შესახებ გვესაუბრებიან და, ბრუნდებიან რა რომიდან მომნანიებელ ცოდვილებად, გამოცხადების ჭეშმარიტების შესწავლისკენ მოგვიწოდებენ. მაგრამ ყველა ამ ახალმოქცეულს ავიწყდება, რომ უკვე ძალიან დაგვიანებულია! ღვთის წყალობა მართლაც რომ გარდმოვლენილიყო მათზე, ისინი მაინც ვერ შეძლებდნენ საკმარისი ძალაუფლება მოეპოვებინათ იმ ადამიანთა გონებაზე, რომლებიც ნაკლებად არიან დაინტერესებულნი საკითხებით, აგრერიგ რომ მოუცავთ ახალგამომცხვარ წმინდანთა გონებანი. ბრბოს აღარ სურს ის ღმერთები, რომელთა სახელის ხსენებაც კი აღარ უნდოდათ ზემოხსენებულ პირებს სულ მცირე ხნის წინ და რომელთა დამხობას თავად შეუწყეს ხელი. არ არსებობს ისეთი ღვთიური ან ადამიანური ძალა, რომელიც მდინარეს აიძულებდა, უკუღმა ედინა!

მეცნიერება სრულიადაც არ გაკოტრებულა და მას არანაირი ბრალი არ მიუძღვის არც გონებათა ანარქიასა და არც ახალი ძალის ჩამოყალიბებაში, რომელიც ამ ანარქიის შუაგულში იზრდება. მეცნიერება ჩვენ ჭეშმარიტებას გვპირდებოდა ან, უკიდურეს შემთხვევაში, იმ ურთიერთობების ცოდნას, რომლებიც ჩვენი გონებისთვისაა მისაწვდომი, მაგრამ არასოდეს დაგვპირებია არც მშვიდობასა და არც ბედნიერებას. არის რა სრულიად გულგრილი ჩვენი განცდებისადმი, მეცნიერება სმენადახშულია ჩვენი ჩივილებისადმი. ჩვენ ვალდებულნი ვართ მოვერგოთ მას, რადგან ვეღარაფერი დაგვიბრუნებს იმ ილუზიებს, რომლებიც მან გაჰფანტა.

ყველა ერისათვის საერთო სიმპტომები მასების ძლიერების სწრაფ ზრდაზე მიუთითებენ და არც კი უშვებენ იმ აზრს, რომ ძლიერება მალე შეწყვეტს აღმასვლას. რაც არ უნდა მოგვიტანოს მან, მასთან შეგუება მოგვიწევს.

ამ ძლიერების წინააღდეგ ნებისმიერი მსჯელობა და დემარში - ცარიელი სიტყვებია. რასაკვირველია, შესაძლოა ისეც იყოს, რომ სარბიელზე ბრბოს გამოსვლა დასავლეთის ცივილიზაციის ერთ-ერთ უკანასკნელ ეტაპს მიანიშნებდეს,

საბოლოო დაბრუნებას მღელვარე გადრამავალი დროის პერიოდთან, რომელიც, როგორც ჩანს, ყოველთვის უსწრებს ყოველი ახალი საზოგადოების გაფურჩქვნას. მაგრამ, როგორ შევუშალოთ ამას ხელი?

დღემდე მასების განსაზღვრულ როლს მოძველებულ ცივილიზაციათა ნგრევა წარმოადგენდა. ამ როლს ის დიდი ხანია ასრულებს. ისტორია გვიჩვენებს, რომ როგორც კი ზნეობრივი ძალები, რომლებსაც ცივილიზაცია ეყრდნობოდა, ძალაუფლებას ჰკარგავენ, საბოლოო ნგრევას არაცნობიერი და უხეში ბრბო ახორციელებს, რომელსაც სამართლიანად ეწოდება ბარბაროსული. ცივილიზაციებს ქმნიდა და ინარჩუნებდა ერთი მუჭა ინტელექტუალური არისტოკრატია, მაგრამ არასოდეს - ბრბო. ბრბოს ძალა მხოლოდ ნგრევისკენაა მიმართული. ბრბოს ბატონობა ყოველთვის ბარბაროსული ფაზის მანიშნებელია. ცივილიზაცია გულისხმობს განსაზღვრული წესებისა და დისციპლინის არსებობას, გადასვლას ინსტინქტურიდან რაციონალურისკენ, მომავლის განჭვრეტას, კულტურის გაცილებით მაღალ დონეს, ხოლო ეს ყველაფერი პირობებია, რომელთა განხორციელება საკუთარ თავთან დარჩენილ ბრბოს არასოდეს შეეძლო. მარტოდენ საკუთარი დამანგრეველი ძალის წყალობით ბრბო მოქმედებს, როგორც მიკრობი, რომელიც აჩქარებს დასუსტებული ორგანიზმის ან გვამის გახრწნას. თუკი რომელიმე ცივილიზაციის შენობა გამოხრულია, ყოველთვის ბრბო იწვევს მის ჩამონგრევას. სწორედ ასეთ დროს ვლინდება მისი მთავარი როლი და, დროებით, რაოდენობის ფილოსოფია, როგორც ჩანს, ისტორიის ერთადერთ ფილოსოფიას წარმოადგენს.

დაემართება იგივე ჩვენს ცივილიზაციას? ჩვენ შესაძლოა ვუფრთოხდეთ ამას, მაგრამ ამის ცოდნა ჯერ კიდევ არ შეგვიძლია. რაც არ უნდა მოხდეს, ჩვენ უნდა დავემორჩლოთ და გადავიტანოთ ბრბოს ბატონობა.

ბრბოს, რომლის შესახებ ესოდენ ბევრს საუბრობენ, ჩვენ ცუდად ვიცნობთ. პროფესიონალი ფსიქოლოგები, რომლებიც მისგან მოშორებით ცხოვრობდნენ, ყოველთვის უგულვებელყოფდნენ მას, ხოლო თუკი დაკავდნენ კიდეც ამ საკითხით უკანასკნელ დროს, მხოლოდ ბრბოს დანაშაულებრიობის თვალსაზრისით. უდაოა, რომ არსებობს დანაშაულებრივი ბრბო, მაგრამ ასევე არსებობს კეთილშობილი, გმირული და მრავალი სხვა სახისა. ბრბოს დანაშაულები მისი ფსიქოლოგიის მხოლოდ კერძო შემთხვევებს წარმოადგენენ; შეუძლებელია ბრბოს მენტალური ორგანიზაციის გაგება, თუ მხოლოდ მის დანაშაულებს შევისწავლით, ისევე, როგორც შეუძლებელია რომელიმე პიროვნების მენტალური აგებულების გაგება მხოლოდ მისი მანკიერი მხარის შესწავლის გზით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სინამდვილეში სამყაროს მბრძანებლები, რელიგიებისა და სახელმწიფოების ფუძემდებლები, ყველა აღმსარებლობის მოციქულები, გამოჩენილი სახელმწიფო მოხელეები, და უფრო მოკრძალებულ სფეროში, მცირე ადამიანურ თემთა უბრალო წინამძღოლები ყოველთვის გაუცნობიერებელ ფსიქოლოგებს წარმოადგენდნენ, რომლებსაც კარგად ესმოდათ ბრბოს მენტალობა და ხშირად - საკმაოდ ზუსტად.

სწორედ ამ მიხვედრილობის წყალობით იქცეოდნენ ისინი ბრბოს მბრძანებლებად. ნაპოლეონი შესანიშნავად დაეუფლა იმ ქვეყნის მასების ფსიქოლოგიას, რომელშიც ბატონობდა, თუმცა ხშირად ავლენდა სხვა ეროვნებისა და ხალხების ბრბოს ფსიქოლოგიის სრულ მიუხვედრელობას. მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ეს ფსიქოლოგია არ ესმოდა, შეძლო მან ომი ეწარმოებინა

ესპანეთსა და რუსეთთან, რომელმაც მის ძლიერებას დამღუპველი დარტყმა მიაყენა.

ბრბოს ფსიქოლოგიის ცოდნა დღევანდელ დღეს უკანასკნელ საშუალებას წარმოადგენს, რომელიც სახელმწიფო მოხელის ხელთ მოიპოვება, - არა იმისათვის, რომ მართოს მასები, რადგან ეს უკვე შეუძლებელია, არამედ იმ მიზნით, რომ მათ მეტისმეტი უფლება არ მოიპოვონ საკუთარ თავზე.

მასათა ფსიქოლოგიაში უფრო ღრმად წვდომაა აუცილებელი იმის გასაგებად, თუ რამდენად დიდია მათზე ჩაგონებულ იდეათა გავლენა. ბრბოს მართვა შეუძლებელია წესების მიხედვით, რომლებიც მხოლოდ თეორიულ სამართლიანობას ეფუძნება, სანაცვლოდ მოსაძიებელია ის, რამაც შეიძლება მასზე შთაბეჭდილება მოახდინოს და მოხიბლოს. თუ, მაგალითად, რომელიმე კანონმდებელი ახალი გადასახადის შემოღებას ცდილობს, უნდა აირჩიოს თუ არა ისეთი, რომელიც უპირატესად სამართლიანი იქნება? არამც და არამც! ყველაზე უსამართლო გადასახადი პრაქტიკული თვალსაზრისით შესაძლოა ყველაზე სასარგებლო აღმოჩნდეს მასებისთვის. თუ ეს გადასახადი თვალშისაცემი არ არის და მისი სიმძიმე არ არის შესამჩნევი, მას მეტად იოლად მიიღებენ მასები.

ამიტომაც ირიბი გადასახადი, რა ოდენობისაც არ უნდა იყოს ის, არ გამოიწვევს ბრბოს პროტესტს, რადგან იგი არ ბოჭავს მის ჩვევებს და არ ახდენს მასზე შთაბეჭდილებას, რადგან მისი ამოღება ყოველდღიურად ხდება ფართო მოხმარების საგნების შეძენისას. მაგრამ სცადეთ ჩაანაცვლოთ იგი ხელფასის ან სხვა შემოსავლის პროპორციული გადასახადით და მისი ერთბაშად გადახდა მოითხოვეთ, - თქვენ ერთსულოვან პროტესტს გამოიწვევთ, თუნდაც ეს თეორიული გადასახადი ათჯერ ნაკლები იყოს პირველზე. ნაცვლად შეუმჩნეველი კაპიკებისა, რომლებსაც ყოველდღიურად იხდით, აქ შედარებით მსხვილი თანხა გამოდის, და იმ დღეს, როდესაც მისი გადახდაა საჭირო, იგი გადაჭარბებულად მოჩანს და უკვე ამიტომ ახდენს შთაბეჭდილებას. თუ ყოველდღიურად თითო კაპიკს გადადებთ, მაშინ, რასაკვირველია, იგი ესოდენ დიდ თანხად არ მოგეჩვენებათ, მაგრამ მსგავსი ეკონომიკური ხერხი წინდახედულების მანიშნებელი იქნებოდა, რისი უნარი ბრბოს საერთოდ არ გააჩნია.

ზემოაღნიშნული ხერხი ფრიად მარტივია, მისი სამართლიანობა კი თვალშისაცემი. ნაპოლეონის მსგავს ფსიქოლოგს, რასაკვირველია, ესმოდა ეს, მაგრამ კანონმდებელთა უმრავლესობას, რომლებსაც ბრბოს მენტალობა არ ესმით, ამ თავისებურებას ვერ შეამჩნევენ. გამოცდილებამ ჯერ კიდევ საკმარისად ვერ შეძლო მათი დარწმუნება იმაში, რომ შეუძლებელია მასების ხელმძღვანელობა მხოლოდ გონების მითითებებით.

მასების ფსიქოლოგია სხვა მრავალ შემთხვევაშიც გამოიყენება. იგი ჰფენს შუქს მრავალ ისტორიულ და ეკონომიკურ ფაქტს, რომელიც მის გარეშე აუხსნელი იქნებოდა. შესაძლებლობა მეძლევა აღვნიშნო, რომ თუ თანამედროვე ისტორიკოსთაგან ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული, ტენი, ზოგ შემთხვევაში ასე ცუდად ერკვეოდა ჩვენი დიდი რევოლუციის მოვლენებში, ეს მხოლოდ იმიტომ მოხდა, რომ მას არასოდეს უფიქრია ბრბოს მენტალობის შესწავლა. ამ რთული პერიოდის შესწავლისას ის ნატურალისტთა აღწერილობითი მეთოდით ხელმძღვანელობდა; მაგრამ იმ მოვლენათა შორის, რომლებსაც ნატურალისტები აკვირდებიან, ჩვენ ვერ ვხვდებით ზნეობრივ ძალებს, როდესაც სწორედ ეს ძალები წარმოადგენენ ისტორიის ზამბარებს.

ამგვარად, ბრბოს ფსიქოლოგიის შესწავლა სასურველია პრაქტიკული თვალსაზრისით, მაგრამ მხოლოდ თეორიული ინტერესის საგანი რომ ყოფილიყო, ასეთ შემთხვევაშიც

დაიმსახურებდა ჩვენს ყურადღებას. იმ ძრავთა აგებულების შეცნობა, რომლებიც ადამიანთა ქმედებებს მართავენ, არანაკლებ საინტერესოა, ვიდრე რომელიმე მინერალის ან ყვავილის შესწავლა.

ბრბოს მენტალობის ჩვენეული კვლევა სხვა არაფერია, თუ არ ჩვენს წინამორბედ მიგნებათა მოკლე გადმოცემა. ვერაფერს მოვთხოვთ ჩვენს ნარკვევს, გარდა ზოგიერთი შეხედულებისა, რომლებიც ფიქრებს აღძრავენ. სხვები გააღრმავებენ იმ კვალს, რომელიც ჩვენ გავიყვანეთ ჯერ კიდევ ასე მცირედ გამოკვლეულ ნიადაგზე.

პირველი ნაწილი. ბრბოს მენტალობა.

თავი პირველი. ბრბოს ძირითადი მახასიათებლები და მისი მენტალური ერთობის ფსიქოლოგიური კანონი

რას წარმოადგენს ბრბო ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. - ინდივიდთა რაოდენობრივად დიდი შეკრება არ არის საკმარისი ბრბოს ჩამოსაყალიბებლად. - ფსიქოლოგიური ბრბოს განსაკუთრებული მახასიათებლები. - ასეთი ბრბოს შემადგენელ ინდივიდთა იდეებისა და განწყობის ფიქსირებული მიმართულების შექცევა, და მათი ინდივიდუალობის გაქრობა. - ბრბოზე ყოველთვის ის შეხედულებებია გაბატონებული, რომლებსაც ის ვერ აცნობიერებს. - გონებრივი აქტივობის გაქრობა და მედულარული აქტივობის გაბატონება. - გონებრივ შესაძლებლობათა დაქვეითება და გრძნობათა სრული ტრანსფორმაცია. - ტრანსფორმირებული გრძნობები შესაძლოა ბრბოს შემადგენელ ინდივიდთა განცდებზე უკეთესი ან უარესი იყოს. - ბრბო ისევე მარტივად იქცევა გმირად, როგორც ბოროტმოქმედად.

ჩვეულებრივი გაგებით სიტყვა „ბრბო“ ნიშნავს ნებისმიერი ეროვნების, პროფესიისა თუ სქესის ადამიანთა შეკრებას მიუხედავად მათი თავშეყრის მიზეზისა. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით სიტყვა „ბრბო“ ფრიად განსხვავებული მნიშვნელობის მატარებელია. მოცემულ კონკრეტულ გარემოებებში, და მხოლოდ ამ გარემობებში, ადამიანთა თავყრილობა იძენს ახალ მახასიათებლებს, რომლებიც მკვეთრად განსხვავდება მის შემადგენელ ინდივიდთა მახასიათებლებისგან. თავყრილობის შემადგენელ პიროვნებათა აზრები და განცდები ერთ მხარეს არის მიმართული, ხოლო მათი ცნობიერი პიროვნება ქრება. ყალიბდება კოლექტიური ფსიქიკა, უდაოდ დროებითი ხასიათის, მაგრამ ცხადად განსაზღვრული მახასიათებლებით. ამგვარად თავყრილობა იქცევა იმად, რასაც მე, უკეთესი განსაზღვრების არარსებობის პირობებში, ორგანიზებულ ბრბოს ვუწოდებ ან, თუ ამ ცნებას ანიჭებთ უპირატესობას - ფსიქოლოგიურ ბრბოს. ყალიბდება ერთი არსება, რომელიც *ბრბოს მენტალური ერთობის კანონს* ექვემდებარება.

ცხადია, რომ ორგანიზებული ბრბოს მახასიათებლების შეძენა მხოლოდ იმ ფაქტის გამოისობით არ ხდება, რომ ინდივიდები შემთხვევით აღმოჩნდებიან ერთმანეთის გვერდით. საჯარო ადგილას განსაზღვრული მიზნის გარეშე შემთხვევით შეყრილი ათასი ინდივიდი არანაირად არ წარმოადგენს ბრბოს ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. ბრბოს ასეთი განსაკუთრებული მახასიათებლების შესაძენად აუცილებელია კონკრეტულ გამომწვვ მიზეზთა გავლენა, რომელთა ბუნება ჩვენ ახლა უნდა განვსაზღვროთ.

ცნობიერი პიროვნების გაქრობა და, გრძნობების და აზრების შეცვლა კონკრეტული მიმართულებით, რაც ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ბრბოს ძირითადი მახასიათებლებია,

აუცილებელი წესით არ საჭიროებს ინდივიდთა გარკვეული რაოდენობის ერთდროულ ყოფნას ერთ წერტილში. ათასობით იზოლირებულმა პიროვნებამ გარკვეული ძლიერი ემოციის, მაგალითად, დიდი ეროვნული მოვლენის, გავლენით კონკრეტულ ვითარებაში შესაძლოა ფსიქოლოგიური ბრბოს მახასიათებლები შეიძინოს. ასეთ დროს მათი შემთხვევით ერთად შეკრება საკმარისი იქნებოდა, რომ მათი მოქმედებები ასეთი ბრბოსთვის დამახასიათებელი მახასიათებლებით წარმართულიყო. გარკვეულ შემთხვევებში ათი ადამიანიც კი აყალიბებს ფსიქოლოგიურ ბრბოს, რაც შესაძლოა არ მოხდეს, თუ ასობით ადამიანია ერთად თავმოყრილი შემთხვევის გამოისობით. მეორეს მხრივ, მთელი ერი, თუმცა ხილულ აგლომერაციას ადგილი შესაძლოა არც ჰქონდეს, გარკვეული ქმედებების გავლენით ბრბოდ იქცევა.

როგორც კი ერთხელ ჩამოყალიბდება, ფსიქოლოგიური ბრბო იძენს კონკრეტულ, წინასწარ, მაგრამ განსაზღვრებას დაქვემდებარებულ ძირითად მახასიათებლებს. ამ ძირითად მახასიათებლებს ესაზღვრება ცალკეული მახასიათებლები, რომლებიც ბრბოს შემადგენელ ელემენტთა შესაბამისად იცვლება და შესაძლოა მისი მენტალური სტრუქტურა შეცვალოს. შესაბამისად, ფსიქოლოგიური ბრბო კლასიფიცირებას ექვემდებარება; როდესაც ჩვენ ამ საკითხით დავკავდებით, ვიხილავთ, რომ ჰეტეროგენული ბრბო ანუ ბრბო, რომელიც არაერთგვაროვანი ელემენტებისგან შედგება, ატარებს კონკრეტულ მახასიათებლებს, რომლებიც საზიაროა ჰომოგენურ ანუ მონათესავე ელემენტებისგან შემდგარ ბრბოსთან (სექტა, კასტა და კლასები) - ამ საერთო მახასიათებლების გვერდიგვერდ კი ვიხილავთ თავისებურებებს, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ ორი სახის ბრბო ერთმანეთისგან განვასხვაოთ.

სანამ ბრბოთა სხვადასხვა კატეგორიებით დავკავდებოდეთ, პირველ რიგში ის მახასიათებლები უნდა შევისწავლოთ, რომლებიც ყველასათვის საერთოა. ბუნებისმეტყველის მსგავსად უნდა ვიმოქმედოთ, რომელიც ოჯახის ყველა წევრის ძირითადი მახასიათებლების აღწერით იწყებს და მხოლოდ შემდეგ გადადის განსაკუთრებულ თვისებებზე, რომლებიც ამ ოჯახის შემადგენელი გვარისა და ტიპის განსხვავების საშუალებას გვაძლევს.

ბრბოს ფსიქიკის ზუსტი აღწერა იოლი არ არის, რადგან მისი ჩამოყალიბება არა მხოლოდ ეროვნულობისა და შემადგენლობის მიხედვით ხდება, არამედ იმ გამომწვევი მიზეზების ბუნებისა და ინტენსივობის შესაბამისად, რომლებსაც ბრბო ექვემდებარება. აქვე უნდა ითქვას, რომ იგივე სირთულეს ვხვდებით პიროვნების ფსიქოლოგიური შესწავლისას. მხოლოდ რომანებში გაივლიან ადამიანები მთელ ცხოვრებას უცვლელი ხასიათით. ხასიათის ერთგვარობის მოჩვენებითობას გარემოს ერთგვარობა ქმნის. სხვა ადგილას მე ვაჩვენე, რომ ყველა ფსიქიკური სტრუქტურა ექვემდებარება ხასიათის ცვლილების შესაძლებლობას გარემოს უეცარი ცვლილების შედეგად. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ საფრანგეთის კონვენტის ყველაზე სასტიკი წევრები უწყინარი მოქალაქეები იყვნენ, რომლებიც კონკრეტულ გარემოებებში მშვიდობიანი ნოტარიუსები და მოსამართლეები იქნებოდნენ. ვნებათაღელვამ გადაიარა და ისინი კანონმორჩილ მოქალაქეთა ჩვეულ ცხოვრებას დაუბრუნდნენ. ნაპოლეონმა მათ შორის იპოვნა ყველაზე მორჩილი მსახურები.

ბრბოთა ჩამოყალიბების ყველა თანმიმდევრული საფეხურის შესწავლა წინამდებარე კვლევაში შეუძლებლად მიგვაჩნია, შესაბამისად, შემოვიფარგლებით ბრბოთა იმ სახეობებით, რომლებმაც სრული ჩამოყალიბების ფაზას მიაღწიეს. ამ გზით ჩვენ ვიხილავთ, რად შეიძლება იქცეს ბრბო და არა იმას, თუ

რას წარმოადგენს იგი. მხოლოდ ჩამოყალიბების ამ გვიან ეტაპზე ხდება კონკრეტული ახალი და განსაკუთრებული მახასიათებლების დაშენება ხალხის უცვლელ და გაბატონებულ ხასიათზე; შემდეგ აქვს ადგილი ყველა განცდისა და აზრის ზემოაღნიშნულ კოლექტიურ შექცევას ერთი მიმართულებით. აგრეთვე, მხოლოდ ასეთ გარემოებებში იწყებს მოქმედებას ის, რასაც მე *ბრბოს მენტალური ერთობის ფსიქოლოგიურ კანონს* ვუწოდებ.

ბრბოს ფსიქოლოგიურ მახასიათებლებს შორის ზოგი ისეთია, რომლებიც შესაძლოა საერთო იყოს იზოლირებული პიროვნებებისთვის, სხვები კი, საპირისპიროდ ამისა, აბსოლუტურად სპეციფიურია და მათ მხოლოდ კოლექტივში ვხვდებით. უპირველეს ყოვლისა, ჩვენ ამ სპეციალურ მახასიათებლებს შევისწავლით, რათა მათი მნიშვნელობა ვაჩვენოთ.

ფსიქოლოგიური ბრბოსთვის დამახასიათებელი ყველაზე განსაცვიფრებელი თავისებურება შემდეგია: ვინც არ უნდა შეადგენდეს მას, რამდენად მსგავსი ან განსხვავებული არ უნდა იყოს მათი ცხოვრების სტილი, მათი საქმიანობა, ხასიათი ან გონებრივი შესაძლებლობები, საკმარისია ბრბოდ იქცნენ, რომ ისინი ერთგვარი კოლექტიური ფსიქიკის ბატონობის ქვეშ ექცევიან, რომელიც აიძულებს მათ განიცადონ, იფიქრონ და იმოქმედონ იმგვარად, რაც საგრძნობლად განსხვავდება იმისგან, რასაც ეს პიროვნებები განიცდიდნენ, იფიქრებდნენ და იმოქმედებდნენ იზოლირებულად. არსებობს კონკრეტული იდეები და გრძნობები, რომლებიც არც კი წარმოიშობა ან არ იქცევა ქმედებებად, გარდა შემთხვევისა, როდესაც პიროვნება ბრბოს წარმოქმნის. ფსიქოლოგიური ბრბო არის გარდამავალი სტრუქტურა, შემდგარი ჰომოგენური ელემენტებისგან, რომლებიც დროის გარკვეული შუალედით არიან ერთმანეთს დაკავშირებულნი, ზუსტად ისე, როგორც ცოცხალი ორგანიზმის შემადგენელი უჯრედები, რომლებიც გაერთიანების შემდეგ იმისგან სრულიად განსხვავებულ თვისებებს ავლენენ, რაც თითოეულ უჯრედს გააჩნია.

განსხვავებით შეხედულებისგან, რომელიც ზოგიერთის გასაკვირად ისეთ შორსმჭვრეტელ ფილოსოფოსს ეკუთვნის, როგორიც ჰერბერტ სპენსერია, ერთობაში, რომელიც ბრბოს წარმოადგენს, არანაირი სახით არ არსებობს მის შემადგენელ ელემენტთა ჯამური ან საშუალო, არამედ ადგილი აქვს კომბინირებას, რასაც ახალ თვისებათა ჩამოყალიბება მოყვება, ზუსტად ისე, როგორც ქიმიაში, სადაც ერთმანეთს დაკავშირებული ელემენტები, მაგალითად, მჟავები და ფუძეები, ერთიანდებიან ახალი სხეულის ჩამოსაყალიბებლად, რომლის თვისებები სრულიად განსხვავდება იმ სხეულთა თვისებებისგან, რომლებმაც მის შექმნაში მიიღეს მონაწილეობა.

იოლია იმის ჩვენება, თუ რამდენად განსხვავდება ბრბოს შემადგენელი პიროვნება იზოლირებული ინდივიდისგან, მაგრამ რთული ამ განსხვავების მიზეზთა დადგენაა.

რაიმე ხარისხით რომ თვალის შევლება მოვახერხოთ, პირველ რიგში თანამედროვე ფსიქოლოგიის მიერ დამკვიდრებულ იმ ჭეშმარიტებას უნდა მოვუხმოთ, რომ არაცნობიერ ფენომენს მთლიანობაში მოწინავე ფუნქცია არა მხოლოდ ორგანულ ცხოვრებაში, არამედ გონების მოქმედებაშიც ენიჭება. გონების ცნობიერი ცხოვრება არაცნობიერთან შედარებით უმნიშვნელოა. ყველაზე დახვეწილი ანალიტიკოსი ან ყველაზე ღრმა დამკვირვებელი წარმატებული შესაძლოა იყოს აღმოჩენაში მხოლოდ მცირე რაოდენობის იმ არაცნობიერი მოტივებისა, რომლებიც მის მოქმედებას განსაზღვრავენ. ჩვენი ცნობიერი ქმედებები არაცნობიერი საფუძვლიდან გამომდინარეობს, რომლის ფორმირება გონებაში ძირითადად მემკვიდრეობითობის გავლენით ხდება. ეს საფუძველი ურიცხვი საერთო მახასიათებლისგან

შედგება, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა, და სწორედ იგი შეადგენს ეროვნულ მენტალობას. ჩვენს ქმედებათა ღიად აღიარებულ მიზეზებს მიღმა უდაოდ არსებობს იდუმალი მიზეზები, რომლებსაც ჩვენ არ ვაღიარებთ, ხოლო ამ იდუმალ მიზეზებს მიღმა - სხვა, უფრო იდუმალი, რომლებიც ჩვენთვისაც კი არ არის ცნობილი. ჩვენს ყოველდღიურ ქმედებათა დიდი ნაწილი იმ ფარულ მოტივთა შედეგია, რომლებიც ჩვენს მზერას უსხლტება.

ეროვნული მენტალობის შემადგენელი არაცნობიერი ელემენტების შესაბამისად
მისი წევრი ინდივიდები ერთმანეთის მსგავსნი არიან, ხოლო მათი ხასიათის ცნობიერი ელემენტების მიხედვით - როგორიცაა განათლება და განსაკუთრებული მემკვიდრეობითობა - ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან. ინტელექტუალური უნარის მიხედვით განსხვავებული ადამიანები შესაძლოა ფლობდნენ უაღრესად მსგავს ინსტინქტებს, განცდებსა და გრძნობებს. ყველაფერში, რაც გრძნობის სამეფოს ეკუთვნის, როგორიცაა რელიგია, პოლიტიკა, ზნეობა, სიყვარული და ანტიპათია და ა.შ. ყველაზე გამორჩეული ადამიანი იშვიათად სცდება ყველაზე ორდინარული ინდივიდის სტანდარტებს. ინტელექტუალური თვალსაზრისით დიდ მათემატიკოსსა და მის მეწაღეს შორის შესაძლოა უფსკრული არსებობდეს, მაგრამ ხასიათის თვალთახედვით სხვაობა უმნიშვნელოა ან იგი საერთოდ არ არსებობს.

ხასიათის სწორედ ეს ზოგადი თვისებები, რომლებიც არაცნობიერი ძალების მიერ იმართებიან და რომლებსაც ერის შემადგენელ ნორმალურ ინდივიდთა უმრავლესობა ფლობს, ვიმეორებ, სწორედ ეს თვისებები იქცევა ბრბოს საერთო საკუთრებად. კოლექტიურ ფსიქიკაში ინდივიდთა ინტელექტუალური მიდრეკილებები, შედეგად კი მათი ინდივიდუალობა, სუსტდება. ჰეტეროგენურობა ჰომოგენურობაში იძირება, არაცნობიერი თვისებები კი წინა პლანზე გამოდის.

ის ფაქტი, რომ ბრბო ასეთი ორდინარული თვისებების მატარებელია, ხსნის იმას, თუ რატომ არასდროს არ შეუძლია მას ისეთი ქმედებების განხორციელება, რომლებიც მაღალ ინტელექტს მოითხოვს. გადაწყვეტილებები ზოგადი ინტერესის საკითხებში, მიღებული გამორჩეული, მაგრამ განსხვავებულ სპეციალობებში დახელოვნებული ადამიანების მიერ, საგრძნობლად უმჯობესი არ იქნება გადაწყვეტილებაზე, რომელსაც გონებაჩლუნგთა თავყრილობა მიიღებს. ჭეშმარიტება იმაშია, რომ როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში მათ მხოლოდ იმ საშუალო თვისებების გაერთიანება შეუძლიათ, რომლებიც დაბადებიდან დაყვება ყოველ ინდივიდს. ბრბოში უგნურება და არა სიბრძნეა თავმოყრილი. არა მთელი სამყარო, როგორც ამას ხშირად იმეორებენ, არის ვოლტერზე ჭკვიანი, არამედ უთუოდ ვოლტერია მეტად ბრძენი, ვიდრე მთელი სამყარო, თუკი „მთელი სამყაროს“ ქვეშ ბრბოს ვიგულისხმებთ.

თუ ბრბოს შემადგენელი ინდივიდები ორდინარული თვისებების გაერთიანებით შემოიფარგლებიან, რომელსაც თითოეული მათგანი ფლობს, მაშინ ჩვენ საშუალო მაჩვენებელს მივიღებთ და არა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული და რეალურად ხდება, ახალ თვისებათა ჩამოყალიბებას. როგორღა ხდება ახალი თვისებების ჩამოყალიბება? სწორედ ამ საკითხით დავკავდებით ახლა.

ბრბოს დამახასიათებელ ახალ თვისებათა ჩამოყალიბებას, თვისებებისა, რომლებსაც იზოლირებული ინდივიდი არ ფლობს, განსხვავებული მიზეზები განსაზღვრავს. პირველ რიგში ის უნდა აღინიშნოს, რომ ბრბოს შემადგენელი ინდივიდი, მხოლოდ რაოდენობრივი მოსაზრებებიდან გამომდინარე, იხვეჭს დაუმარცხებელი ძალის განცდას, რაც ნებას აძლევს მას

ინსტინქტებს დაყვეს, რომლებსაც, მარტო რომ ყოფილიყო, ძალაუნებურად ლაგამს ამოსდებდა. მას ნაკლებად ექნება მიდრეკილება შეაჩეროს საკუთარი თავი, რადგან ბრბოში, რომელიც ანონიმურია და, შედეგად, პასუხისმგებლობას მოკლებული, ეს გრძნობა, რომელსაც მუდამ კონტროლის ქვეშ ჰყავს ინდივიდი, მას სრულად უქრება.

მეორე მიზეზი, რომელიც გადამდებ სენს ანუ ინფექციას წარმოადგენს, ბრბოში ასევე განსაკუთრებული თვისებების წარმოშობასა და მათ მიმართულებას განსაზღვრავს. ინფექცია ფენომენია, რომლის არსებობის დადგენა ადვილია, მაგრამ ახსნა - რთული. იგი კლასიფიცირებულ უნდა იქნას ჰიპნოტური რიგის ფენომენთა შორის, რომლებსაც ჩვენ მცირე ხანში განვიხილავთ. ბრბოს ყველა განცდა გადამდებია და გადამდები იმ ხარისხით არის, რომ ინდივიდი მზადაა პირადი ინტერესი კოლექტიურს შესწიროს მსხვერპლად. ეს მიდრეკილება მისი ბუნების საპირისპიროა და ასეთი ქმედების უნარი ადამიანს თითქმის არ გააჩნია თუ იგი ბრბოს ნაწილს არ წარმოადგენს.

მესამე მიზეზი და, აღნიშნულ დრომდე, ყველაზე მნიშვნელოვანი, ბრბოს შემადგენელ ინდივიდებში განსაზღვრავს სპეციფიურ თვისებებს, რომლებიც დროდადრო სრულიად საპირისპიროა იზოლირებული ინდივიდის მიერ გამოვლენილისა. მე ჩაგონებლობას ვგულისხმობ, რომელთან მიმართებით ინფექცია მხოლოდ შედეგს წარმოადგენს.

ამ ფენომენის გაგებისთვის აუცილებელია უკანასკნელი დროის ფსიქოლოგიურ აღმოჩენათა გათვალისწინება. დღეისათვის ჩვენთვის ცნობილია ცალკეული პროცესები, რომელთა მეშვეობით ადამიანი შესაძლოა ისეთ მდგომარეობაში იქნას ჩაყენებული, რომ სრულიად დაკარგოს ცნობიერი პიროვნულობა და სრულად დაემორჩილოს ოპერატორს, რომელმაც მას ეს პიროვნულობა ჩამოართვა, და ისეთი ქმედებები განახორციელოს, რომლებიც უკიდურესად ეწინააღმდეგება მის ჩვევებსა და ხასიათს. დაკვირვებებით დასტურდება, რომ ინდივიდი, რომელიც დროის გარკვეული მონაკვეთის განმავლობაში ბრბოშია შთანთქმული, საკმაოდ სწრაფად - ბრბოს მაგნიტური გავლენის შედეგად ან სხვა მიზეზით, რომელიც ჩვენთვის უცნობია - ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდება, რაც მნიშვნელოვანწილად ჰგავს იმ მონუსხულობის მდგომარეობას, რომელშიც ჰიპნოტიზებული ინდივიდი აღმოჩნდება ჰიპნოლოგის ხელთ. ჰიპნოტიზებული სუბიექტის შემთხვევაში გონების აქტივობა პარალიზებულია და სუბიექტი იქცევა მონად ზურგის ტვინის არაცნობიერი ქმედებებისა, რომლებსაც ჰიპნოლოგი საკუთარი ნების მიხედვით მართავს. ცნობიერი პიროვნება გამქრალია, ნება და გონი - დაკარგული. ყველა გრძნობა და აზრი იმ მიმართულებითაა გადახრილი, როგორც ამას ჰიპნოლოგი განსაზღვრავს.

დაახლოებით ასეთია იმ ინდივიდის მდგომარეობა, რომელიც ფსიქოლოგიური ბრბოს ნაწილს წარმოადგენს. იგი ვეღარ აცნობიერებს საკუთარ ქმედებებს. მის შემთხვევაში, ისევე, როგორც ჰიპნოტიზებული სუბიექტისა, მაშინ, როდესაც ერთი სახის უნარები ითრგუნება, სხვები ეგზალტაციის მაღალ ხარისხს აღწევს. ჩაგონების გავლენით იგი კონკრეტულ ქმედებებს ელვის სისწრაფით სჩადის. ეს გამალება ბრბოს შემთხვევაში მეტად დაუოკებელია, ვიდრე ჰიპნოტიზებული სუბიექტისა, რადგან, როდესაც ჩაგონება ერთი და იგივეა ბრბოს შემადგენელი ყველა ინდივიდისთვის, ძალა თანაზიარობის გამოისობით იზრდება. იმ ინდივიდთა რაოდენობა ბრბოში, ვისი პიროვნული სიმტკიცე საკმარისია ჩაგონებისთვის წინააღმდეგობის გასაწევად, უკიდურესად მცირეა ნაკადთან გამკლავებისთვის. უკეთეს შემთხვევაში მათ შესაძლოა ბრბოს ყურადღების გადატანა სცადონ

სხვა რამეზე სხვა ჩაგონების საშუალებით. ამ გზით, მაგალითად, ბრბოს წარმოსახვაში ბედნიერების ამსახველი გამოსახულების გაღვიძებას ზოგჯერ შეუძლია მას სისხლიან ქმედებებზე ააღებინოს ხელი.

შედეგად, ჩვენ ვხედავთ, რომ ცნობიერი პიროვნულობის გაქრობა, არაცნობიერი პიროვნულობის გაბატონება, ჩაგონებისა და ინფიცირების საშუალებით გრძნობებისა და იდეების შექცევა ერთი მიმართულებით, ჩაგონებული იდეების მყისიერ ქმედებებად ქცევის ტენდენცია, ეს ყველაფერი ძირითადი მახასიათებლებია ადამიანისა, ვინც ბრბოს ნაწილს შეადგენს. ის უკვე აღარ წარმოადგენს საკუთარ თავს, არამედ ავტომატია, რომელიც საკუთარი ნებით აღარ იმართება.

მეტიც, მხოლოდ იმ ფაქტის გამოისობით, რომ იგი ორგანიზებული ბრბოს ნაწილია, ადამიანი რამდენიმე საფეხურით ქვევით იწევს ცივილიზაციის კიბეზე. იზოლირებულ მდგომარეობაში იგი შესაძლოა კულტურული ადამიანი ყოფილიყო; ბრბოში ის ველურია ანუ არსება, რომელიც ინსტინქტურად მოქმედებს. მას უჩნდება მიდრეკილება თვითნებობის, ძალადობისა და სისასტიკის, ისევე, როგორც პრიმიტიული არსებებისთვის დამახასიათებელი გმირობისა და ენთუზიაზმისადმი, ვისაც კიდევ უფრო მეტად ემსგავსება სიტყვებისა და გამოსახულებების გავლენისადმი მოწყვლადობის გამო, რომლებიც იზოლირებულ მდგომარეობაში მასზე არავითარ გავლენას არ მოახდენდა, და მოტივირებულია ისეთი ქმედებები ჩაიდინოს, რომლებიც მის ინტერესებსა და ჩვევებს ეწინააღმდეგება. ბრბოს შემადგენელი ინდივიდი ქვიშის მარცვალია სხვა მარცვლებს შორის, რომლებიც ქარს თვითნებურად გადააქვს.

სწორედ ამ მიზეზით ხდება, რომ ნაფიც მსაჯულებს დროდადრო ისეთი გადაწყვეტილება გამოაქვთ, რომელსაც თითოეული მათგანი ინდივიდუალურად არ დაეთანხმებოდა; პარლამენტის წევრები იღებენ კანონებს, რომლებსაც პიროვნულად თითოეული დეპუტატი ხმას არ მისცემდა. კონვენტის წევრები, ცალკე აღებულნი, განათლებული და მშვიდობიანი ადამიანები იყვნენ. ბრბოდ გაერთიანებულნი, ისინი ყოყმანის გარეშე გზავნიდნენ ადამიანებს გილიოტინაზე, მათ შორის უმეტესწილად უდანაშაულოებს, საბოლოოდ კი საკუთარ ინტერესთა საწინააღმდეგოდ თქვეს უარი ხელშეუხებლობაზე და სიკვდილით დასაჯეს საკუთარი თავები.

არსებითად ინდივიდი არა მხოლოდ საკუთარი ქმედებებით განსხვავდება ბრბოში საკუთარი თავისგან. სანამ იგი სრულად დაკარგავდეს დამოუკიდებლობას, მისი იდეები და გრძნობები ცვლილებებს განიცდიან, ცვლილებები კი იმდენად ფუნდამენტურია, რომ შეუძლიათ ძუნწი - მფლანგველად აქციონ, სკეპტიკოსი - მორწმუნედ, პატიოსანი ადამიანი - ბოროტმოქმედად, ლაჩარი კი გმირად. არისტოკრატიის მიერ ყველა პრივილეგიაზე უარის თქმას ენთუზიაზმის პიკზე 1789 წლის 4 აგვისტოს ცნობილ ღამეს არასოდეს ექნებოდა ადგილი, გადაწყვეტილება მის წევრებს რომ სათითაოდ მიეღოთ.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ინტელექტუალური თვალსაზრისით ბრბო იზოლირებულ ადამიანზე ქვევით დგას, მაგრამ განცდებისა და ამ განცდების მიერ პროვოცირებული ქმედებების თვალსაზრისით იგი, გარემოებებიდან გამომდინარე, შესაძლოა ინდივიდზე უკეთესი ან უარესი იყოს. ყველაფერი დამოკიდებულია ჩაგონების ბუნებაზე, რომელსაც ბრბო ემორჩილება. სწორედ ამ პუნქტს იგებდნენ მცდარად მწერლები, რომლებიც ბრბოს მხოლოდ დანაშაულის ჭრილში სწავლობდნენ. უდაოა, რომ ბრბო ხშირად დანაშაულებრივია, მაგრამ ასევე ხშირად იგი გმირულიც არის. ბრბო და არა იზოლირებული ადამიანი

შეიძლება იქნას მოტივირებული სიცოცხლის რისკის ფასად დაიცვას იდეა ან აღმსარებლობა; აღვსებულ იქნას ენთუზიაზმით, რათა დიდებისა და პატივისათვის - თითქმის პურისა და იარაღის გარეშე, როგორც ჯვაროსანთა ეპოქაში - გაემართოს მაცხოვრის სამარის გასათავისუფლებლად ურწმუნოთაგან ან, როგორც 93-ში, სამშობლო დაიცვას. ასეთი გმირობა უდაოდ არაცნობიერია, მაგრამ ასეთი გმირობით არის ნაშენი ისტორია. ადამიანებს მხოლოდ ცივი გონებით ჩადენილი დიადი საქმეები რომ მიეწერებოდეთ, მატიანეს მხოლოდ რამდენიმე ასეთი ეცოდინებოდა.

თავი მეორე. ბრბოს განცდები და მისი ზნეობა

1. ბრბოს იმპულსურობა, ცვალებადობა და გაღიზიანებადობა. ბრბო ყველა გარე გამღიზიანებლისადმია მოწყვლადი და მათ უწყვეტ ვარიაციებს ასახავს. - იმპულსები, რომლებსაც ბრბო ემორჩილება, იმდენად ძლიერია, რომ სრულად სპობს პირად ინტერესს. - ბრბოსთვის უცხოა წინასწარგანზრახულობა. - რასობრივი გავლენა. 2. ბრბო მიმნდობი და ჩაგონებისადმი მოწყვლადია. ბრბოს მორჩილება ჩაგონებისადმი. - გონებაში გამოწვეულ სახეებს ბრბო რეალობად აღიქვამს. - რატომ არის ეს სახეები იდენტური ბრბოს ყველა წევრისთვის. - ბრბოში სწავლული და უცოდინარი ადამიანის გათანაბრება. - მაგალითები სხვადასხვა სახის ილუზიებისა, რომლებსაც ბრბოს შემადგენელი ინდივიდები დაყვებიან. - შეუძლებლობა ბრბოს მიერ გაკეთებული ჩვენების რწმენისა. - მრავალი მოწმის ერთსულოვნება ერთ-ერთი უარეს მტკიცებულებათაგანია, რომელიც შეიძლება ფაქტის დასადასტურებლად იქნას მოხმობილი. - ისტორიულ ქმნილებათა დაბალი ღირებულება. 3. ბრბოს განცდის გაზვიადება და უეშმაკობა. ბრბო არ უშვებს ეჭვებსა და გაურკვევლობას და ყოველთვის უკიდურესობამდე მიდის. - ბრბოს განცდები ყოველთვის გადაჭარბებულია. 4. ბრბოს შეუწყნარებლობა, დიქტატი და კონსერვატიზმი. ამ განცდათა მიზეზები. - ბრბოს მონური ქედმოხრა ძლიერი ავტორიტეტის წინაშე. - წამიერი რევოლუციური ინსტინქტები ხელს არ უშლის ბრბოს იყოს უკიდურესად კონსერვატული. - ბრბო ინსტინქტურად ეწინააღმდეგება პროგრესსა და ცვლილებებს. 5. ბრბოს ზნეობა. ზნეობა ბრბოსი, რომელიც ჩაგონების ქვეშ მოქმედებს, შესაძლოა მნიშვნელოვნად აჭარბებდეს ან ნაკლები იყოს მის შემადგენელ ინდივიდთა ზნეობაზე. - განმარტება და მაგალითები. - ბრბო იშვიათად ხელმძღვანელობს ინტერესის შეხედულებებიდან, რომლებიც ხშირად იზოლირებულ ინდივიდთა ექსკლუზიურ მოტივებს შეადგენს. - ბრბოს მორალიზებადი როლი.

გამოვყავით რა ბრბოს ძირითადი მახასიათებლები ზოგადად, დროა მათ დეტალურ შესწავლას შევუდგეთ.

უნდა აღინიშნოს, რომ ბრბოს განსაკუთრებულ მახასიათებლებს შორის, როგორიცაა იმპულსურობა, გაღიზიანებადობა, მსჯელობის უნარის არქონა, საღი აზრისა და კრიტიკული სულის არარსებობა, განცდათა გაზვიადება და ა.შ. - თითქმის ყოველთვის გვხვდება ევოლუციის დაბალი საფეხურის წარმომადგენლებს - ქალებს, ველურებსა და ბავშვებს შორის. თუმცა მე ამ ანალოგიას მხოლოდ სხვათა შორის ვუსვამ ხაზს. აღნიშნულის დემონსტრირება სცდება წინამდებარე ნაშრომის ფარგლებს. გარდა ამისა, მათთვის, ვინც პრიმიტიულ არსებათა ფსიქოლოგიას იცნობს, ეს უსარგებლო იქნებოდა, მეორეს მხრივ კი რთულად თუ დაარწმუნებდა მათ, ვისთვისაც ეს საკითხი უცხოა.

ახლა კი გადავდივარ ბრბოთა უმრავლესობისთვის დამახასიათებელი განსხვავებული მახასიათებლების თანმიმდევრულ განხილვაზე.

1. ბრბოს იმპულსურობა, ცვალებადობა და გაღიზიანებადობა

ბრბოს ფუნდამენტური მახასიათებლების შესწავლისას ითქვა, რომ იგი თითქმის ყოველთვის არაცნობიერი მოტივებით ხელმძღვანელობს. მისი ქმედებები გაცილებით მეტად ზურგის ტვინის გავლენით ხორციელდება, ვიდრე თავის ტვინისა. ამ გაგებით ბრბო ნათესაურად ახლოს არის პრიმიტიულ არსებებთან. განხორციელებული ქმედებები შესაძლოა სრულყოფილი იყოს მათი შესრულების თვალსაზრისით, მაგრამ რადგან ისინი თავის ტვინის მიერ არ არის ნაკარნახევი, ინდივიდი ბრბოში შემთხვევის შესაბამისად მოქმედებს. ბრბო გარეგნული გამომწვევი მიზეზების განკარგულებაში იმყოფება და მათ უწყვეტ სახესხვაობებს ასახავს. ის მიღებული იმპულსების მონაა. იზოლირებული ინდივიდი შესაძლოა იმავე გამომწვევ მიზეზებს ემორჩილებოდეს, როგორსაც ბრბოს წევრი, მაგრამ ვინაიდან თავის ტვინი მისადმი დამორჩილების მიზანშეუწონლობას კარნახობს, იგი თავს იკავებს დამორჩილებისგან. აღნიშნული ჭეშმარიტება ფიზიოლოგიურად შესაძლებელია გამოიხატოს იმის თქმით, რომ იზოლირებული ინდივიდი ფლობს რეფლექსების დაოკების უნარს, როდესაც ბრბო ასეთ უნარს მოკლებულია.

სხვადასხვა იმპულსები, რომლებსაც ბრბო ემორჩილება, შესაბამისად მათი გამომწვევი მიზეზებისა, შესაძლოა იყოს კეთილშობილი ან სასტიკი, გმირული ან ლაჩრული, მაგრამ ყოველთვის იმდენად ძლიერი იქნება, რომ ინდივიდის ინტერესი, თვითგადარჩენის განცდის ჩათვლით, მას ვერ დათრგუნავს. ბრბოზე მოქმედი გამომწვევი მიზეზები განსხვავებულია, ხოლო ბრბო ყოველთვის მათი მორჩილია, და სწორედ აქედან გამომდინარეობს მისი ცვალებადობა. ამით აიხსნება ის, თუ როგორ შეიძლება ბრბომ სასტიკი შეუწყნარებლობის შემდეგ მყისიერად უკიდურესი კეთილშობილება და გმირობა გამოავლინოს. ბრბოს შეუძლია ადვილად მოირგოს ჯალათის როლი, მაგრამ ასევე ადვილად იქცევა იგი მარტვილად. სწორედ ბრბო რწყავდა სისხლით მიწას სხვადასხვა აღმსარებლობათა ზეიმისათვის. არ მგონია, აუცილებელი იყოს წარსულის გმირულ პერიოდებს მივმართოთ, რათა ბრბოს უნარი განვიხილოთ ამ მიმართულებით. იგი არასოდეს იკავებს თავს ამბოხების დროს თავის გაწირვისგან. დიდი დრო არ გასულა მას შემდეგ, რაც გენერალი[1] უეცრად პოპულარული გახდა, რომ მას ასობით ათასი ადამიანის მოძიება შეეძლო, ვინც პირველივე მოთხოვნისას გაწირავდა მისთვის სიცოცხლეს.

ის, რომ ბრბო წინასწარგანზრახვით არ მოქმედებს, კითხვას არ წარმოადგენს. იგი შესაძლოა სრულიად წინააღმდეგობრივ განცდათა მონაცვლეობით იქნას აღტყინებული, მაგრამ ყოველთვის იმ წუთის გამომწვევი მიზეზის გავლენის ქვეშ იქნება. იგი ფოთლებს ჰგავს, რომლებსაც ქარიშხალი მიმოფანტავს გარშემო, შემდეგ კი მიწას ანარცხებს. როდესაც ზოგიერთი რევოლუციური ბრბოს შესწავლის დრო დადგება, ჩვენ მისი ცვლადი განცდების მაგალითებს მოვიტანთ.

ცვალებადობა მას სამართავად უკიდურესად რთულად აქცევს, განსაკუთრებით იმ შემთხვევისას, თუ მის ხელთ საჯარო ძალაუფლება აღმოჩნდება რაიმე ოდენობით. ყოველდღიური ცხოვრების საჭიროებები რომ ერთგვარი უხილავი მომწესრიგებლის

ფუნქციას არ ასრულებდნენ, დემოკრატიების ყოფა უკიდურესად გართულდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ბრბო ყველაფერს გააფთრებით მოითხოვს, ეს დიდხანს არ გრძელდება. მას ისევე არ შესწევს ნების გამოვლენის უნარი, როგორც გონიერების გამოჩენისა დროის რაიმე შუალედით.

ბრბო არა მხოლოდ იმპულსური და ცვალებადია. ბარბაროსის მსგავსად, ის არ არის მზად დაუშვას რაიმე დაბრკოლების არსებობა სურვილსა და ამ სურვილის განხორციელებას შორის. მით უფრო ნაკლებად შეუძლია მას ამის დაშვება, რაც, რაოდენობიდან გამომდინარე, უფრო მეტად არის გამსჭვალული დაუმარცხებლობის განცდით. შეუძლებლის განცდა ქრება ბრბოს წევრი ინდივიდისთვის. იზოლირებულმა ინდივიდმა კარგად იცის, რომ მარტოდმარტო მას არ შეუძლია სასახლისთვის ცეცხლის შენთება ან მაღაზიის გაძარცვა, ხოლო თუ ასეთი ცდუნება წარმოიშობა, იგი ადვილად დაძლევს მას. იქცევა რა ბრბოს წევრად, იგი აცნობიერებს რაოდენობით მოხვეჭილ ძალას, რაც საკმარისია მისთვის მკვლელობის ან ყაჩაღობის იდეების ჩაგონებისთვის, რის ცდუნებას იგი მყისიერად ნებდება. მოულოდნელი დაბრკოლება გააფთრებით იქნება განადგურებული. ადამიანის ორგანიზმისთვის რომ მძვინვარების განცდის მუდმივობა იყოს დაშვებული, შეგვეძლო გვეთქვა, რომ მდგომარეობა ბრბოსი, რომელიც დაბრკოლებას წააწყდა სურვილების გზაზე, სწორედ მძვინვარებაა.

ერის ფუნდამენტური მახასიათებლები, რომლებიც უცვლელ წყაროს შეადგენენ იმისა, საიდანაც გრძნობები იღებს სათავეს, ყოველთვის ახდენს გავლენას ბრბოს გაღიზიანებადობაზე, მის იმპულსურობასა და ცვალებადობაზე, ისევე, როგორც ხალხის ყველა იმ განცდაზე, რომელიც ჩვენ უნდა შევისწავლოთ. უდაოა, რომ ყველა ბრბო ყოველთვის გაღიზიანებადი და ცვალებადია, მაგრამ სხვადასხვა ხარისხით. მაგალითად, ლათინურ და ანგლო-საქსონურ ბრბოს შორის სხვაობა გასაოცარია. საფრანგეთის ისტორიის უკანასკნელი დროის მოვლენები ამ საკითხს ნათელს ჰფენს. მხოლოდ გამოქვეყნებამ ტელეგრამისა, რასაც ოცდახუთი წლის წინ ჰქონდა ადგილი და ელჩის შეურაცხყოფას ეხებოდა, გამოიწვია მძვინვარების ტალღა, რომელსაც დაუყოვნებლივ სასტიკი ომი მოჰყვა. რამდენიმე წლის შემდეგ სატელეგრაფო შეტყობინებამ უმნიშვნელო უკუსვლის შესახებ ლანგსონში მძვინვარების ახალი ტალღა გამოიწვია, რასაც დაუყოვნებლივ მოჰყვა მთავრობის დამხობა. იმავდროულად, უფრო მნიშვნელოვან უკუსვლას, რაც ბრიტანეთის ექსპედიციამ განიცადა ჰართუმში, მხოლოდ სუსტი რეაქცია ახლდა და არავის არაფერი დაუმხია. ბრბო მდედრობითი სქესის მახასიათებლების მატარებელია, რაც ყველაზე მეტად ლათინურ ბრბოში შეინიშნება. ვინც მათ დაეყრდნობა, სწრაფად მიაღწევს წარმატებას, მაგრამ ასე ქმედება ტარპეუმის ქიმის[2] კიდეზე სიარულს ნიშნავს იმის მტკიცე რწმენით, რომ ერთ დღეს აუცილებლად ჩამოგაგდებენ.

2. ბრბოს ჩაგონებადობა და მიმნდობლობა

ბრბოს განსაზღვრისას ჩვენ აღვნიშნეთ, რომ მის ერთ-ერთ ძირითად მახასიათებელს გადაჭარბებული ჩაგონებადობა წარმოადგენს და ასევე ვაჩვენეთ თუ რამდენად გადამდებია ჩაგონებადობა ადამიანთა ნებისმიერ გაერთიანებაში. ეს ფაქტი ხსნის ბრბოს განცდების სწრაფ შექცევას კონკრეტული მიმართულებით. რაოდენ გულგრილიც არ უნდა მოგვეჩვენოს, ბრბო, როგორც წესი, გამუდმებით ყურადღებიანი მოლოდინის რეჟიმში იმყოფება, რაც ჩაგონებას იოლს ხდის. პირველივე წარმოქმნილი ფორმულირებული ჩაგონება ინფიცირების პროცესის

საშუალებით დაუყოვნებლივ ჩაინერგება შეკრებილთა ტვინებში, ხოლო ბრბოს განცდათა იდენტური გადახრა ფაქტად იქცევა.

როგორც ჩაგონების გავლენის ქვეშ მყოფი ყველა არსების შემთხვევაში, ტვინში მოხვედრილ იდეას აქვს ქმედებად გადაქცევის ტენდენცია. იქნება ეს სასახლისთვის ცეცხლის მიცემა თუ საკუთარი თავის მსხვერპლად შეწირვა, ბრბო ორივეს თანაბარი ენთუზიაზმით ასრულებს. ყველაფერი დამოკიდებული იქნება გამომწვევი მიზეზის ბუნებაზე და უკვე აღარ, როგორც ეს იზოლირებული ინდივიდის შემთხვევაში გვექნებოდა, დამოკიდებულებაზე ჩაგონებულ აქტსა და მიზეზების ჯამზე, რომლებიც მისი განხორციელების წინააღმდეგ არის მიმართული.

შედეგად, ბრბო, რომელიც გამუდმებით არაცნობიერის ზღვარზე დააბიჯებს და მზად არის ყველა ჩაგონებას დაემორჩილოს და გამსჭვალულია მოძალადეობრივი გრძნობებით, რომლებიც იმ არსებებისთვის არის დამახასიათებელი, რომლებიც გონების გავლენას არ ექვემდებარებიან და წართმეული აქვთ კრიტიკული შეფასების უნარი, შეუძლებელია, რომ გადაჭარბებულად მიმნდობი არ იყოს. ბრბოსთვის დაუჯერებელი არაფერია და აუცილებელია ეს გარემოება კარგად დავიმახსოვროთ, რათა გავაცნობიეროთ თუ რისი შემწეობით ხდება ყველაზე დაუჯერებელი ლეგენდებისა და თქმულებების შექმნა და გავრცელება[3].

წარმოშობა ლეგენდებისა, რომლებიც ასე ადვილად ცირკულირებენ ბრბოში, არა მხოლოდ ამ უკანასკნელთა უკიდურესი მიმნდობლობის შედეგია. ეს ასევე გახლავთ შედეგი საფუძვლიანი დამახინჯებისა, რასაც მოვლენა განიცდის ბრბოს წარმოსახვაში. მის მიერ ყველაზე მარტივი მოვლენაც სრულად ტრანსფორმირდება. ბრბო სახეებით (ხატებით) აზროვნებს. ერთი ხატი დაუყოვნებლივ იწვევს სხვა ხატებს, რომლებსაც არანაირი ლოგიკური კავშირი არ გააჩნიათ პირველთან. ჩვენ მარტივად შეგვიძლია ამ მდგომარეობის წვდომა თუ იდეათა იმ ფანტასტიურ მონაცვლეობას გავიხსენებთ, რასაც ჩვენს გონებაში ხანდახან ესა თუ ის ფაქტი იწვევს. ჩვენი გონება ყველა ამ სახის არათანმიმდევრულობას გვიჩვენებს, მაგრამ ბრბო ამას ვერ ხედავს და რეალურ მოვლენებში ურევს იმას, რაც მისი წარმოსახვის მადეფორმირებელმა აქტმა დააშენა მასზე. ბრბო რთულად ასხვავებს სუბიექტურსა და ობიექტურს. იგი რეალობად აღიქვამს მის გონებაში გამოწვეულ სახეებს, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად მათ მხოლოდ შორეული კავშირი აქვთ დაკვირვებად ფაქტთან.

რაოდენობა გზებისა, რომლებითაც ბრბო ამახინჯებს მოვლენას, რომლის მოწმეც ხდება, როგორც ჩანს, ურიცხვი და ერთმანეთის არამსგავსია, ვინაიდან ბრბოს შემადგენელ ინდივიდთა ტემპერამენტია ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული. მაგრამ საკითხი სხვაგვარად დგას. ინფიცირების შედეგად დამახინჯება ბრბოს წევრი ყველა ინდივიდისთვის ერთი სახისა და ერთი ფორმისაა.

სინამდვილის პირველი დამახინჯება, განხორციელებული ბრბოს ერთ-ერთი წევრის მიერ, გადამდები ჩაგონების საწყის წერტილს წარმოადგენს. სანამ წმ. გიორგი გამოეცხადებოდათ ჯვაროსნებს იერუსალიმის კედლებზე, იგი ცალსახად იქნებოდა შეცნობილი ერთ-ერთი იქ მყოფის მიერ. ჩაგონებისა და ინფიცირების მეშვეობით ერთის მიერ ხილული საოცრება დაუყოვნებლივ ხდება ყველას მონაპოვარი.

ყოველთვის ასეთია მექანიზმი ჰალუცინაციისა, რასაც ესოდენ ხშირად ჰქონია ისტორიაში ადგილი - ჰალუცინაციისა, რომელსაც თითქოს ავთენტურობის ყველა მახასიათებელი გააჩნია, იმდენად, რამდენადაც იგი ათასობით ადამიანის მიერ არის ხილული.

ზემოთქმულის უარსაყოფად ბრბოს შემადგენელ ინდივიდთა გონებრივი შესაძლებლობები არ უნდა გავითვალისწინოთ. მათ მნიშვნელობა არ ენიჭებათ. მას შემდეგ, რაც ინდივიდები ბრბოს ნაწილს შეადგენენ, სწავლული და უცოდინარი, ორივე კარგავს დაკვირვების უნარს.

აღნიშნული თეზისი შესაძლოა პარადოქსულად მოგეჩვენოთ. მისი უეჭველად დემონსტრირებისთვის ისტორიული ფაქტების დიდი რაოდენობის კვლევა იქნებოდა საჭირო, რასაც რამდენიმე ტომი ვერ დაიტევდა.

თუმცა, არ მსურს მკითხველი დაუსაბუთებელ მტკიცებულებათა ამარა დავტოვო და ამიტომ შემთხვევით შერჩეულ რამდენიმე მაგალითს მოვიტან იმ დიდი რაოდენობიდან, რაც შეიძლებოდა, რომ ციტირებული ყოფილიყო.

შემდგომი ფაქტი ერთ-ერთი ყველაზე ტიპიურია, რადგან შერჩეულია კოლექტიურ ჰალუცინაციათა შემთხვევებიდან, რომელთა მსხვერპლი ბრბო მუდამ ხდება და რომელშიც ყველა სახის ინდივიდს იხილავთ, ყველაზე უცოდინარიდან ყველაზე განათლებულამდე. იგი მოთხრობილი აქვს ფლოტის ლეიტენანტ ჟულიენ ფელიქსს მის წიგნში „ზღვის დინებები“ და ახლახან იყო დაბეჭდილი ჟურნალში „Revue Scientifique“.

ფრეგატი „La Belle Poule“ ღია ზღვაში დაცურავდა და დაეძებდა კრეისერს „Le Berceau“, რომელთანაც მან კავშირი ძლიერი გრიგალის გამო დაკარგა. დღე იყო და მზე ანათებდა. უეცრად გუშაგმა მიტოვებული ხომალდი შენიშნა; ეკიპაჟმაც მითითებული მიმართულებით გაიხედა და ყველამ, ოფიცრებმაც და მეზღვაურებმაც, ცხადად იხილა ხალხით სავსე ტივი, რომელიც ბუქსირით იყო მიმაგრებული ნავებს, საიდანაც კატასტროფის ნიშანი მოდიოდა. თუმცა ეს სხვა არაფერი იყო, გარდა კოლექტიური ჰალუცინაციისა. ადმირალმა დეფოსემ მყისიერად გაგზავნა ხალხი დაზარალებულთა დასახმარებლად. აღმოჩენილ ობიექტთან მიახლოვებასთან ერთად ოციფრებმა და მეზღვაურებმა ნათლად იხილეს „მოძრავ ადამიანთა მასები, რომლებიც ხელებს შლიდნენ, და ესმოდათ დიდი ოდენობით ადამიანთა ყრუ ხმები“. როდესაც ობიექტს მიაღწიეს, წარგზავნილებმა ხის ფოთლებით დაფარული რამდენიმე ტოტი იხილეს, რომელიც დინებას მეზობელი ნაპირიდან წამოეღო. ამდენად ცხადი მტკიცებულების წინაშე ჰალუცინაცია გაქრა.

მუშაობა კოლექტიური ჰალუცინაციის მექანიზმისა, რომელიც ჩვენ აღვწერეთ, აღნიშნულ მაგალითში კარგად ჩანს. ერთის მხრივ, ჩვენ გვაქვს ყურადღებიანი მოლოდინის მდგომარეობაში მყოფი ბრბო, მეორეს მხრივ კი გუშაგის ჩაგონება, რომელიც მიტოვებულ გემზე მიანიშნებს, ჩაგონება, რომელიც ინფიცირების პროცესის მეშვეობით ყველას, ოფიცრებისა და მეზღვაურების ჩათვლით, მიერ იქნა მიღებული.

არ არის აუცილებელი, რომ ბრბო მრავალრიცხოვანი იყოს, რათა უნარი იმის ხილვისა, რაც მის თვალწინ ხდება, განადგურებულ იქნეს, ხოლო რეალური ფაქტები მათთან კავშირის არმქონე ჰალუცინაციებმა ჩაანაცვლონ. როგორც კი რამდენიმე ინდივიდი შეიკრიბება, ისინი ბრბოს ქმნიან და, მიუხედავად იმისა, რომ ისინი შესაძლოა გამორჩეულ და სწავლულ ადამიანებს წარმოადგენდნენ, ბრბოს ყველა მახასიათებლით აღიჭურვებიან ყველაფერში, რაც მათი სპეციალობის ფარგლებს სცდება. დაკვირვებისა და კრიტიკის უნარი, რომელსაც თითოეული მათგანი იდივიდუალურად ფლობს, მყისვე უჩინარდება. გონებამახვილი ფსიქოლოგი, ბ-ნი დავი, ფრიად საინტერესო მაგალითით გვამარაგებს ასეთი მდგომარეობის შესახებ. ეს ამბავი მცირე ხნის წინ ჟურნალში „Annales des Sciences Psychiques“ გამოქვეყნდა. ბ-მა დავიმ, შეკრიბა რა გამორჩეული დამკვირვებლები, რომელთა შორის იყო

ინგლისის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მეცნიერი, ბ-ნო უოლესი, მათი თანდასწრებით, მას შემდეგ, რაც საშუალება მისცა თითოეულს დაეთვალიერებინა და სადაც სურდა, იქ დაესვა ბეჭედი, წარმოუდგინა ყველა სპირიტუალური ფენომენი, მათ შორის სულის მატერიალიზაცია, დაფაზე წერა და ა.შ. მას მერე, რაც მან ამ გარმოჩეულ დამკვირვებლებს წინდაწინ ჩამოართვა წერილობითი დასტური იმისა, რომ აღნიშნული ფენომენების გამოწვევა მხოლოდ ზებუნებრივი საშუალებებით იყო შესაძლებელი, აუწყა, რომ ყველაფერი ძალიან მარტივი ფოკუსის შედეგი იყო. სტატიის ავტორი წერს: „მოსიე დავის კვლევაში ყველაზე განსაცვიფრებელი არა თავად ფოკუსის ხელოვნებაა, არამედ უკიდურესად სუსტი ჩვენებები, მიცემული მიზანგაუნდობელი მოწმეების მიერ. ცხადია, რომ დიდი რაოდენობით მოწმეებმაც კი შეიძლება ვრცელი ანგარიში წარმოადგინონ, რომელიც სრულიად მცდარი იქნება, მაგრამ რისი შედეგიც ის არის, რომ თუ მათ აღწერას ზუსტად მივიჩნევდით, მაშინ ფენომენის ახსნა ფოკუსით შეუძლებელი შეიქნებოდა. ბ-ნ დავის მიერ შემუშავებული მეთოდები იმდენად მარტივია, რომ მავანს გაუკვირდება, თუ როგორ გაბედა მან მათი გამოყენება. მაგრამ მას იმდენად დიდი ძალაუფლება გააჩნდა ბრბოზე, რომ შეძლო მისი დარწმუნება, თითქოს ის იმას ხედავდა, რაც არ დაუნახავს.“ ამ შემთხვევაშიც, როგორც ყოველთვის, ჩვენ საქმე გვაქვს ჩაგონებულზე ჰიპნოზისტის გავლენასთან. მეტიც, როდესაც ასეთი გავლენის მოქმედებას ვხედავთ საუკეთესო ტვინებზე, რომლებიც მოწვეულნი იყვნენ, როგორც სკეპტიკოსები, გასაგებია, თუ რაოდენ ადვილია სტანდარტული ბრბოს გაცურება.

მსგავს მაგალითთა რაოდენობა უსაზღვროდ დიდია. ამ სტრიქონების წერის პროცესში გაზეთები აჭრელდა სენაში დამხრჩვალი ორი მცირეწლოვანი გოგონას ამბით. დასაწყისისთვის ვიტყვი, რომ ეს ბავშვები უშეცდომოდ ამოიცნო ხუთამდე მოწმემ. ყველა ჩვენება ისეთ შესაბამისობაში იყო ერთმანეთთან, რომ გამომძიებელს ეჭვიც კი არ გასჩენია. მან უკვე გარდაცვალების სერტიფიკატიც შეადგინა და იმ დროს, როდესაც დაკრძალვის ცერემონია უნდა დაწყებულიყო, შემთხვევის წყალობით აღმოჩნდა, რომ სავარაუდო მსხვერპლნი ცოცხლები იყვნენ და სრულებით არ ჰგავდნენ დამხრჩვალ გოგონებს. ისევე, როგორც ზემოაღწერილ რამდენიმე შემთხვევაში, ჩვენება მოწმეებისა, რომლებიც თავად წარმოადგენდნენ ილუზიის მსხვერპლს, საკმარისი გახდა სხვებზე გავლენის მოსახდენად.

ანალოგურ შემთხვევებში ჩაგონების საწყის წერტილს ყოველთვის ინდივიდის გონებაში წარმოქმნილი მეტად ან ნაკლებად ბუნდოვანი მოგონების ილუზია წარმოადგენს, რომლის მტკიცებას შედეგად ინფიცირება მოყვება. თუ პირველი დამკვირვებელი ზედმეტად შთაბეჭდილებიანია, მაშინ გვამი, რომელსაც თითქოს იგი ცნობს, უნდა შეიცავდეს - რეალურ მსგავსებაზე რომ არაფერი ვთქვათ - რაიმე განსაკუთრებულს, ნაწიბურს ან სხვა ნიშანს, რომელიც მას სხვა ადამიანს მოაგონებდა. გამოწვეული იდეა შემდეგ ერთგვარ ბირთვად იქცევა კრისტალისა, რომელიც ხელს უშლის შეცნობას და კრიტიკული უნარის სრულ პარალიზებას ახდენს. ის, რასაც დამკვირვებელი შემდეგ ხედავს, არის არა თავად ობიექტი, არამედ მის გონებაში წარმოქმნილი სახე. ასე უნდა აიხსნას გარდაცვლილ ბავშვთა გვამების ამოცნობა დედების მიერ, როგორც ეს ქვემოთ მოცემულ, მართალია მოძველებულ, მაგრამ გაზეთების მიერ მცირე ხნის წინ ციტირებულ შემთხვევაშია მოთხრობილი. მასში შესაძლოა მივაგნოთ კვალს ორი სახის ჩაგონებისა, რომლის მექანიზმი მე ახლახან აღვწერე.

„ბავშვი ამოცნობილ იქნა სხვა ბავშვის მიერ, ვინც შეცდა. ამას მოყვა შეუსაბამო ამოცნობათა სერია, მაგრამ ამასთანავე მოხდა

გასაოცარი რამ: სკოლის მოწაფის მიერ გვამის ამოცნობიდან ერთი დღის შემდეგ ქალმა შეჰკივლა: „ღმერთო ჩემო, ეს ჩემი შვილია!“ იგი გვამთან მიიყვანეს; ქალი ტანსაცმელს დააკვირდა და ნაწიბური შენიშნა გვამის შუბლზე. „ნამდვილად ის არის, - თქვა მან. - ჩემი შვილია, რომელიც შარშან, ივლისში გაუჩინარდა. იგი მოიტაცეს და მოკლეს.“ ქალი კონსიერჟად მუშაობდა რიუ დუ ფორზე და მისი სახელი იყო შავანდრე. გამოიძახეს მისი სიძე, რომელმაც უყოყმანოდ განაცხადა: „ეს პატარა ფილიბერია!“ იმ ქუჩაზე მცხოვრებმა რამდენიმე ადამიანმა ამოიცნო ბავშვში ფილიბერ შავანდრე, მათ შორის მისმა მასწავლებელმა, რომელმაც საკუთარი აზრი ბიჭის კისერზე ჩამოკიდებულ მედალს დააფუძნა. მიუხედავად ამისა, მეზობლები, სიძე, მასწავლებელი და დედა ცდებოდნენ. ექვსი კვირის შემდეგ ბიჭის პიროვნება დადასტურებულ იქნა. ის ბორდოდან იყო, მოკლულ იქნა, რის შემდეგ დილიჟანსით გადმოეყვანათ პარიზში[4].“

აღნიშნულ უნდა იქნას, რომ ასეთი სახის ამოცნობა ყველაზე მეტად ქალებისა და ბავშვების ანუ ყველაზე შთაბეჭდილებიანი ადამიანების წილად მოდის. იმავდროულად, იგი გვიჩვენებს ასეთი მოწმეების ღირებულებას სასამართლოებში. ბავშვთა ჩვენება საერთოდ არ უნდა იქნას გამოყენებული. მოსამართლეები ხშირად იმეორებენ, რომ ბავშვები არ ცრუობენ, მაგრამ მათი ფსიქოლოგიური ცნობიერება რომ ოდნავ ნაკლებ რუდიმენტული იყოს, ვიდრე იგი სინამდვილეშია, მათ ეცოდინებოდათ, რომ სწორედ ბავშვები ცრუობენ. უდაოა, რომ განუზრახველად, მაგრამ ეს მაინც სიცრუეა. ბრალდებულის ბედის გადაწყვეტა უმჯობესია ხურდა ფულის აგდებით და არა ბავშვის ჩვენებაზე დაყრდნობით, როგორც ეს არაერთხელ მომხდარა.

თუ ბრბოს მიერ დაკვირვების უნარს დავუბრუნდებით, უნდა დავასკვნათ, რომ მის წევრთა კოლექტიური დაკვირვების შედეგი იმდენად მცდარია, რამდენადაც ეს შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, ხშირ შემთხვევაში კი იგი წარმოადგენს მხოლოდ ილუზიას ინდივიდისა, რომელმაც ინფიცირების მეშვეობით გარშემომყოფთა ჩაგონება მოახერხა. რაოდენობა ფაქტებისა, რომლებიც ბრბოს ჩვენებისადმი უკიდურეს უნდობლობას ადასტურებენ, უსაზღვროა. ოცდახუთი წლის წინ ათასობით ადამიანი ესწრებოდა კავალერიის ცნობილ იერიშს სედანის ბრძოლისას, მაგრამ, ცხადი წინააღმდეგობრივი ჩვენებების გათვალისწინებით, შეუძლებელია იმის თქმა, თუ ვინ მეთაურობდა მას. ინგლისელი გენერალი უოლსოლი ახლახან გამოქვეყნებულ წიგნში ამტკიცებს, რომ უმძიმესი ფაქტობრივი შეცდომებია დაშვებული ვატერლოოს ბრძოლის უმნიშვნელოვანეს ინციდენტებთან მიმართებით, ფაქტებისა, რომლებიც ათასობით ადამიანის მიერ არის დადასტურებული[5].

ასეთი ფაქტები გვიჩვენებს ბრბოთა ჩვენების ღირებულებას. ლოგიკური ტრაქტატები ხაზს უსვამს მრავალი მოწმის ერთსულოვნებას, როგორც ყველაზე საფუძვლიან მტკიცებულებას, რომელიც შესაძლოა ფაქტის სიზუსტის მხარდასაჭერად იყოს მოხმობილი. იმის მიხედვით კი, რაც ჩვენთვის არის ცნობილი ბრბოს ფსიქოლოგიის შესახებ, ლოგიკის ტრაქტატები, რომლებიც ამ საკითხს ეხება, უნდა გადაიხედოს. მოვლენები, რომლებთან დაკავშირებით ყველაზე დიდი ეჭვი არსებობს, როგორც წესი, ისეთებია, რომლებიც ერთდროულად მრავალი ადამიანის მიერ არის ხილული. იმის თქმა, რომ ფაქტი ათასობით მოწმის მიერ არის დადასტურებული, ნიშნავს იმის თქმას, რომ, როგორც წესი, რეალური ფაქტი მკვეთრად განსხვავდება მის შესახებ გადმოცემული ცნობებისგან.

ზემოაღნიშნულიდან ცხადად გამომდინარეობს, რომ ისტორიულ შრომებს, როგორც წმინდა წყლის გამონაგონს, ისე უნდა მივუდგეთ. ისინი ფანტაზიის ნაყოფია, რომელიც შემდგომში გააზრების შედეგად არის განმარტებული. ასეთი წიგნების წერა დროის ფლანგვაა. წარსულს რომ ლიტერატურული, მხატვრული და მონუმენტური ქმნილებები არ დაეტოვებინა, ჩვენ აბსოლუტურად არაფერი გვეცოდინებოდა გარდასულ დროთა შესახებ. ნუთუ ერთი მართალი სიტყვა მაინც ვიცით დიად ადამიანთა ცხოვრებისა, მათი, ვინც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა კაცობრიობის ისტორიაში, ისეთების, როგორიც ჰერაკლე, ბუდა ან მუჰამედი არიან? მეტად სავარაუდოა, რომ არ ვიცით. მეტიც, სინამდვილეში მათი რეალური ცხოვრება ჩვენთვის უმნიშვნელოა. ჩვენ ის გვაინტერესებს, თუ როგორ არიან წარმოდგენილი ეს დიადი ადამიანები ლეგენდებში. ლეგენდარული და არა რეალური გმირები ახდენენ გავლენას ბრბოს ფსიქიკაზე.

სამწუხაროდ, ლეგენდებს, თუნდაც ქაღალდზე ჩაწერილს, არანაირი შინაგანი სტაბილურობა არ გააჩნიათ. ბრბოს წარმოსახვა მუდმივად უცვლის ფორმას მათ დროის დინებასთან ერთად, უფრო მეტად კი რასობრივი მიზეზებიდან გამომდინარე. მაგალითად, უზარმაზარი უფსკრულია ძველი აღთქმის სისხლის მოყვარულ იეჰოვასა და წმინდა ტერეზას სიყვარულის ღმერთს შორის; ჩინეთში თაყვანცემულ ბუდას კი არაფერი აქვს საერთო ბუდასთან, რომელსაც ინდოელები სცემენ თაყვანს.

არც ის არის აუცილებელი, რომ გმირებს საუკუნეები გვაშორებდეს, რათა ლეგენდამ ბრბოს წარმოსახვით განიცადოს სახეცვლილება. ზოგჯერ ლეგენდის ტრანსფორმირება რამდენიმე წელიწადში ხდება. ჩვენს დროში ორმოცდაათზე ნაკლები წლის განმავლობაში რამდენჯერმე ვიხილეთ ისტორიის ერთ-ერთი უდიადესი გმირის ლეგენდის ცვლილება. ბურბონების დროს ნაპოლეონი იყო ერთგვარი იდილიური ფილანტროპი, ჩაგრულთა მეგობარი, ვინც, პოეტების შესაბამისად, დიდხანს ემახსოვრებოდათ ღატაკებს. ოცდაათი წლის შემდეგ ეს მშვიდობისმოყვარე გმირი სისხლს მოწყურებულ დესპოტად იქცა, რომელმაც ხელისუფლების უზურპირებისა და თავისუფლების განადგურების შემდეგ, მხოლოდ საკუთარი ამბიციის დასაკმაყოფილებლად, სამი მილიონი ადამიანი მოაკვდინა. დღესდღეობით ჩვენ ლეგენდის ახალი ვერსიის მომსწრენი ვხდებით, ხოლო მას შემდეგ, რაც იგი საუკუნეებს გადაიტანს, მომავლის სწავლულმა ადამიანებმა ამ წინააღმდეგობრივი შეხედულებების საფუძველზე შესაძლოა სულაც გმირის არსებობა დააყენონ ეჭვქვეშ, როგორც მრავალი ეჭვობს ამჟამად ბუდას არსებობას, და მასში მხოლოდ მზის მითი ან ჰერკულესის ლეგენდის განვითარება დაინახოს. ასეთ გაურკვევლობას ისინი უფრო მარტივად გაუმკლავდებიან, რადგან უფრო მეტად განსწავლულნი იქნებიან ბრბოს ფსიქოლოგიის საკითხებში, ვიდრე დღეს ჩვენ ვართ, მათ ეცოდინებათ, რომ ისტორიას რთულად თუ შეუძლია რაიმე შეინარჩუნოს მეხსიერებაში, გარდა მითისა.

3. ბრბოს განცდის გაზვიადება და ბრბოს უეშმაკობა

როგორიც არ უნდა იყოს ბრბოს განცდები, დადებითი თუ უარყოფითი, ისინი უაღრესად მარტივი და ფრიად გაზვიადებულია. ამ შემთხვევაში, ისევე, როგორც სხვა მრავალში, ბრბოს შემადგენელი ინდივიდი პრიმიტიულ არსებას ჰგავს. ვერ ახერხებს რა განსხვავების შემჩნევას, იგი მოვლენებს აღიქვამს მთლიანად, შუალედური ფაზების გარეშე. განცდის გაზვიადება იმ ფაქტის გამოისობით ძლიერდება, რომ ერთხელ გამჟღავნებული გრძნობა ჩაგონებისა და ინფიცირების მეშვეობით ძალიან სწრაფად

ვრცელდება და საყოველთაო გამართლებას მოიპოვებს, რაც ხელს უწყობს კიდეც მისი ძალის მნიშვნელოვან ზრდას.

ბრბოს განცდების სიმარტივე და გაზვიადება იმას იწვევს, რომ მისთვის უცხოა ეჭვი და გაურკვევლობა. ქალის მსგავსად, ის ერთბაშად მიდის უკიდურესობამდე. გამოთქმული ეჭვი მყისვე იქცევა უცილობელ ჭეშმარიტებად. ანტიპათია და გმობა, რაც იზოლირებული ინდივიდის შემთხვევაში ძალას ვერ იკრებს, ბრბოს წევრი ინდივიდის შემთხვევაში გაშმაგებულ სიძულვილად იქცევა.

ბრბოს განცდათა ძალაც იზრდება, განსაკუთრებით ჰეტეროგენურ ბრბოში, რის მიზეზს პასუხისმგებლობის გრძნობის სრული არქონა წარმოადგენს. რწმენა დაუსჯელობისა, რომელიც მით ძლიერია, რაც უფრო მრავალრიცხოვანია ბრბო, ძალის წამიერ განცდასთან ერთად, ბრბოში წარმოშობს განცდებს და მას ადგმევინებს ნაბიჯებს, რაც იზოლირებული ინდივიდის შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა. უგნური, უცოდინარი და შურიანი ადამიანები ბრბოში განთავისუფლებულნი არიან საკუთარი უმნიშვნელობისა და უძლურების განცდისგან, სანაცვლოდ კი იხვეჭენ სასტიკი და წამიერი, მაგრამ უსაზღვრო ძალის შეგრძნებას.

სამწუხაროდ, ბრბოს ტენდენცია გადაჭარბებისკენ ხშირად უარყოფით განცდებთან არის დაკავშირებული. ეს განცდები პრიმიტიული ადამიანის ინსტინქტთა ატავისტური ნაშთია, რომლის დაოკებას იზოლირებულ და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე ინდივიდს სასჯელის შიში აიძულებს. ამიტომაც არის ადვილი ბრბოს მიყვანა უკიდურესად უარყოფით ქმედებამდე.

მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ოსტატური ზეგავლენის შემთხვევაში ბრბოს თავდადებისა და ჰეროიზმის გამომჟღავნება და მაღალი ღირსების გამოვლენა არ შეუძლია. მეტიც, ბრბოს მეტად შესწევს ამ თვისებათა დემონსტრირების უნარი, ვიდრე იზოლირებულ ინდივიდს. ჩვენ დავუბრუნდებით ამ საკითხს, როდესაც ბრბოს ზნეობის შესახებ გვექნება საუბარი.

გრძნობათა გადაჭარბებისადმი მიდრეკილების გამოისობით ბრბო ასეთივე ჭარბი განცდების გავლენას განიცდის. ორატორი, რომელიც ბრბოზე ზემოქმედებას ცდილობს, ძალადობრივ განცხადებებს უნდა იყენებდეს. გადაჭარბება, მტკიცება, გამეორება და დასაბუთების არანაირი მცდელობა არგუმენტაციის ის მეთოდებია, რომლებიც საჯაროდ გამომსვლელებისთვის კარგად არის ცნობილი.

მეტიც, ბრბო გმირთა განცდებშიც მსგავს გადაჭარბებას მოითხოვს. მათი მოჩვენებითი უნარები და ღირსებები ყოველთვის უნდა გაიზარდოს ზომით. სამართლიანად იქნა შენიშნული, რომ თეატრში ბრბო პიესის გმირისგან თავდადების, ზნეობისა და ღირსების იმ ხარისხს მოითხოვს, რომლის რეალურ ცხოვრებაში მოძიება შეუძლებელია.

ყურადღება სათანადოდ იქნა გამახვილებული იმ განსაკუთრებულ პერსპექტივაზე, რომლითაც თეატრში განიხილავენ მოვლენებს, მაგრამ, თუმცა ასეთი პერსპექტივა უდაოდ არსებობს, მას არაფერი აქვს საერთო საღ აზრსა და ლოგიკასთან. თუმცა ბრბოსთვის მიმართვის ხელოვნება ერთმნიშვნელოვნად დაბალი სინჯისაა, იგი მაინც მოითხოვს სპეციალურ უნარებს. პიესის კითხვისას ხშირად შეუძლებელია მისი წარმატების ახსნა. პიესის განხილვისას თეატრის მენეჯერები, როგორც წესი, თავად არიან გაურკვევლობაში მის პოტენციალთან მიმართებით, რადგან მისი შეფასებისთვის აუცილებელია, რომ ეს ადამიანები ბრბოდ იქცნენ[6].

აქაც, კიდევ ერთხელ, უფრო დეტალური განმარტებისთვის ჩვენ ეროვნულ განსხვავებათა უპირატესი გავლენის ჩვენება მოგვიწევდა. პიესას, რომელიც ბრბოს ენთუზიაზმს იწვევს ერთ

ქვეყანაში, არანაირი წარმატება არ ხვდება მეორეში, ან წარმატება მხოლოდ ნაწილობრივი და პირობითია, რადგან იგი არ იყენებს გავლენის იმ საშუალებებს, რომლებსაც განსხვავებულ პუბლიკაზე შეუძლიათ ზემოქმედება.

არ ვთვლი საჭიროდ იმის აღნიშვნას, რომ გადაჭარბებისკენ ტენდენცია ბრბოში არსებობს მხოლოდ გრძნობებთან და არა გონებასთან მიმართებით. მე უკვე ვაჩვენე, რომ ინდივიდის მიერ ბრბოს ნაწილად ქცევის ფაქტი მყისიერად და მნიშვნელოვნად აქვეითებს მის ინტელექტუალურ უნარს. სწავლული იურისტი ტარდი ასევე ადასტურებს ამ ფაქტს ბრბოთა მიერ ჩადენილი დანაშაულების მისეულ კვლევაში. მხოლოდ გრძნობებთან მიმართებით შეუძლია ბრბოს ზეასვლა ან უკიდურესად დაბალ წერტილამდე დაშვება.

4. ბრბოს შეუწყნარებლობა, დიქტატი და კონსერვატიზმი

ბრბოსთვის მხოლოდ მარტივი და ზღვრული განცდებია ცნობილი. იგი ჩაგონებულ აზრებს, იდეებსა და შეხედულებებს იღებს ან უარყოფს ერთიანობაში და მათ, როგორც აბსოლუტურ ჭეშმარიტებებს ან არანაკლებ აბსოლუტურ ცთომილებას განიხილავს. ასეთ შემთხვევასთან გვაქვს ყოველთვის საქმე, როდესაც შეხედულების დამკვიდრება ჩაგონების და არა დასაბუთების გზით ხდება. ყველასათვის ცნობილია რელიგიურ აღმსარებლობათა შეუწყნარებლობა და მათი დესპოტური მბრძანებლობა ადამიანთა გონებაზე.

ერთის მხრივ, გააჩნია რა ეჭვი ჭეშმარიტებასა და სიცრუესთან დაკავშირებით, მეორეს მხრივ კი, აქვს რა ძალის აშკარა განცდა, ბრბო საკუთარ შეხედულებებში იმდენადვე ავტორიტარულია, რამდენადაც შეუწყნარებელი. ინდივიდისთვის შესაძლოა მისაღები იყოს წინააღმდეგობრივი შეხედულება და კამათი; ბრბო ასე არასოდეს იქცევა. საჯარო გამოსვლებისას ორატორის მხრიდან მცირედი წინააღმდეგობა დაუყოვნებლივ ხვდება გააფთრებულ ლანძღვა-გინებას, რასაც ქმედებებიც მოყვება, თუ ორატორი საკუთარ შეხედულებას არ შეიცვლის. ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრივ შეზღუდვის გარეშე საწინააღმდეგო აზრის გამომთქმელი შესაძლოა სიკვდილამდეც იქნას მიყვანილი.

შეუწყნარებლობა და დიქტატი ყველა სახის ბრბოსთვის მსგავსია, მაგრამ გამოვლენა ინტენსივობის სხვადასხვა ხარისხით ხდება. აქ ხელახლა ჩნდება ერის ფუნდამენტური განცდა, რაც ადამიანთა ყველა გრძნობასა და აზრზე დომინირებს. ყველაზე მაღალი ხარისხით შეუწყნარებლობა და დიქტატი ლათინურ ბრბოშია განვითარებული. ფაქტიურად მათი განვითარება ლათინური წარმომავლობის ბრბოში იმგვარია, რომ სრულად სპობს ინდივიდის დამოუკიდებლობის განცდას, რაც ასე ძლიერია ანგლო-საქსონურ ბრბოში. ლათინური ბრბო მხოლოდ იმ სექტის კოლექტიური დამოუკიდებლობით არის დაინტერესებული, რომელსაც იგი ეკუთვნის, ხოლო დამოუკიდებლობის კონცეფცია ხასიათდება თვისებით მათი შემოკრებისა, ვინც უთანხმოებაშია, რის მიზანს ბრბოს შეხედულებებისადმი მათი დაუყოვნებელი და იძულებითი დაქვემდებარება წარმოადგენს. ლათინურ ბრბოში ყველა ეპოქის იაკობინელები, ინკვიზიციით დაწყებული, ვერასოდეს მაღლდებოდნენ თავისუფლების განსხვავებულ კონცეფციამდე.

დიქტატი და შეუწყნარებლობა ისეთი განცდებია, რომელთა შესახებ ბრბოს ცხადი წარმოდგენა გააჩნია, რომლებსაც იგი ადვილად იღებს და მზად არის პრაქტიკულად გამოიყენოს, როგორც კი მას თავს მოახვევენ. ბრბო ძალისადმი მორჩილებას

გამოხატავს და მცირედ თუ იმყოფება სიკეთის შთაბეჭდილების ქვეშ, რაც მისთვის მხოლოდ სისუსტის განსხვავებული ფორმაა. მისი სიმპათიები არასოდეს ყოფილა კეთილ მბრძანებელთა მხარეს, არამედ ყოველთვის ტირანებისა, რომელთაგან ჩაგვრას განიცდიდა. სწორედ ამ უკანასკნელთა თაყვანსაცემად აღმართავს ბრბო დიდებულ ქანდაკებებს. ისიც სიმართლეა, რომ ბრბომ შესაძლოა ფეხით გათელოს დესპოტი, რომელსაც მან ძალაუფლება ჩამოართვა, მაგრამ ეს იმ მიზეზით ხდება, რომ ძალაუფლების დაკარგვის შემდეგ იგი სუსტებში გადანაცვლდება, ვინც სძულთ, რადგან მისი აღარ ეშინიათ. ბრბოსთვის საყვარელი გმირის ტიპი ყოველთვის კეისრის მსგავსი იქნება. რომლის წარჩინების ნიშნები იზიდავს მას, ძალაუფლება - პატივისცემას ანიჭებს, ხოლო მახვილი - შიშის ზარს სცემს.

ბრბო ყოველთვის მზად არის სუსტის წინააღმდეგ აჯანყდეს და მონურად მოიხაროს ქედი ძალის წინაშე. ძალაუფლებას რომ მონაცვლეობითი ხასიათი ჰქონდეს, ბრბო, რომელიც ყოველთვის ზღვრულ განცდებს ემორჩილება, გამუდმებით ანარქიიდან მონობაზე და მონობიდან ანარქიაზე გადასვლის რეჟიმში იქნებოდა.

მიუხედავად ამისა, ბრბოში რევოლუციურ ინსტინქტთა ბატონობის რწმენა მისი ფსიქოლოგიის სრულიად მცდარ განმარტებას ნიშნავს. ძალადობისკენ მისი ტენდენციაა, რასაც შეცდომაში შევყავართ. მისი მეამბოხე და დამანგრეველი მოქმედება ყოველთვის წამიერია. ბრბოზე ზედმეტად დიდი გავლენა გაუცნობიერებელ შეხედულებებს აქვთ და შედეგად იგი მეტისმეტად ემორჩილება საუკუნეობრივ მემკვიდრეობით გავლენას, რათა უკიდურესად კონსერვატული არ იყოს. მარტო დარჩენილი, იგი იქანცება უწესრიგობისგან და ინსტინქტურად იხრება მონობისკენ. იაკობინელთა შორის ყველაზე ამაყნი და დაუმორჩილებელნი იყვნენ, რომლებიც ნაპოლეონს უდიდესი ენთუზიაზმით მიესალმნენ, როდესაც მან თავისუფლება აღკვეთა და რკინის ხელი აგრძნობინა ყველას.

თუ ბრბოთა ფუნდამენტურ კონსერვატულ ინსტინქტებს საკმარისად არ გავითვალისწინებთ, ისტორიისა და, განსაკუთრებით, სახალხო რევოლუციების გაგება რთული იქნება. მართალია, მათ შესაძლოა სურდეთ საკუთარ დაწესებულებათა სახელების შეცვლა, რის მისაღწევად ისინი ხშირად ძალადობრივ რევოლუციებს მიმართავენ, მაგრამ ამ დაწესებულებათა არსი ერის მემკვიდრეობით საჭიროებათა გამოხატულებაა, რის მიზანს ის წარმოადგენს, რომ ბრბო უცვლელად არ ემორჩილებოდეს მათ. ბრბოს განუწყვეტელი ცვალებადობა გავლენას მხოლოდ ზედაპირულ მოვლენებზე ახდენს. ფაქტიურად კონსერვატული ინსტინქტები მასში ისევე ურღვევია, როგორც პრიმიტიულ არსებებში; ფეტიშისებური პატივისცემა ყველა ტრადიციისა აბსოლუტურია; გაუცნობიერებელ შიშს სიახლის წინაშე, რასაც მისი არსებობის ფუნდამენტური პირობების შეცვლა შეუძლია, ღრმად აქვს ფესვი გადგმული. ის ძალაუფლება, რომელსაც დემოკრატიები დღეს ფლობენ, იმ დროს რომ ჰქონოდათ მოხვეჭილი, როდესაც მექანიკური საქსოვი დაზგა, თბომავალი ან რკინიგზა გამოიგონეს, ამ სიახლეთა დამკვიდრება შეუძლებელი იქნებოდა, ან რევოლუციებისა და მასობრივ მკვლელობათა ხარჯზე იქნებოდა მიღწეული. ცივილიზაცია იღბლიანი აღმოჩნდა, რომ ბრბოს ძალამ მაშინ იჩინა თავი, როდესაც მეცნიერებისა და მრეწველობის დიდი აღმოჩენები უკვე გაკეთებული იყო.

5. ბრბოს ზნეობა

თუკი სიტყვის „ზნეობა“ ქვეშ გარკვეულ სოციალურ შეხედულებათა პერმანენტულ პატივისცემასა და ეგოისტური

იმპულსების ჩახშობას ვიგულისხმებთ, ცხადია, რომ ბრბო ზედმეტად იმპულსური და ცვალებადია, რომ ზნეობრივი იყოს. თუ, მეორეს მხრივ, ამ ცნებას განსაკუთრებულ თვისებათა წამიერი დემონსტრირებით განვსაზღვრავთ, როგორიც არის თავგანწირვა, მსხვერპლად შეწირვა, უანგარობა, თავდადება და თანასწორობის მოთხოვნა, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბრბო დროდადრო უკიდურეს ზნეობრიობას გვიჩვენებს.

ის რამდენიმე ფსიქოლოგი, რომელსაც ბრბო ჰყავს შესწავლილი, მას მხოლოდ დანაშაულის თვალსაზრისით განიხილავს და აცნობიერებს რა დანაშაულებრივ ქმედებათა რაოდენობას, ასკვნის, რომ ბრბოს ზნეობრივი სტანდარტი უკიდურესად დაბალია.

უდაოა, რომ საქმის ვითარება ხშირად არის ასეთი; მაგრამ რატომ? უბრალოდ იმ მიზეზით, რომ ჩვენი ველური და დამანგრეველი ინსტინქტები იმ მემკვიდრეობას წარმოადგენს, რომელიც პრიმიტიული ეპოქიდან არის ჩვენში მიძინებული. იზოლირებული ინდივიდისათვის ცხოვრებაში ამ ინსტინქტებისადმი დამორჩილება სახიფათო იქნებოდა, როდესაც მათ გაზიარებას უპასუხისმგებლო ბრბოში, სადაც იგი დაუსჯელობას გრძნობს, მას სრულ თავისუფლებას ანიჭებს და იგი მას ემორჩილება. არ შეგვწევს რა ძალა ჩვეულებრივ პირობებში ეს დამანგრეველი ინსტინქტები ადამიანებზე გამოვცადოთ, ჩვენ მათ ცხოველებზე ვცდით. ესოდენ ფართოდ გავრცელებული ნადირობა და ბრბოს სასტიკი ქმედებები ერთი და იმავე წყაროდან იღებს სათავეს. ბრბო, რომელიც ნელა კლავს დაუცველ მსხვერპლს, მხდალ სისასტიკეს გვიჩვენებს; მაგრამ ფილოსოფოსისთვის ასეთი სისასტიკე უტოლდება მონადირეებისას, რომლებიც მრავლად ერთიანდებიან, რათა სიამოვნების მიღების მიზნით დევნონ და მოკლან უიღბლო ნადირი.

ბრბო შესაძლოა მკვლელობაში, წამქეზებლობასა და ყველა სახის დანაშაულში იქნას ბრალდებული, მაგრამ მას ასევე თავდადების, მსხვერპლად შეწირვისა და უანგარობის გამომჟღავნება შეუძლია, რაც გაცილებით უფრო ამაღლებული იქნება, ვიდრე ის, რისი უნარიც იზოლირებულ ინდივიდს გააჩნია. დიდების, პატივისცემისა და პატრიოტიზმის მოწოდებებს იმისთვის მიმართავენ, რომ ბრბოს წევრ ინდივიდზე მოახდინონ გავლენა და, საკმაოდ ხშირად, აიძულონ იგი საკუთარი სიცოცხლე გაიღოს მსხვერპლად. ისტორია მდიდარია მაგალითებით, რომლებიც ჯვაროსნებისა და 1793 წლის მოხალისეების ქმედებათა ანალოგურია. მხოლოდ ბრბოს შეუძლია დიადი თავდადებისა და უანგარობის გამომჟღავნება. რამდენჯერ შეხვედრია გმირულად პირისპირ სიკვდილს ბრბო მრწამსის, იდეის ან სიტყვისთვის, რომელსაც თავადაც ვერ აცნობიერებდა! ბრბო, რომელიც გაფიცვას აწყობს, ამას ბრძანებისადმი მორჩილებიდან მეტად აკეთებს, ვიდრე მცირე ხელფასის ზრდის მისაღწევად, რომლითაც თავი გააქვს. პირადი ინტერესი უკიდურესად იშვიათად წარმოადგენს ბრბოს მამოძრავებელ ფაქტორს, როდესაც იზოლირებული ინდივიდის შემთხვევაში ეს თითქმის ყოველთვის ექსკლუზიური მოტივია. უდაოა, რომ ეგოიზმი არ ხელმძღვანელობს ბრბოს ომის დროს, რომლის გაგება მას, როგორც წესი, არ შეუძლია, ომისა, რომელშიც იგი საკუთარ განადგურებას ისე ადვილად დასაშვებად მიიჩნევს, თითქოს მონადირის სარკით მონუსხული ტოროლა ყოფილიყოს.

სრული არამზადის შემთხვევაშიც ხშირად ხდება, რომ ბრბოს მხოლოდ წევრობა ანიჭებს მას წამით მაღალ ზნეობრივ პრინციპებს. ტენი ჩვენს ყურადღებას მიაპყრობს იმ ფაქტს, რომ სექტემბრის მკვლელობაში დამნაშავეებმა კომიტეტის წევრთა მაგიდებზე სამაგიდო წიგნები და მაჯის საათები დააწყეს, რომლებიც მათ მსხვერპლს უპოვეს და რისი გადამალვაც მათ

მარტივად შეეძლოთ. მგრგვინავ და ველურ ბრბოს, რომელმაც ტუილრის სასახლე დაიპყრო 1848 წლის რევოლუციის დროს, ხელიც კი არ უხლია ბრწყინვალე საგნებისთვის, რომელთაგან თითოეული კარგა ხნით უზრუნველყოფდა მას საკვებით.

ბრბოს მიერ ინდივიდის გამორალურება მუდმივ წესს არ წარმოადგენს, თუმცა მას ხშირად ვხვდებით. ასეთ მოვლენას შესაძლოა შევხვდეთ გაცილებით ნაკლებმნიშვნელოვან გარემოებებში, ვიდრე მე აღვწერე ზევით. მე აღვნიშნე, რომ ბრბო თეატრში პიესის გმირისგან დაბეჯითებით მოითხოვს გადაჭარბებულ ღირსებას, და ყველაზე მარტივი დაკვირვებაც ადასტურებს, რომ შეკრება, თუნდაც უმდაბლესი ელემენტებისა, როგორც წესი, ფრიად მოკრძალებულია. გარყვნილი, სუტენიორი და ჰულიგანი ხშირად აღშფოთებულები არიან, თუკი პიესა სარისკო სცენებსა და მიუღებელ საუბარს შეიცავს, როდესაც ეს ყოველივე სრულიად უმწიკვლოდ გამოიყურება მათ ყოველდღიურ ლექსიკასთან შედარებით.

თუკი ბრბო ხშირად მდაბალ ინსტინქტებს ემორჩილება, იგი დროდადრო დიადი ზნეობის მაგალითებსაც გვიჩვენებს. თუ უანგარობა, მორჩილება და აბსოლუტური თავდადება რეალური ან წარმოსახვითი იდეალისათვის ზნეობრივ ღირებულებებად ჩაითვლება, შეგვიძლია ვთქვათ, რომ დროდადრო ბრბო ამ ღირსებას ფლობს ხარისხით, რომელიც მრავალი ფილოსოფოსისთვის არის მიუღწეველი. უდაოა, რომ იგი ამას არაცნობიერად აკეთებს, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ ენიჭება. დიდად არ უნდა ვიდარდოთ იმის გამო, რომ ბრბოს არაცნობიერი მოტივები მართავს და არა გონება. მას რომ მსჯელობის უნარი ჰქონოდა და საკუთარი მყისიერი ინტერესები გაეთვალისწინებინა, შესაძლოა ჩვენს პლანეტაზე ცივილიზაცია არ წარმოშობილიყო, კაცობრიობას კი ისტორია არ ჰქონოდა.

თავი მესამე. ბრბოს იდეები, შეხედულებები და წარმოსახვა

1. ბრბოს იდეები. - ძირითადი და თანდართული იდეები. - როგორ არსებობენ ერთდროულად ყველაზე წინააღმდეგობრივი იდეები. - ცვლილება, რომელიც მაღალმა იდეამ უნდა განიცადოს, რათა ბრბოსთვის გასაგებად იქცეს. 2. ბრბოს შეხედულებები. - ბრბოსთან ასოცირებული იდეები მხოლოდ გარეგნულად შეიძლება წარმოადგენდნენ თანმიმდევრულობას. 3. ბრბოს წარმოსახვა. - ბრბო სურათებით აზროვნებს და ეს სურათები ერთმანეთს ყოველგვარი კავშირის გარეშე მისდევენ. - ბრბო განსაკუთრებით აღქმადი სასწაულებრივისადმია. - სასწაულებრივი და ლეგენდარული ცივილიზაციის ჭეშმარიტ საყრდენს წარმოადგენს.

1. ბრბოს იდეები

განვიხილავდით რა ამ წიგნის პირველ ნაწილში („ერების ფსიქოლოგია“) იდეების როლს ცივილიზაციის განვითარებაში, ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ყოველი ცივილიზაცია სათავეს იღებს ძირითად იდეათა მცირე რაოდენობიდან, რომელთა განახლება უკიდურესად იშვიათად ხდება. ჩვენ ვაჩვენეთ, როგორ მკვიდრდებიან ეს იდეები ბრბოს სულში, რაოდენი სირთულით აღწევენ მასში და როგორ ძალმოსილებას იხვეჭენ მას შემდეგ, რაც მასში დამკვიდრდებიან. ჩვენ ასევე ვიხილეთ, რომ ხშირად დიადი ისტორიული გადატრიალებები ბრბოს ძირითად იდეათა ცვლილებებიდან გამომდინარეობს.

ამ საკითხის შესახებ საკმაოდ ვისაუბრე და ახლა მას აღარ დავუბრუნდები. მხოლოდ რამდენიმე სიტყვას ვიტყვი ბრბოსთვის

საწვდომ იდეათა შესახებ და ასევე ფორმისა, რომლითაც ბრბო მათ ითვისებს.

ეს იდეები შესაძლოა ორ ნაწილად დავყოთ: პირველს ვაკუთვნებთ დროებით და ხანმოკლე იდეებს, რომლებიც წუთიერი გავლენით არიან შობილნი, როგორიცაა, მაგალითად, რომელიმე ინდივიდის ან დოქტრინის თაყვანისცემა. მეორეს - ყველა ძირითად იდეას, რომელსაც გარემო, მემკვიდრეობითობა და საზოგადოებრივი აზრი დიდ მდგრადობას ანიჭებს. ასეთია უწინდელი რელიგიური რწმენა და ამჟამინდელი სოციალური და დემოკრატიული იდეები.

ძირითადი იდეები შესაძლოა რომელიმე მდინარის წყლის მასად წარმოვიდგინოთ, რომელიც მდორედ მიედინება, როდესაც წარმავალი იდეები - მცირე ტალღებია, გამუდმებით რომ იცვლებიან და აშფოთებენ წყლის დიდი მასის ზედაპირს. ამ ტალღებს რეალური მნიშვნელობა არ გააჩნიათ, მაგრამ მეტად არიან შესამჩნევი, ვიდრე თავად მდინარის მოძრაობა.

დღევანდელ დღეს დიადი ძირითადი იდეები, რომლებითაც ჩვენი წინაპრები სულდგმულობდნენ, რყევას განიცდიან; მათ ყოველგვარი სიმტკიცე დაკარგეს და შედეგად რყევა განიცადეს იმ ინსტიტუტებმაც, რომლებიც ამ იდეებს ეყრდნობოდნენ.

ჩვენ ყოველდღიურად ვაკვირდებით მცირე, წარმავალ იდეათა წარმოშობას, რომლებიც მე ეს-ესაა ვახსენე, მაგრამ მათ მხოლოდ უაღრესად მცირე ნაწილს შესწევს უნარი განვითარდეს და გადამწყვეტი გავლენა მოიპოვოს.

როგორიც არ უნდა იყოს ბრბოსთვის ჩაგონებული იდეა, გაბატონებულად იგი მხოლოდ ისეთი შემთხვევისას იქცევა, თუ ყველაზე კატეგორიულ და მარტივ ფორმაში იქნება შეფუთული.

ასეთ შემთხვევაში ისინი ხატებად (სურათებად) წარმოდგებიან და მხოლოდ ასეთი ფორმით არიან მისაწვდომი ბრბოსთვის. ასეთი იდეები ანუ ხატები ანალოგიის ან თანმიმდევრობის არანაირი ლოგიკური ჯაჭვით არ არიან ერთმანეთს დაკავშირებული და ერთმა მეორე შესაძლოა ისე ჩაანაცვლოს, როგორც ჯადოსნურ მაშუქში ცვლის ერთი ფერადი შუშა მეორეს მეფოკუსის ხელით, რომელიც მათ ყუთებიდან იღებს, სადაც ისინი ერთად იყო დაწყობილი. აი რატომ ხდება ბრბოში ყველაზე წინააღმდეგობრივი იდეების შენარჩუნება. წუთიერ შემთხვევითობათა შესაბამისად ბრბო იდეათა მრავალფეროვანი რიგიდან ერთ-ერთის გავლენის ქვეშ ექცევა, რის გამოისობით სრულიად წინააღმდეგობრივი ქმედებების განხორციელება ძალუძს, ხოლო კრიტიკული უნარის დეფიციტი ამ წინააღმდეგობათა გაცნობიერებაში უშლის ხელს.

ისიც უნდა ითქვას, რომ ასეთი მოვლენა ბრბოს სპეციფიურ თვისებას არ წარმოადგენს. მას შესაძლოა შევხვდეთ მრავალ იზოლირებულ ინდივიდთან, და არა მხოლოდ პირველყოფილ ადამიანთან, არამედ ყველა მათგანთან, ვინც ტვინის რომელიმე ნაწილით მას უახლოვდება, მაგალითად, მკვეთრად გამოხატული რელიგიური აღმსარებლობის მიმდევართან. ამ მოვლენას მე ჰინდუებთან ვაკვირდებოდი, რომლებიც ევროპულ უნივერსიტეტებში იყვნენ აღზრდილები და დიპლომები გააჩნდათ. ძირითად ურყევ რელიგიურ ან სპეციფიურ მემკვიდრეობით იდეებზე მათ დადებული ჰქონდათ დასავლურ იდეათა ფენა, რასაც სრულებით არ შეუცვლია საფუძვლები და არანაირი ნათესაური კავშირი მათთან არ გააჩნდა. წუთიერ შემთხვევითობათა გამოისობით ესა თუ ის იდეა ზედაპირს აღწევდა, რითიც შესაბამის ქმედებებსა და სიტყვებს იწვევდა, ხოლო ერთი და იგივე ინდივიდი შესაძლოა ყველაზე მკვეთრი წინააღმდეგობის წარმომადგენელი

ყოფილიყო. უნდა ითქვას, რომ ეს წინააღმდეგობები უფრო მოჩვენებითია, ვიდრე ნამდვილი, რადგან მხოლოდ მემკვიდრეობით იდეებს გააჩნიათ ისეთი ძალა იზოლირებულ ინდივიდში, რომ შეუძლიათ მის ყველა ქმედებას უხელმძღვანელონ. მხოლოდ მაშინ, როდესაც შეჯვარების შედეგად ადამიანი სხვადასხვა მემკვიდრეობითი იმპულსების გავლენის ქვეშ აღმოჩნდება, იქცევა მისი ქმედებები ჭეშმარიტად წინააღმდეგობრივად. ზედმეტი იქნებოდა აქ ამ მოვლენებზე შეჩერება, თუმცა მათი ფსიქოლოგიური მნიშვნელობა ძალიან მაღალია. მე ვფიქრობ, რომ დაახლოებით ათი წლის დაკვირვება და მოგზაურობაა აუცილებელი მათი სათანადოდ გასაგებად.

იმისათვის, რომ ბრბოსთვის ყველაზე მარტივი ფორმით მისაწვდომი იდეები პოპულარულებად იქცნენ, მათ ფუნდამენტური ცვლილებები უნდა განიცადონ. უფრო ამაღლებული, ფილოსოფიური და მეცნიერული სფეროს იდეებში მეტად არის შესაძლებელი ხილვა სიღრმისა იმ ცვლილებების, რომლებიც იმისათვის არის აუცილებელი, რომ ისინი ბრბოსთვის აღქმად დონემდე დაეშვან. ეს ცვლილებები დამოკიდებულია კატეგორიასა და ეროვნებაზე, რომელსაც ბრბო ეკუთვნის, მაგრამ ყოველთვის გამამარტივებელი და ქვევით დამწევი ხასიათი გააჩნიათ. აი, რატომ არის, რომ სოციალური თვალსაზრისით არ არსებობს ნამდვილი იდეური იერარქია ანუ მეტად ან ნაკლებად ამაღლებული იდეები. უკვე ბრბოში იდეის შეღწევის და ქმედებებში მისი გამოხატვის ფაქტია საკმარისი, რათა მან ყველაფერი დაკარგოს, რაც მის ზეასვლასა და განდიდებას უწყობდა ხელს, როგორი ჭეშმარიტი და დიადიც არ უნდა ყოფილიყო იგი დასაწყისში.

სოციალური თვალსაზრისით იდეის იერარქიულ ღირებულებას მნიშვნელობა არ უნდა მივანიჭოთ, გასათვალისწინებელი მხოლოდ მისი შედეგებია. შუა საუკუნეების მისტიკური, გასული საუკუნის დემოკრატიული ან თანამედროვე სოციალური იდეები არ შეიძლება საკმაოდ ამაღლებულად მივიჩნიოთ.

ფილოსოფიური თვალსაზრისით ისინი სამწუხარო ცდომილებებად უნდა ჩავთვალოთ, თუმცა, მეორეს მხრივ, მათი როლი იყო და იქნება უაღრესად მნიშვნელოვანი, და კიდევ დიდხანს ჩაითვლებიან ისინი სახელმწიფოთა ქცევის ყველაზე არსებით ფაქტორებად.

მაგრამ იმ შემთხვევაშიც, როდესაც იდეამ სახეცვლილება განიცადა და იგი ბრბოსთვის გასაგებად იქცა, მოქმედებას ის მხოლოდ მას შემდეგ იწყებს, როდესაც ცნობილი პროცესების გამოისობით, რომელთა შესახებ საუბარი სხვა ადგილას იქნება, გაუცნობიერებლის სფეროში შეაღწევს და გრძნობად იქცევა, ამას კი დროის საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი სჭირდება.

არ უნდა ვიფიქროთ, რომ იდეა კულტურულ გონებაზეც მხოლოდ მაშინ ახდენს შთაბეჭდილებას, როდესაც მისი სამართლიანობაა დასაბუთებული. ამაში დარწმუნება ადვილია, თუ იმას დავაკვირდებით, რა სუსტად მოქმედებენ ყველაზე უცილობელი მტკიცებულებები ადამიანთა უმრავლესობაზე. სიცხადე, თუ ის თვალში საცემია, შესაძლოა ბრბოს რომელიმე განათლებულმა წევრმა შენიშნოს, მაგრამ ახალმოქცეული, იმყოფება რა გაუცნობიერებლის გავლენის ქვეშ, მაინც ძალიან სწრაფად დაუბრუნდება საწყის თვალსაზრისს. თუ თქვენ მას რამდენიმე დღის შემდეგ შეხვდებით, ის ყველა უწინდელ არგუმენტს იმავე ტექსტით წარმოგიდგენთ, რადგან იმავე უწინდელი იდეების გავლენის ქვეშ იმყოფება, რომლებიც გრძნობად იქცნენ. სწორედ ეს უკანასკნელები წარმოადგენენ ჩვენი სიტყვებისა და საქმეების მამოძრავებლებს. იგივე ხდება ბრბოშიც.

როდესაც ცნობილ ფაქტორთა მეშვეობით იდეა ბოლოს და ბოლოს ბრბოს სულში აღწევს, იგი გადაულახავ ძალაუფლებას იხვეჭს მასზე და წარმოშობს რიგს შედეგებისა, რომელთა გადატანა აუცილებელი ხდება. ფილოსოფიურ იდეებს, რომლებმაც საფრანგეთის რევოლუციამდე მიგვიყვანეს, მთელი საუკუნე დასჭირდათ, რათა ბრბოს სულში გამჯდარიყვნენ. უკვე ცნობილია, თუ რაოდენ გადაულახავი ძალა მოიხვეჭეს მათ მას შემდეგ, რაც ფესვი გაიდგეს. მთელი ერის სწრაფვამ სოციალური თანასწორობის მიღწევისა და აბსტრაქტული უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებისკენ ყველა ტახტი დაამხო და საფუძვლამდე შეძრა დასავლეთი. სრული ოცი წლის განმავლობისას ერები ერთმანეთზე იყვნენ დაგეშილნი, ევროპამ კი ისეთი ჰეკატომბები[7] გადაიტანა, რომლებიც ჩინგიზ ყაენსა და თემურ ლენგსაც[8] კი დააფრთხობდნენ. სამყარო მანამ არასოდეს ქცეულა რომელიმე იდეის გაბატონების შედეგების ესოდენ მაღალი ხარისხით ხილვის მომსწრე.

საკმაოდ ხანგრძლივი დროა საჭრო იმისათვის, რომ იდეამ ბრბოს სულში დაიმკვიდროს ადგილი, მაგრამ არანაკლები დროა საჭირო მის გასაქრობადაც. ამიტომაც იყო, რომ იდეასთან მიმართებით ბრბო ყოველთვის რამდენიმე თაობით ჩამორჩებოდა ფილოსოფოსებსა და მეცნიერებს. დღეს უკვე ყველა სახელმწიფო პირმა იცის, თუ რაოდენ ცდომილებას შეიცავენ ძირითადი იდეები, რომელთა შესახებ მე ახლა ვსაუბრობდი, მაგრამ ვინაიდან ამ იდეათა გავლენა ჯერ კიდევ ძალიან ძლიერია, სახელმწიფო მოხელეებს იმ პრინციპების შესაბამისად უწევთ მართვა, რომელთა ჭეშმარიტების თავადაც აღარ სწამთ.

2. ბრბოს შეხედულებები

აბსოლუტური სახით მაინც ვერ შევძლებთ იმის მტკიცებას, რომ ბრბო არ განსჯის და განსჯას არ ექვემდებარება, მაგრამ მის მიერ გამოყენებული არგუმენტები და ასევე ისინი, რომლებიც მასზე მოქმედებენ, ლოგიკის თვალსაზრისით იმ ჯგუფს ეკუთვნიან, რომლებსაც მხოლოდ ანალოგიის საფუძველზე თუ ვუწოდებთ შეხედულებებს.

ბრბოს შეხედულებები, მიუხედავად მათი არცთუ მაღალი ღირსებისა, ისევე ეფუძნება ასოციაციებს, როგორც უფრო მაღალი ხარისხის მოსაზრებები, თუმცა ურთიერთშორის ისინი მხოლოდ მოჩვენებითი ანალოგიითა და თანმიმდევრულობით არიან შეკავშირებულნი.

მათ შორის ზუსტად ისეთი კავშირი შეინიშნება, როგორც ესკიმოსის[9] იდეებში, რომელმაც გამოცდილებით იცის, რომ ყინული გამჭვირვალეა და პირში ჩადებისას დნება, საიდანაც ასკვნის, რომ შუშაც, როგორც გამჭვირვალე სხეული, ასევე უნდა დნებოდეს პირში; ან ველურის იდეებში, რომელიც თვლის, რომ თუ მამაცი მტრის გულს შეჭამს, ამით მას ეს სიმამაცე გადაეცემა; ან მუშის იდეებში, რომელიც ექსპლოატაციას განიცდიდა პატრონის მხრიდან, საიდანაც დაასკვნა, რომ ყველა მეურნეობა ექსპლოატატორული უნდა იყოს.

ასოციაცია სხვადასხვა შემადგენლის მქონე საგნებისა, რომლებსაც ერთმანეთთან მხოლოდ მოჩვენებითი კავშირი გააჩნიათ, და კერძო შემთხვევათა მყისიერი განზოგადება - აი, ბრბოს შეხედულებათა დამახასიათებელი თვისებები. მსგავსი არგუმენტაციით ყოველთვის ისინი გამოდიან, ვინც გაწაფულია ბრბოს მართვაში, ხოლო ასეთი არგუმენტაცია ერთადერთია, რომელსაც ამ უკანასკნელზე გავლენა შეუძლია. ლოგიკური

მსჯელობა სრულიად გაუგებარია ბრბოსთვის და სწორედ ამიტომ გვეძლევა უფლება განვაცხადოთ, რომ ბრბო არ მსჯელობს ან მსჯელობს მცდარად და შეხედულებათა გავლენას არ ექვემდებარება. არაერთხელ გამოუწვევია გაკვირვება იმას, თუ რაოდენ დაბალი ხარისხისაა გამოსვლისას ნათქვამი სიტყვები, როდესაც მათ კითხვისას ვეცნობით, თუმცა ბრბოზე უზარმაზარი გავლენა ჰქონდათ.

იმავდროულად, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ გამოსვლათა მიზანი ბრბოს აყოლიება იყო და არა ფილოსოფოსთა დაინტერესება. ორატორს, რომელიც მჭიდრო კავშირში იმყოფება ბრბოსთან, ისეთი სურათების მოხმობა შეუძლია, რომლებიც ბრბოს იყოლიებენ.

თუ ის წარმატებული აღმოჩნდება ამაში, მაშინ მისი მიზანი მიღწეულია, ხოლო გამოსვლათა ოცი ტომი, რომელიც ყოველთვის შემდეგ არის მოფიქრებული, ხშირად რამდენიმე მოხერხებულ ფრაზადაც არ ღირს, რომლებიც საჭირო მომენტშია ნათქვამი და მათ გონებაზე იმოქმედა, ვისი დარწმუნებაც იყო
საჭირო.

ზედმეტად მიგვაჩნია აქ იმის დამატება, რომ ბრბოს უუნარობა მართებულად იმსჯელოს, ხელს უშლის მას კრიტიკულად მიუდგეს რაიმეს ანუ ჭეშმარიტება ცდომილებისგან გაარჩიოს და განსაზღვრული შეხედულება გააჩნდეს ამა თუ იმ საკითხის შესახებ.

ბრბოს შეხედულებები ყოველთვის თავსმოხვეულია და არასოდეს წარმოადგენს საყოველთაო განსჯის შედეგს. მაგრამ რამდენია ისეთი ადამიანი, რომელიც მოცემულ შემთხვევაში ბრბოზე მეტად არ მაღლდება! სიმარტივე, რომლითაც ზოგჯერ ცნობილი შეხედულებები ვრცელდება, სწორედ იქედან გამომდინარეობს, რომ ადამიანთა უმრავლესობას არ შესწევს უნარი ჩამოაყალიბოს კერძო შეხედულება, რომელიც საკუთარ მსჯელობაზე იქნებოდა დამყარებული.

3. ბრბოს წარმოსახვა

როგორც ყველა იმ არსებას, ვისაც მსჯელობის უნარი არ შესწევს, განმეორების უნარი ბრბოშიც ჭარბად განვითარებული და ქმედითია. ბრბოს გონებაში რაიმე სახის მიერ გამოწვეული სურათები, წარმოდგენა რომელიმე მოვლენის ან შემთხვევის შესახებ, სიცხოველის მიხედვით თითქმის უტოლდება რეალურ სურათებს. გარკვეულ ხარისხამდე ბრბო მძინარეს ჰგავს, რომლის გონება დროებით უმოქმედოა და რომლის ტვინში უაღრესად ცოცხალი სურათები წარმოიქმნება, მაგრამ ისინი მყისიერად გაიფანტებოდნენ, გონებისთვის მათი დაქვემდებარება რომ ყოფილიყო შესაძლებელი.

ამიტომ ბრბოსათვის, რომელსაც არც მსჯელობისა და არც ფიქრის უნარი აქვს, არაფერი არსებობს დაუჯერებელი და სწორედ დაუჯერებლის მოქმედებაა ყველაზე ძლიერი.

ამიტომ არის, რომ ბრბოს ყველაზე მეტად მოვლენათა სასწაულებრივი და ლეგენდარული მხარე აოცებს. თუკი რომელიმე ცივილიზაციას გავაანალიზებთ, ვიხილავთ, რომ მის ნამდვილ საყრდენს სასაწაულებრივი და ლეგენდარული წარმოადგენს.

ისტორიაში მოჩვენებითი ყოველთვის უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, ვიდრე ნამდვილი, ხოლო არარეალური ყოველთვის ჭარბობს რეალურს.

ბრბო, რომელსაც მხოლოდ სურათებით აზროვნების უნარი შესწევს, მხოლოდ სურათებისადმია აღქმადი. მხოლოდ სურათებს შეუძლიათ მისი გატაცება ან მასში შიშის წარმოშობა, და მის ქმედებათა აღმძვრელად ქცევა.

თეატრალურ წარმოდგენებს, სადაც ბრბოს სურათებს ყველაზე ცხადი ფორმით წარმოუდგენენ, ყოველთვის დიდი გავლენა აქვთ მასზე. პური და სანახაობა რომის მდაბიოთათვის ოდესღაც ბედნიერების იდეალს წარმოადგენდა და ისინი სხვას არაფერს მოითხოვდნენ. საუკუნეებმა განვლო, მაგრამ იდეალი არ შეცვლილა. არაფერი ისე არ მოქმედებს ყველა კატეგორიის ბრბოზე, როგორც თეატრალური წარმოდგენა. მთელი დარბაზი ერთსა და იმავე ემოციას განიცდის და თუ მათი ქმედებებად ქცევა მყისიერად არ ხდება, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ყველაზე შეუგნებელმა მაყურებელმაც კი არ შეიძლება არ იცოდეს, რომ ის მოცემულ შემთხვევაში ილუზიის მსხვერპლია და წარმოსახვით, და არა რეალურ თავგადასავლებზე ტირის და იცინის. თუმცა დროდადრო სურათების მიერ ჩაგონებული განცდები იმდენად ძლიერია, რომ ისინი ჩვეულებრივ ჩაგონებათა მსგავსად ქმედებებად გარდაქცევისკენ ისწრაფვიან. ხშირად არის ციტირებული ერთი სახალხო თეატრის ისტორია, სადაც მხოლოდ პირქუშ წარმოდგენებს დგამდნენ. მსახიობი, რომელიც მოღალატეს ასახიერებდა, თეატრიდან გამოსვლისას მუდმივი საფრთხის წინაშე იმყოფებოდა და აუცილებელი იყო იგი დაეცვათ, რადგან მისი წარმოსახვითი დანაშაულებებით აღშფოთებული მაყურებლები მზად იყვნენ იგი შუაზე გაეგლიჯათ. ვფიქრობ, ეს ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია ბრბოს გონებრივი მდგომარეობისა, განსაკუთრებით კი იმის, თუ რაოდენ ადვილად ექვემდებარება იგი ჩაგონებას. არარეალური მასზე თითქმის ისევე მოქმედებს, როგორც რეალური, ხოლო თავად მას აშკარა მიდრეკილება აქვს, ერთი მეორისგან არ გაარჩიოს.

ტრიუმფატორთა ძლევამოსილება და სახელმწიფოთა ძალა სწორედ ხალხის წარმოსახვას ეფუძნება. ბრბოს უმთავრესად მის წარმოსახვაზე ზემოქმედებით იყოლიებენ.

ყველა დიდი ისტორიული მოვლენა - ბუდიზმი, ქრისტიანობა, ისლამი, რეფორმა, რევოლუცია და დღევანდელი მუქარა სოციალიზმისა - წარმოადგენენ ბრბოს წარმოსახვაზე განხორციელებული ძლიერი ზემოქმედების უშუალო ან დისტანცირებულ შედეგს. ამგვარად, ყველა ეპოქისა და ქვეყნის სახელმწიფო მეთაურები, აბსოლუტური დესპოტების ჩათვლით, ხალხის წარმოსახვას ყოველთვის ძლევამოსილების საფუძვლად აღიქვამდნენ და არასოდეს უმოქმედიათ მის საწინააღმდეგოდ. „წარვდექი რა კათოლიკედ, - თქვა ნაპოლეონმა სახელმწიფო საბჭოში. - მე შევძელი ვანდეის ომის დასრულება; წარვდექი მუსულმანად და გავმაგრდი ეგვიპტეში; ვიქეცი რა ულტრამონტანისტად, მოვიპოვე იტალიური სამღვდელოების მხარდაჭერა. ებრაელი ერის ბატონობა რომ დამჭირვებოდა, სოლომონის ტაძარს აღვადგენდი“. ალექსანდრე დიდისა და იულიუს კეისრის[10] დროიდან მოყოლებული არავის შეეძლო ნაპოლეონზე უკეთ ბრბოს წარმოსახვაზე ზემოქმედება. ის მხოლოდ იმის შესახებ ფიქრობდა, თუ როგორ გაეოცებინა ბრბო, ის ამის შესახებ ზრუნავდა ყველა გამარჯვებასა და გამოსვლაში, ყველა მოქმედებაში და სასიკვდილო სარეცელზეც.

ჩვენ მალე ვიხილავთ, როგორ ახდენენ ბრბოს წარმოსახვაზე ზემოქმედებას, ახლა კი მხოლოდ იმ შენიშვნით შემოვიფარგლებით, რომ ბრბოზე გავლენის მოხდენა შეუძლებელია მის გონებაზე ზემოქმედებით ანუ მტკიცებულებების გზით. ანტონიუსმა[11] კეისრის მკვლელთა წინააღმდეგ ხალხის დარაზმვა არა ოსტატური რიტორიკის, არამედ ამ უკანასკნელის ანდერძის კითხვითა და გვამზე მითითებით მოახერხა.

სურათები, რომლებიც ბრბოს წარმოსახვაზე ახდენენ ზემოქმედებას, ყოველთვის მარტივი და გასაგებია, მათ არასოდეს ახლავთ განმარტებები და მხოლოდ დროდადრო ერთვის თან

სასწაულებრივი ან საიდუმლო ფაქტები: დიადი გამარჯვება, დიადი სასწაული, მსხვილი დანაშაული, დიდი იმედი. მოვლენები ბრბოს ყოველთვის მთლიანობაში უნდა უჩვენონ და არ მიუთითონ მათ წარმომავლობაზე. წვრილი დანაშაულებები და უბედური შემთხვევები სრულებით არ ახდენენ გავლენას ბრბოს წარმოსახვაზე, რაოდენ მრავალრიცხოვანიც არ უნდა იყვნენ ისინი; პირიქით, რომელიმე დიდი დანაშაული ან უბედური შემთხვევა ღრმად მოქმედებს ბრბოზე, მიუხედავად იმისა, რომ ასეთის შედეგი ნაკლებად დამღუპველია, ვიდრე მრავალრიცხოვანი, მაგრამ წვრილი უბედური შემთხვევებისა და დანაშაულების.

გრიპის ეპიდემიამ, რომელმაც რამდენიმე წლის წინ პარიზში 5,000 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, უკიდურესად სუსტად იმოქმედა ხალხის წარმოსახვაზე. ეს ჭეშმარიტი ჰეკატომბი რაიმე ხილული ნიშნებით არ გამოვლენილა. მას მხოლოდ ყოველკვირეულ სტატისტიკურ მოხსენებებში აღნიშნავდნენ.

მაგრამ რომელიმე სხვა მსხვილი უბედური შემთხვევა, მაგალითად ეიფელის კოშკის ჩამოქცევა, თანაც თუ დაიღუპებოდა არა 5,000 არამედ მხოლოდ 500 ადამიანი, მაგრამ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას და ერთდროულად, ბრბოს წარმოსახვაზე გარდუვალად უფრო ძლიერ ზემოქმედებას მოახდენდა. ერთი ტრანსატლანტიკური ლაინერის სავარაუდო დაღუპვამ იმ საფუძვლით, რომ მის შესახებ ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ მოიპოვებოდა ცნობები, ძლიერ იმოქმედა ბრბოს წარმოსახვაზე, როდესაც ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, მხოლოდ 1894 წელს 850 იალქნიანი გემი და 203 თბომავალი დაიღუპა. ხომალდთა ხსენებულ დაღუპვას, ადამიანთა სიცოცხლისა და საქონლის განადგურების თვალსაზრისით გაცილებით უფრო მნიშვნელოვანს, ვიდრე ტრანსატლანტიკური ლაინერის კატასტროფაა, არანაირი შთაბეჭდილება არ მოუხდენია ბრბოზე. აქედან გამომდინარეობს, რომ არა თავისთავად ფაქტები ახდენენ გავლენას ხალხის წარმოსახვაზე, არამედ ის, თუ რა სახით ვრცელდება და მიეწოდება ისინი ბრბოს. აუცილებელია, რომ გაზვიადებისას, თუკი ასეთი გამოთქმა მისაღებია, ფაქტებმა იმდენად განსაცვიფრებელი სურათი შექმნან, რომ მათ სრულად დაიპყრონ ბრბოს გონება და მის ცნებათა სფერო სრულად მოიცვან. ის, ვინც ბრბოს წარმოსახვაზე ზემოქმედების ხელოვნებას ფლობს, ფლობს ასევე მისი მართვის ხელოვნებას.

თავი მეოთხე. რელიგიური ფორმები, რომლებითაც ბრბოს შეხედულებები იმოსება

რა შეადგენს რელიგიურ განცდას. - ის დამოუკიდებელია რომელიმე ღვთაების გაღმერთებისგან. - მისი დახასიათება. - ძალმოსილება შეხედულებებისა, რომლებიც რელიგიურ საბურველშია გახვეული. სხვადასხვა მაგალითები. - სახალხო ღმერთები არსად გამქრალან. - ახალი ფორმები, რომლებითაც ისინი აღდგებიან. ათეიზმის რელიგიური ფორმები. - ამ ცნებათა მნიშვნელობა ისტორიული თვალსაზრისით. - რეფორმა, ბართლომეს ღამე[12], ტერორი და მსგავსი მოვლენები წარმოადგენენ ბრბოს და არა ცალკეულ ინდივიდთა რელიგიური გრძნობების შედეგს.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ბრბო არ მსჯელობს, რომ იგი იდეებს იღებს ან უარყოფს მთლიანად, რომ მისთვის მიუღებელია კამათი და წინააღმდეგობა, რომ ჩაგონება სრულად იმონებს მისი აზროვნების უნარს და ქმედებად ქცევისკენ ისწრაფვის. ჩვენ მივანიშნეთ, რომ შესაბამისი ჩაგონების ზემოქმედების ქვეშ ბრბო მზად არის მსხვერპლად გაიღოს საკუთარი თავი ჩაგონებული იდეალისთვის და რომ მისთვის მხოლოდ უკიდურესი და ძლიერი

ემოციებია დამახასიათებელი, ამასთან, მისი სიმპათია სწრაფად იქცევა გაღმერთებად, ხოლო ანტიპათია, მყისვე მისი წარმოშობის შემდეგ, სიძულვილად გარდაისახება.

ეს ძირითადი ნიშნები საშუალებას გვაძლევს ბრბოს შეხედულებები წინასწარ გამოვიცნოთ.

შევისწავლეთ რა ბრბოს შეხედულებები, როგორც რწმენის, ასევე დიდი პოლიტიკური გადატრიალებების ეპოქაში, მაგალითად, წინამორბედი საუკუნის გადატრიალებებისა, შეგვიძლია ვიხილოთ, რომ ეს შეხედულებები ყოველთვის განსაკუთრებულ ფორმას იღებენ, რომელსაც მე სხვას ვერაფერს ვუწოდებ, თუ არა რელიგიურ გრძნობას. მისი დახასიათება უკიდურესად მარტივია: სავარაუდო უზენაესი არსების გაღმერთება, მისთვის მიკუთვნებული მაგიური ძალის შიში, მისი ნებისადმი ბრმა მორჩილება, მის დოგმატებთან შეკამათების შეუძლებლობა, მათი გავრცელების სურვილი, წადილი მათი მტრად შერაცხვისა, ვინც ამ დოგმატებს არ აღიარებს - აი, ამ განცდის ძირითადი მახასიათებლები. აქვს ამ გრძნობას კავშირი უხილავ ღმერთთან, ქვის ან ხის კერპთან, გმირთან თუ პოლიტიკურ იდეასთან, - იმ წუთიდან, როდესაც მასში ზემოაღნიშნული თვისებები ვლინდება, იგი რელიგიურ შინაარსს იძენს. ზებუნებრივი და სასწაულებრივი მასში თანაბრად გვხვდება. ბრბო გაუცნობიერებლად ანიჭებს საიდუმლო ძალას პოლიტიკურ ფორმულასა და ტრიუმფატორ ბელადს, რომელიც მოცემულ მომენტში მასში ფანატიზმს აღძრავს.

რელიგიურობა არა მხოლოდ რომელიმე ღვთაების გაღმერთებით არის განპირობებული; მისი გამოვლინება მაშინაც ხდება, როდესაც გონების ყველა საშუალება, ნების მორჩილება, ფანატიური გზნება სრულად ეძღვნება ერთ რომელიმე საქმეს ან არსებას, რომელიც ბრბოს ზრახვებისა და მოქმედებების მიზნად და ხელმძღვანელად იქცევა.

მოუთმენლობა და ფანატიზმი თითოეული რელიგიური განცდის აუცილებელი შემადგენელია და გარდუვალად გააჩნია ყველას, ვინც ფიქრობს, რომ მიწიერი ან მარადიული ნეტარების გასაღებს ფლობს. ამ თვისებებს ვხვდებით ადამიანთა ყველა ჯგუფში, რომელიც რომელიმე შეხედულების დასაცავად არის აღმდგარი. ტერორის პერიოდის იაკობინელები ისევე ღრმად რელიგიურები იყვნენ, როგორც ინკვიზიციის ეპოქის კათოლიკეები, მათ სისასტიკეს კი ერთი და იგივე წყარო გააჩნდა.

ბრბოს ყველა შეხედულება ბრმა მორჩილების, სასტიკი შეუწყნარებლობისა და გახელებული პროპაგანდის ისეთ თვისებებს შეიცავს, რაც რელიგიური გრძნობისთვის არის დამახასიათებელი. სწორედ აღნიშნულის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბრბოს შეხედულებები ყოველთვის რელიგიურ ხასიათს ატარებს. გმირი, რომელსაც ბრბო სცემს თაყვანს, მისთვის ჭეშმარიტი ღმერთია. ნაპოლეონი წარმოადგენდა ასეთს თხუთმეტი წლის განმავლობისას. არც ერთ ღვთაებას არ ჰყოლია ასეთი რაოდენობის მიმდევრები და არავის გაუგზავნია ადამიანები სიკვდილზე ესოდენ ადვილად. წარმართ და ქრისტიან ღმერთებს მათ მიერ დაპყრობილ სულებზე ასეთი აბსოლუტური ძალაუფლება არასოდეს ჰქონიათ. რელიგიურ და პოლიტიკურ აღმსარებლობათა ფუძემდებლებს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლიათ მიზნის მიღწევა, თუ ბრბოს ფანატიზმით გამსჭვალავენ, რაც ადამიანს აიძულებს ბედნიერება გაღმერთებასა და მორჩილებაში ჰპოვოს და სიხარულით შესწიროს სიცოცხლე საკუთარ კერპს. ასე ხდებოდა ყველა ეპოქაში.

რომის გალიის შესახებ შესანიშნავ წიგნში ფიუსტელ დე კულანჟი[13] აღნიშნავს, რომ რომის იმპერია არა ძალას ეყრდნობოდა, არამედ იმ რელიგიური აღტაცების განცდას, რომელსაც ის

ჩააგონებდა. „ეს უმაგალითო შემთხვევაა მსოფლიო ისტორიაში, - ამბობს ის არცთუ უსაფუძვლოდ. - როდესაც ხალხისთვის საძულველმა რეჟიმმა ხუთ საუკუნეს გაუძლო... რთული იყო საკუთარი თავისთვის იმის ახსნა, თუ როგორ შეეძლო იმპერიის ოცდაათ ლეგიონს ასმილიონიანი ერის მორჩილებაში ყოლა. თუ ეს მილიონები მორჩილებაში იყვნენ, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ იმპერატორი, ვინც მათ თვალში რომის სიდიადეს ანსახიერებდა, ღვთაების მსგავსად იყო გაღმერთებული საყოველთაო თანხმობით. იმპერიის ყველაზე მცირე სოფელშიც კი იმპერატორს საკურთხეველს უშენებდნენ. ერის სულში, იმპერიის ერთი კიდიდან მეორემდე, გაღვივდა ახალი რელიგია, რომელშიც ღვთაებებს იმპერატორები წარმოადგენდნენ. ქრისტიანული ეპოქის დადგომამდე რამდენიმე წლით ადრე გალიამ, რომელიც სამოცი ქალაქისგან შედგებოდა, ლიონის მახლობლად ავგუსტუსს დაუდგა ძეგლი... გალიის ქალაქთა სათათბიროს მიერ არჩეული მღვდლები ქვეყნის პირველ პირებს წარმოადგენდნენ... ამ ყველაფერს მონური მორჩილებისა და შიშის გრძნობებს ვერ მივაწერთ. არ შეიძლება მთელი ერი მონურად მორჩილი იყოს ან, ნებისმიერ შემთხვევაში, ასეთად რჩებოდეს სამი საუკუნის განმავლობისას... იმპერატორებს არა კარისკაცები აღმერთებდნენ, არამედ რომი, და არა მხოლოდ რომი, არამედ მთელი გალია, ესპანეთი, საბერძნეთი და აზია.“

დღესდღეობით სულთა დიდ დამპყრობლებს საკურთხევლებს აღარ უშენებენ, სამაგიეროდ მათ პატივსაცემად დგამენ სკულპტურებს, კულტი კი, რომლითაც ამჟამად სცემენ მათ თაყვანს, მნიშვნელოვნად არ განსხვავდება წარსულის ადათისგან. ისტორიის ფილოსოფია ჩვენთვის გასაგებად მხოლოდ იმ შემთხვევაში იქცევა, როდესაც ჩვენ სრულად შევითვისებთ ბრბოს ფსიქოლოგიის ყველა ძირითად პუნქტს, რომლებიც მიუთითებენ, რომ ბრბოსთვის ან ღმერთს უნდა წარმოადგენდე ან არაფერს.

არ უნდა ვიფიქროთ, რომ წარსულის ეს ცრურწმენა სრულად არის გონებიდან განდევნილი. ამ უკანასკნელის წინააღმდეგ მარადიულ ბრძოლაში გრძნობა არასოდეს დამარცხებულა. ბრბოს აღარ სურს მოისმინოს სიტყვები „ღვთაება“ და „რელიგია“, რომლებსაც ათასწლეულები მონობდა, მაგრამ არასოდეს ჰყოლია მას ისეთი რაოდენობის ფეტიშები, როგორც უკანასკნელი ასი წლის განმავლობისას, და არასოდეს აღუმართავს ამდენი საკურთხეველი და ქანდაკება ძველი ღვთაებებისთვის. მკვლევარები ბულანჟიზმის[14] სახელით ცნობილი სახალხო მოძრაობისა დარწმუნდნენ, რაოდენი სიმარტივით ხდება ბრბოს რელიგიური ინსტინქტების აღორძინება. სოფლის ერთი სასტუმროც კი არ არსებობდა გმირის სურათის გარეშე. მას მიეწერებოდა ყველა უბედურების აღმოფხვრისა და სამართლიანობის აღდგენის ძალა; ათასობით ადამიანი იყო მზად მისთვის სიცოცხლე გაეწირა. წარმოიდგინეთ, რა ადგილს დაიკავებდა იგი ისტორიაში, მისი ხასიათი რომ ამ ლეგენდის სიმაღლის შესაბამისი ყოფილიყო.

აქ აღარ ღირს იმის გამეორება, რომ ბრბო საჭიროებს რელიგიას, რადგან ყველა შეხედულება - პოლიტიკური, ღვთიური თუ სოციალური - მის მიერ მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შეთვისებული, თუ მათ რელიგიურ საბურველში შეფუთავენ, რაც წინააღმდეგობას არ უშვებს. ბრბოსთვის ათეიზმის ჩაგონება რომ იყოს შესაძლებელი, იგი ისეთივე მგზნებარე შეუწყნარებლობით გამოიხატებოდა, როგორც ყველა რელიგიური გრძნობა და სულ მალე ჭეშმარიტ კულტად იქცეოდა. პოზიტივისტთა მცირე სექტის ევოლუცია ადასტურებს ამ დებულებას. მას იგივე დაემართა, რაც იმ ნიჰილისტს, რომლის ამბავს მოგვითხრობს ღრმა მწერალი დოსტოევსკი. ერთ დღეს მას გონება გაუნათდა, მან ღვთაებისა და წმინდანთა გამოსახულებები დაამსხვრია, რომლებიც მისი

სამლოცველოს საკურთხეველს ამკობდნენ, ჩააქრო ცვილის სანთლები და დროის დაუკარგავად ჩაანაცვლა დამსხვრეული ხატები ათეისტი ფილოსოფოსების, როგორებიც ბიუხნერი და მოლეშოტი არიან, ქმნილებებით და კვლავ მოწიწებით აანთო სანთლები. მისი რელიგიური აღმსარებლობის საგანი შეიცვალა, მაგრამ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მისი რელიგიური გრძნობაც შეიცვალა?

ზოგი ისტორიული მოვლენა, მათ შორის კი ყველაზე მნიშვნელოვანი, მხოლოდ მაშინ იქცევა გასაგებად - კიდევ ერთხელ ვიმეორებ ამას, - როდესაც ჩვენ სრულად გავერკვევით იმ რელიგიურ ფორმაში, რომლითაც საბოლოოდ ბრბოს ყველა შეხედულებაა შემოსილი. არსებობს სოციალური მოვლენები, რომლებიც უმჯობესია ფსიქოლოგმა შეისწავლოს და არა ნატურალისტმა. ჩვენი დიდი ისტორიკოსი ტენი რევოლუციას, როგორც მხოლოდ ნატურალისტი სწავლობდა და ამიტომ უსხლტებოდა მხედველობიდან ხშირად მას მოვლენათა გენეზისი. იგი შესანიშნავად აკვირდებოდა ფაქტებს, მაგრამ ვერ ერკვეოდა რა ბრბოს ფსიქოლოგიაში, მათ წყარომდე ყოველთვის ვერ აღწევდა. ფაქტებმა დააფრთხეს იგი სისხლიანი, ანარქისტული და სასტიკი ხასიათით. ამ დიადი ეპოპეის გმირებში იგი მხოლოდ ველურ ეპილეპტიკოსთა ხროვას ხედავდა, რომლებიც უსაზღვროდ ემორჩილებოდნენ საკუთარ ინსტინქტებს. მაგრამ რევოლუციის ყველა ძალადობა, მკვლელობა, პროპაგანდის აუცილებლობა, ომის გამოცხადება ყველა მეფისთვის ადვილად აიხსნება, თუ მათ ბრბოს სულში ახალი რელიგიური რწმენის დაბადებად განვიხილავთ. რეფორმა, ბართლომეს ღამე, რელიგიური ომები, ინკვიზიცია, ტერორი - ეს ყველაფერი სადღესასწაულო მოვლენებია, რომლებიც აუცილებლად მოითხოვს იმ ყველაფრის ცეცხლითა და მახვილით მოსპობას, რაც ახალი შეხედულების გამყარებას ეწინააღმდეგება. ინკვიზიციის მეთოდები წრფელი რწმენის მქონე ადამიანთა მეთოდებია, ეს ადამიანები კი ასეთები არ იქნებოდნენ, სხვა მეთოდები რომ გამოეყენებინათ.

იმის ანალოგური გადატრიალებები, რომლებიც მე ახლახან ვახსენე, არ იქნებოდა შესაძლებელი, ბრბოს მენტალობა რომ არ უხმობდეს მათ. ვერც ერთი ყველაზე აბსოლუტური დესპოტი ვერ გამოიწვევდა მათ. როდესაც ისტორიკოსები მოგვითხრობენ, რომ ბართლომეს ღამე მეფის ნამოქმედარი იყო, ამით იმას გვეუბნებიან, რომ მათ ისევე არ ესმით ბრბოს ფსიქოლოგია, როგორც მეფისა. ასეთ მანიფესტაციებს მხოლოდ ბრბოს მენტალობა წარმოქმნის. ყველაზე აბსოლუტურ მონარქს, ყველაზე დესპოტურს, მათი მხოლოდ დაჩქარება ან შენელება შეუძლია. მეფეებს არ გამოუწვევიათ ბართლომეს ღამე და რელიგიური ომები, და რობესპიერი, დანტონი და სენ-ჟიუსტი არ არიან ტერორის შემოქმედები. ყველა ამ მოვლენაში ბრბოს მენტალობა და არა მეფეთა ძალაუფლება იღებდა მონაწილეობას.

ნაწილი მეორე. ბრბოს შეხედულებები.

თავი პირველი. ბრბოს შეხედულებისა და რწმენის დისტანციური ფაქტორები

1. ერი. - მისი გაბატონებული გავლენა. - ამ მრწამსის განვითარება წინამორბედი დამუშავების შედეგი გახლავთ.
2. ტრადიციები. - ტრადიციები ერის მენტალობის სინთეზის გამოხატულებაა. - ტრადიციების სოციალური მნიშვნელობა. - რა ზიანი მოაქვთ მათ. - ბრბო ტრადიციული იდეების ყველაზე მყარი დამცველია.
3. დრო. - იგი თანმიმდევრულად ამზადებს მრწამსის განმტკიცებას, შემდეგ კი მის ნგრევას. - მისი გავლენის წყალობით ქაოსიდან წესრიგი აღდგება.
4. პოლიტიკური და სოციალური ინსტიტუტები. - მათი როლის შესახებ მცდარი წარმოდგენა. - ისინი შედეგს წარმოადგენენ და არა მიზეზს. - ინსტიტუტები სხვა არაფერია, თუ არა იარლიყები, რომლებიც ერთი სახელწოდებით ნიღბავენ ყველაზე განსხვავებულ მოვლენებს. როგორ იქმნება კონსტიტუციები. - ზოგი ერის მიერ ცნობილი, თეორიულად უსარგებლო ინსტიტუტის მოთხოვნა, მაგალითად, როგორიც ცენტრალიზაციაა.
5. აღზრდა და განათლება. - თანამედროვე მცდარი წარმოდგენა ბრბოზე განათლების გავლენის შესახებ. - სტატისტიკური მითითებები. - ლათინური აღზრდის დემორალიზებადი როლი. როლი, რომლის შესრულებას განათლება შეძლებდა. - მაგალითები, რომლებსაც სხვადასხვა ხალხებთან შეიძლება შევხვდეთ.

შევისწავლეთ რა ბრბოს სულიერი წყობა, აზროვნების, განცდისა და მსჯელობის მისეული უნარი, გადავდივართ იმის გამოკვლევაზე, თუ როგორ წარმოიქმნება და ყალიბდება მისი შეხედულებები.

ფაქტორები, რომლებიც ბრბოს შეხედულებებსა და რწმენას აყალიბებენ, ორი სახისაა: მყისიერი და დისტანციური.

დისტანციური ის ფაქტორებია, რომლებიც საშუალებას აძლევენ ბრბოს აღიქვას გარკვეული შეხედულებები და სრულიად გულგრილი დარჩეს სხვათა მიმართ. ეს ფაქტორები ამზადებენ ნიადაგს, რომელზეც შემდგომ უეცრად ვითარდება რომელიმე ახალი იდეა, რომელიც ძალმოსილებითა და შედეგებით გვაოცებს. თუმცა, ამ იდეათა წარმოშობის მოულოდნელობა მოჩვენებითია. მართლაც, ზოგი იდეა ბრბოში წარმოიქმნება და მოქმედებაში მოდის ელვის სისწრაფით, მაგრამ ეს სწორედ ერთი შეხედვით, რადგან სინამდვილეში ასეთ აფეთქებას წინ ხანგრძლივი სამუშაო უსწრებს.

ბრბოზე მოქმედი მყისიერი ფაქტორები დისტანციური ფაქტორებით მომზადებულ ნიადაგზე მოქმედებენ და უამისოდ ვერანაირ შედეგს ვერ მოგვცემდნენ; ისინი ბრბოში აქტიურ სიმტკიცეს წარმოშობენ ანუ იდეას გარკვეულ ფორმას ანიჭებენ და ავითარებენ მას ყველა შესაძლო შედეგით. ამ უშუალო ფაქტორების წყალობით ბრბოში იბადება გადაწყვეტილებები, რომლებიც მას წარიტაცებენ. მათი წყალობით ეწყობა ამბოხი, გაფიცვა, ან შესაძლოა დიდმა რაოდენობამ რომელიმე ადამიანი აღაზევოს და რომელიმე მთავრობა დაამხოს.

ისტორიის ყველა დიად მოვლენაში ჩვენ ამ ორსახა ფაქტორების თანმიმდევრული მოქმედება შეგვიძლია შევნიშნოთ.

ერთ-ერთი ყველაზე განსაცვიფრებელი მაგალითი განვიხილოთ - საფრანგეთის რევოლუცია. ამ მოვლენის დისტანციური ფაქტორები იყო ფილოსოფოსთა შრომები, არისტოკრატიის ძალადობა და მეცნიერული გონების წარმატება.

ერის ამგვარად შემზადებული მენტალობა უკვე იოლად იქნა წარტაცებული მყისიერი ფაქტორებით, როგორიც იყო ორატორთა სიტყვები და სამეფო კარის წინააღმდეგობა ყველაზე უმნიშვნელო რეფორმებისადმი.

დისტანციურებს ისეთი ზოგადი ფაქტორები მიეკუთვნება, რომლებიც ბრბოს ყველა შეხედულებისა და მრწამსის სიღრმეში გვხვდება. ესენია ერი, ტრადიციები, დრო, ინსტიტუტები და აღზრდა. შევეცადოთ სათითაოდ შევისწავლოთ თითოეული ამ მრავალფეროვანი ფაქტორის გავლენა.

1. ერი

ეს ფაქტორი პირველ ადგილზე უნდა განვათავსოთ, რადგან იგი ყველა დანარჩენს აღემატება. ზევით ჩვენ აღვნიშნეთ მისი გავლენის შესახებ და ამიტომ ამ საკითხს აღარ დავუბრუნდებით. წინამორბედ შრომაში ჩვენ ვისაუბრეთ იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს ისტორიული ერი და რა ძალას იძენს ის მემკვიდრეობითობის კანონის წყალობით, მას შემდეგ, რაც მისი ნაკვთები საბოლოოდ არის ჩამოყალიბებული. ამის შემდეგ მისი შეხედულებები, ინსტიტუტები და ხელოვნება, ერთი სიტყვით, მისი ცივილიზებულობის ყველა ელემენტი სხვას აღარაფერს წარმოადგენს, თუ არა მისი მენტალობის გარეგნულ გამოხატულებას. ერის გავლენა იმდაგვარია, რომ არც ერთი ეს ელემენტი არ გადაეცემა ერთი ერიდან მეორეს ღრმა ცვლილებების განუცდელად. გარემო, გარემოებები და მოვლენები მხოლოდ იმ წუთის სოციალური ჩაგონების გამოხატულებას წარმოადგენს. ამ ყველაფერს შესაძლოა დიდი გავლენა ჰქონდეს, მაგრამ ყოველთვის მოკლევადიანია, თუ ერის ჩაგონებულ იდეებს ანუ მთელ რიგ წინაპრებს ეწინააღმდეგება.

ჩვენ კიდევ მოგვეცემა შემთხვევა არაერთხელ დავუბრუნდეთ ერის გავლენას და აღვნიშნოთ, რამდენად დიდია იგი და რამდენად არის გაბატონებული ბრბოს განსაკუთრებულ მენტალურ თვისებებშიც კი. ამით აიხსნება, მაგალითად, ის ფაქტი, რომ სხვადასხვა ქვეყნების ბრბოები განსხვავდებიან მრწამსისა და ქცევის მიხედვით და მათზე თანაბრად ზემოქმედება შეუძლებელია.

2. ტრადიცია

ტრადიციებში პოულობს გამოხატულებას ერის წარსულის იდეები, მოთხოვნები და განცდები; მათში მდგომარეობს ერის სინთეზი, რომელიც მთელი სიმძიმით გვაწვება.

ვინაიდან ჩემს მიერ გამოთქმული ეს აზრი ჯერ კიდევ ახალია - ისტორიის გაგება მის გარეშე რთულია - მე მას წინამორბედ ნაშრომში („ერების ფსიქოლოგია“) ოთხი თავი მივუძღვენი, რომლებშიც მკითხველი იხილავს, რომ მიუხედავად მაცდუნებელი გარეგნობისა, არც ენა, არც რელიგია, არც ხელოვნება, ერთი სიტყვით, ცივილიზაციის არც ერთი ელემენტი არ გადაეცემა ხელშეუხებლად ერთი ერიდან მეორეს.

ბიოლოგიურმა მეცნიერებებმა დიდი ცვლილებები განიცადეს მას შემდეგ, რაც ემბრიოლოგიამ გვიჩვენა, თუ რამხელა გავლენა აქვს წარსულს ცოცხალ არსებათა ევოლუციაზე. ასეთივე ცვლილებები მოხდება ისტორიულ მეცნიერებაში, როდესაც წარსულის გავლენის იდეა უფრო ფართოდ მოიკიდებს ფეხს. იგი ჯერ კიდევ არ არის საკმარისად გავრცელებული, ხოლო მრავალი სახლმწიფო მოხელე კვლავაც გასული საუკუნის თეორეტიკოსთა იმ შეხედულებით არის გამსჭვალული, რომლის თანახმად საზოგადოებას შეუძლია წარსულზე უარის თქმა და ნებისმიერი

მიმართულებით გადაკეთება, თუ იგი გონების შუქით იხელმძღვანელებს.

ერი - წარსულის მიერ შექმნილი ორგანიზმია და, როგორც ნებისმიერი ორგანიზმი, შესაძლოა მხოლოდ ხანგრძლივ მემკვიდრეობით დანალექთა მეშვეობით შეიცვალოს.

ხალხი ტრადიციებით განსაკუთრებით ისეთ დროს ხელმძღვანელობს, როდესაც ბრბოში იმყოფება, ამასთან, იცვლება მხოლოდ სახელწოდებები ანუ გარეგნული ფორმები.

ამის გამო წუხილი არ ღირს. ტრადიციის გარეშე არც ეროვნული მენტალობა იარსებებდა და არც ცივილიზაცია. ამიტომაც ადამიანის ერთ-ერთი უმთავრესი საქმიანობა მას შემდეგ, რაც ის არსებობს, ტრადიციათა დიდი ნაკადის ფორმირება და მისი განადგურება იყო შემდგომ იმისა, რაც ტრადიციის კეთილისმყოფელი გავლენა იშრიტებოდა. ტრადიციის გარეშე შეუძლებელია ცივილიზაციის არსებობა. ტრადიციის რღვევის გარეშე შეუძლებელია რაიმე სახის პროგრესი. სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ მუდმივობასა და ცვალებადობას შორის წონასწორობა ვიპოვოთ, ეს კი უკიდურესად დიდი სირთულეა.

თუ რომელიმე ერი საშუალებას მისცემს ადათებს, მყარად გაიდგან ფეხი რამდენიმე თაობის განმავლობაში, მას უკვე აღარ ძალუძს ცვლილება და, ჩინეთის მსგავსად, კარგავს სრულყოფის უნარს. ძალადობრივი რევოლუციები აქ ვერაფერს გახდებიან, რადგან გაწყვეტილი ჯაჭვის ნაწილები ან კვლავ შეერთდება და წარსული, შესაბამისად, უცვლელი სახით მოიპოვებს უწინდელ ძალაუფლებას, ან ეს ნატეხები გაფანტული დარჩება და ასეთ შემთხვევაში ანარქიას დაღმასვლა მოყვება.

ამგვარად, თითოეული ერის იდეალს წარსულის ინსტიტუტთა შენარჩუნება და მათი თანდათანობითი და ნაკლებად საგრძნობი ცვლილება წარმოადგენს. მაგრამ ასეთი იდეალის მიღწევა უაღრესად რთულია. ძველი რომაელები და თანამედროვე ინგლისელები - ერთადერთი ხალხია, ვინც ამ იდეალის ხორცშესხმა შეძლო.

სწორედ ბრბო წარმოადგენს ტრადიციულ იდეათა ყველაზე მედეგ მცველს და ყველაზე უდრეკად ეწინააღმდეგება მათ ცვლილებას, - განსაკუთრებით ბრბოს ის კატეგორიები, რომლებსაც კასტებს უწოდებენ. მე ადრეც მივანიშნე ბრბოს ამ კონსერვატულ მენტალობაზე და ვთქვი, რომ ხმამაღალ აღშფოთებას მხოლოდ ცნებათა ცვლილებამდე მივყავართ. თუ გასული საუკუნის დანგრეულ ეკლესიებს, მღვდელმსახურთა სიკვდილით დასჯასა და დევნას გავითვალისწინებთ, რომელსაც კათოლიკური კულტი განიცდიდა, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ძველმა რელიგიურმა იდეებმა სრულად დაკარგეს ხიბლი, თუმცა სულ რამდენიმე წელიწადი გავიდა მას შემდეგ, და გაუქმებული კულტი საყოველთაო მოთხოვნით იქნა აღდგენილი. დროებით განდევნილმა ტრადიციებმა კვლავ მოიპოვეს ძალუფლება.

კონვენტის წევრ ფურკრუას მოხსენებაში, რომლის ციტირებას ტენი ახდენს, აღნიშნული სრულიად ნათლად არის ნათქვამი: „კვირა დღის საყოველთაო აღნიშვნა და ეკლესიებში ვიზიტი მიგვანიშნებს, რომ ფრანგთა დიდ მასებს უწინდელი ადათისკენ დაბრუნება სურთ, და ახლა არ არის დრო წინ აღვუდგეთ ეროვნულ მიდრეკილებას... ხალხთა დიდ მასას ესაჭიროება რელიგია, კულტი და მღვდლები. რამდენიმე თანამედროვე ფილოსოფოსის შეცდომა, რომელში მეც ვიყავი შეყვანილი, სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი მიიჩნევდნენ, თითქოს განათლებას, თუ იგი საკმარისად მოიკიდებდა ფეხს ხალხში, შეეძლო რელიგიური ცრურწმენების აღმოფხვრა. ეს ცრურწმენები უბედურთა დიდი რაოდენობის ნუგეშის წყაროს წარმოადგენს...

შესაბამისად, ხალხს უნდა შევუნარჩუნოთ მღვდლები, საკურთხევლები და კულტი.“

არც ერთი მაგალითი არ გვიჩვენებს უკეთესად, რაოდენი ძალაუფლება აქვს ტრადიციას ერის მენტალობაზე. არა ტაძრებში უნდა ვეძებოთ ყველაზე სახიფათო კერპები და არა სასახლეებში ბინადრობენ ყველაზე დესპოტი ტირანები. შეიძლება, რომ ერთიცა და მეორეც წუთის განმავლობაში განადგურდეს. მაგრამ ჭეშმარიტი, უჩინარი მბრძანებლები, რომლებიც ჩვენს სულებში მეფობენ, აღშფოთების ყველა მცდელობას გაურბიან და მხოლოდ საუკუნეთა დინჯ გავლენას ნებდებიან.

3. დრო

სოციალურ, ისევე, როგორც ბიოლოგიურ პრობლემებში, ერთ-ერთ ყველაზე ენერგიულ ფაქტორს დრო წარმოადგენს. იგია ერთადერთი ჭეშმარიტი შემოქმედი და ერთადერთი დიადი გამანადგურებელი. დრომ აღმართა მთები ქვიშიდან და ადამიანურ ღირსებამდე აღაზევა გეოლოგიურ ეპოქათა უცნობი უჯრედი. საუკუნეთა ჩარევა საკმარისია, რომ რომელიმე მოვლენამ სრული ცვლილება განიცადოს. სამართლიანად შენიშნავენ, რომ ჭიანჭველა მონბლანის გასწორებას შეძლებდა, ამისთვის საკმარისი დრო რომ ჰქონოდა. თუკი რომელიმე არსება მაგიურ ძალას მიიღებდა, დროის მიმდინარეობა სურვილის მიხედვით შეეცვალა, იგი იმ ძალაუფლების ტოლი იქნებოდა, რასაც მორწმუნეები ღმერთს მიაწერენ.

ჩვენ ბრბოს შეხედულების გენეზისზე დროის გავლენის განხილვით შემოვიფარგლებით. ამ მიმართებით მისი მოქმედება უაღრესად დიდი გავლენის მქონეა და მას იმდენად დიდი ძალები ემორჩილებიან, როგორიც რასებია, რომლებიც მის გარეშე ვერ ჩამოყალიბდებოდნენ. დრო უწყობს ხელს რწმენის ჩამოყალიბებას, განვითარებასა და სიკვდილს; დრო ანიჭებს მათ ძალას და მასვე მიაქვს იგი უკან. დრო ამზადებს ბრბოს რწმენასა და შეხედულებებს ან, სულ ცოტა, ნიადაგს, რომელზეც ისინი შეიძლება განვითარდნენ. ამიტომაცაა, რომ ზოგი იდეის განხორციელება მხოლოდ კონკრეტულ ეპოქაში შეიძლება, რადგან მათი წარმოქმნა და განვითარება არა უეცრად და შემთხვევით ხდება, ხოლო თითოეულის ფესვები ძალიან დაშორებულ წარსულში უნდა ვეძებოთ. თუ დგება ამ იდეათა გაფურჩქვნის დრო, ესე იგი დრომ მოამზადა ისინი. ამ იდეების გენეზისი მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ წარსულს მივმართავთ. იდეები - წარსულის შვილები და მომავლის მშობლები, მაგრამ ყოველთვის - აწმყოს მონები არიან!

ამგვარად, ჩვენს ჭეშმარიტ მბრძანებელს დრო წარმოადგენს. ჩვენ მას მხოლოდ მოქმედების საშუალება უნდა მივცეთ, რათა ცვლილებები ვიხილოთ ყველაფერში. დღევანდელ დღეს ჩვენ ბრბოს მრისხანე მიზნები გვაშფოთებს და ასევე ის გადატრიალებები და ნგრევა, რასაც, როგორც ჩანს, ისინი გვიქადიან. მაგრამ დრო იზრუნებს წონასწორობის აღდგენაზე.

„არც ერთი რეჟიმი არ შექმნილა ერთ დღეში, - ამბობს ლავოსი. - პოლიტიკური და სოციალური ორგანიზაციები საუკუნეობით იქმნება. ფეოდალიზმი უფორმო და ქაოტური ფორმით მრავალი საუკუნის განმავლობაში არსებობდა, სანამ კონკრეტულ წესებს დაემორჩილებოდა. აბსოლუტური მონარქიაც მრავალი საუკუნე არსებობდა, სანამ მართებული სამთავრობო რეჟიმი არ იქნა მიგნებული - და ყველა გარდამავალ პერიოდში ადგილი ჰქონდა დიდ არეულობას.“

4 პოლიტიკური და სოციალური ინსტიტუტები

ჯერ კიდევ ფართოდ არის გავრცელებული შეხედულება, რომ ინსტიტუტებს ძალუძთ საზოგადოების ნაკლოვანებების აღმოფხვრა, რომ ერების პროგრესი ინსტიტუტებისა და მთავრობათა სრულყოფის შედეგს წარმოადგენს, ხოლო სოციალური ცვლილებების მიღწევა დეკრეტების მეშვეობითაა შესაძლებელი. საფრანგეთის რევოლუციას ათვლის წერტილად სწორედ ეს მოსაზრება გააჩნდა და თანამედროვე სოციალური თეორიებიც მასში პოულობენ საყრდენ წერტილს.

ხანგრძლივმა გამოცდილებამ მაინც ვერ შეძლო ამ სახიფათო ქიმერის სერიოზულად შერყევა, ისტორიკოსები და ფილოსოფოსები კი ფუჭად ცდილობდნენ მისი უსაფუძვლობის დამტკიცებას.

თუმცა მათთვის რთული არ უნდა ყოფილიყო იმის დასაბუთება, რომ ყველა ინსტიტუტი იდეების, გრძნობებისა და ადათების პროდუქტს წარმოადგენს და რომ მათი გადაკეთება მხოლოდ კოდექსების შეცვლის გზით სულაც არ არის იოლი საქმე. ერი თვითონ არ ირჩევს საკუთარი თავისთვის ინსტიტუტებს, ზუსტად ისე, როგორც ადამიანი არ ირჩევს თმისა და თვალის ფერს. ინსტიტუტები და მთავრობები - ერის პროდუქტია, და არა ისინი ქმნიან ეპოქას, არამედ ეპოქა ქმნის მათ. ერები ისე არ იმართებიან, როგორც ამას მათი ხასიათი მოითხოვს. მთელი საუკუნეებია საჭირო რომელიმე პოლიტიკური რეჟიმის ჩამოსაყალიბებლად, და ასევე საუკუნეებია საჭირო მის შესაცვლელად. ინსტიტუტები თავისთავად არც სასიკეთოა და არც საზიანო და ის, რომელიც სიკეთის მომტანია რომელიმე ერისთვის მოცემულ წუთს, სრულიად გამოუსადეგარი იქნება სხვა დროს. ამიტომაც არ ძალუძს ერს ამ ინსტიტუტთა შეცვლა; მას ძალადობრივი რევოლუციების გზით ინსტიტუტთა მხოლოდ დასახელების შეცვლა შეუძლია, როდესაც მათი არსი არ იცვლება. თუმცა სახელწოდებებს მნიშვნელობა არ ენიჭებათ - ეს სხვა არაფერია, თუ არა იარლიყები, ხოლო ისტორიკოსი, რომელიც მოვლენათა არსს წვდება, მათ ყურადღებას არ მიაქცევს. ასე მაგალითად, სამყაროს ყველაზე დემოკრატულ ქვეყანას, ინგლისს, მონარქია მართავს, როდესაც ლათინური ამერიკის რესპუბლიკებში, მიუხედავად რესპუბლიკური ინსტიტუტების არსებობისა, უმძიმესი დესპოტიზმი ბატონობს. ერთა ბედი მათი ხასიათით და არა მთავრობის მიერ განისაზღვრება. წინამორბედ შრომაში მე შევეცადე ეს მკაფიო მაგალითებით დამედასტურებინა.

ამ ყველაფერს აშშ-იც კი აღიარებს ყველაზე მოწინავე რესპუბლიკელების სახელით. ამერიკულმა ჟურნალმა „Forum“ ამასთან დაკავშირებით კატეგორიული შეხედულება ჩამოაყალიბა, რომელსაც მე „Review of Reviews“-ის 1894 წლის ნომრიდან ვსესხულობ: „არისტოკრატიის ყველაზე მგზნებარე მტრებმაც არ უნდა დაივიწყონ, რომ ინგლისი - სამყაროს ყველაზე დემოკრატული ქვეყანაა, სადაც პიროვნების უფლებებს უმაღლეს პატივს სცემენ და სადაც პიროვნება ყველაზე დიდი თავისუფლებით სარგებლობს.“

ამგვარად, კონსტიტუციის საგულდაგულო შედგენა რიტორიკაში ფუჭ და უსარგებლო ვარჯიშად წარმოდგება, რადგან დრო და საჭიროება თავად იზრუნებენ იმის შესახებ, რომ კონსტიტუციის შესაბამისი ფორმა შეიმუშაონ, თუ ამ ორ ფაქტორს მოქმედების შესაძლებლობას მივცემთ.

სწორედ ასე მოქმედებდნენ ანგლო-საქსები, რასაც ჩვენ დიდი ისტორიკოსი მაქალეი გვატყობინებს (რომლის სიტყვები ყველა ლათინოამერიკელმა პოლიტიკოსმა ზეპირად უნდა დაისწავლოს), რომელმაც დაამტკიცა, თუ რამდენი სიკეთე

მოიტანეს კანონებმა, რომლებიც წმინდა გონების თვალსაზრისით უგნურებებისა და წინააღმდეგობების კრებულს წარმოადგენდა. მაქალეი სხვადასხვა კონსტიტუციებს, რომლებიც ევროპისა და ამერიკის ლათინური ერების მღელვარებათა დროს დაიღუპა, ინგლისის კონსტიტუციას ადარებს და ამბობს, რომ ეს უკანასკნელი მდოვრედ, ნაწილ-ნაწილ, უშუალო საჭიროების გავლენით იცვლებოდა, მაგრამ არასოდეს - სპეკულატური მსჯელობის საფუძველზე. „არა სიმეტრიის შესახებ ზრუნვა, - ამბობს მაქალეი. - არამედ მეტი დაფიქრება სარგებლის შესახებ; ანომალიების არგაუქმება მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ანომალიებს წარმოადგენენ; ახლის არდანერგვა, სანამ უხერხულობის განცდა არსებობს, ამასთან, ახალი წესების დაშვება მხოლოდ იმდენად ხდება, რამდენადაც ისინი ამ განცდის გასაქარწყლებლად არის საჭირო; არგადალახვა იმ კერძო შემთხვევის საზღვრებისა, რომელსაც დახმარება უნდა გავუწიოთ - აი წესები, რომლებითაც, ჩვეულებრივ, ხელმძღვანელობდა ჩვენი 250 პარლამენტი იოანეს დროიდან ვიქტორიას ეპოქამდე.“

ყოველი ერის კანონები და ინსტიტუტები ცალკე უნდა შევისწავლოთ, რათა მკაფიო აზრი შეგვექმნას იმის შესახებ, თუ რამდენად წარმოადგენენ ისინი ერის მოთხოვნის გამოხატულებას და უკვე ამიტომ არ შეიძლება ძალადობრივი გზით იქნან შეცვლილნი. მაგალითად, შეგვიძლია ფილოსოფიური თვალსაზრისით ვიმსჯელოთ ცენტრალიზაციის სარგებლისა და ზიანის შესახებ, მაგრამ თუ იმას გავიხსენებთ, რომ დიდი რევოლუცია, რომელიც წარსულის ინსტიტუტების დამხობას ესწრაფვოდა, არა მარტო იძულებული შეიქნა პატივი ეცა ამ ცენტრალიზაციისთვის, არამედ განავითარა კიდეც ის, უნებურად უნდა ვაღიაროთ, რომ ეს ინსტიტუტი მწვავე აუცილებლობის პროდუქტია და იგი ერის არსებობის ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს; სწორედ ამიტომ უნდა გამოვთქვათ მწუხარება ზოგი პოლიტიკური მოღვაწის შეზღუდულობის გამო, რომელიც მის განადგურებას მოითხოვს. მათ რომ შემთხვევით მიეღწიათ საკუთარი მიზნისთვის, ეს სასტიკ სამოქალაქო ომს გამოიწვევდა, რომელიც ახალ ცენტრალიზაციამდე მიგვიყვანდა, რაც კიდევ უფრო მძიმე ასატანი იქნებოდა, ვიდრე წინამორბედი.

თუკი პარალელს გავავლებთ ამჟამინდელ ღრმა რელიგიურ და პოლიტიკურ უთანხმოებას, რომელიც საფრანგეთის სხვადასხვა პარტიებს ყოფს ერთმანეთისგან და რაც უმთავრესად რასობრივ საკითხს წარმოადგენს, და სეპარატისტულ ტენდენციებს შორის, რომლებიც რევოლუციის ეპოქაში წარმოიშვნენ და კვლავ შეგვახსენეს თავი საფრანგეთ-პრუსიის ომის დასასრულს, ვიხილავთ, რომ საფრანგეთში არსებული სხვადასხვა ერები ერთმანეთს სულაც არ შერწყმიან.

ენერგიული ცენტრალიზაცია და ხელოვნურ დეპარტამენტთა ჩამოყალიბება, რომლებსაც უწინდელ პროვინციათა შერწყმა უნდა განეხორციელებინათ, უდაოდ რევოლუციის ყველაზე სასარგებლო მონაპოვარი იყო.

დეცენტრალიზაციის განხორციელება რომ ყოფილიყო შესაძლებელი, როგორც ამის შესახებ საუბრობენ არაშორსმჭვრეტელი ადამიანები, ის ძალიან სწრაფად გამოიწვევდა სისხლიან განხეთქილებას. ამის უღიარებლობა ჩვენი ქვეყნის მთელი ისტორიის უგულვებელყოფას ნიშნავს.

ყოველივე ზემოთქმულიდან ის უნდა დავასკვნათ, რომ ბრბოს სულზე ინსტიტუტების მეშვეობით ზემოქმედება შეუძლებელია. თუ ჩვენ ვხედავთ, რომ ზოგიერთმა ქვეყანამ, მაგალითად, აშშ-მა, განვითარების მაღალ საფეხურს მიაღწია დემოკრატული ინსტიტუტების დახმარებით, ხოლო სხვებში, მაგალითად ლათიანოამერიკულ რესპუბლიკებში, სრული ანარქია

სუფევს, მიუხედავად ზუსტად ასეთი ინსტიტუტებისა, ეს მაინც არ ნიშნავს, რომ ინსტიტუტები ასრულებენ რაიმე როლს ერთის განვითარებასა და მეორის დაცემაში. ერები მათი ხასიათის თვისებებით იმართებიან, ხოლო ისეთი დაწესებულებები, რომლებიც ზუსტად არ შეესაბამება ერის ხასიათს, სხვას არაფერს წარმოადგენს, თუ არა სამოსის სესხებას ან დროებით გადაცმას. სისხლიანი ომები და მძვინვარე რევოლუციები არაერთხელ მომხდარა და კვლავაც მოხდება იმ ინსტიტუტების დანერგვის მიზნით, რომლებსაც, როგორც წმინდანთა რელიქვიებს, ადამიანთა ბედნიერების შექმნის ზებუნებრივი ძალა მიეწერებათ. გარკვეული აზრით, რასაკვირველია, შეიძლება ითქვას, რომ ინსტიტუტები ახდენენ გავლენას ბრბოს სულზე, რადგან ისინი ბადებენ მსგავს ამბოხს, მაგრამ სინამდვილეში აქ ინსტიტუტები არ მოქმედებენ, რადგან გაიმარჯვებენ ისინი თუ დამარცხდებიან, თავისთავად მათ არანაირი თვისებები არ გააჩნიათ. ბრბოზე მხოლოდ ილუზიები, განსაკუთრებით კი, სიტყვები მოქმედებს, ქიმერული და ძლიერი. ქვემოთ ვიხილავთ, რაოდენ დიდია მათი განსაცვიფრებელი გავლენა ბრბოზე.

5. აღზრდა და განათლება

იდეათა პირველ რიგში, რომლებსაც გაბატონებული მდგომარეობა უკავიათ მოცემულ ეპოქაში და, მიუხედავად ხშირად ილუზორული ხასიათისა და მცირე რაოდენობის, ძალა გააჩნიათ, დღევანდელ დღეს შემდეგი უნდა დავასახელოთ: განათლებას შესწევს ძალა ფუნდამენტურად შეცვალოს ადამიანები და უპირობოდ უნდა გააუმჯობესოს ისინი და მათ შორის თანასწორობას შეუწყოს ხელი. აღნიშნული დებულება განმეორების გზით დემოკრატიის ერთ-ერთ ყველაზე ურყევ დოგმატად იქცა, და დღეს მისი ოდნავი კრიტიკა ისევე სახიფათოა, როგორც ოდესღაც ეკლესიის დოგმატებისა.

მაგრამ ამ პუნქტთან მიმართებით, ისევე, როგორც მრავალ სხვასთან, დემოკრატული იდეები სრულ წინააღმდეგობაში აღმოჩნდნენ ფსიქოლოგიისა და გამოცდილების მონაცემებთან. მრავალი სახელოვანი ფილოსოფოსი, ჰერბერტ სპენსერის ჩათვლით, იოლად ასაბუთებს, რომ განათლება ადამიანს არც მეტად ზნეობრივად აქცევს და არც მეტად ბედნიერად, და არც მის ინსტინქტებსა და მემკვიდრეობით განცდებს ცვლის, ზოგჯერ კი, თუ არასათანადო მიმართულება მიეცა, მეტად ზიანი მოაქვს, ვიდრე სარგებელი. სტატისტიკოსებმა დაადასტურეს ეს შეხედულება, გვიჩვენეს რა, რომ დანაშაულის რაოდენობა იზრდება განათლების განზოგადებასთან ერთად ან, სულ ცოტა, კონკრეტული განათლების განზოგადებასთან ერთად. ახლახან გამოქვეყნებულ ნაშრომში ადოლფ გილიო მიანიშნებს, რომ დღესდღეობით 1000 გაუნათლებელ დამნაშავეზე მოდის 3000 განათლებული, ხოლო 50 წლის შუალედში დამნაშავეთა რაოდენობა გაიზარდა 227-დან ყოველ 100,000 მცხოვრებზე 552-მდე ანუ ზრდამ 143% შეადგინა.

უდაოა, არავინ შეეკამათება იმ აზრს, რომ სათანადოდ მიმართულ განათლებას უაღრესად სასარგებლო პრაქტიკული შედეგების მოცემა შეუძლია, თუ ზნეობის გაჯანსაღების არა, სულ ცოტა, პროფესიულ უნართა გაუმჯობესების გზით. სამწუხაროდ, ლათინურმა ქვეყნებმა, განსაკუთრებით უკანასკნელი 25 წლის განმავლობისას, განათლების საკუთარი სისტემები სრულიად მცდარ პრინციპებზე დააფუძნეს და, მიუხედავად ისეთ გამოჩენილ ადამიანთა შენიშვნებისა, როგორებიც ბრიული, ფიუსტელ დე კულანჟი, ტენი და სხვები არიან, ისინი კვლავ საკუთარ სამწუხარო ცთომილებებს იცავენ. მე ერთ-ერთ წინამორბედ ნაშრომში ვაჩვენე, როგორ აქცევს ჩვენი საგანმანათლებლო სისტემა საზოგადოების

მტრებად მათ, ვინც ასეთი აღზრდა მიიღო, და როგორ ამზადებს იგი სოციალიზმის ყველაზე ცუდი ფორმების მიმდევრებს.

ამ საგანმანათლებლო სისტემის, რომელსაც სამართლიანად უწოდებენ ლათინურს, მთავარი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ ის იმ ფსიქოლოგიურ ცთომილებას ეყრდნობა, თითქოს სახელმძღვანელოთა ზეპირად დასწავლით გონება ვითარდებოდეს. ასეთი შეხედულების გამოისობით აიძულებენ რაც შეიძლება მეტის დასწავლას, და დაწყებითი სკოლიდან სამეცნიერო ხარისხის მიღებამდე ახალგაზრდა კაცი მხოლოდ იმას აკეთებს, რომ წიგნებს სწავლობს, რა დროს არც მისი მსჯელობის უნარი და არც ინიციატივა არ ვარჯიშდება. მთელი სწავლება იმით შემოიფარგლება, რომ ზეპირად უპასუხოს და მოისმინოს. „გაკვეთილების დასწავლა, - წერს სახალხო განათლების ერთ-ერთი ყოფილი მინისტრი, ჟიულ სიმონი. - გრამატიკის ან კონსპექტის ზეპირად ცოდნა, სათანადოდ გამეორება ან მიბაძვა - აი, აღზრდის საინტერესო სისტემა, სადაც ყოველი ძალისხმევა მხოლოდ მასწავლებლის უცოდველობის რწმენის აქტს წარმოადგენს და მხოლოდ იმისკენ მივყავართ, რომ დაგვაკნინოს და უსუსურებად გვაქციოს.“

ასეთი აღზრდა რომ მხოლოდ უსარგებლო იყოს, მაშინ სინანულით შემოვიფარგლებოდით იმ უბედური ბავშვების გამო, რომლებსაც კლოტარიუსის შვილების გენეალოგიის, ან ნევსტრიისა და ავსტროზიის ბრძოლის ისტორიის, ან ზოოლოგიურ კლასიფიკაციათა სწავლებას აიძულებენ, ნაცვლად იმისა, რომ დაწყებით სკოლაში რაიმე სასარგებლოს აზიარონ. მაგრამ აღზრდის ასეთი სისტემა კიდევ უფრო დიდ ხიფათს შეიცავს: იგი მის მიმღებს უნერგავს ზიზღს საკუთარი საზოგადოებრივი მდგომარეობისადმი და ამგვარად გლეხს აღარ სურს, რომ იყოს გლეხი, ხოლო უკანასკნელი ბურჟუა ვერ ხედავს სხვა კარიერას შვილისთვის, გარდა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული თანამდებობისა. ნაცვლად იმისა, რომ ადამიანები ცხოვრებისთვის მოამზადოს, სკოლა მათ მხოლოდ სახელმწიფო თანამდებობების დაკავებისთვის განაწყობს, სადაც წარმატების მიღწევა ინიციატივის გამოჩენისა და დამოუკიდებლად მოქმედების გარეშე შეიძლება. კიბის ძირას აღზრდის ასეთი სისტემა ქმნის საკუთარი ბედით უკმაყოფილო პროლეტართა ჯარს, რომელიც მზად არის აღშფოთებისთვის, ზევით კი დაუფიქრებელ ბურჟუაზიას, სკეპტიკურსა და მიმნდობს, რომელსაც ცრურწმენითი ნდობა აქვს სახელმწიფოს პროვიდენციალური ძალისადმი, რომლის წინააღმდეგ, მიუხედავად ყველაფრისა, ის განუწყვეტლივ ფრონდირებს და გამუდმებით დებს ბრალს მთავრობას მის საკუთარ შეცდომებში, თუმცა თავად თითქმის არაფერი შეუძლია ხელისუფლების ჩარევის გარეშე.

სახელმწიფოს, რომელიც ამ დიპლომირებულ ვაჟბატონებს ქმნის, მათი მხოლოდ მცირე რაოდენობის გამოყენება შეუძლია, სხვებს კი საქმის გარეშე ტოვებს და, ამგვარად, ერთ ნაწილს კვებავს, მეორეთაგან კი მტრებს ბადებს. დიპლომირებულთა უზარმაზარი მასა იკავებს დღესდღეობით ყველა ოფიციალურ თანამდებობას და თითოეულ ყველაზე მოკრძალებულ, ოფიციალურ პოზიციაზე კანდიდატებს ათასობით ითვლიან, მაშინ, როდესაც რომელიმე ნეგოციანტისთვის უკიდურესად რთულია აგენტის მოძიება, რომელიც მისი წარმომადგენელი იქნებოდა კოლონიებში. მხოლოდ სენის დეპარტამენტი ითვლის 20,000 საქმის გარეშე არსებულ მასწავლებელს, რომელსაც სძულს რა ხელობა და მინდვრის სამუშაო, სახელმწიფოს მიმართავს ცხოვრების საშუალებებისთვის. ვინაიდან რჩეულთა რაოდენობა შეზღუდულია, გარდუვალად იზრდება უკმაყოფილოთა რიცხვი, ვინც მზად არის ნებისმიერი

სახის მღელვარებაში მიიღოს მონაწილეობა, მიუხედავად მიზნისა და ბელადების ვინაობის.

ისეთი ცოდნის მიღება, რომელიც შემდეგ საქმისთვის ვერ იქნება გამოყენებული, ადამიანში უკმაყოფილების წარმოშობის უტყუარ საშუალებას წარმოადგენს.

ეს მოვლენა არა მხოლოდ ლათინური ქვეყნებისთვის არის დამახასიათებელი; იგივეს შეგვიძლია დავაკვირდეთ ჩინეთში - ქვეყანაში, რომელიც მანდარინთა სოლიდური იერარქიის მიერ იმართება, სადაც მანდარინის წოდების მოპოვება, ისევე, როგორც ჩვენთან, კონკურსის გზით ხდება. ამასთან, მთელი გამოცდა სქელ სახელმძღვანელოთა უშეცდომო ციტირებაში მდგომარეობს. ჯარი მეცნიერებისა, რომლებსაც არანაირი საქმე არ გააჩნიათ, დღესდღეობით ჩინეთში ეროვნულ უბედურებას წარმოადგენს. იგივე ხდება ინდოეთში მას შემდეგ, რაც იქ ინგლისელებმა გახსნეს სკოლები, მაგრამ არა განათლების, როგორც ეს ინგლისში ხდება, არამედ ადგილობრივ მკვიდრთა გაწვრთნისთვის. შედეგად ინდოეთში შეიქმნა სწავლულთა საგანგებო კლასი, ბაბუ, რომლებიც, ვერ იღებენ რა ცოდნას, ინგლისის ბატონობის შეურიგებელ მტრებად იქცევიან. ყველა ბაბუს - დასაქმებულისა თუ დაუსაქმებელის - მიერ მიღებული განათლების პირველ შედეგს ზნეობის ხარისხის შემცირება წარმოადგენს. ამ ფაქტის კონსტატირებას, რომლის შესახებ მე ვრცლად ვისაუბრე წიგნში „Les Civilizations de L'Inde“, ახდენს ყველა ავტორი, ვისაც ინდოეთი მოუნახულებია.

უკან დაბრუნება ახლა, როგორც ჩანს, ძალიან დაგვიანებულია. მხოლოდ გამოცდილება - ხალხების უკანასკნელი აღმზრდელი - აიღებს საკუთარ თავზე ჩვენ შეცდომებზე მითითების ფუნქციას და მხოლოდ ის დაგვარწმუნებს ჩვენი უვარგისი სახელმძღვანელოებისა და უბადრუკი კონკურსების შეცვლის აუცილებლობაში პროფესიული განათლებით, რომელიც დააბრუნებს ჩვენს ახალგაზრდობას მინდვრებში, სახელოსნოებსა და კოლონიალურ საწარმოებში, რასაც ყველა საშუალებით არიდებენ ისინი თავს დღესდღეობით.

ეს პროფესიული განათლება, რომელსაც აგრერიგ ითხოვენ ახლა განათლებული თავები, ოდესღაც არსებობდა ჩვენში, ხოლო იმ ერებმა, რომლებიც მეწარმეობის ნებით, ინიციატივითა და მენტალობით ბატონობენ სამყაროში, შეძლეს მისი შენარჩუნება. დიდმა მოაზროვნე ტენმა შესანიშნავ შრომაში ცხადად დაასაბუთა, რომ უწინდელი განათლება ჩვენში თითქმის ისეთივე იყო, როგორიც ახლაა ინგლისსა და ამერიკაში და, გაავლო რა ბრწყინვალე პარალელი აღზრდის ლათინურ და ანგლოსაქსონურ სისტემებს შორის, ნათლად გვიჩვენა ორივე მეთოდის შედეგი.

შესაძლოა უკიდურეს შემთხვევაში შევრიგებოდით კიდეც ჩვენი კლასიკური განათლების ყველა უხერხულობას, თუნდაც ის უკმაყოფილოთა დიდ რაოდენობას შობდეს, ასეთი დიდი ოდენობით ზედაპირული ცოდნის დაუფლებასა და ამდენი სახელმძღვანელოს დასწავლას რომ მართლაც შეეძლოს გონებრივ შესაძლებლობათა გაუმჯობესება. სამწუხაროდ, ეს ასე არ არის. გონება, გამოცდილება, ინიციატივა და ხასიათი - აი, ცხოვრებისეული წარმატების პირობები; წიგნები ამას არ იძლევიან. წიგნები - ლექსიკონებია, რომლებიც უკიდურესად სასარგებლოა ცნობების მოსაგროვებლად, მაგრამ სრულიად უსარგებლოა მათი დიდი ნაწილების თავში შენახვა.

რამდენად შეუძლია პროფესიულ განათლებას კლასიკურზე მეტად შეუწყოს ხელი გონების განვითარებას, ტენი შემდეგი სიტყვებით ხსნის: „იდეები მხოლოდ საკუთარ ბუნებრივ და ნორმალურ გარემოში წარმოიქმნება. ამ იდეათა ჩანასახების განვითარებას ხელს მრავალი შთაბეჭდილება უწყობს, რომელსაც

ყრმა ყოველდღიურად იღებს სახელოსნოში, საბადოზე, სასამართლოში, კლასში, გემთსაშენში, საავადმყოფოში ინსტრუმენტების, მასალებისა და ოპერაციების ხილვისას, კლიენტებისა და მუშების თანდასწრებით, კარგად ან ცუდად შესრულებული, მომგებიანი ან წამგებიანი შრომის პირობებში. თვალის, ყურის, ხელებისა და ყნოსვის მიერ აღქმული ყველა ეს წვრილმანი, უნებურად შენახული გონებაში და იდუმალად გადამუშავებული, ორგანიზებულ სახეს იღებს, რათა ადრე თუ გვიან ადამიანს ახალი კომბინაცია, გამარტივება, ეკონომია, გაუმჯობესება ან გამოგონება შთააგონოს. ახალგაზრდა ფრანგი მოკლებულია ამ ძვირფას შთაბეჭდილებებს, შეხებას ადვილად შეთვისებად და აუცილებელ ელემენტებთან, ამასთან, მოკლებულია ყველაზე ნაყოფიერ ასაკში. შვიდი ან რვა წლის განმავლობაში ის სკოლის კედლებშია ჩაკეტილი, შორს პირადი და უშუალო გამოცდილებისგან, რასაც შეეძლო მისთვის ზუსტი და ღრმა ცოდნა მიეცა საგნების, ადამიანებისა და მათთან მოპყრობის სხვადასხვა საშუალებების შესახებ.

„...ათიდან სულ ცოტა ცხრამ დაკარგა საკუთარი დრო რამდენიმე წლის განმავლობისას და თან ისეთ წლებში, რომლებიც ყველაზე ქმედითს, მნიშვნელოვანსა და გადამწყვეტს წარმოადგენენ. პირველ რიგში ნახევარი ან ორი მესამედი გამოაკელით მათ, ვინც გამოცდებზე ცხადდება ანუ უგულვებელყოფილები; შემდეგ მიღებულებს, ვინც სწავლულთა ხარისხი, მოწმობა, დიპლომი და ა.შ. მიიღო, ასევე გამოაკელით ნახევარი ან ორი მესამედი - მე გადაღლილთა შესახებ ვსაუბრობ. მათ მეტისმეტად ბევრი მოთხოვეს, აიძულეს რა მოცემულ დღეს სკამზე ჯდომა რომელიმე სურათის წინ და ორი საათის განმავლობაში სწავლულთა ჯგუფის წინაშე ადამიანური ცოდნის ცოცხალი მარაგის წარმოსახვა. მართლაც, ამ ორი საათის განმავლობისას ისინი დიდ საცავს წარმოადგენდნენ, მაგრამ ერთი თვის შემდეგ იგივე გამოცდას ვეღარ გაუძლებდნენ. მათ მიერ მიღებული ცოდნა, მძიმე და რაოდენობით დიდი, გამუდმებით ქრება მათი გონებიდან, ახალს კი ისინი ვერ იძენენ. მათი გონებრივი ძალა შეირყა, ნაყოფიერი წვენები დაიშრიტა. ჩვენ წინაშეა ადამიანი „მზა და ხშირად სრულიად წყალწაღებული“. მას შემდეგ, რაც მოეწყობა, დაქორწინდება და ერთსა და იმავე წრეში ტრიალის აუცილებლობას დაემორჩილება, იგი იკეტება ვიწრო საზღვრებში სამსახურისა, რომელსაც სათანადოდ ასრულებს, მაგრამ ამას იქით არ მიდის...“

ცნობილი ფსიქოლოგი ამის შემდეგ იმ განსხვავებაზე მიანიშნებს, რომელიც ჩვენს სისტემასა და ანგლოსაქსონურს შორის არსებობს. ამ უკანასკნელთ არ აქვთ იმდენი სპეციალიზებული სკოლა, რამდენიც ჩვენ; მათ არა წიგნები ასწავლიან, არამედ თავად საგნები. ინჟინერი იქ უშუალოდ სახელოსნოში სწავლობს და არა სკოლაში, რაც საშუალებას აძლევს მას მიიღოს მისი გონებრივი შესაძლებლობების შესაბამისი ცოდნა, დარჩეს უბრალო მუშად ან ოსტატად იქცეს, თუ მეტის უნარი არ გააჩნია, ან ინჟინერი გახდეს, თუკი ამას მისი შესაძლებლობები უწყობს ხელს. ასეთი მეთოდი უდაოდ უფრო დემოკრატული და საზოგადოებისთვის სარგებლის მომტანია, ვიდრე ის, რომელიც 18 თუ 20 წლის ახალგაზრდის მთელ კარიერას იმ გამოცდილებაზე დამოკიდებულად აქცევს, რომელიც მხოლოდ რამდენიმე საათს გრძელდება.

„საავადმყოფოში, საბადოზე, ფაბრიკაში, არქიტექტორთან ან ადვოკატთან შეგირდი, რომელიც უკიდურესად ახალგაზრდა ასაკში იწყებს საქმიანობას, სწავლებისა და პრაქტიკის მთელ კურსს გაივლის, თითქმის ისევე, როგორც ჩვენთან გაივლის მას კლერკი კანტორაში ან მხატვარი სახელოსნოში. მანამ, სწავლის დაწყებამდე,

მას უკვე შეეძლო გაევლო რაიმე ზოგადი კურსი, რომელიც საფუძველს წარმოადგენს შემდგომ შესაძენი ცოდნისთვის.

გარდა ამისა, ხშირად მისთვის მისაწვდომია ტექნიკური კურსები, რომლებზე დასწრება მას თავისუფალ დროს შეუძლია, რათა ყოველდღიური გამოცდილებით მიღებული დაკვირვებები მოიყვანოს წესრიგში. ასეთი მოდელის პირობებში შეგირდის პრაქტიკული უნარები უმჯობესდება და თავისთავად ვითარდება, ზუსტად იმ ხარისხით, რაც მის ბუნებრივ ნიჭს შეესაბამება, და იმ მიმართულებით, რომელიც მისი მომავალი საქმიანობის, იმ სპეციალური საქმისთვის არის აუცილებელი, რომელსაც სურს რომ თავი მიუძღვნას. ამგვარად, ინგლისსა და აშშ-ში ყმაწვილი ძალიან სწრაფად ახერხებს საკუთარი ნიჭიდან სარგებლის მიღებას. 25 წლის ასაკში, თუკი ის გონებრივ შესაძლებლობათა დეფიციტს არ განიცდის, იგი შეიძლება უკვე არა მხოლოდ კარგი შემსრულებელი, არამედ მეწარმეც იყოს, არა მხოლოდ მანქანა, არამედ ძრავიც. საფრანგეთში, სადაც საპირისპირო სისტემამ გაიმარჯვა, რომელიც თაობიდან თაობამდე სულ უფრო ჩინურ ხასიათს იძენს, დაკარგული ძალების ჯამური რაოდენობა ძალიან დიდია.“

და დიდი ფილოსოფოსი შემდეგ დასკვნამდე მიდის ჩვენს ლათინურ განათლებასა და ცხოვრებას შორის მზარდი შეუსაბამობის შესახებ: „სწავლების სამივე სტადიაზე - საბავშვო, ყრმობისა და საყმაწვილო ასაკში - წიგნების მეშვეობით თეორიული, სასკოლო მომზადება უფრო ხანგრძლივი და სამძიმო გახდა ხარისხების, დიპლომებისა და მოწმობების მიღების მიზეზით. სასკოლო მეცადინეობათა გახანგრძლივება და გართულება გამოწვეულია ბუნების საწინააღმდეგო მოდელის გამოყენებით, რომელიც პრაქტიკული სწავლების გადადებაში, ხელოვნურ ვარჯიშსა და ფუჭი ცნობებით თავის მექანიკურად გამოტენვაში, გადაღლაში გამოიხატება. ამასთან მხედველობაში არ მიიღება შემდეგი წლები და ვალდებულებები, რომელთა შესრულება მოუწევს ზრდასრულ კაცს. ერთი სიტყვით, არც რეალური სამყარო, რომელშიც უნდა შეაბიჯოს ახალგაზრდამ, არც გარემომცველი საზოგადოება, რომელსაც ის წინდაწინ უნდა მოერგოს, არც ცხოვრებისეული შეჯახებები, რომელთათვის ყმაწვილი წინასწარ უნდა მოემზადოს, გამაგრდეს და შეიარაღდეს (სხვაგვარად ის წინააღმდეგობასა და თავის დაცვას ვერ შეძლებს), აღზრდის ამ სისტემის მიერ მხედველობაში არ მიიღება. ჩვენი სკოლები არ უზრუნველყოფენ მოწაფეებს იმ მომზადებით, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, არ უზრუნველყოფენ საღი აზრის, ნებისა და ნერვების აუცილებელი სიმტკიცით. პირიქით, იმის ნაცვლად, რომ მოწაფე ცხოვრების პირობებისთვის მოამზადოს, სკოლა ამისათვის აუცილებელ უნარებს სპობს მასში. აქედან ის გამომდინარეობს, რომ მის მიერ ცხოვრებაში პირველი ნაბიჯების გადადგმასა და პრაქტიკული საქმიანობის დაწყებას ხშირად რიგი უსიამოვნო წარუმატებლობები ახლავს თან, რაც მასში შეურაცხყოფისა და სინანულის გრძნობებს აღძრავს, და ზოგჯერ სამუდამოდ ამახინჯებს მას. ეს მძიმე და სახიფათო გამოცდაა; არსებობს რისკი ზნეობრივი და გონებრივი წონასწორობის დარღვევისა, რაც შესაძლოა აღარასდროს აღდგეს. იმედგაცრუება ერთაბაშად მოდის და ის სრულია; ცთომილება დიდი იყო და უსიამოვნებებიც დიდი იქნება.“

ეს ტენის მიერ შექმნილი უკანასკნელი სტრიქონებია. მათში შესანიშნავად არის შეჯამებული დიდი ფილოსოფოსის ხანგრძლივი გამოცდილების შედეგები. ვფიქრობ, ისინი სრულიად გაუგებარია ჩვენი უნივერსიტეტების იმ პროფესორებისთვის, რომლებიც საზღვარგარეთ არ ყოფილან. აღზრდა - ერთადერთი საშუალებაა, რომელსაც ვფლობთ ერის სულზე სამოქმედოდ, და სამწუხაროა იმის გააზრება, რომ საფრანგეთში არავინაა, ვინც მიხვდებოდა, რომ

ჩვენი თანამედროვე აღზრდა წარმოადგენს სწრაფი დაცემის სახიფათო ელემენტს, რომელიც, ნაცვლად იმისა, რომ ავითარებდეს ახალგაზრდობას, რყვნის და ამცირებს მას.

ურიგო არ იქნებოდა, ტენის ეს სტრიქონები იმ დაკვირვებებისთვის შეგვედარებინა, რომლებიც პოლ ბურჟემ განახორციელა აშშ-ის აღმზრდელობით სისტემაზე და შესანიშნავად ასახა წიგნში „Outre-Mer“. ასევე აღიარებს რა, რომ ჩვენი აღმზრდელობითი სისტემა ან უნებო და უინიციატივო, შეზღუდულ ბურჟუას ქმნის ან ანარქისტს, - „ორი ტიპი და ორივე ერთნაირად საშიში, - ცივილიზებული ადამიანი, რომელიც უსუსურად ბრუნავს უძლური ბიწიერების მორევში, ან შეპყრობილია განადგურების წყურვილით“, - ავტორს ყურადღების ღირსი შედარებები მოაქვს. იგი ფრანგულ ლიცეუმს, დეგენერირების ამ ფაბრიკას, ამერიკულ სკოლას ადარებს, რომელიც საუცხოოდ ამზადებს ადამიანს ცხოვრებისთვის. აქედან ნათლად ჩანს, რაოდენი უფსკრულია ჭეშმარიტად დემოკრატულ ხალხებსა და ისეთებს შორის, სადაც დემოკრატია მხოლოდ სიტყვით და არა საქმით არსებობს.

არ იფიქროთ, რომ წინამორბედი სტრიქონებით ბრბოს ფსიქოლოგიის საკითხს დავშორდით. მოცემულ მომენტში ბრბოში დაბუდებული იმ იდეებისა და რწმენის გასააზრებლად, რომლებიც მზად არიან ხვალვე ამოხეთქონ და განვითარდნენ, აუცილებელია ცოდნა იმისა, თუ როგორ მზადდებოდა მათთვის ნიადაგი. განათლება, რომელსაც რომელიმე ქვეყნის ახალაგზრდობა იღებს, საშუალებას გვაძლევს განვჭვრიტოთ, რა ბედი ელის ამ ქვეყანას. თანამედროვე თაობის მიერ მიღებული აღზრდა ყველაზე პესიმისტური პროგნოზის გაკეთების შესაძლებლობას გვაძლევს. განათლებასა და აღზრდას გარკვეული ხარისხით შეუძლიათ ბრბოს მენტალობის გაუმჯობესებაც და წახდენაც. აუცილებელი იყო იმის მინიშნება, თუ როგორ მოქმედებს მასზე თანამედროვე სისტემა და როგორ იქცა გულგრილ და ნეიტრალურ ინდივიდთა უზარმაზარი მასა თანდათანობით უკმაყოფილოთა ლაშქრად, რომელიც მზად არის უტოპისტთა და რიტორთა ნებისმიერ ჩაგონებას დაემორჩილოს. სწორედ სკოლებში ეყრება საფუძველი ლათინური ერების მომავალ დაცემას.

თავი მეორე. ბრბოს შეხედულების მყისიერი ფაქტორები

1. ხატები, სიტყვები და ფორმულები. - სიტყვებისა და ფორმულების მაგიური ძალა. - სიტყვის ძლევამოსილი გავლენა უკავშირდება ხატებს, რომლებსაც იგი იწვევს, და არ არის დამოკიდებული მათ რეალურ მნიშვნელობაზე. ხატები დროისა და ეროვნების შესაბამისად იცვლება. - სიტყვათა გაცვეთა. - სიტყვის არსის ცვლილება ეროვნების შესაბამისად. - სიტყვის „დემოკრატია“ განსხვავებული მნიშვნელობა ევროპასა და ამერიკაში.
2. ილუზიები. - მათი მნიშვნელობა. - ისინია ყველა ცივილიზაციის საფუძველი. - ილუზიის სოციალური აუცილებლობა. - ბრბო ყოველთვის მათ ანიჭებს უპირატესობას ჭეშმარიტებასთან შედარებით.
3. გამოცდილება. - მხოლოდ გამოცდილებას ძალუძს აუცილებელი ჭეშმარიტებები გაამყაროს ბრბოს მენტალობაში და გაანადგუროს სახიფათოდ ქცეული ილუზიები. რა ჯდება ბრბოს დარწმუნებისთვის აუცილებელი გამოცდილება.
4. გონება. - ბრბოზე მისი გავლენის სიმწირე. ბრბოზე გავლენა შესაძლებელია მხოლოდ მის გაუცნობიერებელ განცდებზე ზემოქმედებით. - ლოგიკოსის როლი ისტორიაში. - დაუჯერებელ მოვლენათა საიდუმლო მიზეზები.

წინამორბედ თავში ჩვენ დისტანციური და მოსამზადებელი ფაქტორები შევისწავლეთ, რომლებიც ბრბოში განსაკუთრებულ აღქმადობას ავითარებენ, რომლის წყალობით ბრბოში კონკრეტული განცდები და იდეები ჩნდება. ახლა ის ფაქტორები უნდა განვიხილოთ, რომლებიც ბრბოზე უშუალოდ მოქმედებენ. მომდევნო თავში ჩვენ ვიხილავთ, როგორ უნდა მოვეპყრათ აღნიშნულ ფაქტორებს, რათა მათი მოქმედება ეფექტური აღმოჩნდეს.

ჩვენი შრომის პირველ თავში ჩვენ ბრბოს განცდები, იდეები და შეხედულებები შევისწავლეთ, საიდანაც ზოგადი დასკვნის გაკეთება შეგვიძლია ბრბოს სულზე ზემოქმედების საშუალებათა შესახებ. ჩვენ უკვე ვიცით, რა მოქმედებს ბრბოს წარმოსახვაზე, რა ძალა და გადამდებობა ახასიათებს ჩაგონებებს, განსაკუთრებით ისეთებს, რომლებიც ხატების სახითაა მიწოდებული; მაგრამ რადგან ჩაგონების წარმოშობა მრავალგვარია, ბრბოს სულზე მოქმედი ფაქტორებიც ასევე მრავალგვარი შეიძლება იყოს; ამიტომაც უნდა შევისწავლოთ ისინი ცალ-ცალკე, ასეთი შესწავლა კი უსარგებლო შრომად ნამდვილად ვერ ჩაითვლება.

ბრბო ერთგვარად სფინქსს ჰგავს ანტიკური ზღაპრიდან: ან იმ ამოცანების გადაწყვეტა უნდა ვისწავლოთ, რომლებსაც ჩვენ მისი ფსიქოლოგია გვთავაზობს, ან უდრტვინველად შევეგუოთ იმას, რომ ბრბო გვშთანთქავს.

1. ხატები, სიტყვები და ფორმულები

ვსწავლობდით რა ბრბოს წარმოსახვას, ჩვენ ვიხილეთ, რომ მასზე ძალიან ადვილია ზემოქმედების მოხდენა, განსაკუთრებით ხატების მეშვეობით. ასეთი ხატები ყოველთვის არ გვაქვს ხელთ, მაგრამ მათი მოხმობა შესაძლებელია სიტყვებისა და ფორმულების ოსტატურად გამოყენების გზით. ოსტატურად დამუშავებული ფორმულები მართლაც იძენენ იმ მაგიურ ძალას, რომელსაც მას ოდესღაც მაგიის ადეპტები მიაწერდნენ. მათ ძალუძთ ბრბოს სულში ყველაზე ბობოქარი გრიგალი აღძრან, მაგრამ მისი დაოკებაც შეუძლიათ.

ხეოფსისაზე მაღალი პირამიდის აგებაა შესაძლებელი იმ ადამიანთა ძვლებით, რომლებიც სიტყვებისა და ფორმულების მსხვერპლად იქცნენ.

სიტყვათა ძალმოსილება მათ მიერ მოხმობილ ხატებთან მჭიდრო კავშირში იმყოფება და სრულიად არ არის დამოკიდებული მათ რეალურ მნიშვნელობაზე. ხშირად სიტყვები, რომლებსაც ყოვლად გაურკვეველი აზრი აქვთ, ბრბოზე უდიდეს გავლენას ახდენენ.

ასეთია, მაგალითად, შემდეგი ცნებები: დემოკრატია, სოციალიზმი, თანასწორობა, ძმობა და ა.შ. - ეს იმდენად განუსაზღვრელი ტერმინებია, რომ სქელტანიან ტომებშიც კი ვერ ხერდება მათი აზრის განმარტება. იმავდროულად, ისინი უდაოდ შეიცავენ მაგიურ ძალას, თითქოს მართლაც მათში იყოს დაფარული ყველა პრობლემის გადაწყვეტის გასაღები. ისინი წარმოადგენენ სინთეზს ყველა გაუცნობიერებელი სწრაფვისა და მათი რეალიზაციის იმედს.

ვერც საღი აზრითა და ვერც დარწმუნებით იბრძოლებთ კონკრეტული სიტყვებისა და ფორმულების წინააღმდეგ. მათ ბრბოს წინაშე მოწიწებით წარმოთქვამენ, სახეთა გამომეტყველება კი მყისიერად მოკრძალებული ხდება და ისინი თავებს ხრიან.

მრავალი უმზერს მათ, როგორც ბუნების, ზებუნებრივ ძალებს. ისინი სულში გრანდიოზულ და ამაღელვებელ ხატებს იწვევენ, მათი გარემომცველი განუსაზღვრელობა კი მხოლოდ ზრდის მათ იდუმალ ძალმოსილებას. ისინი სამლოცველოს უკან

მიმალულ იდუმალ ღვთაებებს წარმოადგენენ, რომლებსაც მორწმუნენი მოწიწებით მიმართავენ.

ხატები, გამოწვეული სიტყვების მიერ, მიუხედავად მათი აზრისა, დროისა და ერების მიხედვით იცვლება, თუმცა თავად ფორმულები უცვლელი რჩება. ზოგ სიტყვას დროებით უკავშირდება ყველასათვის ცნობილი ხატები, რომლებსაც ისინი იწვევენ.

ასეთი შემთხვევისას სიტყვა თამაშობს ზარის როლს, რომელიც მათ გამოჩენას იწვევს.

ყველა სიტყვა და ფორმულა არ ფლობს ხატების გამოწვევის უნარს. ისეც ხდება, რომ სიტყვები, რომლებიც ადრე ხატებს იწვევდნენ, ცვდება და უკვე ვეღარაფერს აღვიძებს გონებაში. ასეთ დროს ისინი ცარიელ ბგერებად იქცევიან, რომელთა ერთადერთი სარგებელი იმაში მდგომარეობს, რომ ფიქრის ვალდებულება აარიდოს მათ, ვინც მათ იყენებს.

გაგვაჩნია რა ასეთი ფორმულებისა და ახალგაზრდობისას დასწავლილი ზოგადი ფრაზების მცირე მარაგი, ჩვენ ყველაფერი გაგვაჩნია საიმისოდ, რომ განვვლოთ ცხოვრება მსჯელობით თავის დაღლის გარეშე.

მოცემული ენის ლექსიკონში შემავალი სიტყვები საუკუნეთა განმავლობისას ძალიან მდორედ იცვლება, მაგრამ უწყვეტად იცვლება ხატები, რომლებსაც ისინი იწვევენ, და აზრი, რომელსაც მათ ანიჭებენ. ამიტომაც გამოვთქვი აზრი, რომ რომელიმე ენაზე არსებული გამოთქმის ზუსტი თარგმანი, განსაკუთრებით თუ საქმე გადაშენებულ ერს ეხება, - შეუძლებელი რამაა. სინამდვილეში, რას ვაკეთებთ ჩვენ, მაგალითად, როდესაც ლათინური, ბერძნული ან სანსკრიტული ცნების ნაცვლად ფრანგულ ტერმინს ვიყენებთ, ან ვცდილობთ გავიგოთ წიგნი, რომელიც ჩვენ მშობლიურ ენაზეა დაწერილი ორი ან სამი საუკუნის წინ? ჩვენს გონებაში თანამედროვე ყოფის მიერ ჩამოყალიბებული ხატებითა და იდეებით ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ ვანაცვლებთ იმ ცნებებსა და ხატებს, რომლებიც სრულებით არ ჰგვანან ჩვენსას, და ძველი ყოფის გავლენით იქნა ჩამოყალიბებული მენტალობაში ერებისა, რომლებიც არსებობის სრულიად განსხვავებულ პირობებში იმყოფებოდნენ. როდესაც რევოლუციონერები ძველ ბერძნებსა და რომაელებს ბაძავდნენ, ნუთუ იმ აზრს არ ანიჭებდნენ მათ სიტყვებს, რომელიც ამ უკანასკნელთ არასოდეს ჰქონიათ? რა მსგავსება შეიძლება იყოს, მაგალითად, ძველი ბერძნების ინსტიტუტებსა და მათ შორის, რომლებიც დღეს ატარებენ ანალოგურ სახელწოდებებს? რას წარმოადგენდა იმ დროს რესპუბლიკა, თუ არა ინსტიტუტს, რომელიც საკუთარი არსით არისტოკრატული იყო, თავყრილობას წვრილი დესპოტებისა, რომლებიც აბსოლუტურ მორჩილებაში მყოფ მონებზე ბატონობდნენ? ეს კომუნალური არისტოკრატიები, რომლებიც მონობას ეფუძნებოდნენ, მის გარეშე ერთ წუთსაც ვერ გაძლებდნენ.

სიტყვა „თავისუფლება“? ნუთუ შესაძლებელია, რომ მისი მნიშვნელობა იგივე ყოფილიყო, რაც ახლაა, იმ ეპოქაში, როდესაც თავისუფლად აზროვნების დაშვების შესაძლებლობაც კი წარმოუდგენელი იყო, და არ არსებობდა უფრო დიადი და იშვიათი დანაშაული, ვიდრე ღმერთების, კანონებისა და სახელმწიფოს ადათებზე საუბარი? სიტყვა „სამშობლო“ კი, მაგალითად, რომელიმე ათენელის ან სპარტელის მენტალობაში მხოლოდ ათენის ან სპარტის კულტთან ასოცირდებოდა და არა მთელ საბერძნეთთან, რომელიც ერთმანეთის მოქიშპე ქალაქებისგან შედგებოდა.

რა დატვირთვა ჰქონდა იმავე სიტყვას „სამშობლო“ ძველ გალებთან, რომლებიც მოპაექრე ტომებად იყვნენ დაყოფილნი, განსხვავდებოდნენ რა ერთმანეთისგან ეროვნების, ენისა და რელიგიის მიხედვით, რომლებიც ასე ადვილად დაამარცხა

კეისარმა, რადგან ყოველთვის ჰყავდა მათ შორის მოკავშირეები? მხოლოდ რომმა მისცა გალებს სამშობლო, მიანიჭა რა მათ პოლიტიკური და რელიგიური ერთიანობა. ასეთ სიღრმეში რომ არ წავიდეთ, ჩვენ ვხედავთ, რომ სულ რაღაც ორი საუკუნის წინათაც კი სიტყვა „სამშობლო“ სრულიად სხვაგვარად ცნობიერდებოდა, ვიდრე დღეს, მაგალითად ისეთი ფრანგი არისტოკრატების მიერ, როგორიც კონდე იყო, ვინც უცხოელებთან დაამყარა კავშირი საკუთარი მეფის წინააღმდეგ. და ნუთუ განსხვავებული აზრი არ ჰქონდა იმავე სიტყვას ემიგრანტებისთვის, ვინც ფიქრობდა, რომ ღირსების კანონებს ემორჩილებოდა, იბრძოდა რა საფრანგეთის წინააღმდეგ? მათი თვალსაზრისით ისინი, რასაკვირველია, ემორჩილებოდნენ ამ კანონებს, რადგან ფეოდალური კანონი ვასალს მის მბრძანებელს და არა მიწას აბამს და, შესაბამისად, სადაც მბრძანებელია, იქაა ჭეშმარიტი სამშობლოც.

მრავალია ისეთი სიტყვა, რომელთა მნიშვნელობა მსგავსი გზით შეიცვალა, მათ საწყის მნიშვნელობამდე მისვლა კი სრულებით არ არის იოლი. სამართლიანად შენიშნავენ, რომ ბევრი უნდა წაიკითხო, სანამ იმის გაცნობიერებას შეძლებ, თუ რას ნიშნავდა წინაპრებისთვის ისეთი სიტყვები, როგორიც მეფე და სამეფო გვარია. უფრო რთული ცნებების შესახებ რაღა უნდა ვთქვათ?

ამგვარად, სიტყვების მნიშვნელობა ცვალებადი და დროებითია, და ეპოქისა და ერის მიხედვით იცვლება. თუ ჩვენ ამ სიტყვებით გვსურს ბრბოზე ზემოქმედება, უპირველეს ყოვლისა ის უნდა ვიცოდეთ, რა მნიშვნელობა აქვთ მათ მოცემულ მომენტში, და არა ის, თუ რას გულისხმობდნენ ისინი ოდესღაც ან გულისხმობენ ინდივიდებისთვის, ვისაც განსხვავებული მენტალური ორგანიზაცია გააჩნია.

ამგვარად, როდესაც მრავალი პოლიტიკური მოლაპარაკებისა და რელიგიურ აღმსარებლობათა ცვლილების შემდეგ ბრბოში ღრმა ანტიპათია ჩნდება კონკრეტული სიტყვების მიერ გამოწვეული ხატებისადმი, სახელმწიფო მოღვაწის უპირველესი ვალდებულება ლექსიკის შეცვლა უნდა იყოს. ამასთან ერთად, რასაკვირველია, ის არ უნდა შეეხოს საგანთა არსს, რადგან ეს უკანასკნელი მჭიდროდ არის დაკავშირებული ერის მემკვიდრეობით ბუნებას, რათა მათი ცვლილება გახდეს შესაძლებელი.

ტოკვილმა გონივრულად მიაქცია ყურადღება იმას, რომ საკონსულოებისა და იმპერიების შრომა ძირითადად იმაში მდგომარეობდა, რომ წარსულ ინსტიტუტთა უმრავლესობა ახალი სიტყვებით შეემოსა ანუ ის სიტყვები, რომლებიც ბრბოში არასასიამოვნო ხატებს იწვევდნენ, შეეცვალა სხვებით, რომელთა სიახლე ხელს უშლიდა ამ ხატების გამოჩენას. ასე მოხდა, მაგალითად, გადასახადების სახელწოდების შეცვლა, თუმცა გადასახადი და მოსაკრებელი არსებითად ერთი და იგივეა.

ამდენად, სახელმწიფო მოღვაწის მთავარი ვალდებულება პოპულარული ან ნეიტრალური სახელწოდებების მინიჭება უნდა იყოს იმ საგნებისა და მოვლენებისთვის, რომლებსაც ბრბო უწინდელი სახელწოდებებით ვეღარ იტანს. სიტყვის ძალა იმდენად დიდია, რომ საკმარისია ნატიფი სახელწოდება მოიგონოთ ყველაზე ამაზრზენი მოვლენისთვის, რომ ბრბო მყისიერად მიიღებს მას. ტენი სამართლიანად შენიშნავს, რომ სახელდობრ ძმობისა და თავისუფლების - იმ დროს უკიდურესად პოპულარული ცნებების - გამოყენებით შეძლეს იაკობინელებმა „დაჰომეის ღირსი დესპოტიზმის და ინკვიზიციის ღირსი სასამართლოს დანერგვა, და ორგანიზება ადამიანთა ჰეკატომბებისა, რომლებიც მექსიკის ჰეკატომბებს მოგვაგონებენ.“ მბრძანებელთა, ისევე, როგორც

ადვოკატთა ხელოვნება სწორედ სიტყვებთან მოპყრობაში გამოიხატება.

ამ ხელოვნების ძირითადი სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ერთსა და იმავე საზოგადოებაში, მაგრამ განსხვავებულ სოციალურ ფენაში, ერთსა და იმავე სიტყვას ხშირად განსხვავებული მნიშვნელობა აქვს. გარეგნულად ამ ფენებში ერთსა და იმავე სიტყვებს იყენებენ, მაგრამ მათ არასდროს აქვთ ერთი და იგივე მნიშვნელობა.

წინამორბედ მაგალითებში ჩვენ დრო აღვნიშნეთ, როგორც სიტყვათა შინაარსის ცვლილების მთავარი ფაქტორი. თუ ჩვენ აქ ეროვნებასაც დავამატებთ, დავინახავთ, რომ ერთსა და იმავე ეპოქაში თანაბრად ცივილიზებულ, მაგრამ განსხვავებულ ერებთან ერთი და იგივე სიტყვები სხვდასხვა იდეის მატარებლები არიან.

ამ განსხვავებათა გაცნობიერება რთულია მრავალრიცხოვანი მოგზაურობის გარეშე, ამიტომ ამ საკითხზე აღარ შევჩერდები. მხოლოდ იმის აღნიშვნით შემოვიფარგლები, რომ ბრბოს მიერ ყველაზე ხშირად გამოყენებად სიტყვებს სხვადასხვა ხალხებთან განსხვავებული მნიშვნელობა აქვთ. ასეთებს მიეკუთვნება, მაგალითად, „დემოკრატია“ და „სოციალიზმი“, რომლებიც ფრიად პოპულარულია დღეს. სინამდვილეში ეს სიტყვები სრულიად საპირისპირო ხატებს შობენ რომანულ და ანგლოსაქსონურ ბრბოებში. ლათინელებთან სიტყვა „დემოკრატია“ უმთავრესად ნიშნავს ინდივიდის ნებისა და ინიციატივის გაქრობას თემთა ნებასა და ინიციატივასთან შედარებით, რომლებსაც სახელმწიფო წარმოადგენს. სახელმწიფოს ეკისრება სულ უფრო მეტად ყველაფრის ხელმძღვანელობის, ცენტრალიზებისა და მონოპოლიზების ვალდებულება, სახელმწიფოს მიმართავს გამუდმებით ყველა პარტია უკლებლივ - რადიკალები, სოციალისტები, მონარქისტები. ანგლოსაქსებთან ამერიკაში იგივე სიტყვა „დემოკრატია“, პირიქით, ნიშნავს ნებისა და ინდივიდის მაქსიმალურად განვითარებას და სახელმწიფოს შეძლებისდაგვარად ჩამოშორებას, რომელსაც არაფრის მართვას ანდობენ, სახალხო განათლების ჩათვლით. მას მხოლოდ პოლიცია, ჯარი და დიპლომატური ურთიერთობები რჩება.

ამგვარად, იგივე სიტყვა, რომელიც ერთ ხალხში ნებისა და ინდივიდუალური ინიციატივის აღმოფხვრისა და სახელმწიფოს გაბატონების მნიშვნელობას იძენს, მეორესთან სულ სხვა აზრის მატარებელია და სწორედ ინდივიდუალური ნების და ინიციატივის ჭარბ განვითარებასა და საქმეთაგან სახელმწიფოს ჩამოშორებას გულისხმობს.

წინამორბედ ნაშრომში („ხალხების ფსიქოლოგია“) მე ხაზგასმით აღვნიშნე ის განსხვავება, რომელიც რომანული ხალხებისა და ანგლოსაქსების დემოკრატულ იდეალებს შორის არსებობს. პოლ ბურჟე ჩემგან დამოუკიდებლად, საკუთარ მოგზაურობათა საფუძველზე, იმავე დასკვნებამდე მივიდა, რაც მის წიგნში „Outre-Mer“ არის ასახული.

2. ილუზიები

ცივილიზაციის გარიჟრაჟიდან დაწყებული, ბრბო გამუდმებით ილუზიათა გავლენის ქვეშ იმყოფება. ყველაზე დიდი ოდენობით ტაძარი, ქანდაკება და საკურთხეველი სწორედ ილუზიათა შემქმნელებს ეძღვნება. ოდესღაც რელიგიური ილუზიები ბატონობდნენ, დღეისათვის კი ფილოსოფიური და სოციალური წამოვიდა წინა პლანზე, მაგრამ ეს მრისხანე მბრძანებლები ყოველთვის სათავეში იყვნენ ცივილიზაციებისა, რომლებიც თანმიმდევრულად ვითარდებოდნენ ჩვენს პლანეტაზე. ილუზიებს უძღვნიდნენ ტაძრებს ქალდეველები და ეგვიპტელები,

ამავე მიზნით იგებოდა შუა საუკუნეთა რელიგიური შენობები, და იმავე ილუზიებისთვის მოხდა გადატრიალება ევროპაში ასი წლის წინ.

ჩვენი ყველა მხატვრული, პოლიტიკური და სოციალური ცნება გარდუვალად ატარებს ილუზიის ღრმა კვალს. ადამიანი დროდადრო ფერფლად აქცევს მათ, თუმცა საზარელ გადატრიალებათა ფასად, მაგრამ შემდგომ იძულებული ხდება კვლავ მოავლინოს ისინი ქვეყანას ნანგრევებიდან.

ამ ილუზიათა გარეშე ის ვერ შეძლებდა პრიმიტიული ბარბაროსობის მდგომარეობიდან გამოსვლას და მათ გარეშე მალევე დაუბრუნდებოდა იმავე მდგომარეობას. ეს ყველაფერი აჩრდილები, ჩვენს ოცნებათა პირმშოებია, მაგრამ მათ გვაიძულეს შეგვექმნა ის, რაც ჩვენი ცივილიზაციის ხელოვნების სიდიადეს წარმოადგენს.

„მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებში რომ გაგვენდაგურებინა და კარიბჭეთა ქვებზე დაგვემსხვრია რელიგიით შთაგონებული ყველა ძეგლი და ნაწარმოები, რაღა დარჩებოდა კაცობრიობის უდიადესი ოცნებიდან? ადამიანებისთვის ოცნებებისა და ილუზიების მიწოდება, რომელთა გარეშე ისინი ვერ შეძლებდნენ არსებობას, - აი, ღმერთების, გმირებისა და პოეტების დანიშნულება. მეცნიერება ცდილობდა ამ ამოცანის გადაჭრას ორმოცდაათი წლის განმავლობისას. მაგრამ იდეალებისკენ მსწრაფ გულებში მას ის ღუპავს, რომ არ ძალუძს მეტის დაპირება და საკმარისად ვერ ცრუობს.“

უკანასკნელი ასწლეულის ფილოსოფოსები დიდი გულმოდგინებით ცდილობდნენ რელიგიური, პოლიტიკური და სოციალური ილუზიების განადგურებას, რომლებითაც ჩვენი წინაპრები ცხოვრობდნენ. მაგრამ ამ ილუზიათა განადგურებით მათ ასევე იმედისა და მორჩილების წყაროები დააშრეს, დანგრეული ქიმერების მიღმა კი ბუნების ბრმა და ფარულ ძალებს წააწყდნენ, რომლებიც სისუსტისადმი დაუნდობლები და თანაგრძნობისადმი უცხონი არიან.

მიუხედავად პროგრესისა, ფილოსოფიამ ჯერ კიდევ ვერ შეძლო ბრბოსთვის ისეთი იდეალების შეთავაზება, რომლებიც მას მოხიბლავდნენ; მაგრამ ვინაიდან ბრბოს გარდუვალად ესაჭიროება ილუზიები, იგი ინსტინქტურად, სინათლის წყაროსკენ მოძრავი პეპელის მსგავსად, მიდის მათკენ, ვინც ილუზიებს სთავაზობს. ხალხების ევოლუციის მთავარ ფაქტორს არასოდეს წარმოადგენდა ჭეშმარიტება, ეს ყოველთვის ცთომილება იყო. და თუ სოციალიზმი ესოდენ ძლიერია დღეს, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ერთადერთ გადარჩენილ ილუზიას წარმოადგენს. მიუხედავად ყველა სახის მეცნიერული დემონსტრაციისა, იგი მაინც იზრდება, სოციალური ილუზია კი წარსულის ყველა ნანგრევზე ბატონობს და მასვე ეკუთვნის მომავალი. ბრბო არასოდეს ისწრაფვოდა ჭეშმარიტებისკენ; იგი ზურგს აქცევს იმ სიცხადეს, რომელიც არ მოსწონს, და ამჯობინებს ცთომილებას სცეს თაყვანი, თუკი ეს ცთომილება მას ხიბლავს. ვისაც ბრბოს შეცდომაში შეყვანა შეუძლია, ის იოლად იქცევა მის მბრძანებლად; ხოლო ვინც მის ჭკუაზე მოყვანას ცდილობს, ყოველთვის მისი მსხვერპლია.

3. გამოცდილება

გამოცდილება, სავარაუდოდ, ერთადერთი ქმედითი საშუალებაა რაიმე ჭეშმარიტების ბრბოს მენტალობაში მყარად დამკვიდრებისა და ილუზიათა განადგურებისთვის, რომლებიც მეტისმეტად სახიფათოდ იქცნენ. თუმცა, გამოცდილება მასშტაბური და მრავალჯერადი უნდა იყოს. ერთი თაობის გამოცდილებას, ჩვეულებრივ, არ მოაქვს შედეგი მომდევნოსათვის, ამიტომაც არის უსარგებლო ისტორიული ფაქტების მოშველიება

მაგალითებად. ასეთი დემონსტრირების ერთადერთი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ გვიჩვენონ, თუ რა ხარისხით უნდა განმეორდეს გამოცდილება საუკუნიდან საუკუნემდე, რათა მან რაიმე სახის გავლენა მაინც მოახდინოს და შეარყიოს ერთი მაინც ცთომილება, თუკი ის მყარად არის ფესვგადგმული ბრბოს მენტალობაში.

ჩვენი საუკუნე, ისევე, როგორც წინამორბედი, სავარაუდოდ, მაგალითად იქნება მოტანილი მომავლის ისტორიკოსების მიერ, როგორც საინტერესო ცდათა ეპოქა. მართლაც, არც ერთ სხვა საუკუნეში ასეთი რაოდენობის ექსპერიმენტი არ ჩატარებულა!

ამ გამოცდილებათაგან ყველაზე გიგანტური უდაოდ საფრანგეთის რევოლუცია იყო. იმ ჭეშმარიტების აღმოსაჩენად, რომ საზოგადოების ყოველმხრივი გადაკეთება მხოლოდ წმინდა გონების მითითებათა საფუძველზე შესაძლებელია, რამდენიმე მილიონი ადამიანის სიკვდილი და ოცი წლის განმავლობაში ევროპის შეშფოთება გახდა აუცილებელი. გამოცდილებით იმის დასამტკიცებლად, თუ რა ძვირად უჯდება ხალხს კეისარი, რომელსაც იგი მხიარული შეძახილებით ესალმება, გამაჩანაგებელი გამოცდილების მთელი რიგი გახდა საჭირო ორმოცდაათი წლის განმავლობისას, მაგრამ მიუხედავად მათი სიცხადისა, ისინი, როგორც ჩანს, სრულად დამაჯერებლად არ გამოიყურებოდნენ. სხვათა შორის, პირველი გამოცდილება სამი მილიონი ადამიანის სიცოცხლედ ღირდა და შემოსევის მიზეზად იქცა; მეორემ დაშლა და მუდმივი ჯარის შენახვის აუცილებლობა გამოიწვია. მესამე თითქოს ეს-ესაა უნდა განხორციელებულიყო, და ალბათ ადრე თუ გვიან აუცილებლად განხორციელდება. მთელი ერის დასარწმუნებლად იმაში, რომ გერმანიის ვეებერთელა ჯარი სულაც არ წარმოადგენს, როგორც ამას ოცდაათი წლის წინ გვასწავლიდნენ, უვნებელ ეროვნულ გვარდიას, სასტიკი ომი გახდა აუცილებელი, რომელიც ჩვენ ძალიან ძვირად დაგვიჯდა.

ბრბოს შეხედულება მოცემულ შემთხვევაში ერთმანეთთან სრულად დაუკავშირებელ საგანთა და მოვლენათა უხეში ასოციაციის გზით ჩამოყალიბდა, რომლის წარმოქმნის მექანიზმი მე ზევით აღვწერე. იმ დროის ჩვენი ეროვნული გვარდია მშვიდობისმოყვარე დახლიდარებისგან შედგებოდა, რომლებსაც არანაირი დისციპლინა არ გაანდათ და, შესაბამისად, მათი სერიოზულად აღქმა არ შეიძლებოდა; ამიტომ, ყველაფერი, რასაც ანალოგური სახელი გააჩნდა, იმავე ხატებს იწვევდა და სწორედ ამ მიზეზით ასეთივე უვნებელ ინსტიტუტად ითვლებოდა; ბრბოს ცთომილებას, როგორც ეს ხშირად ხდება საყოველთაო შეხედულებებთან მიმართებით, მისი წინამძღოლებიც იზიარებდნენ. 1887 წლის 31 დეკემბერს დეპუტატთა პალატაში სიტყვით გამოსვლისას (გამოქვეყნებულია ე. ოლივიეს მიერ მის წიგნში), ტიერმა, ვინც ხშირად მისდევდა ბრბოს, მაგრამ არასოდეს უსწრებდა მას, ამტკიცებდა, რომ პრუსიას, გარდა მოქმედი ჯარისა, რომელიც დაახლოებით უტოლდებოდა საფრანგეთის არმიას, არაფერი გააჩნდა, ჰყავდა მხოლოდ ეროვნული გვარდია, ზუსტად ისეთი, როგორიც საფრანგეთის ეროვნული გვარდია იყო და, შესაბამისად, სერიოზულ საფრთხეს არ წარმოადგენდა. ამ სახელმწიფო მოღვაწის მტკიცება იმდენადვე ჭეშმარიტი აღმოჩნდა, რამდენადაც მისი წინასწარმეტყველება რკინიგზის უსარგებლობის შესახებ.

დაბოლოს, იმის საღიარებლად, რომ პროტექციონიზმი აჩანაგებს იმ ერებს, რომლებიც მას ნერგავენ, სულ ცოტა, ოცწლიანი უარყოფითი გამოცდილება იქნება საჭირო. ასეთი მაგალითები შეგვიძლია უსასრულოდ მოვიტანოთ.

4. გონება

იმ ფაქტორების ჩამოთვლისას, რომლებსაც ბრბოს სულზე შთაბეჭდილების მოხდენა შეუძლიათ, ჩვენ შეგვეძლო საერთოდ არ გვეხსენებინა გონება, ეს რომ მისი უარყოფითი გავლენის დემონსტრირებისთვის არ იყოს საჭირო.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ბრბოზე მსჯელობით გავლენის მოხდენა შეუძლებელია, რადგან მისთვის მხოლოდ იდეათა უხეში ასოციაციებია მისაწვდომი. ამიტომაცაა, რომ ფაქტორები, რომლებსაც ბრბოზე შთაბეჭდილების მოხდენა შეუძლიათ, მისი გრძნობების და არა გონებისკენ არის მიმართული. ლოგიკის კანონები მასზე არანაირ გავლენას არ ახდენენ. ბრბოს დასარწმუნებლად თავდაპირველად აუცილებელია მის შთამაგონებელ განცდებთან გაცნობა, თავის მოჩვენება, რომ იზიარებ მათ, შემდეგ კი მათი შეცვლა სცადო პირველადი ასოციაციების მეშვეობით, ბრბოს მაცდუნებელი ხატების გამოწვევის გზით. ასევე აუცილებელია უკან დაბრუნების ცოდნა საჭიროების შემთხვევაში, და მთავარი - შეგეძლოს ყოველწუთიერად გამოიცნო განცდები, რომლებსაც ბრბოში წარმოშობ.

ჩემი პირველი დაკვირვებები ბრბოზე გავლენის მოხდენის ხელოვნებასა და იმაზე, თუ რამდენად მცირედ მოქმედებს ამ დროს ლოგიკა, პარიზის ალყის დროს მიეკუთვნება, იმ დღეს, როდესაც ვიხილე, თუ როგორ მიჰყავდათ ლუვრში, სადაც მთავრობა იკრიბებოდა, მარშალი ვ., ვისაც ბრალად სიმაგრეთა გეგმის პრუსიელებისთვის გადაცემა ედებოდა. მთავრობის ერთ-ერთი წევრი, ცნობილი ორატორი გ.პ., სიტყვით გამოვიდა ბრბოს დასაყოლიებლად, რომელიც ტყვედ შეპყრობილის დაუყოვნებლივ სიკვდილით დასჯას ითხოვდა. მე ველოდი, რომ ორატორი ბრბოს მის ბრალდებათა უგნურებას დაუმტკიცებდა, იტყოდა რა, რომ მარშალი თავად იყო ამ სიმაგრეთა ერთ-ერთი მშენებელი და რომ ამ სიმაგრეთა გეგმას წიგნით ყველა მოვაჭრესთან იპოვით. ჩემდა გასაკვირად (მაშინ ახალგაზრდა ვიყავი) მე სრულიად განსხვავებული სიტყვა მოვისმინე. „განაჩენი აღსრულდება, - თქვა ორატორმა და ტყვეს მიუახლოვდა. - თანაც ყველაზე სასტიკი ფორმით. ეროვნული თავდაცვის მთავრობას მიანდეთ თქვენი გამოძიების დასრულება. მანამ კი ტყვეს საპყრობილეში მოვათავსებთ.“ ბრბო დაუყოვნებლივ დამშვიდდა საკუთარ მოთხოვნათა მოჩვენებითი დაკმაყოფილებით, თხუთმეტი წუთის შემდეგ კი მარშალი მშვიდობიანად დაბრუნდა შინ.

მაგრამ მას ნაკუწებად აქცევდნენ, ორატორს რომ გაშმაგებული ბრბოსთვის საბუთები შეეთავაზებინა, ლოგიკური საბუთები, რომლებიც იმ დროს მე ფრიად დამაჯერებლად მეჩვენებოდა.

აუცილებლობას, გამუდმებით ცვალო შენი ლექსიკა მის მიერ მოცემულ მომენტში შექმნილი შთაბეჭდილების მიხედვით, წინასწარ გამოაქვს წარუმატებლობის განაჩენი ყველა მომზადებული და დასწავლილი გამოსვლისათვის. ასეთი გამოსვლისას ორატორი მხოლოდ საკუთარი, და არა მსმენელთა, აზრის განვითარებას აქცევს ყურადღებას, და უკვე ამიტომაა მისი გავლენა მწირი.

ლოგიკურად მოაზროვნენი, რომლებიც მიჩვეულნი არიან საქმე ჰქონდეთ ერთმანეთისგან გამომდინარე შეხედულებათა ჯაჭვთან, ბრბოსთვის მიმართვისას დარწმუნების იმავე ხერხს მიმართავენ და გაოგნებულები რჩებიან მათი არგუმენტების არაქმედუნარიანობით. შეეცადეთ მსჯელობით მოახდინოთ ზემოქმედება პრიმიტიულ გონებაზე, მაგალითად ბავშვსა ან

ველურზე, და სავსებით დარწმუნდებით, რა მცირე მნიშვნელობა აქვს არგუმენტირების ამ მეთოდს.

თუმცა, სრულებით არ არის აუცილებელი პრიმიტიულ არსებათა საფეხურამდე დაშვება მათი მსჯელობის არქმედუნარიანობაში დასარწმუნებლად, როდესაც მათ გრძნობასთან უწევთ ბრძოლა. მხოლოდ ის გავიხსენოთ, რა მყარად იყო ფესვგადგმული მრავალი საუკუნის განმავლობისას რელიგიური ცრურწმენები, რომლებიც უმარტივეს ლოგიკასაც კი ეწინააღმდეგებოდნენ. ორიათასზე მეტი წლის განმავლობაში უბრწყინვალესი ტვინები ხრიდნენ ქედს მათ წინაშე, და მხოლოდ თანამედროვე ეპოქაში გახდა შესაძლებელი მათ უტყუარობასთან შედავება. შუა საუკუნეებსა და აღორძინების ეპოქაში მრავლად იყვნენ განათლებული ადამიანები, მაგრამ ერთიც არ იყო ისეთი, ვისაც მსჯელობის გზით დაარწმუნებდით ამ ცრურწმენათა ბავშვურ ხასიათში და სულ მცირე ეჭვს მაინც აღძრავდით ეშმაკის ბოროტებებსა და ჯადოქრებზე ნადირობასთან დაკავშირებით.

ნუთუ გული უნდა დაგვწყდეს იმის შესახებ, რომ ბრბო გონებით არ იმართება? ჩვენ ვერ შევუდგებოდით ამის მტკიცებას.

რთულად თუ შეძლებდა გონება კაცობრიობის შეყენებას ცივილიზაციის გზაზე, და იმ ცეცხლისა და გზნების გაჩენას მასში, რასაც ქიმერები იწვევდნენ. უდაოა, რომ ეს ქიმერები, არაცნობიერის შვილები, აუცილებლობას წარმოადგენდნენ. ყოველი ერის მენტალობა გულისხმობს კანონებს, რომლებიც მის ბედს წარმართავენ და შესაძლოა ის სწორედ ამ კანონებს ემორჩილება, არის რა მოქმედი საბედისწერო ინსტინქტით ყველა განზრახვაში, მათ შორის ყველაზე უგუნურშიც. ზოგჯერ ჩვენ გვეჩვენება, რომ ერები საიდუმლო ძალებს ემორჩილებიან, რომლებიც მათი მსგავსია, რკოს რომ მუხად აქცევენ და კომეტას ორბიტაზე მოძრაობას აიძულებენ.

ის მცირედი, რაც ჩვენ ამ ძალების შესახებ შეგვიძლია შევიტყოთ, ერის ზოგადი ევოლუციის მსვლელობაში უნდა ვეძებოთ და არა ცალკეულ ფაქტებში, რომლებისგანაც შედგება ეს ევოლუცია. თუ მხოლოდ ასეთ იზოლირებულ ფაქტებს გავითვალისწინებთ, შესაძლოა მოგვეჩვენოს, რომ ისტორიას ყველაზე წარმოუდგენელი შემთხვევითობები მართავენ. ნუთუ წარმოუდგენელი ფაქტი არ არის, რომ უდაბნოდან გამოსული რამდენიმე არაბული ავაზაკური ბრბო შემძლე აღმოჩნდა დაემარცხებინა ძველი ბერძნულ-რომაული სამყაროს უდიდესი ნაწილი და ალექსანდრეზე დიდი იმპერია დაეფუძნებინა? ასევე წარმოუდგენელი არ არის, რომ ბებერ, იერარქიულ ევროპაში არტილერიის უცნობი პორუჩიკი მრავალი ქვეყნის ხელმწიფედ იქცა?

ამდენად, გონება ფილოსოფოსებს დავუთმოთ, მაგრამ ადამიანთა მართვის საქმეში ჭარბ ჩარევას მისგან ნუ მოვითხოვთ. არა გონების მეშვეობით, არამედ მისი გვერდის ავლით იშვა ისეთი გრძნობები, როგორიც არის ღირსება, თავგანწირვა, რელიგიური რწმენა, დიდებისა და სამშობლოს სიყვარული - გრძნობები, რომლებიც დღემდე ყოველი ცივილიზაციის მთავარ ღერძს წარმოადგენდნენ.

თავი მესამე. ბრბოს ბელადები და დარწმუნების მათი მეთოდები

1. ბრბოს ბელადები. - ბრბოს წევრი ყველა ინდივიდის ინსტინქტური მოთხოვნილება, დაემორჩილოს ბელადს. - ბელადთა ფსიქოლოგია. - მხოლოდ ბელადებს ძალუძთ რწმენის ჩამოყალიბება და ბრბოს ორგანიზება. - ბელადთა იძულებითი დესპოტიზმი. - მათი კლასიფიკაცია. - როლი, რომელსაც ნება ასრულებს.

2. ბელადთა მოქმედების საშუალებები. - მტკიცება, გამეორება და ინფიცირება. - ამ ფაქტორთა შეფარდებითი როლი. - როგორ ვრცელდება ინფექცია საზოგადოების უმდაბლესი ფენებიდან უმაღლესამდე. პოპულარული შეხედულება სწრაფად იქცევა საყოველთაოდ.
3. ავტორიტეტი. - ავტორიტეტის განსაზღვრა და კლასიფიკაცია. - შეძენილი და თანდაყოლილი ავტორიტეტი. - სხვადასხვა მაგალითები. - როგორ ქრება ავტორიტეტი.

ბრბოს მენტალური ორგანიზაცია ჩვენთვის უკვე ცნობილია. ჩვენ ასევე ვიცით, როგორ მოქმედებენ ბრბოს სულზე მისი მამოძრავებლები.

ახლა ისღა დაგვრჩენია, განვიხილოთ ამ მამოძრავებელთა გამოყენების საშუალებები და მივანიშნოთ, ვის შეუძლია მათი გამოყენება.

1. ბრბოს ბელადები

როგორც კი ცოცხალ არსებათა გარკვეული რაოდენობა შეიკრიბება, სულ ერთია, ცხოველთა ჯოგია ეს თუ ადამიანთა ბრბო, იგი ინსტინქტურად ექვემდებარება ბელადის ძალაუფლებას. ადამიანთა ბრბოში ბელადი ხშირად მხოლოდ წინამძღოლია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი როლი მნიშვნელოვანია. მისი ნება წარმოადგენს იმ ბირთვს, რომლის გარშემო კრისტალიზდება და ერთიანდება შეხედულებები. იგი წარმოადგენს არაერთგვაროვანი ბრბოს ორგანიზაციის პირველ ელემენტს და მასში სექტების ორგანიზებას ამზადებს. ხოლო სანამ ეს მოხდება, იგი მართავს მას, რადგან ბრბო მორჩილ ნახირს წარმოადგენს, რომელსაც არ შეუძლია მბრძანებლის გარეშე არსებობა.

ჩვეულებრივ, ბელადი თავდაპირველად თვითონ იყო მათ შორის, ვისაც მიუძღვებიან; ისიც იყო ჰიპნოტიზებული იდეით, რომლის მოციქულადაც იქცა შემდგომში. ამ იდეამ იმდენად შეიპყრო ის, რომ მის გარშემო ყველაფერი გაქრა, და ყოველი საწინააღმდეგო აზრი მას უკვე ცთომილებად და ცრურწმენად ეჩვენებოდა. ამიტომაც იყო, რომ რუსოს იდეებით ჰიპნოტიზებული რობესპიერი ინკვიზიციის მეთოდებს იყენებდა მათ დასამკვიდრებლად.

ჩვეულებრივ, ბელადები მოაზროვნეთა რიცხვს არ მიეკუთვნებიან - ეს მოქმედების ხალხია. ისინი მოისაკლისებენ გამჭრიახობას, რასაც, როგორც წესი, ეჭვებთან და უმოქმედობასთან მივყავართ. ყველაზე ხშირად ბელადებს წარმოადგენენ ფსიქიურად გაუწონასწორებელი ადამიანები, სანახევროდ შეშლილები, რომლებიც სიგიჟის ზღვარზე დგანან. რაოდენ უგუნურიც არ უნდა იყოს იდეა, რომელსაც ისინი იცავენ, და მიზანი, რომლისკენაც მიისწრაფვიან, მათ შეხედულებებს გონების ვერანაირი საბუთებით ვერ შეარყევთ. დევნა და სიძულვილი მათზე არ ახდენენ შთაბეჭდილებას ან კიდევ უფრო აღაგზნებენ მათ. პირადი ინტერესი, ოჯახი - ყველაფერი მსხვერპლად არის მიტანილი. თვითშენარჩუნების ინსტინქტი მათში იმდენად ქრება, რომ ერთადერთი ჯილდო, რომლისკენაც მიისწრაფიან, - ეს ტანჯვაა. მათი საკუთარი რწმენის დაძაბულობა მათ სიტყვებს ჩაგონების უზარმაზარ ძალას ანიჭებს. ბრბო მუდამ მზადაა უსმინოს ადამიანს, რომელიც მტკიცე ნებითაა დაჯილდოვებული და მასზე ჩამაგონებლად მოქმედებს. ადამიანები ბრბოში კარგავენ საკუთარ ნებას და ინსტინქტურად მიექცევიან მისკენ, ვინც იგი შეინარჩუნა.

ხალხები არასოდეს განიცდიდნენ ბელადთა ნაკლებობას, თუმცა ეს ბელადები მუდამ მტკიცე მრწამსის მატარებლები უნდა ყოფილიყვნენ, რადგან მხოლოდ ასეთი რწმენა ქმნის მოციქულს.

ხშირად ბელადებს წარმოადგენენ ცბიერი ორატორები, რომლებიც მხოლოდ საკუთარ ინტერესებს მისდევენ და თავზე ხელის გადასმის გზით ბრბოს დაბალ ინსტინქტებზე მოქმედებენ. გავლენა, რომლითაც ისინი სარგებლობენ, შესაძლოა უსაზღვრო იყოს, მაგრამ ყოველთვის უკიდურესად ეფემერულია. დიადი ფანატიკოსები, როგორებიც იყვნენ პეტრე ამიენელი, მარტინ ლუთერი, სავონაროლა, რევოლუციის მოღვაწენი, მხოლოდ მაშინ ახერხებდნენ ბრბოს დაქვემდებარებას საკუთარი ავტორიტეტისადმი, როდესაც თავად ექცეოდნენ კონკრეტული იდეის გავლენის ქვეშ.

მაშინ შეძლეს მათ ბრბოს სულში იმ მრისხანე ძალის შექმნა, რომელსაც რწმენა ეწოდება და ხელს უწყობს ადამიანის ქცევას საკუთარი ოცნების აბსოლუტურ მონად.

დიად ბელადთა როლი ძირითადად ყოველთვის იმაში მდგომარეობს, რომ შეიქმნას რწმენა, სულ ერთია, რელიგიური, პოლიტიკური, სოციალური, ან რწმენა რაიმე საქმისა, ადამიანისა ან იდეის, და სწორედ ამიტომ იყო მათი გავლენა ყოველთვის ძალიან დიდი. ყველა იმ ძალიდან, რომელიც კაცობრიობის ხელთ მოიპოვება, რწმენა ყოველთვის ყველაზე ძლევამოსილი იყო. ფუჭად არ არის ნათქვამი სახარებაში, რომ რწმენას მთების დაძვრა ძალუძს. მისცე ადამიანს რწმენა - ნიშნავს გააათმაგო მისი ძალები. დიადი ისტორიული ქმედებები განხორციელებული იყო უცნობ მორწმუნეთა მიერ, რომელთა მთელი ძალა მათ რწმენაში იდო. არა მეცნიერებსა და ფილოსოფოსებს შეუქმნიათ დიადი რელიგიები, რომლებიც სამყაროს დიად სამეფოებს მართავდნენ და ერთი ნახევარსფეროდან მეორემდე ვრეცელდებოდნენ!

რასაკვირველია, ყველა ასეთ შემთხვევაში მოქმედებდნენ დიადი ბელადები, მათი რაოდენობა კი ისტორიაში არც ისე დიდია. ისინი წარმოადგენენ პირამიდის წვეროს, რომელიც ამ ძლევამოსილი მბრძანებლებიდან მდოვრედ ეფინება ბრბოს გონებას იმ ორატორამდე, რომელიც გაბოლილ სასტუმროში თანდათან იმორჩილებს მსმენელებს, უმეორებს რა მათ მზა ფორმულებს, რომელთა აზრი მას თავადაც არ ესმის, მაგრამ თვლის, რომ ამ ფორმულებს უნარი შესწევთ ყველა ოცნებისა და იმედის რეალიზებისკენ გაუძღვნენ მასებს.

ყველა სოციალურ საფეხურზე, ყველაზე მაღალიდან ყველაზე დაბლამდე, თუ ადამიანი იზოლირებულ მდგომარეობაში არ იმყოფება, იგი ადვილად ექცევა რომელიმე ბელადის გავლენის ქვეშ. ადამიანთა უმეტესობას, განსაკუთრებით კი ქვედა ფენებში, საკუთარი სპეციალობის საზღვრებს გარეთ არაფრის შესახებ გააჩნია მკაფიო და მეტ-ნაკლებად განსაზღვრული წარმოდგენა. ამ ადამიანებს არ ძალუძთ საკუთარი თავის მართვა და, ამდენად, ბელადი იქცევა მათ წინამძღოლად.

ბელადთა ძალაუფლება უკიდურესად დესპოტურია, მაგრამ სწორედ ეს დესპოტიზმია მორჩილების მაიძულებელი. რთული არ არის იმაში დარწმუნება, თუ რა იოლად აიძულებენ ისინი მუშათა კლასებს, მათ შორის ყველაზე აგრესიულებსაც კი, დამორჩილდნენ მათ ნებას, თუმცა ძალაუფლების შესანარჩუნებლად არანაირი საშუალება არ გააჩნიათ. ისინი განსაზღვრავენ სამუშაო საათების რაოდენობას, ხელფასის ოდენობას, ორგანიზებას უწევენ გაფიცვებს და აიძულებენ დაიწყონ და დაასრულონ ეს ქმედებები კონკრეტულ დროს.

დღევანდელ დღეს ბრბოს ბელადები სულ უფრო მეტად ავიწროვებენ საზოგადოებრივ ხელისუფლებას, რომელიც მნიშვნელობას კარგავს კონფრონტაციის შედეგად. ახალ მბრძანებელთა ტირანია იმორჩილებს ბრბოს და აიძულებს დაემორჩილოს მას მეტად, ვიდრე იგი რომელიმე მთავრობას ემორჩილებოდა. ხოლო თუ რაიმე შემთხვევითობის შედეგად

ბელადი გაუჩინარდება და დაუყოვნებლივ არ ჩანაცვლდება სხვა ბელადით, ბრბო კვლავ იქცევა თავყრილობად ყოველგვარი კავშირისა და სიმყარის გარეშე. პარიზის ომნიბუსთა მეეტლეების უკანასკნელი გაფიცვის დროს საკმარისი აღმოჩნდა ორი ბელადის დაპატიმრება, რომლებიც მას ხელმძღვანელობდნენ, რომ იგი მყისიერად შეწყდა. ბრბოს სულში არა თავისუფლებისადმი სწრაფვაა გაბატონებული, არამედ მორჩილების მოთხოვნილება; ბრბოს იმდენად სწყურია მორჩილება, რომ ის ინსტინქტურად ემორჩილება მას, ვინც მის მბრძანებლად აცხადებს თავს.

ბელადთა კლასი ორ განსაზღვრულ კატეგორიად იყოფა. ერთს ეკუთვნიან ენერგიული ადამიანები, ძლიერი, მაგრამ მცირე ხნით გამოვლენილი ნებით; მეორეს - ბელადები, რომლებიც გაცილებით იშვიათად გვხვდებიან, რომლებსაც ძლიერი და, იმავდროულად, მდგრადი ნება გააჩნიათ.

პირველნი - მამაცები, აგრესიულები, გულადები არიან; ისინი განსაკუთრებით ეფექტურები არიან უცაბედი კადნიერი წამოწყებებისთვის, რათა მასები გაიყოლონ, მიუხედავად გუშინდელ რეკრუტთა გმირებად ქცევის საფრთხისა. ასეთები იყვნენ, მაგალითად, ნეი და მიურატი პირველი იმპერიის პერიოდში. ჩვენს დროში ასეთი იყო გარიბალდი, რომელსაც არანაირი განსაკუთრებული ტალანტი არ გააჩნდა, მაგრამ ძალიან ენერგიული იყო და შეძლო ნეაპოლის მთელი სამეფოს ხელში ჩაგდება, როცა მის განკარგულებაში მხოლოდ ერთი მუჭა ხალხი იყო, ხოლო სამეფოს - დისციპლინირებული და გაწვრთნილი ჯარი ჰყავდა.

მაგრამ ამ ბელადთა ენერგია, თუმცაღა ძლიერი, მცირე ხანს ცოცხლობს და იმ აღმგზნებთან ერთად ქრება, რომელმაც იგი გამოიწვია. ხშირად ასეთი გმირები, რომლებმაც ესოდენი ენერგია გამოავლინეს, უბრუნდებოდნენ რა ყოველდღიურ ცხოვრებას, სრულიად უმწეონი და უუნარონი ხდებოდნენ საკუთარ ქმედებათა მართვასთან მიმართებით, თუმცა გარეგნულად ეფექტურად შეეძლოთ სხვა ადამიანთა წინამძღოლობა. ასეთ ბელადებს საკუთარი ფუნქციის შესრულება მხოლოდ იმ პირობით შეუძლიათ, რომ მათ მუდმივად ხელმძღვანელობენ და აღაგზნებენ, და თუ მათ გვერდით მუდმივადაა ადამიანი ან იდეა, რომელიც ქმედებებს მიუთითებს.

ბელადთა მეორე კატეგორია, რომლებსაც მდგრადი ნება გააჩნიათ, ესოდენ მბრწყინავი არ არის, მაგრამ გაცილებით უფრო დიდი წონა აქვს. ამ კატეგორიას მიეკუთვნებიან რელიგიათა ჭეშმარიტი დამფუძნებლები და დიად საქმეთა შემოქმედნი: პავლე მოციქული, მუჰამედი, კოლუმბი, ლესეფსი. ჭკვიანები არიან თუ შეზღუდულები, მნიშვნელობა არ აქვს, სამყარო სამარადისოდ მათ ეკუთვნის! მათი მტკიცე ნება იმდენად უსასრულოდ იშვიათ და უსასრულოდ მძლავრ თვისებას წარმოადგენს, რომ იგი ყველაფერს იმორჩილებს. ხშირად ანგარიშს არ უწევენ იმას, თუ რისი მიღწევაა შესაძლებელი მტკიცე და ურყევი ნების მეშვეობით. ამასთანავე, ასეთ ნებას ვერაფერი აღუდგება წინ, ვერც ბუნება, ვერც ღმერთები, ვერც ადამიანები.

უახლოეს მაგალითს იმისა, თუ რისი მიღწევაა შესაძლებელი მტკიცე ნებით, წარმოადგენს სახელოვანი ადამიანი, რომელმაც ორი სამყარო დააშორიშორა ერთმანეთს და გადაჭრა ამოცანა, რომლის გადაჭრას სამიათასი წლის განმავლობაში ფუჭად ცდილობდა მრავალი მბრძანებელი. მოგვიანებით მან წარუმატებლობა განიცადა მსგავს წამოწყებაში, მაგრამ იმ დროს უკვე ასაკში იყო, რის წინაშე ყველაფერი ქედს იდრეკს, თვით ნებაც. ისტორია სირთულეებისა, რომელთა გადალახვა იყო საჭირო სუეცის არხის გათხრისას, ყველაზე უკეთ და დეტალურად მიგვანიშნებს, რა ძალუძს მხოლოდ მტკიცე ნებას.

თვითმხილველი, დოქტორი კაზალესი, რამდენიმე ამაღელვებელი სტრიქონით აღწერს იმ დიად საქმეს, რომლის განხორციელებას თავად ავტორი მოგვითხრობდა: „იგი ყოველდღიურად გვიყვებოდა არხის ეპოპეის ყველა ეპიზოდს, ამბობს კაზალესი. ის მოგვითხრობდა, როგორ უნდა დაემარცხებინა შეუძლებელი და ექცია იგი შესაძლებლად, ეზეიმა ყველა სახის დაბრკოლებაზე, სირთულეზე, კოალიციებსა და წარუმატებლობებზე. ვერაფერმა შეძლო მისი მოდრეკა, ვერაფერმა დასცა იგი მენტალურად. იგი იხსენებდა, როგორ აღდგა მის წინააღდეგ და განუწყვეტლივ ესხმოდა თავს ინგლისი, რაოდენ მერყეობას ამჟღავნებდნენ ეგვიპტე და საფრანგეთი; როგორ უშლიდა ხელს საფრანგეთის კონსული სამუშაოების დაწყებას; როგორ უნდა ემოქმედა მას საწინააღმდეგოდ, მოეხდინა რა გავლენა მუშებზე, რომლებიც თითქმის წყურვილით დახრჩობამდე მიჰყავდა; ის ამბობდა, რომ საზღვაო სამინისტრო, ინჟინრები, ყველა ეს სერიოზული, გამოცდილი, სწავლული ადამიანი, მაგრამ ბუნებრივად მტრულად განწყობილი მისი იდეისადმი და, ამასთან, დარწმუნებული მის განადგურებაში, ამ განადურებას წინასწარმეტყველებდა კონკრეტულ დღესა და საათს, თითქოს საქმე მზის დაბნელებას ეხებოდა“.

წიგნი, რომელშიც ბრბოს ყველა დიადი ბელადის ცხოვრება იქნებოდა აღწერილი, რასაკვირველია, ბევრ სახელს ვერ მოიცავდა, მაგრამ ყველა ეს სახელი ჩვენი ცივილიზაციისა და ისტორიის უმთავრეს მოვლენათა თავში იდგებოდა.

2. ბელადთა მოქმედების საშუალებები: მტკიცება, გამეორება და ინფიცირება

როდესაც აუცილებელია ბრბოს მყისიერი გატაცება, იძულება რაიმე ქმედებისკენ, მაგალითად, სასახლის ძარცვა ან სიცოცხლის გაწირვა სიმაგრის ან ბარიკადის დაცვისას, საჭიროა მოქმედება სწრაფი ჩაგონების მეშვეობით, საუკეთესო ჩაგონებას კი ასეთ დროს პირადი მაგალითი წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, ბრბო, რათა დაემორჩილოს ჩაგონებას, ამისთვის მომზადებული უნდა იყოს გარკვეული გარემოებებით, ხოლო მთავარია, რომ მას, ვინც მის გაძღოლას აპირებს, გააჩნდეს განსაკუთრებული თვისება, რომელსაც ავტორიტეტი ეწოდება. სწორედ ამის შესახებ გვექნება ახლა საუბარი.

მეორეს მხრივ, როდესაც საქმე ეხება იმას, რომ ბრბოს მენტალობა რაიმე იდეით ან აღმსარებლობით განიმსჭვალოს, მაგალითად, თანამედროვე სოციალური თეორიებით, გამოიყენება განსხვავებული საშუალებები, უპირატესად კი შემდეგი: მტკიცება, გამეორება და ინფიცირება. ასეთ საშუალებათა მოქმედება შენელებულია, მაგრამ შედეგები - მდგრადი.

უბრალო მტკიცება, რომელსაც ზურგს არ უმაგრებს მსჯელობა და საბუთი, ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს იმისთვის, რომ რაიმე იდეა ბრბოს სულში ჩანერგოთ. რაც უფრო ლაკონურია ასეთი მტკიცება, რაც უფრო მეტად მოისაკლისებს იგი საბუთებს, მით მეტ გავლენას ახდენს ბრბოზე. ყველა დროის წმინდა წიგნები და კოდექსები ყოველთვის მარტივი მტკიცების მეშვეობით მოქმედებდნენ ადამიანებზე. სახელმწიფო მოხელეებმა, რომლებიც რაიმე პოლიტიკურ წამოწყებას იცავენ, მეწარმეებმა, რომლებიც საკუთარი პროდუქტების გავრცელებას ცდილობენ, კარგად უწყიან, თუ რა ძალა აქვს მტკიცებას.

მტკიცება მხოლოდ ისეთ დროს მოქმედებს, როდესაც მას ხშირად იმეორებენ და, თუ შესაძლებელია, ერთი და იმავე გამოთქმით. თუ არ ვცდები, ნაპოლეონს აქვს ნათქვამი, რომ არსებობს რიტორიკის მხოლოდ ერთი ფიგურა, რომელიც პატივისცემას იმსახურებს - ეს გამეორებაა. გამეორების მეშვეობით იდეა ისე ღრმად ჯდება გონებაში, რომ, საბოლოოდ, მიიღება, როგორც დამტკიცებული ჭეშმარიტება.

ბრბოზე მტკიცების გავლენა ცხადი ხდება, როდესაც ვხედავთ, რა მძლავრ ზემოქმედებას ახდენს იგი ყველაზე განათლებულ ადამიანებზე. ეს ქმედება იმით აიხსნება, რომ ხშირად განმეორებადი იდეა ბოლოს და ბოლოს არაცნობიერის ყველაზე ღრმა სფეროებში იჭრება, სადაც ხდება კიდეც ჩვენს ქმედებათა აღმძვრელების ფორმირება.

გარკვეული დროის შემდეგ ჩვენ გვავიწყდება, ვინ იყო მტკიცების ავტორი, რომელიც მრავალჯერ იქნა გამეორებული, და ჩვენ უკვე ვიჯერებთ მას. სწორედ აქედან წარმოდეგება ყველა სახის პუბლიკაციის გასაოცარი გავლენა. მას შემდეგ, რაც ჩვენ ასჯერ, ათასჯერ წავიკითხეთ, რომ საუკეთესო შოკოლადი არის შოკოლადი X, გვეჩვენება, რომ ეს განცხადება მოსმენილი გვაქვს სხვადასხვა მხრიდან და საბოლოოდ სრულად ვრწმუნდებით მასში. წავიკითხავთ რა ათასჯერ, რომ ფხვნილმა Y ესა და ეს ცნობილი ადამიანები გადაარჩინა საზარელი დაავადებისგან, ჩვენც გვიჩნდება სურვილი მივმართოთ იგივე საშუალებას, როგორც კი ანალოგური დაავადებით ვსნეულდებით. ვკითხულობთ რა ერთსა და იმავე გაზეთში, რომ A - სრული ნაძირალაა, B კი უპატიოსნესი ადამიანი, ჩვენ საბოლოოდ თავად ვრწმუნდებით ამაში, რასაკვირველია, თუ იმავდროულად რომელიმე სხვა გაზეთს არ ვკითხულობთ, რომელიც დიამეტრულად საპირისპიროს ამტკიცებს. მხოლოდ მტკიცებასა და გამეორებას შეუძლიათ პაექრობა გაუწიონ ერთმანეთს, რადგან ამ შემთხვევაში თანაბარი ძალა გააჩნიათ.

მას შემდეგ, რაც რომელიმე მტკიცება საკმარისად იქნება გამეორებული, ხოლო გამეორება ერთპირი იყო (როგორც ვამჩნევთ ამას ზოგიერთ ფინანსურ დაწესებულებასთან მიმართებით, რომლებსაც მოხვეჭილი აქვთ სახელი და საკმარისად მდიდრები არიან იმისათვის, რომ საზოგადოებრივი აზრის მხარდაჭერა შეიძინონ), იქმნება ის, რასაც დინება ეწოდება, სცენაზე კი ახალი და მნიშვნელოვანი პერსონაჟი გამოდის - ინფექცია. ბრბოში - იდეები, განცდები, ემოციები, მრწამსი, ყველაფერი ინფექციის ისეთსავე დიად ძალას იძენს, როგორიც ზოგიერთ მიკრობს გააჩნია. ეს სავსებით ბუნებრივი მოვლენაა და მას შეგვიძლია ცხოველებშიც დავაკვირდეთ, როდესაც ისინი ნახირში არიან. მაგალითად, პანიკა ან რამდენიმე ცხვრის რაიმე უწესრიგო მოძრაობა, მყისიერად ვრცელდება მთელს ფარაზე. ზუსტად ასევე, ბრბოშიც ყველა ემოცია ძალიან სწრაფად ხდება ინფიცირებადი, რითიც აიხსნება კიდეც პანიკის მყისიერი გავრცელება. გონებრივ აშლილობას, მაგალითად, შიზოფრენიას, ასევე ახასიათებს გადამდებობა. ცნობილია, რაოდენ ხშირად ვხვდებით შიზოფრენიას ფსიქიატრებს შორის, უკანასკნელ დროს კი შენიშნულ იქნა, რომ ზოგიერთი ფორმა, მაგალითად, აგორაფობია, შესაძლოა ადამიანიდან ცხოველებსაც კი გადაეცეს.

ინფექციის წარმოქმნა არ საჭიროებს რამდენიმე ინდივიდის ერთდროულ ყოფნას ერთსა და იმავე ადგილას. მან შეიძლება დისტანციურადაც იმოქმედოს, გარკვეულ მოვლენათა გავლენის ქვეშ, რომლებიც აზრს სასურველ მიმართულებას აძლევენ და საგანგებო ელფერს ანიჭებენ, რომელიც ბრბოს შეესაბამება. ეს განსაკუთრებით შესამჩნევი იმ შემთხვევაშია, როდესაც ჩვენ უკვე მომზადებულები ვართ დისტანციური ფაქტორებით, რის შესახებ ზემოთ მქონდა საუბარი. ამიტომაც იყო, რომ 18ფ48 წლის

რევოლუციური მოძრაობა, რომელიც საფრანგეთში ჩაისახა, მყისიერად გავრცელდა ევროპის უდიდეს ნაწილზე და რამდენიმე მონარქია შეარყია. მიმბაძველობა, რასაც ესოდენ მნიშვნელოვან როლს მიაწერენ სოციალურ მოვლენებში, არსებითად ინფიცირების მხოლოდ ერთეულ გამოვლენას წარმოადგენს. სხვა ადგილას მე უკვე საკმარისად ვისაუბრე მიმბაძველობის გავლენის შესახებ და ამიტომ აქ მხოლოდ იმის ციტირებით შემოვიფარგლები, რაც ამ თხუთმეტი წლის წინ მაქვს ნათქვამი საკითხის შესახებ და რაც შემდგომში სხვა ავტორებმა განავრცეს უახლეს ქმნილებებში: „ადამიანს, ისევე, როგორც ცხოველს, ახასიათებს მიდრეკილება მიბაძვისკენ; იგი მისთვის მოთხოვნილებას წარმოადგენს იმ პირობით, რომ დაბრკოლებები მოხსნილია. სწორედ ეს მოთხოვნილება განაპირობებს ე.წ. მოდის ძლიერ გავლენას. ვინ გაბედავს, არ დაემორჩილოს მის ძალაუფლებას, ეხება ეს შეხედულებებს, იდეებს, ლიტერატურულ ნაწარმოებებსა თუ უბრალოდ სამოსს? ბრბოს არა არგუმენტების, არამედ ხატების მეშვეობით მართავენ. ყველა ეპოქაში არსებობს ინდივიდთა მცირე რაოდენობა, რომელიც ბრბოს თავის მოქმედებებს ჩააგონებს, არაცნობიერი მასა კი მას ბაძავს. მაგრამ ეს ინდივიდები დიდად მაინც არ უნდა შორდებოდნენ ბრბოში გაბატონებულ იდეებს. წინააღმდეგ შემთხვევაში მიბაძვა გართულდება, ხოლო მათი გავლენა განულდება. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ ადამიანებს, რომლებიც საკმაოდ უსწრებენ საკუთარ ეპოქას, მასზე არანაირი გავლენა არ გააჩნიათ. ისინი მისგან საკმაოდ დაშორებულები არიან. ამიტომაცაა, რომ ევროპელებს, მათი ცივილიზაციის უპირატესობების გათვალისწინებით, ესოდენ უმნიშვნელო გავლენა აქვთ აღმოსავლეთის ქვეყნებზე; ისინი ძირეულად განსხვავდებიან მათგან...

ორმაგი გავლენა - წარსულისა და ურთიერთმიბაძვის - საბოლოოდ ერთი და იმავე ქვეყნისა და ერთი და იმავე ეპოქის ადამიანებში ისეთ მსგავსებას იწვევს, რომ ის ადამიანებიც კი, ვინც ყველაზე ნაკლებად უნდა ექვემდებარებოდნენ მას - ფილოსოფოსები, ლიტერატორები და სწვალულები - ისეთსავე მსგავსებას ავლენენ აზრებსა და სტილში, რომ ამ ნიშნების მიხედვით მყისიერად შეიძლება ეპოქის გამოცნობა, რომელსაც ისინი ეკუთვნიან. საკმარისია ხანმოკლე საუბარი ადამიანთან, რათა წარმოდგენა შეგექმნათ იმის შესახებ, თუ რა წიგნებს კითხულობს იგი, რითია დაკავებული ცხოვრებაში და რა გარემოში არსებობს“.

ინფექცია იმდენად ძლიერია, რომ მას ძალუძს ინდივიდებს არა მხოლოდ იდეები, არამედ გრძნობებიც ჩააგონოს. სწორედ ასეთი ინფექციის წყალობით იძულებდნენ მოცემულ ეპოქებში ცნობილ ნაწარმოებებს, მაგალითად, „ტანგეიზერს“, რომელმაც რამდენიმე წლის შემდეგ იმავე ადამიანთა აღტაცება გამოიწვია, ვინც მას აძაგებდა.

მრწამსი და შეხედულება ბრბოში სწორედ ინფექციის და არა მსჯელობის მეშვეობით ვრცელდება, ხოლო ყველა ეპოქის ბრბოთა შეხედულებები ზუსტად ასეთი მექანიზმის მეშვეობით იქმნებოდა: მტკიცება, გამეორება, ინფექცია. რენანი სრულიად სამართლიანად ადარებს ქრისტიანობის დამფუძნებლებს „მუშა სოციალისტებს, რომლებიც საკუთარ იდეებს დუქნებში ავრცელებენ“. ვოლტერიც, საუბრობს რა ქრისტიანული რელიგიის შესახებ, ამბობს: „ასზე მეტი წლის განმავლობისას მის მიმდევრებს მხოლოდ ყველაზე საძულველი მდაბიონი წარმოადგენდნენ“.

აქ მოტანილ მაგალითთა ანალოგიურის მიხედვით შეგვიძლია თვალი მივადევნოთ, როგორ ეუფლება ინფექცია, რომელიც თავიდან საზოგადოების მხოლოდ დაბალ საფეხურზე ვრცელდება, უმაღლეს ფენებს. ამაში დარწმუნება ჩვენ

თანამედროვე სოციალისტური დოქტრინების განხილვით შეგვიძლია, რომლებითაც უკვე ისინი არიან გატაცებულნი, ვინც განწირულია მათი ზეიმის პირველ მსხვერპლად იქცეს.

ინფექციის მოქმედება იმდენად ძლიერია, რომ მის წინაშე ყველა სახის პირადი ინტერესი უკან იხევს.

ამიტომაცაა, რომ ყოველი შეხედულება, რომელიც პოპულარულად იქცევა, საბოლოოდ ისეთ ძალას იძენს, რომ ყველაზე მაღალ სოციალურ ფენებში აღწევს და იქ გაბატონებულ მდგომარეობას მოიპოვებს, თუნდაც მისი უგნურება სრულიად ცხადი იყოს. ამ მოვლენაში ფრიად საინტერესოა დაბალი სოციალური ფენების რეაქცია მაღლა მდგომზე, მით უფრო საინტერესო, რომ ბრბოს ყველა შეხედულება ყოველთვის რომელიმე მაღალი იდეიდან მომდინარეობს, რომელსაც არანაირი გავლენა არ გააჩნდა იმ გარემოში, სადაც ის დაიბადა. ჩვეულებრივ, ბელადები, რომლებიც ასეთი იდეის გავლენის ქვეშ ექცევიან, ამახინჯებენ მას, ქმნიან სექტებს, რომლებიც, თავის მხრივ, ამახინჯებენ მას და ხალხში ავრცელებენ, რომლებიც კვლავ და კვლავ ამახინჯებენ მას. საბოლოოდ იქცევა რა სახალხო ჭეშმარიტებად, ეს იდეა გარკვეული გზით უბრუნდება პირველწყაროს და უკვე ერის უმაღლეს ფენებზე იხვეჭს გავლენას. საბოლოოდ, ჩვენ ვრწმუნდებით, რომ სამყაროს გონება მართავს. იდეათა შემქმნელი ფილოსოფოსები დიდი ხანია ფერფლად იქცნენ, მაგრამ ჩემს მიერ აღწერილი მექანიზმის წყალობით საბოლოოდ მათი აზრები ზეიმობენ.

3. ავტორიტეტი

იდეები, რომლებიც მტკიცების, გამეორებისა და ინფიცირების გზით ვრცელდება, საკუთარ ძალმოსილებას უმთავრესად იმ იდუმალ ძალას უნდა უმადლოდნენ, რომელსაც ისინი იძენენ. ესაა ავტორიტეტი.

იდეები და ადამიანები, რომლებმაც ქვეყანა დაიმორჩილეს, მასზე უპირატესად იმ გადაულახავი ძალის წყალობით ბატონობდნენ, რომელსაც ავტორიტეტი ეწოდება. ჩვენ ყველას გვესმის ამ სიტყვის მნიშვნელობა, მაგრამ ხშირად იგი იმდენად განსხვავებული აზრით გამოიყენება, რომ მისი განმარტება რთული ხდება. ავტორიტეტი შესაძლოა დაპირისპირებულ გრძნობათაგან შედგებოდეს, როგორიცაა აღფრთოვანება და შიში. ავტორიტეტის საფუძვლად ხშირად მართლაც ეს გრძნობები დევს, მაგრამ ზოგჯერ იგი მათ გარეშეც არსებობს. ავტორიტეტის ყველაზე დიდი ძალა გარდაცვლილებს აქვთ, შესაბამისად, არსებებს, რომლებისაც არ გვეშინია: ალექსანდრე, კეისარი, მუჰამედი, ბუდა. მეორეს მხრივ, არსებობს ისეთი საგნები და ფიქციები, რომლებიც სრულებით არ აღძრავენ ჩვენში აღფრთოვანებას, მაგალითად ინდოეთის მიწისქვეშა ტაძართა შემზარავი ღვთაებები, რომლებსაც, მიუხედავად ამისა, საკმაო ავტორიტეტი გააჩნიათ.

სინამდვილეში ავტორიტეტი - ესაა რაიმე იდეის ან საქმის ბატონობა ინდივიდის გონებაზე. ასეთი გაბატონება ახდენს ინდივიდის ყველა კრიტიკული უნარის პარალიზებას და მის სულს გაოცებითა და პატივისცემით აღავსებს. გამოწვეული გრძნობა აუხსნელია, ისევე, როგორც ყველა გრძნობა, მაგრამ იგი იმავე რიგს ეკუთვნის, რომელსაც მაგნიტიზირებული სუბიექტის ავტორიტეტი. ავტორიტეტი წარმოადგენს ყოველი სახის ბატონობის უმძლავრეს მიზეზს; ღმერთები, მეფეები და ქალები ვერასოდეს შეძლებდნენ მის გარეშე მბრძანებლობას.

თუმცა, ავტორიტეტის განსხვავებული ფორმები შეგვიძლია ორ ძირითად კატეგორიად დავყოთ: შეძენილ და თანდაყოლილ ავტორიტეტად. თანდაყოლილია ავტორიტეტი, რომლის მოპოვება

სახელის, სიმდიდრის, რეპუტაციის მეშვეობით ხდება; ის შესაძლოა სრულებით არ იყოს დამოკიდებული შეძენილ ავტორიტეტზე. ამ უკანასკნელს უფრო ინდივიდუალური ხასიათი აქვს და შესაძლოა რეპუტაციასა, დიდებასა და სიმდიდრესთან ერთად არსებობდეს, თუმცა მათ გარეშეც გადის ფონს.

უფრო გავრცელებული - შეძენილი ანუ ხელოვნური ავტორიტეტია. უკვე მხოლოდ ის ფაქტი, რომ რომელიღაც ინდივიდს ცნობილი სოციალური მდგომარეობა უჭირავს, ფლობს სიმდიდრესა და ტიტულებს, ხშირად საკმარისია, რომ მას ავტორიტეტი მიანიჭოს, როგორი უსუსურიც არ უნდა იყოს მისი პირადი მნიშვნელობა. მუნდირით აღჭურვილი სამხედრო პირი და მანტიამოსხმული მოსამართლე ყოველთვის სარგებლობენ ავტორიტეტით. პასკალი სრულიად სამართლიანად აღნიშნავდა მოსამართლეების მანტიებითა და პარიკებით შემოსვის აუცილებლობას, რის გარეშე ისინი საკუთარი ავტორიტეტის სამ მეოთხედს დაკარგავდნენ. ყველაზე მრისხანე სოციალისტი ყოველთვის ოდნავ შეცბუნებულია თავადის ან მარკიზის ხილვისას; საკმარისია ამ წოდების დასაკუთრება და ყველაზე გამჭრიახი კომერსანტიც კი თავს გაგასულელებინებთ.

ბრბოზე წოდებების, ჯილდოებისა და მუნდირების გავლენას ყველა ქვეყანაში ვხვდებით, იქაც კი, სადაც პირადი თავისუფლების განცდა ყველაზე ძლიერადაა განვითარებული. ამასთან დაკავშირებით ნაწყვეტს მოვიტან ერთი მოგზაურის წიგნიდან, რომელიც იმ ავტორიტეტის შესახებ მოგვითხრობს, რომლითაც ზოგი ადამიანი სარგებლობს ინგლისში: „არაერთხელ მომიწია დავკვირვებოდი თრობის განსაკუთრებულ მდგომარეობას, რომელიც ყველაზე კეთილგონიერ ინგლისელებსაც კი იპყრობს ინგლისის რომელიმე პერთან ურთიერთობისას.

მათ წინდაწინ უყვართ იგი, ოღონდ კი მისი სიმდიდრე შეესაბამებოდეს მის მდგომარეობას, და მისი თანდასწრებით ყველაფერს აღფრთოვანებით იტანენ მისგან; სიამოვნებისგან წითლდებიან, როდესაც ის უახლოვდება მათ ან მათთან საუბარს იწყებს; შეკავებული სიხარული უჩვეულო ბრწყინვალებას გადასცემს მათ თვალებს. მათ „ლორდი სისხლში აქვთ გამჯდარი“, თუკი ასეთი გამოთქმა დასაშვებია, როგორც ვამბობთ ხოლმე, მაგალითად, ესპანელის შესახებ, რომ მას ცეკვა აქვს სისხლში, ან გერმანელის შესახებ, რომ მუსიკა აქვს სიხლში, და ფრანგისა - რომ მას სისხლში აქვს გამჯდარი რევოლუცია. მათი გზნება ცხენებითა და შექსპირით უფრო სუსტია და აქედან ისინი ნაკლებ სიამოვნებას იღებენ. პერთა წიგნზე დიდი მოთხოვნაა და მას ყველაზე დაშორებულ ადგილებშიც კი შეხვდებით, როგორც ბიბლიას“.

აქ მე მხოლოდ ადამიანთა ავტორიტეტს ვეხები, თუმცა მას გვერდით შეგვიძლია მივუყენოთ შეხედულებების, ლიტერატურულ და მხატვრულ ნაწარმოებთა და ა.შ. ავტორიტეტი. უკანასკნელ შემთხვევაში ავტორიტეტი უმეტესწილად ხშირი გამეორების შედეგს წარმოადგენს. ისტორია, განსაკუთრებით კი ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორია, სხვა არა არის რა, თუ არა ერთი და იმავე მტკიცებულებების გამეორება, რომლებთან შეკამათებისა და შეხების უფლება არავის აქვს. მაგალითად, თანამედროვე ადამიანისთვის ჰომეროსის კითხვა დიდად მოსაწყენი ამბავია, მაგრამ ვინ გაბედავს ამის აღიარებას? პართენონი დღევანდელ დღეს საბრალო ნანგრევს წარმოადგენს, რომელიც არანაირ ინტერესსს არ იწვევს, მაგრამ ამ ნანგრევს ავტორიტეტი იმიტომ გააჩნია, რომ იგი ისე კი არ წარმოგვიდგება, როგორიც არის, არამედ ისტორიულ მოგონებათა მთელი ამალის თანხლებით. ავტორიტეტის მთავარ თვისებას ის წარმოადგენს, რომ იგი არ

უშვებს საგანთა ხილვას მათი ნამდვილი სახით და ყველა სახის მსჯელობის პარალიზებას ახდენს.

ბრბო მუდამ, ინდივიდები კი საკმაოდ ხშირად საჭიროებენ მზა შეხედულებებს საგნებთან მიმართებით. ასეთ შეხედულებათა წარმატება სრულებით არ არის დამოკიდებული ჭეშმარიტების ან ცთომილების იმ ნაწილაკზე, რომელთაც ისინი შეიცავენ, არამედ მხოლოდ მათი ავტორიტეტის ხარისხზე.

ახლა მე თანდაყოლილი ავტორიტეტის შესახებ ვისაუბრებ. ავტორიტეტის ეს სახე სრულად განსხვავდება შეძენილი ანუ ხელოვნური ავტორიტეტისგან და არც წოდებაზეა დამოკიდებული და არც ძალაუფლებაზე; იგი მხოლოდ ერთეულთა მონაპოვარს წარმოადგენს და რაღაც მაგნიტურ მიმზიდველობას ანიჭებს მათ, რაც გარშემომყოფებზე გავლენას ახდენს, მიუხედავად მათ შორის სოციალური თანასწორობის არსებობისა და იმისა, რომ მათ არანაირი ჩვეულებრივი საშუალებები არ გააჩნიათ საკუთარი უპირატესობის დასამკვიდრებლად. ისინი საკუთარ იდეებსა და გრძნობებს გარშემომყოფებს ჩააგონებენ, ეს უკანასკნელნი კი ემორჩილებიან, როგორც, მაგალითად, მტაცებელი ცხოველი ემორჩილება მომთვინიერებელს, თუმცა მარტივად შეძლებდა მის გაგლეჯვას.

ბრბოს დიადი ბელადები - ბუდა, მუჰამედი, ჟანა დ'არკი, ნაპოლეონი - სწორედ ავტორიტეტის ასეთი სახის ფორმას ფლობდნენ და მისი წყალობით ახერხებდნენ ბრბოს დამორჩილებას. ღმერთებს, გმირებსა და დოგმებს - ჩააგონებენ, მაგრამ მათ შესახებ არ დაობენ. ისინი ქრებიან, როგორც კი მათ შესახებ მსჯელობა იმართება.

დიდი ადამიანები, რომელთა ავტორიტეტის შესახებ ვსაუბრობდი მე ახლა, ასეთი ავტორიტეტის გარეშე სახელს ვერ მოიხვეჭდნენ. ნაპოლეონი, იმყოფებოდა რა დიდების ზენიტში, უზარმაზარი ავტორიტეტით სარგებლობდა საკუთარი ძალმოსილების წყალობით, მაგრამ ეს ავტორიტეტი მანამდეც გააჩნდა, როდესაც არანაირი ძალაუფლება არ ჰქონდა და სრულიად უცნობი იყო. პროტექციის წყალობით იგი ჯარის სარდლად დაინიშნა იტალიაში, სადაც ძალიან მკაცრი, მოხუცი მეომარი-გენერლების წრეში აღმოჩნდა, რომლებიც მზად იყვნენ უკიდურესად მშრალად დახვედროდნენ თანამომმეს, რომელიც მათ თავზე დაასვეს.

მაგრამ პირველივე წუთებიდან, პირველი შეხვედრიდან, ყოველგვარი საუბრის, მუქარისა და ჟესტიკულაციის გარეშე, მომავლის დიადმა ადამიანმა ისინი დაიმორჩილა. თანამედროვეთა მემუარებიდან ტენს შემდეგი საინტერესო ამბავი მოაქვს ამ შეხვედრის შესახებ: „დივიზიის გენერლები, მათ შორის ოჟეროც, ძველი მეომარი, უხეში, მაგრამ თავგანწირული, რომელიც ძლიერ ამაყობდა საკუთარი სიმაღლითა და სიმამაცით, მთავარ ბინაში წინასწარ ჩამოყალიბებული აზრით მივიდნენ პარიზიდან გამოგზავნილი მეტიჩარას შესახებ. ოჟერო წინდაწინ ეძლეოდა აღშფოთებას, უკვე ჰქონდა რა წარმოდგენა შექმნილი მის შესახებ მონათხრობთა მიხედვით და მზად იყო, დაუმორჩილებლობა გამოეცხადებინა ამ „ბარასის ფავორიტის", „ვანდემიერის გენერლის" და „ქუჩის გენერლისთვის", რომელსაც ყველა ისე უმზერდა, როგორც დათვს, რადგან ის ყოველთვის განზე იდგა და ჩაფიქრებული იყო, ამასთანავე, ტანდაბალ გენერალს მათემატიკოსისა და მეოცნების სახელი ჰქონდა. ისინი შემოიყვანეს. ბონაპარტემ აიძულა, დალოდებოდნენ. ბოლოს ის გამოვიდა, წელზე დაშნით, ქუდი დაიხურა, აუხსნა გენერლებს საკუთარი გეგმები და გაუშვა. ოჟერო დუმდა, მხოლოდ ქუჩაზე გამოსვლის შემდეგ შემოირტყა თავში ხელი და ჩვეულ წყევლას მოყვა, იმავდროულად მასენას ეთანხმებოდა, რომ ამ პატარა გენერალმა მას შიში ჩაუნერგა

და ვერ იგებს, რატომ იგრძნო პირველივე ნახვისას თავი განადგურებულად მისი ავტორიტეტის წინაშე“.

ნაპოლეონის ავტორიტეტი კიდევ უფრო გაიზარდა მისი ძლევამოსილების გავლენის ქვეშ, მას შემდეგ, როდესაც ის დიდ ადამიანად იქცა. ამ დროს მისი ავტორიტეტი ღვთაებისას გაუთანაბრდა. გენერალი ვანდამი, რევოლუციის მებრძოლი, კიდევ უფრო უხეში და ენეგიული, ვიდრე ოჟერო, 1815 წელს მარშალ დ’ორნანოს, როდესაც ტუილრის სასახლეში კიბეზე ადიოდნენ, მის შესახებ შემდეგს ეუბნებოდა: „ძვირფასო, ეს ადამიანი ჩემზე ისე მომაჯადოებლად მოქმედებს, რომ მე ჩემს თავს ანგარიშს ვეღარ ვუწევ, თანაც ეს ავტორიტეტი ისეთი ხარისხისაა, რომ მე, ვისაც არც ღმერთის მეშინია და არც ეშმაკის, მასთან მიახლოებისას ბავშვივით ვკანკალებ. მას შეუძლია მაიძულოს ნემსის ყუნწში გავძვრე, რათა შემდეგ ცეცხლში მომისროლოს“.

ნაპოლეონი ზუსტად ასეთ მომაჯადოებელ ზემოქმედებას ახდენდა ყველაზე, ვინც მას უახლოვდებოდა.

აცნობიერებდა რა საკუთარ ავტორიტეტს, ნაპოლეონი იმასაც ხვდებოდა, რომ ის კიდევ უფრო ზრდიდა მას, როდესაც მეჯინიბეებზე უარესად ექცეოდა იმ მნიშვნელოვან პირებს, რომლებიც გარს ეხვივნენ და რომელთა შორის იყვნენ კონვენტის სახელოვანი წევრები, ოდესღაც რომ შიშის ზარს სცემდნენ ევროპას. იმ დროის მონათხრობები მრავალ ნიშნეულ ფაქტს შეიცავს ამ მიმართულებით. ერთხელ სახელმწიფო საბჭოში ნაპოლეონი უკიდურესად უხეშად მოექცა ბენიოს, რომელსაც ისე მოეპყრა, როგორც უვიცსა და ლაქიას. მიაღწია რა საწადელს, ნაპოლეონი მიუახლოვდა მას და უთხრა: „აბა, სულელო, იპოვეთ, ბოლოს და ბოლოს, თქვენი თავი?“ ტამბურმაჟორივით მაღალი ბენიო დაიხარა, პატარა კაცმა კი ხელი ასწია და ყურში მოჰკიდა, რაც „დამათრობელი წყალობის ნიშანი იყო, - წერს ბენიო. -მოწყალე ბატონის ჩვეულებრივი ჟესტი“. მსგავსი მაგალითები ცხად წარმოდგენას გვიქმნიან სიმდაბლისა და სისაძაგლის შესახებ, რასაც ავტორიტეტი ზოგი ადამიანის სულში იწვევს, და ასევე ხსნიან იმას, თუ რატომ განიცდიდა დიადი დესპოტი ასეთ დიდ სიძულვილს მის გარშემომყოფ ადამიანთა მიმართ, ვისაც ის მართლაც, როგორც საზარბაზნე ხორცს, ისე უყურებდა.

დავუ, რომელიც ბონაპარტისადმი საკუთარი და მარეს ერთგულების შესახებ საუბრობდა, ამბობდა: „თუ იმპერატორი გვეტყოდა ჩვენ, ორივეს: „ჩემი პოლიტიკის ინტერესები მოითხოვს, რომ პარიზი განადგურებულ იქნეს, თანაც ისე, რომ ვერავინ გააღწიოს ქალაქიდან“ - მაშინ მარე უდაოდ შეინახავდა ამ საიდუმლოს, დარწმუნებული ვარ ამაში, თუმცა ოჯახს გააპარებდა ქალაქიდან, რითიც საიდუმლოს საფრთხის წინაშე დააყენებდა. მე კი, იმის შიშით, რომ ვერავინ მიმხვდარიყო საიდუმლოს, ცოლსა და შვილებსაც პარიზში დავტოვებდი“.

ნაპოლეონის ეს გასაოცარი უნარი - ბრბოზე შთაბეჭდილების მოხდენისა - უნდა გავითვალისწინოთ ელბადან მისი გასაოცარი დაბრუნებისა და საფრანგეთზე მარტოხელა ადამიანის გამარჯვების ასახსნელად, რომლის წინააღმდეგ იყო აღმდგარი დიადი ქვეყნის ყველა ორგანიზებული ძალა, რომელიც, თითქოსდა უკვე დაღლილი იყო მისი ტირანიით. მაგრამ საკმარისი იყო მას გენერლებისთვის შეეხედა, იმ გენერლებისთვის, რომლებიც მის შესაპყრობად იყვნენ მისულნი და შეპყრობის ფიციც კი ჰქონდათ მიცემული, რომ მყისიერად მისი ავტორიტეტის გავლენის ქვეშ მოექცნენ.

„ნაპოლეონი, - წერს ინგლისელი გენერალი უოლსლი. - მარტო გადმოდის საფრანგეთში, როგორც ელბადან დევნილი და რამდენიმე კვირაში ყოველგვარი სისხლისღვრის გარეშე ახერხებს საფრანგეთის ძალაუფლების დამხობას, რომლის სათავეში

კანონიერი მეფე დგას. არსებობს კი სხვა შემთხვევები, სადაც ცალკეული ადამიანის პირადი უპირატესობა მეტად გასაოცარი სახით გამოვლენილიყოს? მისი ამ უკანასკნელი კამპანიის დროს შეგვიძლია ცხადად დავინახოთ, თუ რა ძალაუფლება გააჩნდა მას მოკავშირეებზე, აიძულებდა რა მის ინიციატივას გაჰყოლოდნენ, და რა ცოტა იყო საჭირო მათ საბოლოოდ გასასრესად“.

მისმა ავტორიტეტმა მასზე მეტ ხანს გაძლო და თან განუხრელად იზრდებოდა.

სწორედ ამ ავტორიტეტის წყალობით იქცა იმპერატორად მისი ყველასათვის უცნობი ძმისშვილი. ვადევნებთ რა შემდგომ თვალყურს იმას, თუ როგორ აღორძინდება მისი ლეგენდა, შეგვიძლია დავრწმუნდეთ, რამდენად ძლევამოსილია ჯერ კიდევ მისი აჩრდილი. რამდენიც გსურთ, იმდენ ხანს მოექეცით ადამიანებს ურიგოდ, მილიონობით დახოცეთ, შემოსევა შემოსევაზე გამოიწვიეთ, და მაინც, ყველაფერს გაპატიებენ, თუ საკმარისი ხარისხის ავტორიტეტი გაგაჩნიათ და შეგწევთ მისი შენარჩუნების უნარი.

მე აქ ავტორიტეტის სრულიად განსაკუთრებული მაგალითი მოვიტანე, მაგრამ აუცილებელი იყო სწორედ მისი მოხმობა, რათა დიადი რელიგიების, დიადი დოქტრინებისა და დიად იმპერიათა წარმოშობა ჩვენთვის გასაგები გამხდარიყო. ყოველივეს გენეზისი ბუნდოვანი დარჩება, თუ ავტორიტეტის, მოჯადოების დიად ძალას არ გავითვალისწინებთ.

მაგრამ ავტორიტეტი არა მხოლოდ პირად უპირატესობას, სამხედრო ძლიერებასა ან რელიგიურ შიშს ეფუძნება.

მას შესაძლოა გაცილებით უფრო მოკრძალებული ფესვები ჰქონდეს და მაინც ფრიად მნიშვნელოვანი იყოს. ერთ-ერთ გამორჩეულ მაგალითს ცნობილი ადამიანის (ლესეფსი) ისტორია წარმოადგენს, რომელმაც სახე უცვალა დედამიწასა და ხალხებს შორის კომერციულ ურთიერთობებს, დააშორა რა ორი კონტინენტი ერთმანეთს. მისი წამოწყება წარმატებული აღმოჩნდა არა მხოლოდ უსაზღვრო ნების, არამედ გავლენის შედეგადაც, რომელიც მას გარშემომყოფებზე გააჩნდა. საყოველთაო უნდობლობის გასაქარწყლებლად მისი მხოლოდ გამოჩენა იყო საკმარისი. ის რამდენიმე წუთს საუბრობდა, მისი მიმზიდველობა კი მოწინააღმდეგეებს მომხრეებად აქცევდა. განსაკუთრებულ წინააღმდეგობას მის პროექტს ინგლისელები უწევდნენ, მაგრამ საკმარისი იყო, ინგლისში ჩასულიყო, რომ ყველა მის თანამზრახველად იქცა. მოგვიანებით, როდესაც სოთემფთონში მგზავრობდა, მის პატივსაცემად ზარებს რეკდნენ, ახლა კი ინგლისი აპირებს მას ძეგლი დაუდგას. „დაამარცხა რა ყველა საგანი, ადამიანი, ჭაობები, კლდეები და ქვიშა“, მას უკვე აღარ სწამდა დაბრკოლებების არსებობისა და გადაწყვიტა სუეცი პანამაში გაემეორებინა. ნაცად საშუალებებს მიმართა, მაგრამ მოვიდა სიბერე; გარდა ამისა, რწმენა, რომელიც მთებს ძრავს, ამას ახერხებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს მთები ძალიან მაღალი არ არის. მაგრამ, მთებმა გაძლეს, რის შედეგად წარმოქმნილმა კატასტროფამ გაანადგურა გმირის დიდების შარავანდი. მისი ცხოვრება საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ როგორ იქმნება ავტორიტეტი და როგორ შეიძლება იგი გაქრეს. სიდიადით გაუთანაბრდა რა ისტორიის ყველაზე სახელოვან გმირებს, ის თავისი ქვეყნის უბრალო მსაჯულთა მიერ იქნა დამხობილი ყველაზე ამაზრზენ დამანაშავეთა საფეხურამდე. მისი სიკვდილი ბრბომ გულგრილად მიიღო, და მხოლოდ უცხო ქვეყნების მეთაურებმა ჩათვალეს საჭიროდ პატივი მიეგოთ ისტორიის ერთ-ერთი უდიადესი გმირისათვის.

ერთმა უცხოურმა გაზეთმა, კერძოდ კი „Neue Freie Presse“, ლესეფსის ბედთან დაკავშირებით მართებული ფსიქოლოგიური შენიშვნები გამოაქვეყნა, რომლებიც აქ მომაქვს: „ლესეფსის

მსჯავრდების შემდეგ აღარ უნდა გვიკვირდეს ქრისტეფორე კოლუმბის მწუხარე აღსასრული. თუ ფერდინანდ ლესეფსს თაღლითად ჩავთვლით, მაშინ ყველა კეთილშობილი ილუზია დანაშაულად უნდა მივიჩნიოთ. ძველი სამყარო ლესეფსს დიდების შარავანდს მოარგებდა და მას ოლიმპოზე დააბრძანებდა, რადგან მან სამყაროს ზედაპირი შეცვალა და გააუმჯობესა იგი. ფერდინანდ ლესეფსისთვის გამოტანილი განაჩენით სასამართლოს თავმჯდომარემ საკუთარი უკვდავება უზრუნველყო, რადგან ადამიანები ყოველთვის იკითხავენ სახელს კაცისა, ვისაც არ შეეშინდა და დაამცირა საკუთარი საუკუნე, კატორღელის სამოსში გამოაწყო რა მოხუცი, რომლის ცხოვრება თანამედროვეთა დიდებას წარმოადგენდა... ნუღარაფერს გვეტყვიან მართლმსაჯულების სიმკაცრის შესახებ იქ, სადაც ბიუროკრატული სიძულვილია გამეფებული ყოველი დიადი, თამამი წამოწყებისადმი. ერებს სჭირდებათ ასეთი გაბედული ადამიანები, რომლებსაც საკუთარი თავის რწმენა აქვთ და დაბრკოლებებს საკუთარი პიროვნებისადმი ყურადღების გარეშე გადალახავენ. შეუძლებელია, გენია ფრთხილი იყოს; თუკი სიფრთხილით იხელმძღვანელებს, ის ვერასოდეს შეძლებს კაცობრიობის თვალსაწიერის გაფართოებას.

...ფერდინანდ ლესეფსმა წარმატებით თრობაც განიცადა და წარუმატებლობის ნაღველიც - ესაა სუეცი და პანამა. გონება აღდგება წარმატების ამ მორალის წინააღმდეგ. როდესაც მან ორი ზღვის შეერთება შეძლო, ხელმწიფეებმა და ხალხებმა მას პატივი მიაგეს, მაგრამ, მას შემდეგ, რაც მარცხი განიცადა, ვერ დაჯაბნა რა კორდილიერები, ჩვეულებრივ თაღლითად იქცა... აქ ვლინდება საზოგადოების კლასთა ბრძოლა, ბიუროკრატებისა და ჩინოვნიკების უკმაყოფილება, რომლებიც სისხლის სამართლის კოდექსით ხელში იძიებენ შურს მათზე, ვინც აღზევებას ცდილობდა... თანამედროვე კანონმდებლები იბნევიან ადამიანის გენიის ამგვარი დიადი იდეების წინაშე; ხალხს კი ამისა კიდევ უფრო ნაკლებად გაეგება და რომელიმე ჩვეულებრივ ადვოკატს სულაც არ უჭირს იმის დამტკიცება, რომ სტენლი მკვლელია, ლესეფსი კი თაღლითი“.

ჩვენს მიერ მოტანილი ყველა ეს მაგალითი ავტორიტეტის მხოლოდ ზღვრულ ფორმებს გულისხმობს. მათი ფსიქოლოგია რომ დეტალურად ჩამოვაყალიბოთ, აუცილებელი იქნებოდა ეს ფორმები რიგის ბოლოში მოგვეთავსებინა, რომელიც რელიგიებისა და სახელმწიფოთა დამფუძნებლებისგან რომელიმე სუბიექტამდე ეშვება, მეზობლის მოხიბვლას რომ ცდილობს ახალი კოსტუმის ან ჯილდოების ბრწყინვალეებით.

ამ რიგის ორივე ბოლოს შორის შეგვიძლია მოვათავსოთ ავტორიტეტის ყველა ფორმა ცივილიზაციის სხვადასხვა ელემენტებში: მეცნიერებაში, ლიტერატურაში, ხელოვნებაში და ა.შ. მაშინ გახდება ცხადი, რომ ავტორიტეტი წარმოადგენს ყველა სახის დარწმუნების ძირითად ელემენტს. შეგნებულად თუ შეუგნებლად, მაგრამ არსება, იდეა ან საგანი, რომელიც გავლენით სარგებლობს, მყისიერად, ინფიცირების გზით იწვევს მიბაძვას და მთელ თაობას ჩააგონებს გრძნობის ან აზრთა გამოხატვის კონკრეტულ საშუალებას. მიბაძვა უფრო ხშირად არაცნობიერია, რაც განაპირობებს კიდეც მის სრულყოფილებას. თანამედროვე ფერმწერებს, ვისაც პრიმიტიულ მხატვართა მკრთალი ფერები და გაყინული პოზები გადააქვთ ტილოზე, ეჭვიც კი არა აქვთ იმისა, თუ საიდან ეწვიათ აღმაფრენა. მათ თავად სწამთ საკუთარი გულწრფელობა, მაგრამ, იმავდროულად, ერთ ცნობილ მხატვარს რომ არ აეღორძინებინა ხელოვნების ეს ფორმა, ჩვენ მასში დაბალი დონის ხელოვნებას დავინახავდით.

ის მხატვრები კი, ვინც სხვა ცნობილი ოსტატის მაგალითის მიხედვით, საკუთარ ტილოებს იისფერი ტონებით ავსებს,

სრულიადაც ვერ ამჩნევს ბუნებაში იისფერის სიჭარბეს მეტად, ვიდრე ეს ორმოცდაათი წლის წინ შეიმჩნეოდა, მაგრამ მასზე იმდენად იმოქმედა ერთი მხატვრის პირადმა და განსაკუთრებულმა შთაბეჭდილებებმა, რომ ამ ჩაგონებას დაექვემდებარნენ, მით უმეტეს, რომ მიუხედავად ასეთი უცნაურობისა, მხატვარმა შეძლო გავლენის მოპოვება. ცივილიზაციის ყველა ელემენტში ვხვდებით მრავალ ასეთ მაგალითს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ვხედავთ, რომ ავტორიტეტის გენეზისში მრავალი ფაქტორი იღებს მონაწილეობას, ხოლო ერთ-ერთ ძირითადს მათ შორის წარმატება წარმოადგენს. ყოველი ადამიანი, რომელმაც წარმატებას მიაღწია, ყველა იდეა, რომელიც ადამიანთა გონებას დაეპატრონა, უკვე ამ საფუძვლით აღარ ექვემდებარება განსჯასა თუ კამათს. იმის მამტკიცებლად, რომ წარმატება ავტორიტეტის ერთ-ერთ ძირითად შემადგენელს წარმოადგენს, ის ფაქტი გამოდგება, რომ წარმატების გაუჩინარებასთან ერთად ქრება ავტორიტეტიც. გმირი, რომელიც ბრბოს გუშინ ცაში აჰყავდა, ხვალ მის მიერვე იქნება გაკიცხული, თუ მას წარუმატებლობა ეწევა. რეაქცია მით უფრო ძლიერი იქნება, რაც უფრო დიდი იყო ავტორიტეტი. ბრბო ასეთ დროს დამხობილ გმირს ისე უმზერს, როგორც თავის ტოლს და შურს იძიებს იმის გამო, რომ მანამდე ქედს იხრიდა მისი უპირატესობის წინაშე, რასაც ახლა აღარ ცნობს. როდესაც რობესპიერი კოლეგებსა და თანამედროვეებს სახრჩობელაზე ისტუმრებდა, ის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. მაგრამ საკმარისი იყო, რამდენიმე ხმის გადანაცვლებით მას ძალაუფლება დაკარგვოდა, რომ დაუყოვნებლივ დაეკარგა ავტორიტეტი, ბრბო კი მას გილიოტინაზე ისეთივე წყევლის ნაკადით აცილებდა, როგორც მანამდე მის მსხვერპლს. მორწმუნენი ყოველთვის განსაკუთრებული სიშმაგით ანადგურებენ კერპებს, რომლებსაც მანამ ეთაყვანებოდნენ.

წარუმატებლობის გავლენით ავტორიტეტი მყისიერად ქრება. მისი დაცემა შესაძლოა მასში ეჭვის შეტანამაც გამოიწვიოს, მაგრამ ეს პროცესი დუნედ მიმდინარეობს, თუმცა ავტორიტეტის განადგურების სწორედ ეს გზაა უფრო ქმედითი. ავტორიტეტი, რომელიც ეჭვის ქვეშ დგება, აღარ წარმოადგენს ავტორიტეტს. ღმერთებისა და ადამიანებისთვის, რომლებმაც დიდხანს შეინარჩუნეს ავტორიტეტი, ეჭვი დაუშვებელი იყო. ბრბოს აღტაცების გამოსაწვევად ის ყოველთვის გარკვეულ დისტანციაზე უნდა ამყოფოთ.

თავი მეოთხე. ბრბოს შეხედულებებისა და მრწამსის ცვალებადობის საზღვრები

1. მუდმივი შეხედულებები. - ზოგი საყოველთაო შეხედულების უცვლელობა. ისინი წარმოადგენენ ცივილიზაციის გზამკვლევს. - მათი აღმოფხვრის სირთულე. - რა გაგებით წარმოადგენს შეუწყნარებლობა ღირსებას. - რაიმე შეხედულების უგნურება ფილოსოფიური თვალსაზრისით ხელს არ უშლის მის გავრცელებას.
2. ბრბოს ცვალებადი შეხედულებები. - განუზომელი ცვალებადობა შეხედულებებისა, რომლებიც საყოველთაო რწმენიდან არ მომდინარეობს. - იდეებისა და შეხედულებების მოჩვენებითი ცვალებადობა. ამ ცვლილებათა ჭეშმარიტი საზღვრები. - საყოველთაო შეხედულებათა გაქრობა და ბეჭდვის ფართოდ გავრცელება დღევანდელ დღეს შეხედულებათა უჩვეულო მობილურობას განაპირობებენ. - ბრბოში ინდიფერენტიზმისკენ მიდრეკილებას ვხვდებით. - მთავრობათა უძლურება მართონ ბრბოს შეხედულებები. - შეხედულებათა არსებული დაქუცმაცებულობა ხელს უშლის მათ ტირანიას.

1. მუდმივი შეხედულებები

ცოცხალ არსებათა ანატომიურ და ფსიქოლოგიურ ნიშნებს შორის მჭიდრო პარალელიზმი შეიმჩნევა. ანატომიურ ნიშნებში ვხვდებით ზოგიერთ ელემენტს, რომელიც უცვლელობას ინარჩუნებს ან იმდენად დუნედ იცვლება, რომ ამ ცვლილებათა გამოსაწევვად მთელი გეოლოგიური ეპოქებია საჭირო. მაგრამ მუდმივი, უცვლელი ნიშნების გვერდით არსებობს სხვა, მობილური ნიშნები, რომლებიც განუწყვეტელ ცვლილებას განიცდიან გარემოს ან ხელოვნების გავლენით; მაგალითად, მესაქონლეებსა და მებაღეებს სურვილის მიხედვით შეუძლიათ ამ ნიშნების შეცვლა, ზოგჯერ იმდენად, რომ ძირითადი ნიშნები სრულიად დაფარული რჩება უყურადღებო დამკვირვებლისგან. ზნეობრივ ნიშნებშიც მსგავს მოვლენას ვხვდებით. რომელიმე ერის უცვლელი ფსიქოლოგიური ელემენტების გვერდით ვხვდებით მობილურ და ცვლად ელემენტებსაც.

აი, რატომაა, რომ რომელიმე ერის შეხედულებების შესწავლისას სიღრმეში ჩვენ უკიდურესად მყარ ფუნდამენტს ვაწყდებით, რომელზეც ხდება შეხედულებათა დალექვა, და რომლებიც ისეთივე მოძრავია, როგორც ქვიშა, კლდეს რომ ფარავს.

შესაბამისად, ერის შეხედულება და მრწამსი შეადგენს ორ თანრიგს, რომლებიც ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება. პირველს ვაკუთვნებთ ყველა დიად და მუდმივ შეხედულებას, რომელიც საუკუნეებს უძლებს და რომლებსაც ეყრდნობა ცივილიზაცია; ასეთია, მაგალითად, ქრისტიანობის, ფეოდალიზმის, რეფორმაციის იდეები, ჩვენს დროში კი ნაციონალიზმის პრინციპი, დემოკრატული და სოციალური იდეები; მეორეს მიეკუთვნება ყველა დროებითი და ცვალებადი შეხედულება, რაც უმთავრესად ზოგადი პრინციპებიდან იღებს სათავეს, რომლებიც ყოველ ეპოქასთან ერთად იქმნება და ქრება - ესაა, მაგალითად, ხელოვნებისა და ლიტერატურის წარმმართავი თეორიები კონკრეტულ ეპოქებში, ისეთები, რომლებმაც რომანტიზმის, ნატურალიზმის, მისტიციზმის და ა.შ. წარმოშობა განაპირობეს. ეს თეორიები უმეტესწილად ისევე ზედაპირულია, როგორც მოდა, და ისეთსავე ცვლილებებს ექვემდებარება, როგორც ეს უკანასკნელი, გვაგონებს რა მცირე ტალღებს, რომლებიც გამუდმებით წარმოიქმნებიან და ქრებიან რომელიმე ღრმა ტბის ზედაპირზე.

დიად და ზოგად შეხედულებათა რიცხვი დიდი არ არის. ასეთ შეხედულებათა ჩამოყალიბება და გაქრობა ყოველი ისტორიული ერის ისტორიის კულმინაციურ წერტილს წარმოადგენს და ყოველი ცივილიზაციის ჭეშმარიტ საყრდენს შეადგენს.

რთული არ არის, ბრბოს რაიმე წარმავალი იდეა ჩააგონოთ, მაგრამ უკიდურესად რთულია მის მენტალობაში მყარი მრწამსის დამკვიდრება, და ამდენადვე რთულია მისი განადგურება, მას შემდეგ, რაც ის ფესვს გაიდგამს. ასეთ დამკვიდრებულ შეხედულებათა ცვლილების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ მშფოთვარე რევოლუციების შედეგად, და ისიც ისეთ დროს, როდესაც შეხედულებამ სრულიად დაკარგა ძალაუფლება მენტალობაზე. რევოლუცია კი საბოლოოდ აღგვის იმას, რაც ისედაც მორყეულია, მაგრამ მხოლოდ ჩვევიდან გამომდინარეა შენარჩუნებული. ამიტომაცაა, რომ რევოლუციის დასაწყისი ყოველთვის რომელიმე შეხედულების დასასრულს ნიშნავს.

რთული არ არის იმ დღის დადგენა, როდესაც რომელიმე დიად შეხედულებას სიკვდილის დამღა ესმება. ეს მაშინ ხდება, როდესაც მას მსჯელობას უქვემდებარებენ, რადგან ყოველი საზოგადო შეხედულება მხოლოდ ფიქციას წარმოადგენს, რომელიც

მხოლოდ და მხოლოდ იმ პირობით არსებობს, რომ მას არ გამოიკვლევენ.

მაგრამ თუ შეხედულება შეირყევა კიდეც, მასზე დაფუძნებული ინსტიტუტები კიდევ დიდხანს შეძლებენ ძალმოსილების შენარჩუნებას, რასაც მხოლოდ თანდათანობით დაკარგავენ, ხოლო როდესაც ის საბოლოოდ დაემხობა, ყველაფერი, რაც მასზე იდგა, მასთან ერთად ჩამოინგრევა. ერი საკუთარ შეხედულებას იცვლის მხოლოდ საკუთარი ცივილიზაციის ყველა ელემენტის სრული ცვლილების პირობით, ხოლო ეს ცვლილებები მანამ გაგრძელდება, სანამ რომელიმე ახალი მრწამსი არ დამკვიდრდება; სანამ ეს არ მოხდება, ერი უნებლიეთ აღმოჩნდება ანარქიის მდგომარეობაში. ზოგადი შეხედულებები ცივილიზაციის მხარდასაჭერად არის აუცილებელი, რადგან ისინი წარმართავენ იდეებს გარკვეული მიმართულებით და მხოლოდ მათ ძალუძთ რწმენის ჩაგონება და ვალდებულების შექმნა.

ერები ყოველთვის აცნობიერებდნენ ზოგად შეხედულებათა შეძენის სარგებელს, ინსტინქტურად ხვდებოდნენ რა, რომ მათი გაქრობა მათთვის დაკნინების პერიოდს ნიშნავდა. რომის ფანატიური კულტი რომაელებისთვის სწორედ ასეთ მრწამსს წარმოადგენს, რომელმაც ისინი სამყაროს მბრძანებლებად აქცია, მის გაქრობასთან ერთად კი რომის დაკნინება დაიწყო. ბარბაროსებმა კი, ვინც რომის ცივილიზცია გაანადგურა, მხოლოდ მაშინ მიაღწიეს გარკვეულ ერთიანობას და შეძლეს ანარქიისთვის თავის დაღწევა, როდესაც ზოგი საერთო შეხედულება შეითვისეს.

ამგვარად, ხალხები სრული საფუძვლით იცავდნენ საკუთარ მრწამსს ესოდენ შმაგი შეუწყნარებლობით. მსგავსი შეუწყნარებლობა, რომელიც ფილოსოფიური თავლსაზრისით გაკიცხვას იმსახურებს, ერების ცხოვრებაში ერთ-ერთ ყველაზე აუცილებელ ღირსებას წარმოადგენს. საყოველთაო მრწამსის დამკვიდრების ან შენარჩუნებისთვის შუა საუკუნეებში უამრავი კოცონი იქნა დანთებული და არაერთი ნოვატორი და გამომგონებელი დაიღუპა. ამ შეხედულებათა დასაცავად სამყარომ არაერთხელ განიცადა ფუნდამენტური რყევა, მილიონობით ადამიანი დასამარდა ბრძოლის ველზე და ალბათ მომავალშიც არანაკლები დაიღუპება!

საყოველთაო შეხედულების დამკვიდრება უაღრესად რთული ამოცანაა, მაგრამ მას შემდეგ, რაც იგი ფესვს გაიდგამს, მისი ძალა დიდხანს არის გადაულახავი, და როგორი მცდარიც არ უნდა იყოს მისი ფილოსოფიური საფუძველი, ყველაზე განათლებული ადამიანებიც კი ემორჩილებიან მას. ნუთუ ევროპული ერები თითქმის თხუთმეტი საუკუნის განმავლობისას არ თვლიდნენ ეჭვშეუვალ ჭეშმარიტებად რელიგიურ ლეგენდებს, რომლებიც უფრო ახლო განხილვისას ისევე ბარბაროსულად წარმოგვიდგება, როგორც მოლოქის შესახებ თქმულება?! ასეთი ლეგენდის შემაძრწუნებელი უგნურება საუკუნეთა განმავლობაში ვერ შეამჩნიეს, და ისეთი გენიოსები, როგორებიც გალილეო, ნიუტონი და ლაიბნიცი იყვნენ, არ უშვებდნენ მისი ეჭვქვეშ დაყენების შესაძლებლობას.

ამ ფაქტზე უკეთ ვერაფერი დაამტკიცებს საყოველთაო შეხედულებათა მაჰიპნოტიზებელ გავლენას, მაგრამ, იმავდროულად, ასე მკაფიოდაც ვერაფერი გვიჩვენებს ადამიანის გონებისთვის დადგენილ დამამცირებელ საზღვრებს.

როგორც კი რაიმე ახალი დოგმატი ბრბოს სულში დამკვიდრდება, იგი დაუყოვნებლივ იქცევა მისი ინსტიტუტების, ხელოვნებისა და ქცევის შთაგონების წყაროდ. მისი ძალაუფლება ბრბოზე აბსოლუტურია. ადამიანები დიდხანს მხოლოდ ოცნებობენ მის განხორციელებას, კანონმდებლები ცხოვრებაში მის გატარებას ცდილობენ, ფილოსოფოსები, ხელოვანები და ლიტერატორები კი

მისი განმარტებით არიან დაკავებულნი, წარმოადგენენ რა მას სხვადასხვა ფორმით. ცხადია, ძირითადი შეხედულებიდან დროებით შესაძლოა გვერდითი იდეები წარმოიქმნას, მაგრამ ისინი ყოველთვის მათი წარმომშობი ძირითადი იდეის ნიშნის მატარებლები იქნებიან. ეგვიპტის ცივილიზაცია, შუა საუკუნეების ევროპის ცივილიზაცია, არაბთა მუსულმანური ცივილიზაცია - ყველა მათგანი იმ მცირე რაოდენობის რელიგიური შეხედულებებიდან წარმოიშვა, რომლებმაც საკუთარი კვალი ამ ცივილიზაციათა ყველაზე მცირე შემადგენლებს დაამჩნიეს, რის შედეგად ამ ძირითადი შეხედულებების ამოცნობა თვალის ერთი გადავლებით შეიძლება. ამგვარად, საყოველთაო შეხედულებათა წყალობით ყოველი ეპოქის ადამიანები გარშემორტყმული არიან ტრადიციების, შეხედულებებისა და ჩვევების ქსელით, რომლის უღელისგან თავის დაღწევის ძალა მათ არ შესწევთ და რაც განაპირობებს კიდეც მათ მსგავებას. ეს შეხედულებები ადამიანებს ისევე მართავენ, როგორც მათგან გამომდინარე ადათები, რომლებიც ჩვენი არსებობის უმცირეს ქმედებებსაც კი განაგებენ, იმდენად, რომ ყველაზე დამოუკიდებელ გონებასაც კი არ ძალუძს მისი წნეხისგან განთავისუფლება. ჭეშმარიტი ტირანია მხოლოდ ისაა, რომელიც არაცნობიერად მოქმედებს სულებზე, რადგან მასთან შებრძოლება შეუძლებელია. ტიბერიუსი, ჩინგიზ-ყაენი, ნაპოლეონი, უდაოდ ტირანები იყვნენ, მაგრამ მოსე, ბუდა, მუჰამედი და ლუთერი საკუთარ სამარეთა სიღრმიდან უფრო მეტად მძლავრობდნენ ადამიანთა სულებზე. შეთქმულებამ შესაძლოა დაამხოს ტირანი, მაგრამ რას დააკლებს იგი რომელიმე მყარად ფესვგადგმულ შეხედულებას? კათოლიციზმის წინააღმდეგ წარმოებულ გააფთრებულ ბრძოლაში, მიუხედავად მასების მოჩვენებითი თანაგრძნობისა და ადამიანთა ჟლეტის ყველა საშუალების, რომლებიც ისევე უმოწყალო იყო, როგორც ინკვიზიციის დროს, დამარცხებული მაინც რევოლუცია აღმოჩნდა. კაცობრიობისთვის ჭეშმარიტ ტირანებს ყოველთვის გარდაცვლილთა აჩრდილები ან ილუზიები წარმოადგენდნენ, რომლებსაც თავად კაცობრიობა ქმნიდა.

მრავალი საყოველთაო შეხედულების ფილოსოფიური თვალსაზრისიდან გამომდინარე უგნურება არასოდეს უშლიდა ხელს მათ წარმატებას. მეტიც: წარმატება მხოლოდ იმ პირობითაა შესაძლებელი, თუ შეხედულება რაიმე იდუმალ მონაჩმახს შეიცავს. ამგვარად, ზოგი თანამედროვე შეხედულების აშკარა უგნურება სრულებით ვერ შეუშლის ხელს მათ მიერ ადამიანთა სულების დაპატრონებას.

2. ბრბოს ცვალებადი შეხედულებები

მყარად ფესვგადგმულ შეხედულებებს, რომელთა შესახებ ახლა ვსაუბრობდით, ეფინება შეხედულებების, იდეებისა და აზრების ზედაპირული შრე, რომელიც გამუდმებით იქმნება და ქრება.

ზოგი მათგანი მხოლოდ ერთ დღეს ცოცხლობს, მაგრამ მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანთა სიცოცხლის ხანგრძლივობაც არ სცდება ერთი თაობის ცხოვრებაზე მეტს. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ცვლილებები, რომლებსაც შეხედულებები განიცდიან, უფრო ზედაპირული, ვიდრე არსებითია და ყოველთვის ატარებს ერვნული ხასიათის ნიშანს. მაგალითად, განივიხლავდით რა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ დაწესებულებებს, ჩვენ აღვნიშნეთ, რომ გარეგნულად სრულიად განსხვავებულ პარტიებს: მონარქისტებს, რადიკალებს, სოციალისტებს, იმპერიალისტებსა და ა.შ. არსებითად ერთი იდეალი გააჩნიათ, რაც მთლიანად და მხოლოდ ჩვენი ერის გონების წყობაზეა დამოკიდებული, რადგან სხვა ერში ამ იდეალის

ქვეშ სრულიად განსხვავებული იდეალი იგულისხმება. შეხედულებებისთვის მიკუთვნებული ვერანაირი სახელი, ვერც ცხოვრებაში მათი ყალბი გამოყენება ვერ შეცვლის საქმის არსს. რეოვლუციის ბურჟუებმა, რომლებიც ლათინური ლიტერატურით იყვნენ გაჟღენთილები და რომის რესპუბლიკისკენ ჰქონდათ მზერა მიმართული, მისგან ისესხეს კანონები, წნელის კონები, რომლებიც სეკირებს ნიღბავდნენ, და ტოგები, ცდილობდნენ რა მისი დაწესებულებების გადმოღებას და ყველაფერში მის მიბაძვას. მაგრამ ისინი რომაელებად ვერ იქცნენ, თუმცა მძლავრი ისტორიული ჩაგონების ქვეშ იმყოფებოდნენ. შესაბამისად, ფილოსოფოსის როლი იმაში მდგომარეობს, რომ აღმოაჩინოს ის, რაც ძველი რწმენიდან შემორჩა ახალი სახით, და განსაზღვროს, რა უნდა მიაკუთვნოს იდეათა ამ მოძრავი ნაკადიდან ერის საყოველთაო შეხედულებებს.

ასეთი ფილოსოფიური კრიტერიუმის არარსებობის შემთხვევაში შესაძლოა გვეფიქრა, რომ ბრბო თავის პოლიტიკურ და რელიგიურ შეხედულებებს ძალიან ხშირად იცვლის, როდესაც მას ეს მოეპრიანება. მართლაც, მთელი ისტორია: პოლიტიკური, რელიგიური, მხატვრული და ლიტერატურული, ამაზე მიუთითებს. მაგალითისათვის განვიხილოთ ჩვენი ისტორიის ხანმოკლე პერიოდი: 1790 წლიდან 1820 წლამდე - დროის ოცდაათწლიანი შუალედი, რომელიც მხოლოდ ერთ თაობას მოიცავს. ჩვენ ვხედავთ, რომ ბრბო თავდაპირველად მონარქიული იყო, შემდეგ უკიდურესად რევოლუციური, შემდეგ იგი იმპერიალისტურად იქცა და საბოლოოდ ისევ მონარქიზმს დაუბრუნდა. იმავდროულად, რელიგიაში ბრბო კათოლიციზმიდან ათეიზმში გადადის, შემდეგ დეიზმისკენ იხრება და საბოლოოდ კათოლიციზმის გადაჭარბებულ ფორმას უბრუნდება. მაგრამ ასე არა მხოლოდ ბრბო იქცევა, არამედ ისიც, ვინც ამ ბრბოს ხელმძღვანელობს. ჩვენ განცვიფრებულები ვხედავთ, რომ კონვენტის იგივე წევრები, მეფეთა შეურიგებელი მტრები, რომლებიც არც ღმერთებს ცნობდნენ და არც მონარქებს, ნაპოლეონის ყურმოჭრილ მონებად იქცევიან და მორჩილად დაატარებენ სანთლებს ლუდოვიკო XVIII-ის პროცესიებში.

რამდენი ცვლილება მოხდა ბრბოს შეხედულებებში მომდევნო სამოცდაათი წლის განმავლობაში?! ამ საუკუნის დასაწყისში „ვერაგი ალბიონი“ ჩვენს მოკავშირედ იქცევა ნაპოლეონის მემკვიდრის დროს, ხოლო რუსეთი, რომელმაც ორჯერ განიცადა ჩვენი თავდასხმა და ასე ხარობდა ჩვენი უკანასკნელი წარუმატებლობით, ერთბაშად ჩვენს მიერ საუკეთესო მეგობრად იქნა აღიარებული.

ლიტერატურაში, ხელოვნებასა და ფილოსოფიაში ასეთი ცვლილებები კიდევ უფრო სწრაფად მიმდინარეობს. რომანტიზმი, ნატურალიზმი, მისტიციზმი და ა.შ. ერთიმეორის მიყოლებით იბადებიან და კვდებიან, მწერალი და ხელოვანი კი, რომელიც გუშინ ცად აგვყავდა, დღეს მხოლოდ ღრმა სიძულვილს აღძრავს.

თუ ჩვენ ყველა ამ ერთი შეხედვით ღრმა ცვლილებას გავაანალიზებთ, დავინახავთ, რომ ყველაფერი, რაც ერის საყოველთაო შეხედულებებსა და განცდებს ეწინააღმდეგება, მხოლოდ ეფემერულად არსებობს, ხოლო კალაპოტიდან დროებით გადახრილი მდინარე კვლავ საწყის მიმართულებას უბრუნდება. შეხედულებები, რომლებიც ერის საყოველთაო მრწამსს ან განცდას არ უკავშირდება და, შესაბამისად, მოკლებულია სიმტკიცეს, ყველა სახის შემთხვევითობის განკარგულებაშია ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გარემოს უმნიშვნელო ცვლილებაზეა დამოკიდებული.

იქმნებიან რა ჩაგონებისა და ინფიცირების გავლენის ქვეშ, ასეთ შეხედულებებს ყოველთვის დროებითი ხასიათი აქვთ: ისინი

იქმნებიან და ქრებიან, ხშირად ისეთი სისწრაფით, როგორც ქვიშის დიუნები ზღვის ნაპირზე.

დღევანდელ დღეს ბრბოს ცვალებად შეხედულებათა რაოდენობა შეუდარებლად გაიზარდა, რაც შემდეგი სამი მიზეზითაა განპირობებული: პირველი - უწინდელ შეხედულებათა თანდათანობითი დასუსტება, რომლებიც სულ უფრო მეტად კარგავენ საკუთარ ძალაუფლებას და აღარ ძალუძთ ბრბოს წარმავალ შეხედულებებზე ზემოქმედება და მათთვის გარკვეული მიმართულების მიცემა. საყოველთაო შეხედულებათა გაქრობა ადგილს უთმობს კერძო შეხედულებათა დიდ რაოდენობას, რომლებსაც არც წარსული აქვთ და არც მომავალი.

მეორე - ბრბოს სულ უფრო მზარდი ძლიერება, რის საპირწონედ თითქმის აღარაფერი გამოიყენება, ამის შედეგად კი იდეათა უჩვეულო მობილურობა, რაც ბრბოში შეინიშნება და რაც შესაძლოა სრულიად თავისუფლად, დაუბრკოლებლად გამოვლინდეს.

მესამე - პრესა, რომელიც ურთიერთსაპირისპირო შეხედულებებს ავრცელებს და ერთი სახის ჩაგონებებს მეორე სახით ცვლის. ამგვარად, ვერც ერთი შეხედულება ვერ მკვიდრდება და ყველა დასაღუპადაა განწირული მანამ, სანამ იმდენად შეძლებდეს გავრცელებას, რომ საყოველთაოდ იქცეს.

ყველა ამ მიზეზმა სრულიად ახალი მოვლენა წარმოშვა სამყაროში და, ამასთან, უაღრესად დამახასიათებელი თანამედროვე ეპოქისთვის - ესაა მთავრობათა უძლურება მართონ ბრბოს შეხედულებები.

ოდესღაც, არცთუ ისე დიდი ხნის წინ, მთავრობათა მოქმედება, და რამდენიმე მწერლისა და ბეჭდვის მცირერიცხოვან ორგანოთა გავლენა ბრბოს შეხედულებათა ჭეშმარიტი წარმმართველი იყო.

დღევანდელ დღეს მწერლებმა ყოველგვარი გავლენა დაკარგეს, ჟურნალები კი მხოლოდ ბრბოს შეხედულებათა ანარეკლს წარმოადგენენ. რაც შეეხება სახელმწიფო მოხელეებს, ნაცვლად იმისა, რომ ბრბოს შეხედულებებს მიმართულება მისცენ, ისინი მის გაყოლას ცდილობენ. ისინი უფრთხიან ამ შეხედულებას და ეს შიში, რომელიც დროდადრო შემაძრწუნებელი ხდება, მათ ქმედებებს მერყევს ხდის.

ამგვარად, ბრბოს შეხედულება სულ უფრო მეტად მიიწევს იქეთ, რომ პოლიტიკის უმთავრეს რეგულატორად იქცეს. დღეისათვის იგი იმდენად ფლობს ძალაუფლებას, რომ შეუძლია სახელმწიფოს გარკვეული კავშირები მოახვიოს თავს, როგორც ეს ამას წინათ მოხდა რუსეთთან მიმართებით, რაც მხოლოდ სახალხო მოძრაობის მიერ იყო ინიცირებული. თანამედროვეობის დამახასიათებელ სიმპტომს წარმოადგენს პაპების, მეფეებისა და იმპერატორების თანხმობა ინტერვიუებზე და მოცემული საგნის შესახებ აზრის გამოხატვისას მისი მინდობა ბრბოსთვის განსასჯელად. ოდესღაც ამბობდნენ, რომ პოლიტიკა არ შეიძლება იყოს გრძნობის საგანი, მაგრამ შეგვიძლია თუ არა ამის თქმა დღეს, როდესაც პოლიტიკა სულ უფრო მეტად ხელმძღვანელობს არამდგრადი ბრბოს იმპულსებით, რომელიც არ ცნობს გონებას და მხოლოდ გრძნობას ემორჩილება?

რაც შეეხება პრესას, რომელიც ოდესღაც ბრბოს შეხედულებებს მიმართავდა, მანაც, მთავრობების მსგავსად, ქედი უნდა მოიდრიკოს ბრბოს ძლევამოსილების წინაშე. რასაკვირველია, პრესა დღესაც მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენს, მაგრამ მხოლოდ იმ მიზეზით, რომ იგი ბრბოს შეხედულებებისა და მათი მუდმივი ცვლილების ანარეკლია. იქცა რა ცნობათა უბრალო სააგენტოდ, პრესა უარს ამბობს ბრბოში ამა თუ იმ იდეებისა და დოქტრინების გატარებაზე. იგი თვალს ადევნებს საზოგადოებრივი აზრის

ცვლილებას, კონკურენციის პირობები კი აიძულებენ მას ზედმიწევნით ყურადღებიანი იყოს, რათა მკითხველთა შენარჩუნება შეძლოს. ბეჭდვის ძველი, სერიოზული და გავლენიანი ორგანოები, როგორებიც იყვნენ "Constitutionnel", "Debats", და "Siecle", რომელთა აზრს წინა თაობა ისეთივე მოწიწებით უსმენდა, როგორც ორატორებს, გაქრნენ ან ცნობის ფურცლებად იქცნენ, სასაცილო მატიანეს, ჭორებსა და რეკლამას რომ აქვეყნებენ. სად შეიძლება ვნახოთ იმდენად მდიდარი გაზეთი, რომ მისმა რედაქტორებმა თავს საკუთარი აზრის გამოხატვის უფლება მისცენ? ან კი რა წონა უნდა გააჩნდეთ ასეთ შეხედულებებს მკითხველთა თვალში, რომლებსაც მხოლოდღა ის სურთ, რომ ახალი ამბები მიაწოდონ და გაართონ, თან მუდმივი შიში აქვთ იმისა, რომ გაზეთის ყოველი რეკომენდაციის უკან სპეკულაცია იმალება? კრიტიკა რომელიმე წიგნის ან თეატრალური პიესის რეკომენდირებასაც ვეღარ ბედავს, რადგან ამით იგი მხოლოდ აზარალებს მათ და ვერაფრით კი ვერ დაეხმარება. ჟურნალები იმდენად ხვდებიან კრიტიკის ან რაიმე პირადი აზრის უსარგებლობას, რომ თანდათან ლიტერატურული კრიტიკის ყველა განყოფილება გააუქმეს და იმით იფარგლებიან, რომ წიგნის ოდენ სახელწოდებას აქვეყნებენ ერთი-ორი სარეკლამო სტრიქონის თანხლებით. ოცი წლის შემდეგ ალბათ თეატრალურ კრიტიკასაც იგივე ბედი ეწევა.

ბრბოს აზრისათვის ყურის დაგდება წარმოადგენს დღევანდელ დღეს პრესისა და მთავრობების ძირითად საზრუნავს. როგორი ზემოქმედება იქონია ამა თუ იმ მოვლენამ, საკანონმდებლო პროექტმა, სიტყვით გამოსვლამ - აი, რისი ცოდნაა მათთვის აუცილებელი! მაგრამ ეს არცთუ ისე ადვილია, რადგან არაფერია უფრო ცვალებადი, ვიდრე ბრბოს შეხედულება, და არცთუ იშვიათია შემთხვევა, როდესაც ბრბო წყევლას უთვლის იმას, რასაც გუშინ თაყვანს სცემდა.

ბრბოს შეხედულებათა მართვის სრული არარსებობის, ისევე, როგორც საყოველთაო შეხედულებათა ნგრევის, შედეგი იყო ყოველგვარი მრწამსის განადგურება და ბრბოს სულ უფრო მზარდი გულგრილობა იმ ყველაფრისადმი, რაც მის უშუალო ინტერესებში არ შედის. საკითხები, რომლებიც ისეთ დოქტრინებს ეხება, როგორიც სოციალიზმია, ურყევ მიმდევრებს მხოლოდ სრულიად გაუნათლებელ ფენებში პოულობენ, როგორებიც ფაბრიკა-ქარხნების მუშები არიან. წვრილი ბურჟუა და მუშები, რომლებმაც რაღაც განათლება მაინც მიიღეს - ან სკეპტიციზმით დაავადნენ, ან უჩვეულოდ ცვალებადი ზნისად იქცნენ.

ოცდახუთი წლის განმავლობაში ამ მიმართულებით მიმდინარე ევოლუცია მართლაც რომ განსაცვიფრებელია. წინამორბედ და არცთუ დაშორებულ ეპოქაში შეხედულებები გარკვეული მიმართულებით ორიენტირებაზე მაინც მიანიშნებდნენ, ისინი რომელიმე ძირითადი საყოველთაო შეხედულებიდან მომდინარეობდნენ. მონარქისტს საბედისწერო გზით უნდა ჰქონოდა უკიდურესად მკაფიო შეხედულებები, როგორც ისტორიაში, ისე მეცნიერებაში, რესპუბლიკელი კი სრულიად საპირისპირო იდეების მატარებელი უნდა ყოფილიყო. მაგალითად, მონარქისტს მყარად სწამდა, რომ იგი მაიმუნისგან არ წარმოდგებოდა, როდესაც რესპუბლიკელი საპირისპიროში იყო დარწმუნებული. მონარქისტს შეძრწუნებით უნდა ეხსენებინა რევოლუცია, რესპუბლიკელს - პატივისცემით. ერთი რიგის სახელებს მოწიწებით ახსენებდნენ, სხვათა წარმოთქმა კი მხოლოდ წყევლის თანდართვით შეიძლებოდა. სორბონაშიც კი ისტორიისადმი მსგავსი გულუბრყვილო მიდგომა იყო გაბატონებული.

დღევანდელ დღეს, განსჯისა და ანალიზის შედეგად, შეხედულებები კარგავენ თავიანთ მიმიზიდველობას, მათი მკვეთრი ტონები კი სწრაფად ქარწყლდება. ამ შეხედულებათაგან მხოლოდ რამდენიმემ შეინარჩუნა საკმარისი ძალა, რათა გაგვიტაცოს, თანამედროვე ადამიანი კი სულ უფრო გულგრილი ხდება.

თუმცა, მოდით, დიდ სინანულს ნუ გამოვთქვამთ შეხედულებათა მდგრადობის გაქრობის გამო. მეორეს მხრივ, არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ერის ცხოვრებაში ეს მოვლენა დაკნინების სიმპტომს წარმოადგენს.

უდაოა, რომ ნათელმხილველები, მოციქულები, ბელადები, ერთი სიტყვით, რწმენის მქონე ადამიანები სრულიად განსხვავებული ძალით არიან დაჯილდოვებულნი, ვიდრე უარმყოფელები, კრიტიკოსები და გულგრილები. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს: ბრბოს არსებული ძლევამოსილების პირობებში ყოველმა შეხედულებამ, რომელიც ბრბოს დამორჩილებისთვის მიმზიდველობის საკმაო ხარისხს ფლობს, მყისიერად ისეთი ტირანული ძალაუფლება უნდა მოიპოვოს, რომ თავისუფალი მსჯელობის ეპოქა დიდი ხნით დასრულდებოდა. ბრბო წარმოადგენს მბრძანებელს, რომელიც ზოგჯერ მშვიდობისმოყვარეა, როგორც ჰელიოგაბალი და ტიბერიუსი, და მაინც - საზარელი - კაპრიზის მომენტში.

თუკი რომელიმე ცივილიზაცია ბრბოს ძალაუფლების ქვეშ ექცევა, იგი დიდი რაოდენობით შემთხვევითობებზე ხდება დამოკიდებული და დიდხანს გაძლებას ვეღარ ახერხებს. თუკი ასეთ დროს რაიმეს შეუძლია სრული განადგურება დროში გაწელოს, ეს სწორედ ბრბოს მზარდი გულგრილობაა ყველა სახის საყოველთაო მრწამსისადმი.

მესამე ნაწილი. ბრბოს კლასიფიკაცია და მისი სხვადასხვა კატეგორიების აღწერა

თავი პირველი. ბრბოს კლასიფიკაცია

ბრბოს ზოგადი დანაწილება - მისი კლასიფიკაცია.

1. არაერთგვაროვანი ბრბო. - როგორ იქმნება იგი. - ეროვნების გავლენა. - ბრბოს მენტალობა მით უფრო სუსტადაა გამოხატული, რაც უფრო ძლიერია ერის მენტალობა. ერის მენტალობა ცივილიზაციის მდგომარეობას ასახავს, ბრბოს მენტალობა - ბარბაროსულ მდგომარეობას.

2. ერთგვაროვანი ბრბო. - ერთგვაროვანი ბრბოს დანაწილება. - სექტები, კასტები და კლასები.

ჩვენ შევისწავლეთ ზოგადი თვისებები, რომლებიც ჩაგონებული ბრბოსთვის არის დამახასიათებელი. ახლა ჩვენ უნდა განვიხილოთ კერძო თავისებურებები, რომლებიც ამ ზოგად თვისებებს ერწყმის სხვადასხვა კატეგორიის თავყრილობებში ისეთ დროს, როდესაც შესაბამის გამღიზიანებელთა გავლენით ასეთი თავყრილობა ბრბოდ გადაიქცევა.

საწყის წერტილად ბრბოს კლასიფიკაციისას უბრალო ჯგრო გამოგვადგება. ასეთი ჯგროს უმდაბლესი ფორმა შეინიშნება ისეთ დროს, როდესაც იგი სხვადასხვა რასების ინდივიდთაგან შედგება და მათ შორის სხვა არანაირი კავშირი არ შეინიშნება, გარდა ერთი წინამძღოლის მეტ-ნაკლებად პატივსაცემი ნებისა. ასეთი ჯგროს მაგალითს წარმოადგენენ სხვადასხვა წარმოშობის ბარბაროსები, რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში წალეკვით ემუქრებოდნენ რომის იმპერიას.

ამ ჯგროს ზემოთ, რომელიც სხვადასხვა რასებისგან შედგება, განთავსებული იქნება ისეთი ბრბო, რომელსაც სხვადასხვა ფაქტორთა გავლენით უკვე ჩამოუყალიბდა ზოგადი თვისებები და, ბოლოს და ბოლოს, ერად ჩამოყალიბდა. შესაძლოა დროდადრო ასეთმა ბრბომაც გამოავლინოს ყველა სახის ბრბოსთვის დამახასიათებელი სპეციფიური თვისებები, მაგრამ მეტი ან ნაკლები ხარისხით დომინირებადი მაინც ერისთვის დამახასიათებელი თვისებები იქნება.

ჯგროს ორივე კატეგორია, ფაქტორთა გავლენით, რომელთა შესახებ ზევით ვსაუბრობდით, შესაძლოა გადაიქცეს ორგანიზებულ ან ჩაგონებულ ბრბოდ. ორგანიზებულ ბრბოში ჩვენ შემდეგ განსხვავებებს ვხედავთ:

ა. არაერთგვაროვანი ბრბო:

1. ანონიმური (მაგალითად, ქუჩის ხროვა);

2. არაანონიმური (ნაფიცი მსაჯულები, საპარლამენტო თავყრილობები და ა.შ.);

ბ. ერთგვაროვანი ბრბო:

1. სექტები (პოლიტიკური, რელიგიური და ა.შ.);

2. კასტები (სამხედროები, სამღვდელოება, მუშები და ა.შ.);

3. კლასები (ბურჟუაზია, გლეხობა და ა.შ.);

შევეცადოთ რამდენიმე სიტყვით განვსაზღვროთ ამ სხვადასხვა კატეგორიის ბრბოთა განმასხვავებელი ნიშნები.

1. არაერთგვაროვანი ბრბო

ასეთი ბრბოს დამახასიათებელ ნიშანზე ჩვენ ზევით უკვე ვისაუბრეთ. იგი იკრიბება ინდივიდებისგან, რომლებიც განსხვავებული არიან პროფესიისა და გონებრივი განვითარების მიხედვით. ჩვენ უკვე ვიცით, რომ კოლექტიური ფსიქოლოგია ადამიანებისა, რომლებიც მოქმედ ბრბოს ქმნიან, მნიშვნელოვნად განსხვავდება მათი ინდივიდუალური ფსიქოლოგიისგან, ხოლო გონებრივი განვითარება ამას არ ეწინააღმდეგება. ჩვენთვის ცნობილია, რომ თავყრილობებში გონება არანაირ როლს არ თამაშობს, ხოლო მამოძრავებლებს არაცნობიერი განცდები წარმოადგენენ.

ძირითადი ფაქტორი - ერი - საშუალებას გვაძლევს კიდევ უფრო სიღრმისეული განსხვავებები დავადგინოთ ასეთი ბრბოს სხვადასხვა ფორმებს შორის. ჩვენ არაერთხელ მოგვიწია დაბრუნება საკითხთან იმ როლის შესახებ, რომელსაც ერი თამაშობს, და მინიშნება იმისა, რომ ის წარმოადგენს ყველაზე ძლიერ ფაქტორს, რომელიც ადამიანთა საქციელს განსზღვრავს და, გარდა ამისა, აისახება ბრბოს ქმედებასა და თვისებებში. ბრბო, რომელიც განსხვავებული ინდივიდების, მაგრამ ერთი და იმავე ერის (მაგალითად, ინგლისელების ან ჩინელების) წარმომადგენლებისგან შედგება, მნიშვნელოვნად განსხვავდება ბრბოსგან, რომლის შემადგენლობაში ყველა სახის ინდივიდები შედიან, მაგრამ განსხვავებული რასებისა (მაგალითად, რუსები, ფრანგები, ესპანელები).

ღრმა განსხვავებები, რომლებიც ადამიანთა აზრებსა და გრძნობებში მემკვიდრეობითი გონებრივი ორგანიზაციის წყალობით იქმნება, მყისიერად გამოდიან სააშკარაოზე, რაწამს რაიმე გარემოება, სხვათა შორის, ფრიად იშვიათი, ბრბოში აერთიანებს, თანაც დაახლოებით თანაბარი პროპორციით, სხვადასხვა ეროვნების ინდივიდებს. ეს განსხვავებები ხილულია, მიუხედავად ინტერესთა მოჩვენებითი ერთობისა, რამაც მათ გაერთიანება აიძულა. სოციალისტთა მცდელობები საერთო კონგრესში შეეკრიბა ყოველი ქვეყნის მშრომელი მოსახლეობის

წარმომადგენლები, როგორც წესი, მხოლოდ მძაფრ უთანხმოებას იწვევდა.

ლათინური ბრბო, რაოდენ რევოლუციური და კონსერვატულიც არ უნდა იყოს, საკუთარ მოთხოვნათა განხორციელებისთვის აუცილებლად სახელმწიფოს მიმართავს. ასეთი ბრბოსთვის ყოველთვის არის დამახასიათებელი ცენტრალიზებისა და ცეზარიზმისკენ მიდრეკილება. ინგლისური ან ამერიკული ბრბო კი არ ცნობს სახელმწიფოს და ყოველთვის კერძო ინიციატივას ანიჭებს უპირატესობს. ფრანგული ბრბო ყველაზე მხურვალედ თანასწორობას იცავს, ინგლისური - თავისუფლებას. ერებს შორის არსებული მსგავსი განსხვავებები იმას იწვევს, რომ სოციალიზმი და დემოკრატია იმდენივე განსხვავებულ ფორმას გვთავაზობს, რამდენიც ერია.

ერის მენტალობა სრულად იმორჩილებს ბრბოს სულს და ძლიერი გავლენა აქვს მასზე, რაც მის რხევას ზღუდავს.

ძირითადი კანონის სახით უნდა ვაღიაროთ, რომ ბრბოს უმდაბლესი თვისებები მით უფრო სუსტად არის გამოხატული, რაც უფრო მეტადაა მასში განვითარებული ეროვნული მენტალობა. ბრბოს მბრძანებლობა ნიშნავს ბარბაროსობას ან ბარბაროსობისკენ დაბრუნებას. მხოლოდ საფუძვლიანად ორგანიზებული მენტალობის მოხვეჭის წყალობით ძალუძს ერს თანდათანობით დააღწიოს თავი მასზე ბრბოს უგუნურ მბრძანებლობას და გამოვიდეს ბარბაროსობის მდგომარეობიდან.

თუ ერს გვერდზე გადავდებთ, არაერთგავროვანი ბრბო შეგვიძლია ორ ნაწილად გავყოთ: ანონიმურ, ქუჩის ბრბოდ, და არაანონიმურ ბრბოდ, რომელსაც უნდა მივაკუთვნოთ სათათბირო თავყრილობები, მაგალითად ნაფიცი მსაჯულებისა. პასუხისმგებლობის გრძნობა, რომელიც უცხოა პირველი ტიპის ბრბოსთვის, განვითარებულია მეორეში და ხშირად მის საქციელს სრულიად განსხვავებულ მიმართულებას აძლევს.

2. ერთგვაროვანი ბრბო

ერთგვაროვანი ბრბო სამი კატეგორიისგან შედგება. ესენია სექტები, კასტები და კლასები.

სექტა წარმოადგენს ერთგვაროვანი ბრბოს ორგანიზაციის პირველ საფეხურს. მის შემადგენლობაში შედიან სხვადასხვა პროფესიისა და აღზრდის, სხვადასხვა გარემოს ინდივიდები და ამასთან ერთადერთ კავშირს მათ შორის აღმსარებლობა წარმოადგენს. ასეთია, მაგალითად, სხვადასხვა რელიგიური და ასევე პოლიტიკური სექტები.

კასტა წარმოადგენს ბრბოსთვის მისაწვდომ ყველაზე მაღალ საფეხურს. სექტის შემადგენლობაში, როგორც ვნახეთ, შედიან სხვადასხვა პროფესიის, აღზრდისა და გარემოს წარმომადგენელი ინდივიდები, რომლებიც მხოლოდ საერთო აღმსარებლობით არიან გაერთიანებულნი, როდესაც კასტის წევრები არიან მხოლოდ ერთი და იმავე პროფესიის წარმომადგენლები, შესაბამისად, მათი გარემო და აღზრდის პირობებიც ახლოსაა ერთმანეთთან. ასეთებია სამხედრო და სამღვდელოების კასტა.

კლასი იქმნება განსხვავებული წარმომავლობის ინდივიდებისგან, რომლებიც არა აღმსარებლობის ერთობიდან გამომდინარე იკრიბებიან, როგორც ეს სექტის შემთხვევაში ვიხილეთ, და არც მსგავსი პროფესიის გამოისობით, რასაც კასტებში ვხვდებით, არამედ გარკვეული ინტერესებისა და ჩვევების ძალით, რომლებიც ცხოვრებისა და აღზრდის მსგავსი წესის გავლენით ჩამოყალიბდა. ასეთია, მაგალითად, ბურჟუაზიული, მიწათმოქმედთა კლასი და ა.შ.

წინამდებარე ნაშრომში მე არ ვეცდები ჩავუღრმავდე ერთგვაროვანი ბრბოს (სექტები, კასტები, კლასები) შესწავლას. ეს სამუშაო მომდევნო ტომში იქნება გადმოცემული. არაერთგვაროვანი ბრბოს განხილვას კი დავასრულებ ამ ბრბოს კატეგორიის რამდენიმე ტიპის აღწერით.

თავი მეორე. დანაშაულებრივი ბრბო

ეგრეთ წოდებული დანაშაულებრივი ბრბო. - ბრბო შესაძლოა დანაშაულებრივი იყოს კანონის გადმოსახედიდან, მაგრამ არ იქნება ასეთი ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. - ბრბოს ქმედებათა სრული არაცნობიერება. - სხვადასხვა მაგალითები. - „სექტემბრელთა“ ფსიქოლოგია. - მათი მსჯელობა, მგრძნობელობა, სისასტიკე და ზნეობა.

სახელწოდება „დანაშაულებრივი ბრბო“ არანაირად არ შეესაბამება ბრბოს, რომელიც აღგზნების განსაზღვრული მდგომარეობის შემდეგ ჩაგონებისადმი დაქვემდებარებულ უბრალო არაცნობიერ ავტომატად იქცა. მაგრამ მე მაინც ვინარჩუნებ ამ მცდარ სახელწოდებას, რომელიც უახლესი ფსიქოლოგიური კვლევებითაა დაკანონებული. უდაოა, რომ ბრბოს კონკრეტული ქმედებები დანაშაულებრივია, თუკი მას თავისთავად განვიხილავთ, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ვეფხვის საქციელიც დანაშაულებრივად უნდა მივიჩნიოთ, როდესაც ის ჰინდუს ჭამს. ბრბოს დანაშაულები ყოველთვის რაიმე ძალიან ძლიერმოქმედი ჩაგონების გავლენითაა ჩადენილი, ინდივიდები კი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს დანაშაულში, დარწმუნებულნი არიან, რომ ვალი მოიხადეს, რასაც ვერ ვიტყვით ჩვეულებრივ დამნაშავეზე.

ბრბოს დანაშაულთა ისტორია სრულად ადასტურებს ზემოაღნიშნულს. ტიპიურ მაგალითად შეგვიძლია მოვიტანოთ ბასტილიის გუბერნატორ მ. დე ლონეის მკვლელობა. ციხესიმაგრის აღების შემდეგ გუბერნატორს უკიდურესად აღგზნებული ბრბო შემოერტყა გარს, მას ყველა მხრიდან ურტყამდენენ. ერთნი მის ჩამოხრჩობას ითხოვდნენ, სხვები - თავის მოჭრას ან ცხენის კუდზე გამობმას. ცდილობდა რა მათ მოგერიებას, მან უნებურად ერთ-ერთ მომხვდურს ფეხი მიარტყა. ვიღაც იმავ წამს გამოვიდა წინადადებით, რომ დაზარალებულს ყელი გამოეჭრა გუბერნატორისთვის. ბრბომ წინადადება მყისიერად მიიღო.

ის, ვისაც ჯალათის როლის შესრულება მოუწია, იყო უადგილო მზარეული, რომელიც სხვა უქნარებთან ერთად გაემართა ბასტილიაში ამბის სანახავად. დაექვემდებარა რა საყოველთაო გადაწყვეტილებას, ის დარწმუნებული იყო, რომ პატრიოტულ გმირობას სჩადიოდა და ჯილდოც კი ეკუთვნოდა ასეთი ურჩხულის მოკვდინებისთვის. მას ხმალი მიაწოდეს, რომელიც მან გუბერნატორის შიშველ კისერს დაჰკრა, მაგრამ ხმალი ცუდად ალესილი აღმოჩნდა. მაშინ მან ჯიბიდან სრულიად მშვიდად ამოიღო შავტარიანი ჯაყვა, და რადგან მზარეულად ყოფნისას კარგად ფლობდა ხორცის დამუშავების ხელობას, ჯაყვით დაასრულა დაკისრებული მოვალეობა.

ამ შემთხვევაში მკაფიოდ შეგვიძლია ვიხილოთ კვალი მექანიზმისა, რომელიც ზემოთ იყო ნახსენები: დაქვემდებარება ჩაგონებისადმი, მით უფრო ძლიერის, თუ ის კოლექტიურია და მკვლელის რწმენა იმისა, რომ ის საქებარ საქციელს სჩადის. ეს რწმენა მით უფრო ძლიერია, რაც უფრო დიდია თანამოქალაქეთა მხრიდან ერთსულოვანი მხარდაჭერა. რასაკვირველია, კანონის თვალსაზრისით ასეთი საქციელი დანაშაულებრივია, მაგრამ ფსიქოლოგიური კუთხით ჩვენ მას ასეთად ვერ მოვნათლავთ.

დანაშაულებრივი ბრბოს ზოგადი ნიშნები ისეთივეა, როგორც ნებისმიერი სხვა ბრბოსი: ჩაგონებისადმი მიდრეკილება, მიმნდობლობა, ცვალებადობა, უპირატესობის მინიჭება გრძნობების, როგორც დადებითის, ასევე ნეგატიურისთვის. ყველა ეს თვისება შეგვიძლია აღმოვაჩინოთ ბრბოში, რომელმაც ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ერთ-ერთი უსაშინლესი გვერდი ჩაწერა - ეს ე.წ. „სექტემბრელები“ არიან. სხვათა შორის, მათ მრავალი აქვთ საერთო ბართლომეს ღამის მკვლელებთან. დეტალები, რომლებსაც აქ გაგაცნობთ, ტენისგან მაქვს ნასესხები, ვინც, თავის მხრივ, ისინი თანამედროვეთა მემუარებში მოიძია.

დაზუსტებით არ არის ცნობილი, ვინ გასცა ბრძანება ან გამოთქვა აზრი ციხის დაცლის შესახებ პატიმართა ცემის გზით. დანტონი იყო ეს თუ ვინმე სხვა, ამას მნიშვნელობა არ აქვს. ჩვენთვის მოცემულ შემთხვევაში საინტერესოა მხოლოდ თავად ფაქტი ძლევამოსილი ჩაგონებისა, რომელიც მიიღო ბრბომ, რომელსაც მკვლელობათა ჩადენა ევალებოდა.

მკვლელთა ბრბო დაახლოებით ოთხასი ადამიანისგან შედგებოდა და არაერთგვაროვანი ბრბოს ტიპურ მაგალითს წარმოადგენდა. გარდა პროფესიონალ გლახაკთა მცირე რაოდენობისა, იგი მთლიანად ყველა სახის ნოქრებისა და ხელოსნებისგან შედგებოდა. მათ შორის იყვნენ მეწაღეები, ზეინკლები, დალაქები, ქვის მთლელები, მოხელეები, კომისიონერები და ა.შ. მსგავსი ჩაგონების გავლენით, რომელსაც მზარეული დაემორჩილა ზემომოყვანილ მაგალითში, ყველა ეს ადამიანი მყარად იყო დარწმუნებული, რომ პატრიოტულ ვალს იხდიდა. ისინი ორმაგ ვალდებულებას ასრულებდნენ - მსაჯულისა და ჯალათის - და სრულებით არ თვლიდნენ საკუთარ თავს დამნაშავეებად.

განიმსჭვალნენ რა საკუთარი მისიის მნიშვნელობით, მათ პირველ რიგში ტრიბუნალის მსგავსი ორგანო ჩამოაყალიბეს, რითიც მყისიერად გამოვლინდა ბრბოს განსჯისა და მისი მართლმსაჯულების ცალმხრივობა. ბრალდებულთა დიდი რაოდენობის გამო გადაწყდა, რომ თავად-აზნაურობა, მღვდლები, ოფიცრები, კარის მოხელეები, ერთი სიტყვით, ყველა ის ადამიანი, ვისი წოდებაც კი საკმარისია მათი ბრალეულობის დასასაბუთებლად კეთილი პატრიოტის თვალში, ერთად იქნებოდა მოკვდინებული, შემდგომი განხილვისა და სასამართლოს საგანგებო გადაწყვეტილებების გარეშე; რაც შეეხება დანარჩენებს, ისინი გარეგნობისა და რეპუტაციის მიხედვით უნდა განესაჯათ. ამგვარად, ბრბო საკუთარი პრიმიტიული სინდისის მოთხოვნებს აკმაყოფილებდა და შეეძლო კანონიერ საფუძველზე მიეყო ხელი მოკვდინებისთვის, მიუშვებდა რა ნებაზე სისასტიკის ინსტინქტს, რომლის გენეზისი მე ზემოთ განვიხილე და რომელიც ბრბოში ყოველთვის მძაფრად არის გამოვლენილი. მაგრამ მსგავსი ინსტინქტები არასოდეს უშლიან ბრბოს გამოავლინოს საპირისპირო თვისებებიც, მაგალითად მგრძნობელობა, რომელიც ისეთივე უკიდურესობამდე მიდის, როგორც სისასტიკე.

ეს ადამიანები ექსპანსიურ მგრძნობელობას ფლობდნენ, რაც პარიზის მუშისთვისაა დამახასიათებელი. მაგალითად, ერთ-ერთმა ფედერატმა შეიტყო, რომ სახელმწიფო საპატიმროში ტუსაღები 26 საათი წყლის გარეშე დატოვეს. იგი იმდენად განრისხდა, რომ მზად იყო გაეგლიჯა დაუდევარი მეციხოვნე, თავად პატიმრები რომ არ გამოსარჩლებოდნენ. როდესაც იმპროვიზებული ტრიბუნალი ვინმეს ამართლებდა, დაცვა და მკვლელები მას აღტაცებით ეგებებოდნენ, გაისმოდა მხურვალე აპლოდისმენტები, შემდეგ კი კვლავ მკვლელობას უბრუნდებოდნენ. მოკვდინების განმავლობაშიც კი არ წყდებოდა მხიარულება: ცეკვავდნენ გვამების

გარშემო, დგამდნენ სკამებს „ქალბატონებისთვის“, ვისაც სურდა ეხილა, თუ როგორ სჯიდნენ სიკვდილით არისტოკრატებს. იმავდროულად მკვლელები არ წყვეტდნენ სამართლიანობის სპეციფიური გრძნობის გამოვლენას. ერთ-ერთმა მკვლელმა განუცხადა ტრიბუნალს, რომ შორს მსხდომი ქალბატონები ცუდად ხედავდნენ, და მხოლოდ ზოგიერთ დამსწრეს ხვდა წილად ბედნიერება, დაერტყა არისტოკრატებისთვის. ტრიბუნალმა ცნო სამართლიანობა ასეთი შენიშვნისა და დაადგინა, რომ ბრალდებულებს ნელა გაატარებდნენ მკვლელთა რიგებს შორის, რათა მათ ხმლის ტარი ერტყათ და ასე გაეხანგრძლივებინათ ტანჯვა.

ნახევარი საათის განმავლობაში ისინი ნაკუწებად აქცევდნენ სრულიად შიშველ მსხვერპლს, შემდეგ კი, როცა ყველას მოყირჭდებოდა სანახაობა, მუცელს უფატრავდნენ და ასე ასალმებდნენ სიცოცხლეს.

მაგრამ სხვა მიმართულებით მკვლელები იმგვარ წესიერებასა და ზნეობას ავლენდნენ, რაც მათგან სრულებით არ იყო მოსალოდნელი. მაგალითად, ისინი ფულსა და ძვირფასეულობას, რომელსაც მსხვერპლს აღმოუჩენდნენ, დასაკუთრების ნაცვლად კომიტეტს აბარებდნენ.

ყველა ამ ქმედებაში შეინიშნება მსჯელობის პირველადი ფორმები, რომლებიც ბრბოს მენტალობისთვისაა დამახასიათებელი. გაჟლიტა რა ერის 12-დან 15 ათასამდე მტერი, ბრბო მყისიერად დაყვა მორიგ ჩაგონებას. ვიღაცამ გამოთქვა აზრი, რომ სხვა ციხეებშიც, სადაც ღატაკები, მაწანწალები და ახალგაზრდა პატიმრები იხდიდნენ სასჯელს, მრავლად იქნებოდა ზედმეტი მჭამელი, რომელთა თავიდან მოშორება ცუდი არ იქნებოდა; ამასთანავე, მათ შორის, უდაოდ უნდა იყვნენ ხალხის მტრები, მსგავსნი ვინმე ქ-ნ დელარიუსი, მომწამვლელის ქვრივისა.

„ალბათ გიჟს ჰგავს ციხეში ჯდომისგან. რომ შეძლებოდა, პარიზს გადაწვავდა. ნამდვილად ექნება ეს ნათქვამი, ეს მას უთქვამს! ბედად ერთხელაც გადავრჩებით!“ მსგავსი საბუთები ბრბოს იმდენად დამაჯერებლად ეჩვენა, რომ ყველა პატიმარი ერთიანად ამოხოცეს, მათ შორის დაახლოებით ორმოცდაათი ბავშვი 12-დან 17 წლამდე, „რომლებიც ასევე შეიძლებოდა ხალხის მტრებად ქცეულიყვნენ და ამიტომ უმჯობესი იყო მათი ახლავე მოშორება.“

ერთი კვირის მძიმე შრომის შემდეგ, როდესაც ყველაფერი დასრულდა, მკვლელებს, ბოლოს და ბოლოს, დასვენების შესახებაც შეეძლოთ დაფიქრება. სავსებით დარწმუნებულები იმაში, რომ სამშობლოს მადლობა დაიმსახურეს, მათ ხელისუფლებას მიმართეს ჯილდოს მოთხოვნით; მათ შორის მეტად გულმოდგინეებმა მედალზეც კი გამოთქვეს პრეტენზია.

1871 წლის კომუნაც მრავალ ასეთ ფაქტს შეიცავს. ჩვენ კიდევ არაერთხელ მოგვიწევს მსგავს სურათზე დაკვირვება, რადგან ბრბოს გავლენა სულ უფრო იზრდება, ხელისუფლება კი მის წინაშე კაპიტულაციას აცხადებს.

თავი მესამე. ნაფიცი მსაჯულები და მოსამართლეები

სისხლის სასამართლოთა ნაფიცი მსაჯულები. - მათი ზოგადი თვისებები. - სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ მათი გადაწყვეტილებები არ არის დამოკიდებული მათ შემადგენლობაზე. - როგორ მოვახდინოთ გავლენა ნაფიც მსაჯულებზე. - მსჯელობის მოქმედების სისუსტე. - დარწმუნების მეთოდები, რომლებსაც ცნობილი ადვოკატები მიმართავენ. - ხასიათი დანაშაულებისა, რომელთა მიმართ ნაფიცი მსაჯულები შემწყნარებლობას ან სიმკაცრეს იჩენენ. - ნაფიც მსაჯულთა

დაწესებულების სარგებლობა და უდიდესი საფრთხე, რასაც მოსამართლეებით მათი ჩანაცვლება გამოიწვევდა.

არ გვაქვს რა აქ საშუალება ყველა კატეგორიის ნაფიცი მსაჯულები განვიხილოთ, შევჩერდები მხოლოდ ერთზე, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია. ესენია სისხლის სასამართლოს ნაფიცი მსაჯულები. ისინი წარმოადგენენ შესანიშნავ მაგალითს არაერთგვაროვანი, არაანონიმური ბრბოსი. აქ ჩვენ ვხვდებით, როგორც ჩაგონებადობისადმი მიდრეკილებას, ისე არაცნობიერ გრძნობათა სიჭარბეს, მსჯელობის სუსტად განვითარებულ უნარს, წინამძღოლთა გავლენას და ა.შ. ვსწავლობთ რა ნაფიც მსაჯულთა მოცემულ კატეგორიას, ჩვენ შეგვიძლია შევნიშნოთ საინტერესო მაგალითები შეცდომებისა, რომლებსაც უშვებენ ადამიანები, თუ ცუდად იცნობენ მასების ფსიქოლოგიას.

ნაფიცი მსაჯულები პირველ რიგში შესანიშნავ მაგალითს გვაძლევენ იმისა, თუ, მიღებულ გადაწყვეტილებათა თვალსაზრისით, რაოდენ მცირე მნიშვნელობა ენიჭება ბრბოს შემადგენელ ცალკეულ ინდივიდთა გონებრივი განვითარების დონეს. ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ გონება არანაირ როლს არ თამაშობს სათათბირო თავყრილობის გადაწყვეტილებებში, რომლებიც ზოგად და არა მარტოოდენ ტექნიკურ საკითხებს ეხება. ქვის მთლელთა და მებაყლეთა თავყრილობის მიერ გამოთქმული შეხედულებები ზოგად საკითხებთან დაკავშირებით, მცირედ განსხვავდება სწავლულებისა და ხელოვანთა თვალსაზრისისგან. სხვადასხვა დროს, განსაკუთრებით კი 1848 წლამდე, ადმინისტრაცია გულდასმით არჩევდა პირებს, რომლებსაც ნაფიც მსაჯულთა ვალდებულებები უნდა შეესრულებინათ, არჩევანს კი ძირითადად განათლებულ ადამიანებზე, პროფესორებზე, ჩინოვნიკებზე, ლიტერატორებსა და ა.შ. აჩერებდა.

ამჟამად კი ნაფიც მსაჯულებს უპირატესად წვრილ ვაჭართა, მედუქნეთა, წვრილ კაპიტალისტთა და მუშა-მოსამსახურეთა წრიდან ირჩევენ. სპეციალისტთა გასაოცრად სტატისტიკამ გვიჩვენა, რომ როგორიც არ უნდა იყოს ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობა, მათი გადაწყვეტილებები იდენტურია. თავად მოსამართლეებიც, მიუხედავად მათი წინააღმდეგობრივი განწყობისა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტისადმი, იძულებულნი იყვნენ ამ ფაქტის სამართლიანობა დაემოწმებინათ. სისხლის სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე ბერარ დე გლიაჟე შემდეგს ამბობს ამასთან დაკავშირებით თავის „მოგონებებში“: „დღევანდელ დღეს ნაფიც მსაჯულთა შერჩევა მუნიციპალური მრჩევლების ხელთაა, რომლებიც სურვილის შესაბამისად აკეთებენ არჩევანს, ხელმძღვანელობენ რა ამ დროს პოლიტიკური და საარჩევნო შეხედულებებით, რომლებიც მათ მდგომარეობას უკავშირდება... შერჩეულთა უმეტესობა შედგება კომერსანტებისგან, არცთუ ისეთი მსხვილების, როგორებსაც ადრე ირჩევდნენ, და სხვადასხვა უწყებათა მოხელეებისგან... მაგრამ ყველა შეხედულება და ყველა პროფესია მსაჯულთა ხატში ერწყმის ერთმანეთს, ამასთან, ზოგი მათგანი ნეოფიტთა გზნებას ავლენს; ამგვარად, ნაფიც მსაჯულთა მენტალობა არ შეცვლილა და მათი განაჩენი იგივე დარჩა“.

მოტანილი ციტატიდან ჩვენ მხოლოდ დასკვნებზე ვამახვილებთ ყურადღებას, რომლებიც სავსებით სამართლიანია, და არა მცდარ განმარტებებზე.

გასაკვირი აქ არაფერია, რადგან ბრბოს ფსიქოლოგია და, შესაბამისად, ნაფიცი მსაჯულებისაც, უმეტესწილად არც მოსამართლეებისა და არც ადვოკატებისთვისაა ცნობილი. აღნიშნულის საბუთად გამოდგება შემდეგი ფაქტი, რომელიც ზემომოტანილი ციტატის ავტორს მოაქვს. სისხლის სასამართლოს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ადვოკატი, ლაშო, სისტემატურად

იყენებდა საკუთარ უფლებას, უარი ეთქვა ნაფიცი მსაჯულისთვის და სიიდან ყოველთვის რიცხავდა განათლებულ ადამიანებს. მიუხედავად ამისა, გამოცდილებამ საბოლოოდ გვიჩვენა ასეთი მიდგომის სრული უსარგებლობა, ჩვენ კი ვხედავთ, რომ იუსტიციის სამინისტრო და ადვოკატები, პარიზში მაინც, უარს ამბობენ აღნიშნულ სისტემაზე და, მიუხედავად ამისა, როგორც სამართლიანად შენიშნავს დე გლიაჟე, ნაფიც მსაჯულთა განაჩენი არ შეცვლილა, „იგი არც გაუმჯობესდა და არც გაუარესებულა“.

ნაფიცი მსაჯულები, ბრბოს მსგავსად, იოლად დაყვებიან გრძნობების გავლენას და მცირედ - მსჯელობას. „ისინი ვერ უძლებენ, - როგორც ერთი ადვოკატი ამბობდა. - ხილვას ქალისა, რომელიც ძუძუს აწოვებს ჩვილს, ისევე, როგორც მათ წინაშე ობოლთა დეფილირებას“. „მოსამართლეთა კეთილგანწყობის მოსაპოვებლად საკმარისია, რომ ქალი სიმპათიური იყოს“, - ამბობს დე გლიაჟე.

ულმობელნი ისეთ დანაშაულთა მიმართ, რომლებიც შესაძლოა მათ პირად უსაფრთხოებას ეხებოდეს და რაც მართლაც სახიფათოა საზოგადოებისთვის, ნაფიცი მსაჯულები ფრიად დამთმობნი არიან დანაშაულთა მიმართ, რომლებიც ვნების გავლენითაა ჩადენილი. ისინი უკიდურესად იშვიათად არიან მკაცრნი შვილის მკვლელობაში ბრალდებული გოგონების ან მიტოვებული ქალიშვილისადმი, რომელმაც გოგირდმჟავა გადაასხა მაცდუნებელს. ყველა მსგავს შემთხვევაში ნაფიცი მსაჯულები აცნობიერებენ, რომ ეს დანაშაულები არცთუ დიდი საფრთხის შემცველია საზოგადოებისთვის, და რომ ქვეყანაში, სადაც არ არსებობს მიტოვებულ გოგონათა მფარველი კანონი, მისი დანაშაული, ვინც შურს იძიებს შეურაცხყოფისთვის, სარგებლის მომტანი უფროა, ვიდრე ზიანის, რადგან გაფრთხილებად გამოდგება სხვა მაცდუნებლისთვის.

აქვე გაკვრით შევნიშნავთ, რომ განსხვავება, რომელსაც მსაჯულები ინსტინქტურად აკეთებენ საზოგადოებისთვის საფრთხის შემცველ და არშემცველ დანაშაულებს შორის, სამართლიანობას არ არის მოკლებული. სისხლის სამართლის კოდექსის მიზანი, რასაკვირველია, საზოგადოების დაცვა უნდა იყოს საშიშ დამნაშავეთაგან, და არა შურისძიება. მაგრამ ჩვენი კოდექსები და ასევე ჩვენი მოსამართლეები პირველყოფილი წყობილების შურისმაძიებლური სულით არიან გამსჭვალულნი, ხოლო ცნება „vindicta[15]“ თითქმის ყოველდღიურად გამოიყენება მათ მიერ.

ჩვენს მოსამართლეთა ასეთი მიდრეკილების საბუთს წარმოადგენს უმრავლესობის უარი ბერანჟეს შესანიშნავი კანონის გამოყენებისა, რომლის მიხედვით ბრალდებულს უფლება ეძლევა სასჯელი მაშინ მოიხადოს, როდესაც რეციდივს ჩაიდენს. ამავდროულად, თითოეულმა მოსამართლემ შესანიშნავად იცის, და ეს სტატისტიკურად დასტურდება, რომ სასჯელის გამოყენება პირველივე ჯერზე უცილობლად იწვევს დანაშაულის რეციდივს. მაგრამ მოსამართლეებს მიაჩნიათ, რომ საზოგადოებას შური არ უძიებია, თუკი ისინი დამნაშავეს გაათავისუფლებენ, რის გამოც ამჯობინებენ საშიში რეციდივისტები შექმნან, ვიდრე საზოგადოება დატოვონ შურისძიების გარეშე.

ნაფიცი მსაჯულები, ისევე, როგორც ნებისმიერი ბრბო, ადვილად ბრმავდებიან მიმზიდველობით და თუმცა, როგორც ამას მართებულად შენიშნავს დე გლიაჟე, მათი შემადგენლობა ფრიად დემოკრატულია, მიდრეკილებებში მაინც არისტოკრატებად რჩებიან.

„სახელი, წარმომავლობა, დიდძალი ქონება, რეპუტაცია, ცნობილი ადვოკატის მომსახურება, და ზოგადად ყოველივე ის, რაც

ბრწყინავს და განმასხვავებელ ნიშნად გამოდგება, ეჭვმიტანილისთვის ხელსაყრელ პირობებს წარმოადგენს“.

ყველა კარგი ადვოკატი უპირველესად იმის შესახებ უნდა ზრუნავდეს, რომ მსაჯულთა გრძნობებზე იმოქმედოს, ისევე, როგორც ბრბოს გრძნობებზე მოქმედებენ; ის ბევრს არ უნდა მსჯელობდეს, ხოლო თუ მაინც ისურვებს მიმართოს ამ მეთოდს, მსჯელობის პრიმიტიული ფორმა სჯობს. ერთი ინგლისელი ვექილი, რომელიც სისხლის სასამართლოში გამოსვლებით იყო განთქმული, მოქმედების გზებს გვკარნახობს: „იგი ყურადღებით აკვირდება მსაჯულებს საკუთარი გამოსვლისას. ეს ყველაზე ხელსაყრელი მომენტია. ალღოსა და ჩვევის წყალობით ადვოკატი მსაჯულთა სახის გამომეტყველებით ხვდებოდა, თუ როგორი შთაბეჭდილება მოახდინა მისმა თითოეულმა სიტყვამ და ფრაზამ, საიდანაც აკეთებდა კიდეც დასკვნებს. პირველ რიგში მას მათი იდენტიფიცირება უნდა მოეხდინა, ვინც უკვე მის მხარეს იყო.

მოიპოვებდა რა მათ თანამშრომლობას წამში, ადვოკატი უკვე იმათკენ მიმართავდა პათოსს, ვინც, მისი აზრით, ეჭვმიტანილის მხარეს არ იყო და ცდილობდა გამოეცნო, როგორ შეძლებდა მათ მოქცევას.

ეს - სამუშაოს ყველაზე რთული ნაწილია, რადგან შესაძლოა არსებობდეს მრავალი მიზეზი, გარდა სამართლიანობის გრძნობისა, რომელიც ადამიანის ბრალდების სურვილს ბადებს“.

ეს რამდენიმე სტრიქონი ორატორული ხელოვნების რეზიუმეს გვთავაზობს, ჩვენთვის კი ცხადი ხდება, თუ რატომაა, რომ წინასწარ მომზადებული გამოსვლების ზემოქმედების ძალა ყოველთვის სუსტია.

გამოთქმები ყოველწუთიერად უნდა ცვალოთ და გამუდმებით მიაპყროთ ყურადღება მოხდენილ შთაბეჭდილებას.

ორატორს არ სჭირდება ყველა მსაჯულის გადმობირება - მან მხოლოდ ლიდერები უნდა გადმოიბიროს, რომლებიც მიმართულებას აძლევენ საერთო აზრს. აქაც, ისევე, როგორც ყველა ბრბოში, მხოლოდ მცირე რაოდენობაა ინდივიდებისა, რომლებიც სხვებს უძღვებიან. „მე გამოცდილებით დავრწმუნდი, - ამბობს ჩემს მიერ ციტირებული ადვოკატი. - რომ განაჩენის გამოცხადების მომენტში საკმარისია ერთი ან ორი ენერგიული ადამიანი, რათა დანარჩენ მსაჯულებს გაუძღვეს“.

სწორედ ეს ერთი-ორი ლიდერი უნდა დაარწმუნოს ადვოკატმა ნატიფი ჩაგონების მეშვეობით. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია, რომ მათ თავი მოაწონოს. თუკი თქვენ შეძელით ბრბოს წევრ ინდივიდს მოწონებოდით, ის უკვე მზადაა ყველა თქვენი მტკიცება მიიღოს და ყველა თქვენს საბუთს სიხარულით იზიარებს, როგორიც არ უნდა იყოს ის. შემდეგი ანეკდოტის ციტირებას ვახდენ, რომელიც ლაშოს შესახებ საინტერესო წიგნიდან მაქვს ნასესხები: „ცნობილია, რომ თავისი დამცავი სიტყვებისას სასამართლოში, ლაშოს თვალთახედვის არეში მუდამ არის მოქცეული ორი ან სამი მსაჯული, რომლებიც, მისი აზრით, გავლენიანი, მაგრამ დაუყოლიებელნი არიან. ჩვეულებრივ, იგი ახერხებდა ამ ჯიუტთა მორჯულებას, მაგრამ ერთხელ, პროვინციაში, იგი ისეთს გადაეყარა, რომელზეც არანაირი არგუმენტაცია არ მოქმედებდა, თუმცა ლაშო თითქმის მთელი საათის განმავლობაში მხოლოდ არგუმენტირებით იყო დაკავებული. შეიძლებოდა სასოც კი წარკვეთოდა ადამიანს! უეცრად, მგზნებარე გამოსვლის შუაში, ლაშო ჩერდება, მოსამართლეს მიმართავს და ეუბნება: „პატივცემულო თავმჯდომარევ, ხომ ვერ შეძლებდით გებრძანებინათ საპირისპირო მხარეს ფარდის ჩამოშვება: ბატონი მეშვიდე მსაჯული მზემ

შეაწუხა“. მეშვიდე მსაჯული გაწითლდა, გაიღიმა და მადლობა მოახსენა. იმ წუთიდან ის დაცვის მხარეს იყო“.

მრავალი მწერალი, მათ შორის გამოჩენილებიც, უკანასკნელ დროს თავს ესხმის ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს, თუმცაღა ისაა ერთადერთი დაცვა იმ კასტის შეცდომებისა და ცდომილებებისგან (რაც არცთუ იშვიათია), რომელიც არანაირ კონტროლს არ ექვემდებარება. ზოგ ამ მწერალთაგანს სურვილი აქვს, რომ მსაჯულებს მხოლოდ განათლებულთა ფენებიდან ირჩევდნენ. მაგრამ ჩვენ უკვე დავამტკიცეთ, რომ მსაჯულთა გადაწყვეტილებები ასეთ პირობებში ისეთივე იქნება, როგორც არსებულში. სხვები, ამახვილებენ რა ყურადღებას ნაფიც მსაჯულთა შეცდომებზე, მოითხოვენ ამ ინსტიტუტის სრულად გაუქმებას და მის ჩანაცვლებას მოსამართლეებით. მაგრამ შეცდომები, რომლებშიც ნაფიც მსაჯულებს ადანაშაულებენ, უწინარეს ყოვლისა თავად მოსამართლეების მიერაა დაშვებული, რადგან თუ მსაჯულთა წინაშე ეჭვმიტანილია წარმდგარი, ეს ნიშნავს, რომ მას უკვე ბრალი დასდეს მოსამართლეებმა: გამოძიების მოსამართლემ, პროკურორმა და ა.შ.

მაგისტრატურა ჭეშმარიტად ერთადერთი ორგანოა, რომლის ფუნქციონირება არანაირ კონტროლს არ ექვემდებარება. მიუხედავად ყველა რევოლუციისა, საფრანგეთს არ გააჩნია „Habeas Corpus[16]“-ის უფლება, რომლითაც აგრერიგ ამაყობს ინგლისი. ჩვენ ყველა ტირანი განვდევნეთ, მაგრამ ყველა ქალაქში მოსამართლე დავსვით, რომელიც საკუთარი შეხედულების მიხედვით განკარგავს მოქალაქეთა ღირსებასა და თავისუფლებას. ყველაზე უმნიშვნელო საგამოძიებო მოსამართლეც კი, რომელიც ეს-ესაა სკოლის მერხს განშორდა, იძენს აღმაშფოთებელ უფლებას, საკუთარი შეხედულებისამებრ გაგზავნოს საპატიმროში ყველაზე პატივსაცემი მოქალაქენი, და ეს გააკეთოს მხოლოდ პირადი ეჭვის საფუძველზე, რომელშიც არავის წინაშეა ანგარიშვალდებული. მას უფლება აქვს ისინი პატიმრობაში ამყოფოს ერთ წლამდე, გამოძიების მიმდინარეობის საბაბით, შემდეგ კი გაათავისუფლოს ყოველგვარი ანაზღაურების ან მობოდიშების გარეშე. სასამართლოში მიყვანის ბრძანება ტოლფასია ცნობილი „Lettre de cachet[17]“-ის, იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ ამ უკანასკნელი საშუალების გამოყენება, რომელსაც სამართლიანად საყვედურობდნენ მონარქიას, მხოლოდ უკიდურესად მნიშვნელოვან პირებს შეეძლოთ, დღეს კი იგი მოქალაქეთა მთელი კლასის ხელთაა, რომლებსაც ვერანაირად ვერ ვუწოდებთ გამორჩეულად განათლებულებს ან დამოუკიდებლებს.

ნუთუ არ გამომდინარეობს ზემოთქმულიდან, რომ თუკი ეჭვმიტანილს მოსამართლეები და არა ნაფიცი მსაჯულები განსჯიდნენ, იგი გამართლების ერთადერთ შანსს დაკარგავდა?! ნებისმიერ შემთხვევაში, ნაფიც მსაჯულთა შეცდომები მოსამართლეთა შეცდომების შედეგია. მხოლოდ ეს უკანასკნელები არიან დამნაშავენი ჯოჯოხეთურ სასამართლო შეცდომებში, მსგავსის ამასწინანდელი შემთხვევისა ექიმ ლ.ს-თან დაკავშირებით, რომელიც პასუხისგებაში იქნა მიცემული ერთი ფრიად საშუალო საგამოძიებო მოსამართლის მიერ ნახევრად იდიოტი ქალის ჩვენების საფუძველზე, რომლის თანახმად ექიმმა ამ უკანასკნელს 30 ფრანკად მუცელი მოუშალა. რასაკვირველია, ექიმს კატორღა არ ასცდებოდა, რომ არა საზოგადოებრივი აზრის აღშფოთება, რამაც ქვეყნის მეთაური აიძულა დაუყოვნებლივ შეეწყალებინა იგი. განსასჯელის პატიოსნება, რასაც მისი ყველა თანამოქალაქე ადასტურებდა, თითქოს შეცდომის სიღრმის მამტკიცებლად გამოდგებოდა და თავად მოსამართლეებიც უკვე აღიარებდნენ ამას, მაგრამ მიჰყვებოდნენ რა კასტის მენტალობას, ყველაფერი გააკეთეს, რაც მათზე იყო დამოკიდებული, რათა ხელი შეეშალათ

შეწყალებისთვის. ნაფიცი მსაჯულები, რომლებსაც არაფერი ესმით ტექნიკური წვრილმანებისა, ყველა მსგავს შემთხვევაში იმას უსმენენ, რასაც ბრალდება ამბობს და საბოლოოდ იმით მშვიდდებიან, რომ საქმე ყველა წვრილმანში ჩახედულმა მოსამართლეებმა განიხილეს. ვინ წარმოადგენს ასეთ დროს შეცდომაში ჭეშმარიტ დამნაშავეს - მოსამართლე თუ მსაჯული? საგულდაგულოდ გავუფრთხილდეთ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს, რადგან, სავარაუდოდ, ის წარმოადგენს ერთადერთ კატეგორიას ბრბოსი, რომლის ჩანაცვლება ვერც ერთი პიროვნებით ვერ მოხდება. მხოლოდ ამ ინსტიტუტს ძალუძს შეარბილოს სიმკაცრე კანონებისა, რომლებიც, უკვე იმიტომ, რომ ყველასათვის ერთია, ბრმა უნდა იყოს პრინციპში და არ ითვალისწინებდეს კერძო შემთხვევებს. თანაგრძნობისათვის მიუწვდომელი და მხოლოდ კანონის ტექსტის მაღიარებელი მოსამართლე პროფესიონალური სიმკაცრით მიუსჯის თანაბარ სასჯელს მძარცველს, მკვლელსა და მიტოვებულ ქალიშვილს, რომელიც შვილის მოკვდინებამდე გაჭირვებამ მიიყვანა. ნაფიცი მსაჯულები კი ინსტინქტურად ხვდებიან, რომ ცდუნებული ქალიშვილი გაცილებით ნაკლებადაა დამნაშავე, ვიდრე მისი მაცდუნებელი, რომელიც კანონით დასჯას არ ექვემდებარება, ამიტომაც გოგონას მიმართ შეწყნარებას გამოხატავენ.

კარგად ვიცნობ რა კასტების ფსიქოლოგიას, ისევე, როგორც ფსიქოლოგიას ბრბოს სხვა კატეგორიებისა, ჩემთვის წარმოუდგენელია შემთხვევა, როდესაც არ ვამჯობინებდი ნაფიც მსაჯულებთან საქმის დაჭერას, ვიდრე მოსამართლეებთან, თუკი მცდარად ვიქნებოდი ბრალდებული რაიმე დანაშაულში. პირველად დასახელებულებთან მე კიდევ შევინარჩუნებდი გამართლების რაიმე შანსს, როდესაც მეორეებთან მისი ნასახიც კი არ მექნებოდა. ბრბოს ძლიერებას უნდა ვუფრთხოდეთ, მაგრამ კიდევ უფრო მეტად უნდა ვუფრთხოდეთ ზოგიერთი კასტის ძალას. პირველს ასე თუ ისე ჩააგონებ, როდესაც მეორე - უდრეკობას ინარჩუნებს.

თავი მეოთხე. არჩევითი ბრბო

არჩევითი ბრბოს ზოგადი თვისებები. - როგორ არწმუნებენ მას. - თვისებები, რომლებსაც კანდიდატი უნდა ფლობდეს. - მომხიბვლელობის აუცილებლობა. - რატომაა, რომ მუშები და გლეხები იშვიათად ირჩევენ კანდიდატს მათივე წრიდან? - სიტყვებისა და ფორმულების მაგიური გავლენა ამომრჩეველზე. - კომიტეტთა ძალმოსილება. - ისინი წარმოადგენენ ტირანიის ყველაზე საშიშ ფორმას. რევოლუციური კომიტეტები. - ხმის საერთო მიცემის გაუქმება შეუძლებელია, მიუხედავად მისი უმნიშვნელო ღირებულებისა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. - რატომ არის ხმის მიცემა უცვლელი იმ შემთხვევაშიც, თუ ხმის უფლებას მოქალაქეთა მხოლოდ შეზღუდული რაოდენობა მიიღებს? - რას გამოხატავს ხმის მიცემა სხვადასხვა ქვეყნებში?

არჩევითი ბრბო, ანუ სათათბირო, რომლის მოწვევა კონკრეტული პირების თანამდებობაზე დასანიშნად ხდება, წარმოადგენს არაერთგვაროვან ბრბოს, მაგრამ ვინაიდან მისი მოქმედება მიმართულია ერთი, მკაფიოდ განსაზღვრული მიზნისკენ (სხვადასხვა კანდიდატებს შორის არჩევანის გაკეთება), მასში ვლინდება მხოლოდ რამდენიმე დამახასიათებელი თვისება, რომლებიც ზემოთ იქნა აღწერილი. მათ შორის ყველაზე ხილული იქნება მსჯელობის სუსტი უნარი, კრიტიკული მენტალობის არარსებობა, გაღიზიანებადობა, მიმნდობლობა და ცალმხრივობა. ასეთი ბრბოს გადაწყვეტილებებში მივაკვლევთ ბელადებისა და

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების - დარწმუნება, გამეორება, მიმზიდველობა და ინფიცირება - გავლენას.

ახლა კი თვალი გავადევნოთ არჩევით ბრბოზე გავლენის საშუალებებს, რაც დაგვეხმარება უფრო მკაფიოდ წარმოვიდგინოთ მისი ფსიქოლოგია.

პირველ თვისებას, რომელსაც კანდიდატი უნდა ფლობდეს, მიმზიდველობა წარმოადგენს. პირადი მიმზიდველობა მხოლოდ სიმდიდრის ხიბლით შეიძლება იქნას ჩანაცვლებული. ტალანტი და გენიაც კი არ წარმოადგენენ წარმატების საფუძვლიან წინაპირობებს. უმთავრესია მიმზიდველობა ანუ ამომრჩევლების წინაშე ისე წარდგომა, რომ არანაირი ეჭვის საფუძველი არ შეიქმნას. თუკი ამომრჩევლები, რომელთა უმრავლესობა მუშებისა და გლეხებისგან შედგება, ასე იშვიათად ირჩევენ კანდიდატს საკუთარი წრიდან, ეს იმიტომ ხდება, რომ მათი რიგებიდან გამოსულ ადამიანებს მათთვის არანაირი მიმზიდველობა არ გააჩნიათ. თუკი შემთხვევით მაინც ხდება ასეთის არჩევა, ეს, როგორც წესი, გამოწვეულია ირიბი მიზეზით, რომელიმე გამორჩეული ადამიანის, მაგალითად, პატრონისთვის ხელის შეშლის სურვილით, ვისთანაც ეს მუშები მუდმივ მორჩილებაში იმყოფებიან. იქცევიან რა ასე, ამომრჩევლები იძენენ მასზე ძალაუფლების ილუზიას, ვისაც მუდმივად ექვემდებარებოდნენ.

მიუხედავად ამისა, მიმზიდველობა ყოველთვის არ წარმოადგენს წარმატების საფუძველს.

ამომრჩეველს ისიც სურს, რომ მის პატივმოყვარეობასა და გულისთქმას აამებდნენ. მასზე ზემოქმედებისთვის აუცილებელია ყველაზე უგუნურად ქლესაობა და მოურიდებლად ყველაზე ფანტასტიური დაპირებების დარიგება. თუ ამომრჩეველი მუშაა, მისადმი პირფერობა პატრონის ლანძღვით გამოიხატება; რაც შეეხება მეტოქე კანდიდატს, აუცილებელია მისი განადგურება მტკიცების, ჩაგონებისა და ინფიცირების გზით მის შესახებ იმ აზრის გავრცელებით, რომ ის უკანასკნელი ნაძირალაა და ყველასათვის ცნობილია მის მიერ ჩადენილ დანაშაულთა დიდი რაოდენობა.

რასაკვირველია, ასეთ შემთხვევაში ფუჭია რაიმე მტკიცებულებების ძიება. თუ მეტოქე ცუდად იცნობს ბრბოს ფსიქოლოგიას, იგი შეეცდება თავი არგუმენტებით გაიმართლოს, ნაცვლად იმისა, რომ მტკიცებებს უპასუხოს საპირისპირო მტკიცებებით, და ამგვარად წარმატების ყველა შანსს დაკარგავს.

კანდიდატის დოკუმენტური პროგრამა არ უნდა იყოს მეტისმეტად კატეგორიული, რადგან მეტოქეები შეძლებენ მის გამოყენებას და შემდგომში მისთვის წარდგენას; სანაცვლოდ, სიტყვიერი პროგრამა უკიდურესად გადამეტებულია. მას ყოველგვარი საფრთხის გარეშე შეუძლია ყველაზე მნიშვნელოვანი რეფორმების დაპირება. ყველა ეს გადამეტებული დაპირება ძლიერ გავლენას მოცემულ წუთს ახდენს, მომავალში კი არაფერს ავალდებულებს. მართლაც, ამომრჩეველი, ჩვეულებრივ, სრულიად არ ცდილობს იმის გაგებას, რამდენად შეასრულა კანდიდატმა მის მიერ მიცემული დაპირებები, სწორედ ის დაპირებები, რომლებმაც მისი არჩევა განაპირობეს.

ყველა ასეთ შემთხვევაში სახეზე გვაქვს დარწმუნების იმ ფაქტორთა მოქმედება, რომელთა შესახებ ზევით იყო საუბარი; ამ ფაქტორებს კვლავ შევხვდებით სიტყვებისა და ფორმულების გავლენის განხილვისას, რომლებსაც, როგორც ცნობილია, მაგიური ძალა გააჩნიათ. ორატორი, რომელსაც მათი გამოყენება შეუძლია, იქით გაიყოლებს ბრბოს, საითაც მოისურვებს. არსებობს გამოთქმები, რომლებიც, მიუხედავად მათი ხნოვანებისა, ყოველთვის ერთსა და იმავე ზემოქმედებას ახდენენ. კანდიდატს, რომელიც შეძლებდა ახალი ფორმულის პოვნას, სრულიად მოკლებულს აზრს, მაგრამ ისეთს, რომელიც ბრბოს განსხვავებულ

მისწრაფებებს უპასუხებდა, რასაკვირველია, უპირობო წარმატების იმედი უნდა ჰქონოდა. ესპანეთის 1873 წლის სისხლიანი რევოლუცია რამდენიმე სიტყვით იქნა ინიცირებული, რომლებსაც რთული მნიშვნელობა ჰქონდათ და რომლებსაც ყველა თავისებურად ხსნიდა. ერთ-ერთი თანამედროვე მწერალი შემდეგს მოგვითხრობს მის შესახებ: „რადიკალები დარწმუნდნენ, რომ უნიტარული რესპუბლიკა სხვა არაფერი იყო, თუ არა შენიღბული მონარქია, ხოლო კორტესებმა, მათ საამებლად, ერთხმად გამოაცხადეს ფედერალური რესპუბლიკა. ამასთან, ვერც ერთი ამომრჩეველი ვერ იტყოდა, თუ რას მისცა ხმა. მაგრამ გაცხადებული ფორმულა ყველას აღაფრთოვანებდა და აღტაცებაში მოჰყავდა. ყველას ეგონა, რომ პატიოსნებისა და ბედნიერების სამეფო დააფუძნა დედამიწაზე. ერთი რესპუბლიკელი, ვისაც მისმა მტერმა არ ისურვა ფედერალისტი ეწოდებინა, განაწყენდა, თითქოს სასიკვდილო შეურაცხყოფა მიეყენებინოთ. ქუჩებში ერთმანეთს მიმართავდნენ სიტყვებით: „Salud y republica federal!“ და მღეროდნენ ჰიმნებს დისციპლინის არარსებობისა და ჯარისკაცის ავტონომიის სადიდებლად. რას წარმოადგენდა სინამდვილეში ეს „ფედერალური რესპუბლიკა“? ერთ ნაწილს ამ სიტყვების ქვეშ პროვინციების ემანსიპაცია ესმოდა ან დაწესებულებები, მსგავსი აშშ-ში არსებულისა, ან ადმინისტრაციის დეცენტრალიზება. სხვები კი ყოველგვარი ხელისუფლების მოსპობასა და მომავალი დიადი სოციალური ლიკვიდაციის შესახებ ოცნებობდნენ. ბარსელონისა და ანდალუზიის სოციალისტები თემების აბსოლუტურ ერთობას ქადაგებდნენ და ვარაუდობდნენ ესპანეთში ათიათასი დამოუკიდებელი მუნიციპალური ქალაქის შექმნას, რომლებსაც საკუთარი კანონები ექნებოდათ, იმავდროულად კი აუქმებდნენ ჯარსა და ჟანდარმერიას. მცირე ხანში აღშფოთება სამხრეთის ყველა პროვინციას მოედო, ქალაქიდან ქალაქსა და სოფლიდან სოფელში ვრცელდებოდა. როგორც კი რომელიმე თემი „prononciamiento[18]“-ს ახდენდა, პირველ რიგში ის ტელეგრაფსა და რკინიგზას ანადგურებდა, რათა მეზობლებსა და მადრიდთან ყოველგვარი კავშირი მოესპო. უმცირესი სოფელიც კი არ მოიძებნებოდა, რომელიც დამოუკიდებლად არ მოქმედებდა. ფედერალიზმმა ადგილი დაუთმო ყველაზე უხეშ „კანტონალიზმს“, რომელსაც ხანძრები და მკვლელობები ახლდა და სისხლიანი სატურნალიებით სრულდებოდა.

რაც შეეხება გავლენას, რომელიც შესაძლოა მსჯელობას ჰქონოდა ამომრჩეველთა გონებაზე, საკმარისია ნებისმიერი არჩევითი სათათბიროს ოქმს გადავხედოთ, რათა სავსებით ჩამოყალიბებული შეხედულება შეგვექმნას ამის შესახებ. ასეთ სათათბიროში გაისმის მტკიცებები, ლანძღვა, დროდადრო საქმე ხელით შეხებამდეც მიდის, მაგრამ ვერასოდეს გაიგონებთ მსჯელობას; თუკი დროებით მაინც მყარდება დუმილი, ეს მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც რომელიმე ჭირვეული ხასიათის მქონე მონაწილე განაცხადებს, რომ მას სურს კანდიდატს ერთ-ერთი ის რთული კითხვა დაუსვას, რომელიც მუდამ აუდიტორიის აღფრთოვანებას იწვევს. თუმცა, ჩვეულებრივ, ოპონენტთა სიხარული მცირე ხანს გრძელდება, რადგან მოწინააღმდეგები ღრიალით ახშობენ მას, ვინც კითხვის დასმას გაბედავს. ყველა საჯარო სათათბიროს საერთო ტიპად შეგვიძლია ისეთები ჩავთვალოთ, რომელთა ოქმები მე ასობით სხვა ოქმს შორის ამოვარჩიე, ლამის ყოველდღიურად რომ იბეჭდება გაზეთებში:

„ორგანიზატორმა დამსწრეებს მიმართა თხოვნით, აერჩიათ პრეზიდენტი, რაც საკმარისი აღმოჩნდა მეხის გავარდნისთვის. ანარქისტები წინ გაქანდნენ, რათა ტრიბუნა იერიშით ჩაეგდოთ ხელთ; სოციალისტები მგზნებარედ ცდილობდნენ მათგან თავის დაცვას, იყო დიდი შეხლა-შემოხლა, ლანძღვა, ჯაშუშობაში

ერთმანეთის ბრალდება, საბოლოოდ კი ერთ-ერთი მონაწილე დასიებული თვალით გაიყვანეს.

ბოლოს და ბოლოს, როგორღაც მოახერხეს მთელ ამ აუზრაურში ბიუროს ჩამოყალიბება, ტრიბუნაზე დარჩა ამხანაგი ხ. იგი ჭეშმარიტად საბრალდებო სიტყვის წარმოთქმას იწყებს სოციალისტთა წინააღმდეგ, რომლებიც, თავის მხრივ, ყვირიან: „კრეტინო! ბანდიტო! თაღლითო!“, რასაც ამხანაგი ხ. პასუხობს თეორიით, რომელსაც სოციალისტები „იდიოტებად“ და „ჯამბაზებად“ გამოჰყავს.“

„ალემანის პარტიამ გუშინ საღამოს ფობურგ დიუ ტამილის ქუჩაზე მდებარე დარბაზში დიდი მოსამზადებელი შეხვედრა გამართა პირველი მაისის დღესასწასულისთვის. ლოზუნგს „სიჩუმე“ და „სიმშვიდე“ წარმოადგენდა“.

„ამხანაგმა გ.-მ სოციალისტებს კრეტინები და თაღლითები უწოდა; იმავ წამს ორატორმა და მსმენელებმა ერთმანეთს ლანძღვა დააყარეს, საქმე კი ხელჩართულ ჩხუბამდე მივიდა. სცენაზე სკამები, მაგიდები და სავარძლები გამოჩნდა“.

არ უნდა ვიფიქროთ, რომ მსჯელობის მსგავსი ფორმა ამომრჩეველთა რომელიმე კონკრეტული კატეგორიისთვის არის დამახასიათებელი და მათ სოციალურ მდგომარეობაზე იყოს დამოკიდებული. ყველა ანონიმურ სათათბიროში, როგორიც არ უნდა იყოს ის, თუნდაც მხოლოდ მეცნიერებისგან შედგებოდეს, კამათი მუდამ ერთსა და იმავე ფორმას იძენს.

მე უკვე ვთქვი, რომ ბრბოში ადამიანები მენტალურ განსხვავებათა მოსწორებისკენ მიისწრაფიან, რის დასტურს ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით. მაგალითისათვის მომაქვს ერთი სტუდენტური თავყრილობის ოქმი, რომელსაც ჟურნალ „Temps“-ის 1895 წლის 13 თებერვლის ნომრიდან ვსესხულობ: „დროის მსვლელობასთან ერთად ხმაური სულ უფრო ძლიერდებოდა და არა მგონია მოძებნილიყო ორატორი, რომელიც ისე იტყოდა ორ ფრაზას, რომ მისთვის აზრი არ გაეწყვეტინებინათ. ყოველ წუთს გაისმოდა შეძახილები ხან აქიდან და ხან იქიდან, ხშირად კი რამდენიმე ადგილიდან ერთდროულად. ისმოდა აპლოდისმენტები, სტვენა, მსმენელებს შორის გაცხარებული კამათი იმართებოდა, მუქარით იქნევდნენ ხელჯოხებს, აკაკუნებდნენ იატაკზე, ყვიროდნენ: „გაეთრიე! ტრიბუნაზე!“

მ.ს.-მ ასოციაცია ყველაზე უხამსი ეპითეტებით შეამკო, უწოდა რა მას უნამუსო, მოღალატე, შურისმგებლური და ა.შ. და აცხადებდა, რომ მის განადგურებას ესწრაფოდა...“

საკითხავია, როგორ აყალიბებს ასეთ პირობებში ამომრჩეველი შეხედულებას? მაგრამ ასეთი კითხვა შეიძლება მხოლოდ ისეთ შემთხვევაში გაგვიჩნდეს, თუ ცთომილებაში ვართ ასეთი თავყრილობის თავისუფლებასთან მიმართებით. ბრბოს ხომ მხოლოდ ჩაგონებული შეხედულებები გააჩნია და არასოდეს აყალიბებს მათ მსჯელობის მეშვეობით. ჩვენს მიერ განხილულ შემთხვევებში ამომრჩეველთა შეხედულებები და ქვოტები არჩევითი კომიტეტების ხელთაა, რომელთა წინამძღოლებს ხშირ შემთხვევაში ღვინით მოვაჭრენი წარმოადგენენ, მათ კი გავლენა გააჩნიათ მუშებზე, რადგან კრედიტით უზრუნველყოფენ ამ უკანასკნელთ. „იცით თუ არა თქვენ, რას წარმოადგენს არჩევითი კომიტეტი? - კითხულობს დემოკრატიის ერთ-ერთი ყველაზე თავგამოდებული დამცველი, ბ-ნი სეგერერი. - ესაა გასაღები ყველა ჩვენი დაწესებულებისკენ, ჩვენი პოლიტიკური მანქანის მთავარი ნაწილი. საფრანგეთს სინამდვილეში კომიტეტები მართავენ“.

კომიტეტები, როგორიც არ უნდა იყოს მათი სახელწოდება, - კლუბი, სინდიკატი თუ სხვა, - სავარაუდოდ ბრბოს კარსმომდგარი ძალაუფლების ყველაზე საშიში ელემენტია. ისინი წარმოადგენენ ტირანიის ყველაზე უპიროვნო და, შესაბამისად, ყველაზე მძიმე

ფორმას. კომიტეტთა ხელმძღვანელი პირები, გააჩნიათ რა რომელიმე თავყრილობის სახელით საუბრისა და მოქმედების უფლება, ყოველგვარი პასუხისმგელობისგან თავისუფლდებიან და საკუთარ თავს ყველაფრის უფლებას აძლევენ. ვერც ერთი ყველაზე სასტიკ ტირანთაგანი ვერც კი გაიფიქრებდა ისეთი ბრძანებების გაცემას, რომლებსაც, მაგალითად, რევოლუციური კომიტეტები იძლეოდნენ. ისინი ჟლეტდნენ კონვენტს, რობესპიერი კი აბსოლუტურ მბრძანებლად რჩებოდა მანამ, სანამ მათი სახელით საუბრობდა. როგორც კი მათ გამოეყო, ის დაიღუპა.

ბრბოს ბატონობა - კომიტეტების ანუ წინამძღოლების ბატონობაა. უარესი დესპოტიზმის წარმოდგენაც კი შეუძლებელია.

კომიტეტებზე ზემოქმედება რთული არ არის. მთავარია, რომ კანდიდატი მიიღონ და მას საკმარისი საფინანსო რესურსი გააჩნდეს. თავად დონორთა აღიარებით, საკმარისი იყო სამი მილიონი ფრანკი, რათა გენერალ ბულანჟესთვის განმეორებითი არჩევნები უზრუნველეყოთ.

ასეთია არჩევითი ბრბოს ფსიქოლოგია. იგი არაფრით განსხვავდება სხვა კატეგორიის ბრბოთა ფსიქოლოგიისგან და არაფრითაა მასზე უკეთესი ან უარესი. მაგრამ ყოველივე ზემოთქმულიდან მე მაინც არ გამომაქვს დასკვნა ხმის საყოველთაო მიცემის წინააღმდეგ. ამ ინსტიტუტის ბედი ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, მას არსებულ ფორმას შევუნარჩუნებდი, რის საფუძველს ის პრაქტიკული შეხედულებები წარმოადგენს, რომლებიც უშუალოდ ბრბოს ფსიქოლოგიის შესწავლიდან გამომდინარეობს. ამდენად, ყოველივეს შემდეგნაირად ჩამოვაყალიბებდი.

უდაოა, რომ საყოველთაო არჩევნების უხერხულობა თვალში საცემია და ამას ვერ უარვყოფთ. ვერც იმას უარვყოფთ, რომ ცივილიზაცია მხოლოდ უმცირესობის საქმე იყო, რომელიც მაღალი გონებრივი შესაძლებლობებით იყო დაჯილდოვებული და პირამიდის წვერო ეკავა, რომელიც თანდათან ფართოვდებოდა ქვევით იმის მიხედვით, თუ როგორ მცირდებოდა სხვადასხვა ფენათა გონებრივი უნარები. რასაკვირველია, ცივილიზაციის სიდიადე ვერ იქნება დამოკიდებული უმდაბლეს ელემენტთა ხმებზე, რომელთა ძალა მხოლოდ მათ რაოდენობაშია. უდაოა, რომ ბრბოს მიერ ხმის მიცემა ხშირად უკიდურესად სახიფათოა და ჩვენ ეს არაერთხელ გვიგემია შემოსევის ფორმით. სავსებით სავარაუდოა, რომ მომავალში კიდევ უფრო ძვირი საფასურის გადახდა მოგვიწევს, იმდენად, რამდენადაც ბრბოს ძალმოსილება განუხრელად მატულობს. მაგრამ ყველა ეს საპირისპირო აზრი, სრულიად მართებული თეორიული თვალსაზრისით, პრაქტიკაზე სრულიად კარგავს ძალას ჩვენს თვალში, როდესაც იმ იდეათა გავლენის ურყეობას გავიხსენებთ, რომლებიც დოგმატებად იქცნენ. ბრბოს უზენაესი ძალაუფლების დოგმატი არ ექვემდებარება დაცვას ფილოსოფიის თვალსაზრისით, ზუსტად ისევე, როგორც შუა საუკუნეთა რელიგიური დოგმატები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მას დღევანდელ დღეს აბსოლუტური ძალაუფლება გააჩნია. გამომდინარე აქედან, ეს დოგმატი ისევე ხელშეუხებელია, როგორც ოდესღაც ჩვენი რელიგიური იდეები.

თანამედროვე თავისუფლად მოაზროვნე წარმოიდგინეთ, რომელიც მაგიური ძალით შუა საუკუნეებში იქნა გადასროლილი. თქვენ, შესაძლოა, იფიქროთ, რომ იმ დროს გაბატონებულ რელიგიურ იდეათა უზენაეს ძალაუფლებაში დარწმუნებული, მათთან შებრძოლებას ცდიდა? ან, თუ მოსამართლის ხელთ მოხვდებოდა, ვინც მის კოცონზე დაწვის განაჩენს გამოიტანდა ეშმაკთან კავშირის ან შაბაშის დასწრების მიზეზით, იგი ეშმაკის და შაბაშის არსებობას შეეკამათებოდა? მაგრამ ბრბოს რწმენის ეჭვის ქვეშ დაყენება იგივეა, რაც ქარიშხალთან ბრძოლა. ხმის საყოველთაო

მიცემის დოგმატი დღეს ისეთივე ძალაუფლებას ფლობს, როგორსაც ოდესღაც რელიგიური იდეები. მწერლები და ორატორები მას იმგვარი პატივისცემითა და პირმოთნეობით მოიხსენებენ, რაც ლუდოვიკო XIV-საც კი არ ღირსებია. ამიტომაც, მას ისევე უნდა მივუდგეთ, როგორც ყველა რელიგიურ დოგმატს, რომელზეც მხოლოდ დრო მოქმედებს.

სხვათა შორის, ფუჭი იქნებოდა ამ დოგმატის საფუძვლის შერყევა, რადგან იგი ზოგ ისეთ მოსაზრებას ეყრდნობა, რომელიც მის სასარგებლოდ საუბრობს. „თანასწორობის ეპოქაში, - სამართლიანად შენიშნავს ტოკვილი. - ადამიანებს არანაირი ნდობა არ გააჩნიათ ერთმანეთის მიმართ, რაც მათი მსგავსებიდან გამომდინარეობს.

მაგრამ იგივე მსგავსება უნერგავს მათ თითქმის უსაზღვრო ნდობას საზოგადოებრივი აზრისადმი, რადგან მიაჩნიათ, რომ გონების საყოველთაო თანაბარი განვითარების გამოისობით ჭეშმარიტება იქ უნდა იყოს, სადაც უმრავლესობაა“.

უნდა ვივარაუდოთ თუ არა, რომ ხმის მიცემის უფლების შეზღუდვა რაგინდ მიზეზით ბრბოს მიერ კენჭისყრაში მონაწილეობას გააუმჯობესებს? მე არ ძალმიძს აღნიშნულის დაშვება ჩემს მიერ ზევით გამოთქმულ მოსზრებათა მიზეზით, რომლებიც ყველა თავყრილობის დაბალ გონებრივ დონეს ეხება, როგორიც არ უნდა იყოს მათი შემადგენლობა. ბრბოში ადამიანები თანაბრდებიან და თუ საქმე ზოგად საკითხებს ეხება, ორმოცი აკადემიკოსის მიერ გაკეთებული არჩევანი არაფრით იქნება უკეთესი კენჭისყრაში ორმოცი მეთულუხჩის მონაწილეობისა. არა მგონია არჩევნები, რომლებსაც ესოდენ ხშირად სდებენ ბრალად ხმის საყოველთაო მიცემას (მაგალითად, იმპერიის აღდგენა), სხვა ხასიათის ყოფილიყო, თუ ამომრჩევლები მხოლოდ სწავლულთა და განათლებულთა წრიდან იქნებოდნენ. თუკი რომელიმე ინდივიდმა შეისწავლა ბერძნული, მათემატიკა, გახდა არქიტექტორი, ვეტერინარი, მედიკოსი ან ადვოკატი, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ მან განსაკუთრებული ცოდნა შეიძინა სოციალურ საკითხებში. ჩვენი ყველა ეკონომისტი უმეტესწილად განათლებული ადამიანია, ხშირ შემთხვევაში პროფესორი და აკადემიკოსი, მაგრამ ერთი საკითხი მაინც თუ არსებობს, იქნება ეს პროტექციონიზმი, ბიმეტალიზმი და ა.შ., რომელთან მიმართებით ისინი თანხმობას აღწევდნენ? ყოველივეს მიზეზი ის გახლავთ, რომ მათი მეცნიერება საყოველთაო უმეცრების ძალიან რბილ ფორმას წარმოადგენს, ხოლო სოციალურ პრობლემებთან მიმართებით, მათ მიერ შემოთავაზებული უცნობი სიდიდეების დიდი რაოდენობის გამოისობით, ადამიანებიც შესაბამისად უმეცრები არიან.

ამგვარად, თუკი საარჩევნო კორპუსი მხოლოდ მეცნიერების წარმომადგენლებისგან იქნება შემდგარი, მათი არჩევანი არც უკეთესი და არც უარესი იქნება იმაზე, რაც დღეს გაგვაჩნია. ისინი ზუსტად ასევე იხელმძღვანელებენ საკუთარი გრძნობებითა და პარტიული სულისკვეთებით. ჩვენი სირთულეები სრულიად არ შემსუბუქდებოდა, მაგრამ, გარდა ამისა, კასტების მძიმე ტირანიის ატანაც მოგვიწევდა.

ბრბოს მიერ ხმის მიცემა ყველგან მსგავსი, საბოლოოდ კი, ერის სწრაფვისა და გაუცნობიერებელი მოთხოვნის გამომხატველი იქნება, მიუხედავად იმისა, ხმის მიცემა შეზღუდულია თუ საყოველთაო; სად აქვს ადგილი, მონარქიასა თუ რესპუბლიკაში; საფრანგეთში, ბელგიაში, პორტუგალიასა თუ ესპანეთში.

ყველა ქვეყანაში ყველა არჩევნის საშუალო არითმეტიკული ერის მენტალობის გამომხატველია, ის კი თაობიდან თაობამდე თითქმის არ იცვლება.

ყოველივე ზემოთქმულს კიდევ ერთხელ მივყავართ დასკვნამდე, რომ ეროვნებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, და რომ

დაწესებულებები და მთავრობები უმნიშვნელო როლს ასრულებენ ხალხთა ცხოვრებაში. ამ უკანასკნელთ უმთავრესად ეროვნული მენტალობა ანუ მემკვიდრეობითი დანალექი მართავს, რისი ჯამიც შეადგენს არსებითად ეროვნულ მენტალობას. ეროვნულობა და ყოველდღიური ცხოვრების მოთხოვნათა მიზნები - აი, იდუმალი მბრძანებლები, რომლებიც ერის ბედს განაგებენ.

თავი მეხუთე. საპარლამენტო სათათბიროები

საპარლამენტო ბრბოში შეინიშნება უმრავლესობა თვისებებისა, რომლებიც არაერთგვაროვანი, არაანონიმური ბრბოსთვისაა დამახასიათებელი. - შეხედულებათა ცალმხრივობა. - ჩაგონებისადმი აღქმადობა და მისი საზღვრები. - წინამძღოლთა როლი. - მათი მიმზიდველობის მიზეზები. - ისინი წარმოადგენენ სათათბიროს ჭეშმარიტ ბატონ-პატრონებს, რომელთა მიერ ხმის მიცემაში მონაწილეობა ამგვარად უმცირესობის მიერ ხმის მიცემას წარმოადგენს. - წინამძღოლთა ძალაუფლება აბსოლუტურია. - მათი ორატორული ხელოვნების ელემენტები. სიტყვა და ხატები. - მიმზიდველობას მოკლებულ ორატორს არ ძალუძს საკუთარი საბუთების მიღების იძულება. - განცდათა, როგორც სასიკეთოს, ისე საზიანოს, გადაჭარბება. - ავტომატიზმი, რომელიც ცალკეულ შემთხვევებში იჩენს თავს. - კონვენტის სხდომები. - შემთხვევები, როდესაც თავყრილობა კარგავს ბრბოსთვის დამახასიათებელ ნიშნებს. - სპეციალისტთა გავლენა ტექნიკურ საკითხებში. - საპარლამენტო რეჟიმის უპირატესობა და საფრთხეები ყველა ქვეყნისთვის. - ის მორგებულია თანამედროვე მოთხოვნებს, მაგრამ ფინანსურ ხარჯებსა და თავისუფლების პროგრესულ შეზღუდვას იწვევს. - დასკვნა.

საპარლამენტო სათათბიროები არაერთგვაროვან, არაანონიმურ ბრბოს მაგალითს წარმოადგენს. მიუხედავად მათი შემდაგენლობისა სხვადასხვა ეპოქებსა და სხვადასხვა ხალხებში, ისინი მაინც ატარებენ მსგავს თვისებებს, ამასთან კი ეროვნულობის გავლენა ამ თვისებების შერბილებასა ან ხაზგასმაში ვლინდება. საპარლამენტო სათათბიროებს საბერძნეთში, იტალიაში, პორტუგალიაში, ესპანეთში, საფრანგეთში, აშშ-ში მრავალი აქვთ საერთო საპარლამენტო კამათსა და ხმის მიცემასთან მიმართებით და, შესაბამისად, მთავრობებს ანალოგურ სირთულეებს უქმნიან.

სხვათა შორის, საპარლამენტო რეჟიმი ყველა თანამედროვე ცივილიზებული ხალხის იდეალს წარმოადგენს, რომლის საფუძვლად ფსიქოლოგიურად ის მცდარი აზრი დევს, რომ ერთად შეკრებილი მრავალი ადამიანი მეტად შეძლებს ბრძნულ და დამოუკიდებელ გადაწყვეტილებამდე მისვლას, ვიდრე მათი მცირე რაოდენობა.

საპარლამენტო სათათბიროებში ჩვენ ვხვდებით ყველა ბრბოსთვის დამახასიათებელ თვისებებს: იდეათა ცალმხრივობას, გაღიზიანებადობას, ჩაგონებისადმი აღქმადობას, განცდათა გადაჭარბებას, წინამძღოლთა დომინირებად გავლენას. მაგრამ განსაკუთრებული შემადგენლობიდან გამომდინარე, საპარლამენტო ბრბოს გააჩნია რიგი თავისებურებები, რომლებზეც ახლა შევჩერდებით.

იდეათა ცალმხრივობა ასეთი ბრბოს უმნიშვნელოვანეს თვისებას წარმოადგენს. ყველა პარტიას, განსაკუთრებით კი ლათინურ ქვეყნებში, ახასიათებს ურყევი მიდრეკილება, ყველაზე რთული სოციალური პრობლემა ყველაზე მარტივი და აბსტრაქტული პრინციპებისა და კანონების მეშვეობით გადაჭრას, რომლებსაც ყველა შემთხვევაში იყენებენ. პრინციპები ბუნებრივად იცვლება ყოველი პარტიის შესაბამისად, მაგრამ ბრბოში ყოფნის

მიზეზით ინდივიდები ყოველთვის მიისწრაფიან, გადაჭარბებული ღირებულება მიანიჭონ ამ პრინციპთა ღირსებებს და უკიდურეს ზღვრამდე მათ განვრცობას ცდილობენ. ამიტომაა, რომ პარლამენტი ყოველთვის უკიდურეს შეხედულებათა ინიციატორია.

ასეთ სათათბიროთა ცალმხრივობის საუკეთესო მაგალითს დიდი რევოლუციის იაკობინელები წარმოადგენენ. დოგმატებითა და ლოგიკით გამსჭვალულები, განუსაზღვრელი და ზოგადი ამონარიდებით სავსვე თავებით, იაკობინელები ცდილობდნენ ცხოვრებაში გაეტარებინათ საკუთარი მყარი პრინციპები, სრულებით არ ზრუნავდნენ რა ამ დროს შედეგებზე და, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მათ რევოლუცია ისე განვლეს, რომ იგი არც შეუმჩნევიათ. შეიარაღდნენ რა უკიდურესად მარტივი დოგმატებით, რომლებიც მათთვის გზამკვლევის როლს ასრულებდნენ, მათ წარმოიდგინეს, რომ შეეძლოთ საზოგადოების ყველა ნაწილის გადაკეთება და დახვეწილი ცივილიზაცია სოციალური ევოლუციის ადრეულ სტადიაზე დაებრუნებინათ. აღნიშნული ოცნების განსახორციელებლად გამოყენებული საშუალებებიც აბსოლუტურად ცალმხრივი იყო. ისინი მხოლოდ იმით იფარგლებოდნენ, რომ ანადგურებდნენ ყველაფერს, რაც მათ ხელს უშლიდა. თუმცა, ყველა დანარჩენი - ჟირონდისტები, მონტანიარები[19], ტერმიდორიანელები[20] და ა.შ. - იმავე სულისკვეთებით მოქმედებდნენ.

საპარლამენტო ბრბო იოლად ნებდება ჩაგონებას, ეს უკანასკნელი კი, ისევე, როგორც ყველა ბრბოში, მიმზიდველობის ძალის მქონე წინამძღოლებისგან მოდის. მაგრამ საპარლამენტო სათათბიროებში ჩაგონებისადმი აღქმადობას მკვეთრად დადგენილი საზღვრები გააჩნია, რაზე მინიშნება მართებულად მიმაჩნია.

ყველა საკითხთან მიმართებით, რომელიც ადგილობრივ ან საოლქო ინტერესს წარმოადგენს, საპარლამენტო სათათბიროს წევრებს იმდენად ფესვგადგმული და უცვლელი შეხედულებები გააჩნიათ, რომ ვერანაირი არგუმენტირება ვერ შეძლებდა მათ შერყევას. დემოსთენეს[21] ტალანტიც კი უძლური იქნებოდა შეეცვალა დეპუტატის შეხედულება ისეთი საკითხის მიმართ, როგორიც პროტექციონიზმია, დეპუტატისა, რომელიც გავლენიან ამომრჩეველთა ინტერესებს წარმოადგენდა. წინმსწრები ჩაგონება, რაც დეპუტატების მიმართაა განხორციელებული მათი ამომრჩევლების მიერ, იმდენად ძლიერია, რომ ყველა სხვა ჩაგონებას უშლის ხელს, მეორეს მხრივ კი ხელს უწყობს შეხედულებათა აბსოლუტური მედეგობის შენარჩუნებას.

სავარაუდოდ, შეხედულებებს, რომლებიც წინასწარ არის განსაზღვრული არჩევნების დროს, უნდა მივაკუთვნოთ ერთი ძველი ინგლისელი საპარლამენტო მოღვაწის სიტყვები: „იმ ორმოცდაათი წლის განმავლობაში, რაც მე ვესთმინსთერში ვესწრები სხდომებს, უამრავი გამოსვლა მომისმენია. მხოლოდ რამდენიმემ შეძლო ჩემი შეხედულების შეცვლა, მაგრამ არც ერთმა - ჩემი ვოტუმისა[22].“

ზოგადი ხასიათის კითხვებში, როგორიცაა, მაგალითად, სამინისტროს გაუქმება ან გადასახადების დაწესება, შეხედულებები არანაირი მედეგობით არ გამოირჩევიან და ამიტომ აქ წინამძღოლთა ჩაგონებას ისევე შეუძლია მოქმედება, როგორც ჩვეულებრივ ბრბოში. ყველა პარტიას საკუთარი წინამძღოლები ჰყავს, რომლებიც დროდადრო თანაბარი გავლენით სარგებლობენ, რის გამოც დეპუტატი ზოგჯერ საპირისპირო ჩაგონებებისადმია მოწყვლადი და ბუნებრივად ემორჩილება ყოყმანს. ამით აიხსნება ისეთი მდგომარეობა, როდესაც დეპუტატი თხუთმეტი წუთის განმავლობაში იცვლის შეხედულებას, საწინააღმდეგო აზრს აძლევს

ხმას და რაიმე მუხლს უმატებს მის მიერ მხარდაჭერილ კანონს, რომელიც სრულიად ანადგურებს მის მნიშვნელობას. ასე, მაგალითად, წაართვა რა ქარხნის მფლობელებს მუშების შერჩევისა და დათხოვნის უფლება, დეპუტატი, ხმას აძლევს რა შესწორებას ამ კანონისადმი, სრულად უკარგავს მას ძალმოსილებას.

ამიტომაც ხდება, რომ დეპუტატთა პალატაში ყოველი საკანონმდებლო პერიოდის განმავლობისას ჩამოყალიბებულ შეხედულებებთან ერთად ვხვდებით სრულიად განუსაზღვრელებს. მაგრამ რადგან ზოგადი ხასიათის საკითხები უფრო მრავალრიცხოვანია, პალატაში ყოველთვის ყოყმანი ბატონობს, რასაც საფუძველს უმაგრებს შიში ამომრჩევლის წინაშე, ვისი ფარული ჩაგონება ყოველთვის მიისწრაფის წინამძღოლთა ჩაგონების საპირწონეს შექმნისკენ. ყოველ ასეთივე კამათში, სადაც მონაწილეებს არ გააჩნიათ წინასწარ ჩამოყალიბებული შეხედულებები, რომელთა რაოდენობა, სხვათა შორის, დიდია, ყოველთვის იმარჯვებენ წინამძღოლები, რომლებიც ბრბოს საკუთარ შეხედულებას ახვევენ თავს. ასეთ წინამძღოლთა საჭიროება უკვე იმ ფაქტით ხდება აშკარა, რომ ჯგუფების ხელმძღვანელთა სახელით ისინი ყველა ქვეყნის სათათბიროებში გვხვდებიან და ამ სათათბიროთა ჭეშმარიტ მბრძანებლებს წარმოადგენენ. ადამიანებს ბრბოში არ ძალუძთ წინამძღოლის გარეშე გაძლება და ამიტომ ნებისმიერი სათათბიროს კენჭისყრა მხოლოდ უმცირესობის შეხედულების გამომხატველია.

წინამძღოლები უმთავრესად არა არგუმენტაციით, არამედ მიმზიდველობით მოქმედებენ, რის საუკეთესო დასტურს წარმოადგენს ის, რომ თუ რაიმე შემთხვევითობის გამოისობით ისინი კარგავენ მიმზიდველობას, მათი გავლენაც უჩინარდება.

წინამძღოლთა მიმზიდველობა ინდივიდუალური ხასიათისაა და არც სახელსა და არც დიდებაზე არაა დამოკიდებული. აი, რას მოგვითხრობს ჟიულ სიმონი 1848 წლის დიადი ადამიანების შესახებ, რომელთა შორის უწევდა მას თათბირი:

„ორი თვით ადრე, სანამ ყოვლისშემძლედ იქცეოდა, ლუდოვიკ ნაპოლეონი არარაობა იყო...

ვიქტორ ჰიუგო ავიდა ტრიბუნაზე, მაგრამ მისი გამოსვლა წარუმატებელი გახლდათ.

მას ისევე უსმენდნენ, როგორც ფელიქს პიას, მაგრამ ნაკლები აპლოდისმენტები ერგო. „მე არ მომწონს მისი იდეები, - მითხრა ვოლაბელმა, გულისხმობდა რა ამ დროს პიას. - მაგრამ ის საფრანგეთის ერთ-ერთი უდიდესი მწერალი და ორატორია.“ ედგარ კინე, იშვიათი და ღრმა გონების პატრონი, არაფერში ითვლებოდა. მისი პოპულარობა სათათბიროს გახსნამდე ვრცელდებოდა, გახსნის შემდეგ კი სრულად იკარგებოდა...

პოლიტიკური სათათბიროები ისეთ ადგილს წარმოადგენენ, სადაც გენიოსის ბრწყინვალება ყველაზე ნაკლებად იგრძნობა.

იქ მნიშვნელობა მჭევრმეტყველებას, ადგილისა და დროისადმი მორგებას ენიჭება, და, რაღა თქმა უნდა, სამსახურს, რომელიც პარტიისა და არა სამშობლოსთვისაა გაწეული. სათანადო პატივის მისაგებად ლამარტენს 1848 წელს და ტიერს 1871 წელს მუდმივი, აურიდებელი საფრთხის მძლავრი სტიმული დასჭირდათ, მაგრამ როგორც კი მან ჩაიარა, გაქრა, როგორც შიშის, ასევე მადლიერების განცდა“.

აღნიშნული ციტატა ფაქტებისთვის მოვიხმე, რომლებიც მასშია გადმოცემული და არა განმარტებისთვის, რომლებიც ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ფრიად დაბალი ინტერესის სფეროს განეკუთვნებიან. ბრბო მყისიერად დაკარგავდა ბრბოსთვის დამახასიათებელ თვისებებს, თუკი მხედველობაში მიიღებდა

სამსახურს, რომელიც წინამძღოლების მიერ სამშობლოსა და არა პარტიებისთვისაა გაწეული. წინამძღოლის მორჩილი ბრბო მხოლოდ მის მიმზიდველობას უწევს ანგარიშს, რასაც არანაირად არ ეზავება ინტერესის ან მადლიერების განცდა. ამიტომაცაა, რომ საკმარისი მიმზიდველობის მქონე წინამძღოლი თითქმის აბსოლუტურ ძალაუფლებას ფლობს. მაგალითად, ცნობილია, თუ რაოდენ დიდი გავლენით სარგებლობდა ერთი ცნობილი დეპუტატი[მ. კლემენსო] საკუთარი მიმზიდველობის წყალობით, რომელიც უკანასკნელ არჩევნებზე ცნობილ ფინანსურ მოვლენათა გამოისობით იქნა დამარცხებული. მანამდე კი მისი მხოლოდ ერთი ხელის აქნევა იყო საკმარისი სამინისტროს გასაუქმებლად. ერთმა მწერალმა მისი მოღვაწეობა შემდეგი სიტყვებით შეაფასა: „ბატონი X-ის წინაშე ჩვენ პირველ რიგში იმიტომ ვართ ვალდებულები, რომ ტონკინის სანაცვლოდ სამჯერ ძვირი გადავიხადეთ, ვერ დავიკავეთ მყარი პოზიცია მადაგასკარში, მოტყუებით აგვართვეს ქვემო ნიგერი და დავკარგეთ დამინირებადი პოზიცია, რომელიც ეგვიპტეში გაგვაჩნდა. ბატონი X-ის თეორიებმა მეტი ტერიტორიული დანაკარგი მოგვიტანა, ვიდრე ნაპოლეონ პირველის გატიალებამ“.

თუმცა, ალბათ არ ღირს ზემოდასახაელებული წინამძღოლის მეტისმეტად ბრალდება. რასაკვირველია, ის ჩვენ საკმაოდ ძვირი დაგვიჯდა, მაგრამ მისი გავლენა ძირითადად ეფუძნებოდა იმას, რომ ის უმთავრესად საზოგადოებრივ აზრს მისდევდა, საზოგადოება კი კოლონიალურ საკითხებში დღევანდელისგან სრულიად განსხვავებული შეხედულებების იყო. წინამძღოლი იშვიათად უსწრებს საზოგადოებრივ აზრს. ჩვეულებრივ, ის მას მისდევს და მის ყველა ცთომილებას ითვისებს.

დარწმუნების მეთოდები, რომლებსაც წინამძღოლები საკუთარი მიმზიდველობის გარდა იყენებენ, იგივეა, რაც ნებისმიერ ბრბოში. მათი ოსტატურად გამოყენებისთვის წინამძღოლს თუნდაც არაცნობიერად უნდა ესმოდეს ბრბოს ფსიქოლოგია და იცოდეს, როგორ ესაუბროს მას. განსაკუთრებით კარგად უნდა აცნობიერებდეს იგი კონკრეტული სიტყვების, ფორმულებისა და ხატების მიმზიდველობას. მას სრულიად სპეციფიური მჭევრმეტყველება უნდა გააჩნდეს, რაც უპირატესად ენერგიულ, თუმცა სრულიად დაუსაბუთებელ მტკიცებულებებსა და კაშკაშა ხატებში მდგომარეობს, რომლებიც ფრიად ზედაპირული მსჯელობის საბურველშია გახვეული. ასეთ მჭევრმეტყველებას ყველა სათათბიროში ვხვდებით, თვით ინგლისის პარლამენტშიც, მიუხედავად მისი გაწონასწორებულობისა.

„ჩვენ გამუდმებით გვიწევს თემთა პალატაში წარმოებული კამათის შესახებ ინფორმაციის წაკითხვა, - წერს ინგლისელი ფილოსოფოსი მენი, - რომელიც უმთავრესად სუსტი ზოგადი ფორმულების ურთიერთგაცვლისა და მკვახე გამოთქმებისგან შედგება.

მაგრამ ზოგად ფორმულათა ეს სახეობა განსაცვიფრებელ გავლენას ახდენს წმინდა დემოკრატიის წარმოსახვაზე. ყოველთვის ადვილია აიძულო ბრბო, მიიღოს ზოგადი ხასიათის საბუთები, როდესაც მათი მიწოდება წარმოსახვაზე მოქმედი გამოთქმებით ხდება, თუნდაც ეს საბუთები წინასწარ არ იყოს შემოწმებული და შესაძლოა არც ექვემდებარებოდეს გადამოწმებას“.

მნიშვნელობა ასეთი ძლიერი გამოთქმებისა, რომლებიც ზემომოყვანილ ციტატაში იყო ნახსენები, სრულებით არ არის გადაჭარბებული. ჩვენ უკვე რამდენჯერმე მივანიშნეთ სიტყვებისა და ფორმულების განსაკუთრებულ ძალაზე. უნდა შეირჩეს ისეთი სიტყვები, რომლებსაც უკიდურესად ცოცხალი ხატების გამოწვევა ძალუძთ. შემდეგი ფრაზა, ნასესხები ჩვენს მიერ ერთ-ერთი ჩვენი წინამძღოლის გამოსვლიდან სათათბიროში, მსგავსი მჭევრმეტყველების შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს: „იმ დღეს,

როდესაც ერთი და იგივე ხომალდი გადასახლებისკენ წარიტაცებს გამყიდველ პოლიტიკოსსა და მკვლელ ანარქისტს, მათ შესაძლოა საუბარი გამართონ ურთიერთშორის და ერთმანეთს სოციალური მდგომარეობის ორ დამატებით მხარედ წარმოუდგნენ“.

ამ სიტყვით გამოწვეული ხატი საკმაოდ ცხადია და, რასაკვირველია, ორატორის მოწინააღმდეგეებს უნდა ეგრძნოთ, რომ ის მათ ემუქრება. მათ ერთდროულად უნდა წარმოედგინათ ცხელი სანაპირო და ხომალდიც, რომელსაც ისინი მიჰყავს, რადგან ამ წუთიდან შესაძლოა ისინიც იმავე პოლიტიკოსთა რიგს იქნენ მიკუთვნებულნი, რომლებზეც ორატორი მიუთითებდა. რასაკვირველია, ამასთან ერთად, მათ შიშის ბუნდოვანი გრძნობა უნდა განეცადათ, მსგავსი იმისა, კონვენტის წევრები რომ გრძნობდნენ, როდესაც რობესპიერის გაურკვეველ გამოსვლებს ისმენდნენ, რაც მეტად ან ნაკლებად შეიცავდა გილიოტინის მუქარას. სწორედ შიშის ამ გრძნობის გამო უთმობდნენ კონვენტის წევრები რობესპიერს.

წინამძღოლთა ინტერესშია საკუთარი თავისთვის ყველაზე წარმოუდგენელი გადაჭარბების უფლების მიცემა. ორატორს, რომლის სიტყვები მოვიტანე ზემოთ, არსებითი პროტესტის აღძვრის გარეშე შეეძლო ემტკიცებინა, რომ ბანკირები და მღვდელმსახურები ბომბების მტყორცნელებს უხდიდნენ ხელფასს, ხოლო მსხვილ ფინანსურ კომპანიათა მენეჯერები ისეთივე სასჯელს იმსახურებდნენ, როგორსაც ანარქისტები. ბრბოზე მსგავსი მტკიცებები ყოველთვის მოქმედებენ, და მით უფრო ძლიერად, რაც უფრო მძვინვარე და მუქარის შემცველი ხასიათი გააჩნიათ. არაფერი ისე არ აფრთხობს მსმენელებს, როგორც მსგავსი მჭევრმეტყველება. ისინი არ გამოთქვამენ პროტესტს, რადგან შიშობენ, რომ მოღალატის ან თანამზრახველის იარლიყი არ დაიმსახურონ.

მსგავსი მჭევრმეტყველების მაგალითს შეგვიძლია ყველა სათათბიროში დავაკვირდეთ, ხოლო კრიტიკულ მომენტებში ის მუდამ ძლიერდება. ამ თვალსაზრისით რევოლუციის დიად ორატორთა გამოსვლების ტექსტთა კითხვა ფრიად საინტერესოა. ისინი საკუთარ თავს ვალდებულად თვლიდნენ, გამუდმებით შეეწყვიტათ გამოსვლა, რათა დაეგმოთ დანაშაული და აღემაღლებინათ პატიოსნება, შემდეგ წყევლა შეეთვალათ ტირანებისათვის და მყისიერად დაედოთ ფიცი - „თავისუფლება და ან სიკვდილი“. მსმენელები ფეხზე დგებოდნენ, გაისმოდა მგზნებარე აპლოდისმენტები, რის შემდეგ, დამშვიდებულები, ისინი საკუთარ ადგილებზე სხდებოდნენ.

ზოგჯერ წინამძღოლი შესაძლოა ჭკვიანი და განათლებული ადამიანიც კი იყოს, მაგრამ ეს თვისებები უფრო ვნებენ მას, ვიდრე არგებენ. ჭკუა ადამიანს უფრო შემწყნარებლად აქცევს, ხდის რა ფარდას საგანთა სირთულეს და თავად აძლევს მას გარკვევისა და გაცნობიერების შესაძლებლობას, ასევე მკვეთრად ამცირებს მტკიცებათა ძალას, რაც აუცილებელია იმისთვის, რომ ადამიანი მქადაგებლადა და მოციქულად იქცეს. ყველა დროის დიადი წინამძღოლები, განსაკუთრებით კი რევოლუციის ბელადები, უკიდურესი შეზღუდულობით გამოირჩეოდნენ, ამასთან, ყველაზე მეტად შეზღუდულები, როგორც წესი, ყველაზე დიდი გავლენით სარგებლობდნენ.

მათ შორის ყველაზე ცნობილის, რობესპიერის, გამოსვლები გვაოცებს მათი შეუსაბამობით. ვკითხულობთ რა მათ, ჩვენ არ ძალგვიძს დიდი დიქტატორის უზარმაზარი როლის გაცნობიერება.

„ზოგადი ფრაზები, დიქტატორული მჭევრმეტყველების მრავალსიტყვაობა და ლათინური კულტურა, დაყენებული უფრო ბავშვური მენტალობის, ვიდრე უხამსობის სამსახურში, რომელიც თავდაცვასა და შეტევაში იმ სკოლის მოსწავლის მანერასთან

მეზობლობს, რომელიც გაიძახის: „ერთი, აქ მოდი!“ არანაირი იდეა, არანაირი მახვილგონვირული აზრი ან ქმედება, მხოლოდ მოწყენილობა გრიგალში. ასრულებ რა კითხვას, გინდება წამოიძახო: „უფ!“, როგორც ამას თავაზიანი კამილ დემულენი აკეთებდა.“

ხანდახან შიშის მომგვრელიც კია იმ ძალის შესახებ დაფიქრება, რასაც უკიდურესად გონებაშეზღუდულ, მაგრამ მიმზიდველობის მქონე ადამიანს ანიჭებს მყარი რწმენა. მაგრამ იმისათვის, რომ ყველა დაბრკოლების იგნორირება მოახდინოთ და შეგეძლოთ, გსურდეთ, ყველა ამ პირობის შერწყმის უნარი უნდა გაგაჩნდეთ. ბრბო ინსტინქტურად ცნობს ასეთ ენერგიულ ადამიანებში საკუთარ წინამძღოლებს, რომელთა საჭიროებას ის გამუდმებით განიცდის.

საპარლამენტო სათათბიროში რომელიმე გამოსვლის წარმატება ორატორის მიმზიდველობის ხარისხზეა დამოკიდებული და არა მის მიერ მოხმობილ საბუთებზე. ზემოთქმული იმით მტკიცდება, რომ თუ ორატორი რაიმე მიზეზით კარგავს მიმზიდველობას, ის კარგავს გავლენასაც, რადგან აღარ გააჩნია ძალაუფლება საკუთარი სურვილისამებრ წარმართოს კენჭისყრა.

რაც შეეხება უცნობ ორატორს, რომელიც ფრიად დამაჯერებელი სიტყვით გამოდის, მაგრამ რომელიც საფუძვლიან მტკიცებულებათა გარდა არაფერს შეიცავს, ყველაზე ბევრი, რისი იმედიც შეიძლება ჰქონდეს, ეს ისაა, რომ ბოლომდე მოუსმინონ. დეპუტატი და შორსმჭვრეტელი ფსიქოლოგი დეკიუბი ასე ახასიათებს მიმზიდველობას მოკლებულ დეპუტატს: „ადის რა ტრიბუნაზე, დეპუტატი დოკუმენტებს ამოიღებს, მეთოდურად ხსნის მათ და საკუთარ თავში დარწმუნებული შეუდგება სიტყვის წარმოთქმას... იგი თავის თავს აამებს აზრით, რომ შეძლებს მსმენელების გამსჭვალვას საკუთარი შეხედულებებით. მან ბეჯითად აწონ-დაწონა საკუთარი არგუმენტები, მოიხმო დიდი რაოდენობით ციფრები და მტკიცებულებები, ის წინასწარაა დარწმუნებული წარმატებაში, რადგან, მისი აზრით, სიცხადის წინაშე ყოველგვარი წინააღმდეგობა უნდა გაქრეს. ის იწყებს სიტყვას, დარწმუნებული საკუთარ სიმართლეში, იმედი აქვს კოლეგების ყურადღების, რომლებსაც, რასაკვირველია, სხვა არაფერი სურთ, თუ არა ჭეშმარიტების წინაშე მუხლის მოყრა.

მას ერთგვარად გულს ტკენს ატეხილი ხმაური და გაოცებული შეჰყურებს დარბაზში შექმნილ მოძრაობას.

რას ნიშნავს ეს, რატომ არ მყარდება სიჩუმე?

რამ წარმოშვა ასეთი უყურადღებობა? რაზე ფიქრობენ ყველანი, ერთმანეთს რომ ესაუბრებიან? რა საფუძვლიანმა მიზეზმა აიძულა აი, ის დეპუტატი, საკუთარი ადგილი დაეტოვებინა?

ორატორი შეშფოთებულია, წარბებს იჭმუხნის, ჩერდება. პრეზიდენტის მიერ გამხნევებული, ის ხელახლა იწყებს, ხმას უწევს, რის შემდეგ მას კიდევ უფრო ნაკლებად უსმენენ. მეტად ძაბავს ხმას, აღელვებულია. ხმაური მატულობს. საკუთარი ხმა აღარ ესმის, კიდევ ერთხელ ჩერდება, შემდეგ, შეშინებული, რომ კამათი არ შეწყდეს, ისევ შეუდგება საუბარს. ხმაური აუტანელი ხდება“.

როდესაც საპარლამენტო სათათბირო აღგზნების გარკვეულ ხარისხს აღწევს, ის ჩვეულებრივი არაერთგვაროვანი ბრბოს მსგავსი ხდება, მათი გრძნობები კი უკიდურესი ხასიათისაა. მათ დიადი გმირობის ჩადენაც ძალუძთ და ამაზრზენი ძალადობისაც. ასეთ სათათბიროში ინდივიდი იმდენად ჰკარგავს საკუთარ თავს, რომ მზად არის მხარი დაუჭიროს ღონისძიებებს, რომლებსაც მისი პირადი ინტერესებისთვის მოაქვთ ზიანი.

რევოლუციის ისტორია გვიჩვენებს, რაოდენ არაცნობიერად შეიძლება იქცნენ სახალხო თავყრილობები და დაყვნენ ჩაგონებებს, რომლებიც ყველაზე მეტად ეწინააღმდეგება მათ ინტერესებს.

უდიდეს მსხვერპლს თავად-აზნაურობისთვის საკუთარ პრივილეგიებზე უარის თქმა წარმოადგენდა, თუმცა, მიუხედავად ამისა, მან ყოყმანის გარეშე გაიღო ეს მსხვერპლი დამფუძნებელი კრების ცნობილ ღამეს. პირად ხელშეუხებლობაზე უარის თქმამ კონვენტის წევრებისთვის სიკვდილის მუდმივი საფრთხე წარმოშვა; მიუხედავად ამისა, მათ გადადგეს ეს ნაბიჯი და არ შეუშინდნენ ურთიერთჟლეტას, თუმცაღა შესანიშნავად იცოდნენ, რომ ხვალ შეიძლებოდა თავად მოხვედრილიყვნენ იმ ეშაფოტზე, რომელზეც დღეს საკუთარი კოლეგები გაისტუმრეს. მაგრამ ისინი უკვე სრული ავტომატიზმის საფეხურზე იყვნენ ასულები, რომლის მექანიზმი მე ზევით აღვწერე, და ამის გამოისობით ვერანაირი მოსაზრება ვერ შეუშლიდა მათ ხელს დაყოლოდნენ ჩაგონებას, რომელიც მათ ჰიპნოტიზებას ახდენდა. ამ თვალსაზრისით ტიპურია კონვენტის ერთ-ერთი წევრის, ბილიო ვარენის ფრაზა, ამოღებული მისი მემუარებიდან: „ყველაზე ხშირად ჩვენ, ერთი ან ორი დღით ადრე, თავად არ გვსურდა იმ გადაწყვეტილებების მიღება, რომლებსაც დღეს გვსაყვედურობენ, - ამბობს ის, - მაგრამ ამ გადაწყვეტილებებს კრიზისი წარმოშობდა“. არაფერი შეიძლება იყოს უფრო სამართლიანი!

არაცნობიერის მსგავს გამოვლენას კონვენტის ყველა მშფოთვარე სხდომისას შეიძლება დავაკვირდეთ.

„ისინი მხარს უჭერენ და განაწესებენ, - ამბობს ტენი, - იმას, რაც თავად სძულთ - არა მხოლოდ უგნურებასა და სიშლეგეს, არამედ დანაშაულს, უცოდველთა და საკუთარ მეგობართა მკვლელობას. ერთხმად და მგზნებარე აპლოდისმენტების ქუხილის ქვეშ, მარცხენა ფრთა, გაერთიანებული მარჯვენასთან, ეშაფოტზე გზავნის დანტონს, ბუნებრივ წინამძღოლს, რევოლუციის დიად ორგანიზატორსა და ბელადს. ასევე ერთხმად და აპლოდისმენტების ქუხილის ქვეშ, მარცხენასთან გაერთიანებული მარჯვენა ფრთა რევოლუციური მთავრობის უსაშინლეს დეკრეტებს უჭერს მხარს. ერთხმად და ენთუზიაზმის შეძახილების ქვეშ, იმავდროულად კი თანაგრძნობის გამომხატველი განცხადებებით -კოლო დ’ერბუას, კუტონისა და რობესპიერის მიმართ, - კონვენტი, მრავალჯერადი კენჭისყრის მეშვეობით საკუთარ ადგილს უნარჩუნებს კაცთამკვლელ მთავრობას, რომელსაც ერთნი მკვლელობებისთვის ვერ იტანენ, მეორენი კი მკვლელობისკენ სწრაფვისთვის. მთა და ვაკე, უმრავლესობა და უმცირესობა საბოლოოდ შეთანხმდნენ, რაც თვითმკვლელობისთვის ხელშეწყობას ნიშნავდა. ოცდაორ პრერიალს კონვენტმა სრული შემადგენლობით მიუშვირა კისერი, ხოლო რვა ტერმიდორს, რობესპიერის გამოსვლის შემდეგ, კვლავ გაიმეორა ეს ქმედება“.

ეს სურათი შესაძლოა მეტისმეტად ჩამუქებულად მოგეჩვენოთ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის სინამდვილეს ასახავს. საკმარისად აღგზნებული და ჰიპნოტიზებული საპარლამენტო სათათბიროები სწორედ ასეთ თვისებებს ავლენენ; ისინი არამდგრად ჯოგს ემსგავსებიან, რომელიც საკუთარ იმპულსებს ემორჩილება. შემდეგი აღწერა 1848 წლის სხდომისა, რომელიც საპარლამენტო მოღვაწე სპიულერს ეკუთვნის, რომლის დემოკრატული შეხედულებები ეჭვგარეშეა, ნასესხები მაქვს „Revue Litteraire“-იდან და იგი უაღრესად ტიპურს წარმოადგენს. იგი გვიჩვენებს ყველა გადაჭარბებულ გრძნობას, რომელიც ბრბოსთვის არის დამახასიათებელი და იმ უკიდურეს ცვალებადობას, რომელიც საშუალებას აძლევს ბრბოს რამდენიმე წამში გაიაროს წინააღმდეგობრივ განცდათა მთელი სკალა.

„განხეთქილებამ, ეჭვმა, შურმა და მონაცვლეობით - ბრმა მიმნდობლობამ და უსაზღვრო იმედებმა - დაღუპვამდე მიიყვანეს რესპუბლიკური პარტია. მისი მიამიტობა და გულმართლობა მხოლოდ მის საყოველთაო ეჭვნეულობას უტოლდებოდა. კანონიერების არანაირი განცდა, არავითარი ცოდნა დისციპლინის შესახებ; მხოლოდ შიში და უსაზღვრო ილუზიები, - ამ გაგებით გლეხსა და ჩვილს მრავალი აქვთ საერთო. მათი სიმშვიდე შესაძლოა მხოლოდ მათ მოუთმენლობას გაეჯიბროს, ხოლო მათი სისასტიკე მათსავე მორჩილებას უტოლდება. ეს გახლავთ ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი ტემპერამენტისა და აღზრდის უქონლობის შედეგი. არაფერი მათ არ აკვირვებს, მაგრამ ყველაფერი აბნევს. აკანკალებულები და დამფრთხალები, იმავდროულად კი გმირულად უშიშრები, ისინი ცეცხლში ცვივიან და ჩრდილებს გაურბიან.

მათთვის უცნობია საგანთა კავშირები და შედეგები. მათ იმდენადვე სწრაფად იპყრობს გულგატეხილობა, როგორც აღგზნება, მიდრეკილნი არიან პანიკისკენ, და ყოველთვის ან მეტისმეტად მაღალ მიზნებს ისახავენ, ან მეტისმეტად დაბალს, იმავდროულად კი არანაირ ზომას არ იცავენ. უფრო მოძრავნი, ვიდრე წყალია, ისინი ყველა ფერსა და ფორმას ასახავენ.

რა საფუძველი შეუძლიათ მათ შექმნან მთავრობისთვის?“

საბედნიეროდ, ყველა პირობაა აუცილებელი, რათა საპარლამენტო სათათბიროებში ეს თვისებები მუდმივ მოვლენად იქცნენ. ასეთი სათათბიროები ბრბოდ მხოლოდ განსაზღვრულ მომენტებში იქცევიან. შემთხვევათა უმრავლესობაში მათი შემადგენელი ადამიანები ინარჩუნებენ ინდივიდუალობას და სწორედ ამიტომაა, რომ სათათბიროებს შესაშური ტექნიკური კანონების მიღება ძალუძთ. თუმცა ისიც მართალია, რომ ეს კანონები ადრე რომელიმე სპეციალისტის მიერ იყო შემუშავებული კაბინეტის სიჩუმეში და ამდენად ერთი ინდივიდის საქმეს წარმოადგენს და არა მთელი სათათბიროსი. ასეთი კანონი, როგორც წესი, ყოველთვის საუკეთესოა და მხოლოდ მაშინ ხდება უვარგისი, როდესაც წარუმატებელ შესწორებათა მთელი რიგი მას კოლექტიურ საქმედ აქცევს.

ბრბოს მოღვაწეობა ხარისხით ყოველთვის და ყველგან ინდივიდის მოღვაწეობაზე დაბლა დგას. მხოლოდ სპეციალისტები იხსნიან სათათბიროებს მეტისმეტად უწესრიგო და მიზანშეუწონელი გადაწყვეტილებების მიღებისგან და ასეთ შემთხვევებში სპეციალისტი ყოველთვის დროებით წინამძღოლს წარმოადგენს. სათათბირო ვერ მოქმედებს მასზე, თავად მას კი ძალუძს სათათბიროზე ზემოქმედების მოხდენა.

მიუხედავად ყველა სირთულისა, რაც მათ საქმიანობასთან არის დაკავშირებული, საპარლამენტო სათათბირო მაინც საუკეთესოს წარმოადგენს იქიდან, რისი გამოგონებაც კი შეძლეს ადამიანებმა თვითმმართველობისთვის და, რაც მთავარია, პირადი ტირანიის უღლისგან მაქსიმალურად თავდასაცავად. უდაოა, რომ პარლამენტი იდეალურ ხელისუფლებას წარმოადგენს, სულ ცოტა, ფილოსოფოსების, მოაზროვნეების, მწერლების, ხელოვანებისა და მეცნიერების, ერთი სიტყვით მათთვის, ვინც ცივილიზაციის მწვერვალზე იმყოფება. არსებითად საპარლამენტო სათათბირო სერიოზულ საფრთხეს ორად ორი მიმართულებით წარმოადგენს: ფინანსების იძულებითი გადახარჯვისა და ინდივიდუალური თავისუფლების პროგრესული შეზღუდვის.

პირველი საფრთხე არჩევითი ბრბოს მოთხოვნებისა და წინდაუხედაობის გარდუვალი შედეგია. ვთქვათ, სათათბიროს რომელიმე წევრი რაიმე ინიციატივით გამოდის, რომელიც თითქოს დემოკრატულ იდეებს ეხმიანება. ეს შესაძლოა იყოს მუშების უზრუნველყოფა პენსიით, რკინიგზის მოხელეთა ან

მასწავლებლებისთვის ხელფასის მატება და სხვა. სხვა წევრები, გრძნობენ რა შიშს ამომრჩეველთა წინაშე, ვერ შეეწინააღმდეგებიან შემოთავაზებულ ღონისძებებს, რადგან ზემოდასახელებულ პირთა ინტერესების შელახვაში ბრალდებას უფრთხიან, თუმცა აცნობიერებენ, რომ ეს ღონისძიებები მძიმედ აისახება ბიუჯეტზე და ახალი გადასახადების შემოღებას გამოიწვევს. ამგვარად, რყევა შეუძლებელია. გადასახადების გაზრდის შედეგები დროში დისტანცირებულია და უშუალოდ სათათბიროს წევრებს არ ეხება, როდესაც უარყოფითი ვოტუმის შედეგები შესაძლოა იმავე დღეს გახდეს ცნობილი, როდესაც ამომრჩევლის წინაშე წარდგომა იქნება აუცილებელი.

გარდა ამ პირველი მიზეზისა, რომელიც ხარჯების ზრდას იწვევს, არსებობს სხვა, არანაკლებ აუცილებელი ვალდებულება, დაეთანხმო ყველა ხარჯს, რომელიც ადგილობრივ ინტერესს წარმოადგენს. დეპუტატი ვერ შეეწინააღმდეგება მას, რადგან ეს ხარჯები ამომრჩეველთა მოთხოვნების გამოხატულებაა, ამასთან, მას თავად მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია საკუთარი ოლქის მოთხოვნათა დაკმაყოფილების იმედი ჰქონდეს, თუ თავად დაუთმობს კოლეგების ანალოგურ მოთხოვნებს.

„Economiste“-ის 1895 წლის 6 აპრილის ნომერში გამოქვეყნებულია საინტერესო მიმოხილვა იმისა, თუ რას შეადგენს წლიური ხარჯი, რომელიც წმინდად საარჩევნო ინტერესს წარმოადგენს და რკინიგზის მშენებლობას უკავშირდება. იმისათვის, რომ ლანგეი (3,000 მცხოვრები), რომელიც მთაზეა გაშენებული, პიუის დაუკავშირდეს, კენჭი ეყარა რკინიგზის მშენებლობას, რომლის ღირებულებას 15 მილიონია; ბომონისა (3,500 მცხოვრები) და კასტელ-სარაცინის დასაკავშირებლად გამოიყო 7 მილიონი; სოფელ უსტის (523 მცხოვრები) დასაკავშირებლად სენქსთან (1,200 მცხოვრები) - 7 მილიონი; პრადის დასაკავშირებლად ოლეტთან (747 მცხოვრები) - 6 მილიონი და ა.შ.

მხოლოდ 1895 წელს გამოიყო 90 მილიონი რკინიგზების მშენებლობისთვის, რომლებიც ყოველგვარ საზოგადო ინტერესსაა მოკლებული. არც სხვა საარჩევნო ინტერესის მქონე ხარჯებია ნაკლებად მნიშვნელოვანი. კანონი მუშების პენსიის შესახებ, ფინანსთა სამინისტროს გათვლების შესაბამისად, წელიწადში მინიმუმ 165 მილიონი დაჯდება, ხოლო აკადემიკოს ლერუა-ბოლიეს თანახმად - 800 მილიონი. ცხადია, რომ მსგავსი ხარჯების განუწყვეტელი ზრდა გაკოტრებას გამოიწვევს. მრავალი ევროპული ქვეყანა, მათ შორის, პორტუგალია, საბერძნეთი, ესპანეთი და თურქეთი, უკვე ზღვარზე არიან; სხვები კი, მაგალითად, იტალია, მალე მიუახლოვდება მიჯნას.

მაგრამ შეშფოთების საფუძველი სრულებით არ გვაქვს, რადგან ამ ქვეყნების მოსახლეობამ დიდი პროტესტის გარეშე დაუჭირა მხარი ამ სახელმწიფოებში კუპონების მიხედვით გადახდების 4/5-ით შემცირებას. ასეთი გონებამახვილური ბანკროტობა საშუალებას იძლევა მყისიერად აღდგეს ბიუჯეტის დარღვეული წონასწორობა. ომები, სოციალიზმი და ეკნომიკური ბრძოლა არანაკლებ კატასტროფებს გვიმზადებენ, საყოველთაო გათიშულობის ეპოქაში კი, რომელშიც უკვე შევაბიჯეთ, ჩვენ იძულებულნი ვხდებით დავემორჩილოთ დღიდან დღემდე ცხოვრების აუცილებლობას და არ ვიზრუნოთ მომავალზე, რომელიც ხელიდან გვისხლტება.

აღნიშნულ საფრთხეთაგან მეორე, რომელიც საპარლამენტო სათათბიროსთვისაა დამახასიათებელი, კერძოდ კი ინდივიდუალური თავისუფლების იძულებითი შეზღუდვა, არცთუ თვალში საცემია, მაგრამ, მიუხედავდ ამისა, სავსებით რეალურია. იგი წარმოადგენს უთვალავი შემზღუდავი კანონის შედეგს,

რომლებსაც პარლამენტები უჭერენ მხარს, თავს რომ ვალდებულად თვლიან, ასე მოიქცნენ, შედეგებს კი საკუთარი ცალმხრივობიდან გამომდინარე ვერ ამჩნევენ.

ცხადია, რომ ეს საფრთხე მართლაც გარდუვალია, თუკი ინგლისმაც, რომელიც საპარლამენტო რეჟიმის ყველაზე სრულყოფილ ფორმას წარმოადგენს (ისეთს, რომელშიც წარმომადგენელი მეტად დამოუკიდებელია ამომრჩევლისგან, ვიდრე სხვაგან), ვერ შეძლო მისი არიდება.

ჰერბერტ სპენსერმა ერთ-ერთ ადრეულ შრომაში გვიჩვენა, რომ მოჩვენებითი თავისუფლების მატებას თან უნდა ახლდეს ჭეშმარიტი თავისუფლების შეკვეცა. უბრუნდება რა ამ საკითხს თავის ახალ წიგნში „ინდივიდი და სახელმწიფო“, სპენსერი შემდეგს ამბობს ინგლისის პარლამენტის შესახებ: „ამ დროიდან კანონმდებლობამ ის გზა აირჩია, რომლის შესახებ მე ვსაუბრობდი. სწრაფად მზარდი დიქტატორული ღონისძიებები იქეთ მიისწრაფოდნენ, რომ პირადი თავისუფლება შეეზღუდათ, ამასთან, ორი გზით: ყოველწლიურად გამოიცემოდა ასობით დადგენილება, რომლებიც მოქალაქეებს ზღუდავდა იქ, სადაც ისინი სრულიად თავისუფლები იყვნენ, და აიძულებდა ისეთი ქმედებები განეხორციელებინათ, რომლებსაც ისინი უწინ ან განახორციელებდნენ ან არა, საკუთარი სურვილის შესაბამისად. მეორეს მხრივ, საზოგადოებრივი შრომა, სულ უფრო და უფრო მძიმე, განსაკუთრებით ადგილობრივი ხასიათისა, კიდევ უფრო ზღუდავდა მოქალაქეთა თავისუფლებას, ამცირებდა რა მათი შემოსავლის იმ ნაწილს, რომლის დახარჯვაც მათ საკუთარი სურვილისამებრ შეეძლოთ, ხოლო ზრდიდა იმ ნაწილს, რომელსაც მათ ართმევდნენ სახელმწიფო მოხელეთა საჭიროებებისთვის“.

თავისუფლების ეს პროგრესული შეზღუდვა ყველა ქვეყანაში განსაკუთრებული ფორმით ვლინდება, რასაც ჰერბერტ სპენსერი არ აღნიშნავს. უთვალავ ღონისძიებათა შემოღება, რომლებსაც, ჩვეულებრივ, შემზღუდავი ხასიათი გააჩნიათ, გარდუვალად იწვევს ჩინოვნიკთა რაოდენობის ზრდას, რომლებმაც ეს ღონისძიებები უნდა განახორციელონ, რაც, თავის მხრივ, მათ ძალაუფლებასა და გავლენას ზრდის. შესაბამისად, ეს ჩინოვნიკები პროგრესულად ისწრაფვიან იმისკენ, რომ ჭეშმარიტ მბრძანებლებად იქცნენ. მათი ძალაუფლება იმდენად დიდია, რომ მთავრობის მუდმივი ცვლა სრულებით არ ახდენს ზემოქმედებას მათ მდგომარეობაზე, რადგან ადმინისტრაციული კასტა - ერთადერთია, რომელსაც ძალუძს დაუძვრეს ამ ცვლილებებს, ვინაიდან იგი უპასუხისმგებლო, უპიროვნო და მუდმივია. დესპოტიზმის ყველა ფორმიდან ყველაზე სასტიკი ისაა, რომელიც ასეთი სამმაგი სახით წარმოდგება.

მუდმივი შექმნა შემზღუდავი კანონებისა და წესების, რომლებიც ბიზანტიური ფორმალობებით ავსებენ ცხოვრების უმცირეს გამოვლინებას, საბედისწერო გზით იწვევს იმ სფეროს სულ უფრო მეტ შეკვეცას, რომელშიც მოქალაქეები თავისუფლად მოძრაობენ.

არიან რა ქცეულნი იმ ილუზიის მსხვერპლად, რომ კანონების რაოდენობის ზრდა თავისუფლებასა და თანასწორობას უზრუნველყოფს, ქვეყნები ყოველდღიურად ახალ ბორკილებს იდებენ.

მაგრამ ეს მათთვის ფუჭად არ ჩაივლის. ეჩვევიან რა ყველა სახის უღელის ატანას, ქვეყნები თავად ეძებენ მას და ყოველგვარი დამოუკიდებლობისა და ენერგიის დაშრეტამდე მიდიან. ასეთ დროს ისინი მხოლოდღა აჩრდილად, პასიურ ავტომატებად იქცევიან, ნების, წინააღმდეგობის გაწევის უნარისა და ძალის გარეშე. ასეთ დროს შეუდგება ადამიანი იმ მუხტის ძიებას სხვა მხარეს, რომელიც მას ასე აკლია. მოქალაქეთა მზარდი

ინდიფერენტულობისა და უძლურების გამოისობით მთავრობათა როლი გარდუვალად უფრო მნიშვნელოვანი უნდა გახდეს. მთავრობას ძალაუნებურად უნდა გააჩნდეს ინიციატივის, თავიანობისა და ხელმღვანელობის თვისებები, რადგან ეს ყველაფერი კერძო პირებს არ გააჩნიათ; მათ უნდა აიღონ ხელში სადავეები, ყველაფერი მართონ და ყველაფერს მფარველობდნენ. სახელმწიფო საბოლოოდ ყოვლისშემძლე ბედისწერად იქცევა. მეორეს მხრივ, გამოცდილება გვასწავლის, რომ ასეთი ღმერთების ძალაუფლება არც საკმარისად მყარი და არც საკმარისად ძლიერია.

ზოგი ერის თავისუფლების ასეთი პროგრესული შეზღუდვა, - მიუხედავად გარეგნული სილაღისა, რაც თავისუფლების ილუზიას ქმნის, - როგორც ჩანს, არა მხოლოდ რაიმე რეჟიმის, არამედ ამ ერების სიბერის შედეგიცაა; ის წარმოადგენს ერთ-ერთ სიმპტომს, რომელიც დაცემის ფაზას უსწრებს, რასაც დღემდე ვერც ერთმა ცივილიზაციამ ვერ აუარა გვერდი.

წარსულის გამოცდილებისა და სიმპტომთა მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რომლებიც ყოველი მხრიდანაა შესამჩნევი, თანამედროვე ცივილიზაციათა დიდმა ნაწილმა უკვე მიაღწია ამ უკიდურესი სიბერის ფაზას, რაც დაცემას უსწრებს. სავარაუდოა, რომ ამ ფაზებს თანაბრად საბედისწერო მნიშვნელობა აქვთ ყველა ერისთვის, რადგან ისტორიაში ისინი ხშირად მეორდება.

ცივილიზაციის ზოგადი ევოლუციის ფაზების მოკლედ გადმოცემა რთული არ არის, რითიც დავასრულებთ კიდევაც წინამდებარე კვლევას. შესაძლოა ამ მოკლე მიმოხილვამ ოდნავ მაინც მოჰფინოს ნათელი ბრბოს ამჟამინდელი ძლიერების მიზეზებს.

თუკი ჩვენი ცივილიზაციის წინამორბედ ცივილიზაციათა ზეასვლისა და დაცემის გენეზისის ზოგად გზას გავყებით, რას დავინახავთ ჩვენ პირველ რიგში?

ამ ცივილიზაციათა გარიჟრაჟზე ჩვენ ვხედავთ ერთი და იგივე წარმომავლობის ადამიანთა მცირე ნაწილს, რომლებიც მიგრაციის, შემოსევებისა და დაპყრობების შემთხვევითობათა წყალობით გაერთიანდნენ. ყველა ამ ადამიანს შორის კავშირს, რომლებიც განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან ენისა და აღმსარებლობის მიხედვით და რომელთა ძარღვებში განსხვავებული სისხლი ჩქეფდა, წარმოადგენდა ერთი ბელადის სანახევროდ აღიარებული ძალაუფლება. ადამიანთა ასეთ შერეულ გროვაში უკიდურესადაა განვითარებული ბრბოსთვის დამახასიათებელი ფსიქოლოგიური თვისებები: ნაწილაკთა დროებითი შეჭიდულობა, გმირობა, სისუსტე, იმპულსურობა და მგზნებარე განცდები. მყარი ასეთ გროვაში არაფერია, ისინი ბარბაროსებისგან შედგებიან.

შემდეგ საქმეში დრო ერთვება. გარემოს იგივეობა, შეჯვარების გამეორება, საზოგადო ცხოვრების მოთხოვნები მდოვრედ მოქმედებენ, არაერთგვაროვან ელემენტთა გროვა კი შერწყმას იწყებს და ერს ანუ აგრეგატს წარმოშობს, რომელიც საერთო თვისებებითა და გრძნობებით ხასიათდება, რაც სულ უფრო მეტად მყარდება მემკვიდრეობითობის გზით. ბრბო ერად იქცევა, ერს კი უკვე ძალუძს თავი დააღწიოს ბარბაროსობის მდგომარეობას. თუმცა, ამას იგი მხოლოდ მაშინ შეძლებს, როცა ხანგრძლივი ძალისხმევის, მუდმივი ბრძოლისა და უთვალავი წამოწყების შემდეგ იდეალს შეიძენს. ასეთი იდეალის ბუნებას მცირე მნიშვნელობა ენიჭება. ის შესაძლოა რომის ან ათენის კულტს წარმოადგენდეს, ან ალაჰისადმი თაყვანისცემას, სულ ერთია, მაგრამ ეს იდეალი საკმარისი იქნება, რათა გრძნობათა და აზრების

ერთიანობა შეიქმნას ყველა ინდივიდში ერისა, რომელიც ჩამოყალიბების პროცესში იმყოფება.

სწორედ მაშინ შეიძლება იშვას ახალი ცივილიზაცია თავისი ინსტიტუტებით, აღმსარებლობითა და ხელოვნებით.

საკუთარი ოცნებით მოხიბლული, ერი თანმიმდევრულად იძენს ყველაფერს, რაც ბრწყინვალებას, სიდიადესა და ძალას ანიჭებს მას. ის, რასაკვირველია, გარკვეულ დროს ბრბოს სახით იარსებებს, მაგრამ ასეთ დროს ბრბოსთვის დამახასიათებელი ცვლადი და მოძრავი თვისებების უკან ყოველთვის იდგება მყარი სუბსტრატი - ერის მენტალობა, რომელიც მკვეთრად ზღუდავს ერის რყევის ფარგლებს და შემთხვევას მართავს.

დაასრულებს რა თავის შემოქმედებით სამუშაოს, დრო გარდუვალად გადადის ნგრევაზე, რასაც ვერც ღმერთები და ვერც ადამიანები აიცდენენ. მიაღწევს რა ძლიერებისა და სირთულის გარკვეულ ხარისხს, ცივილიზაცია წყვეტს ზრდას და დასაცემადაა განწირული. მალე დაჰკრავს მისთვის სიბერის ჟამი. მისი მოახლოვების უტყუარი ნიშანია იმ იდეალის შესუსტება, რომელიც ერის მენტალობას უმყარებს საფუძველს. იდეალის გაფერმკრთალების პარალელურად იწყებენ რყევას პოლიტიკურ, სოციალურ და რელიგიურ ინსტიტუტთა საფუძვლები, რომლებიც ამ იდეალს ემყარებიან.

იდეალის პროგრესული გაუჩინარების კვალდაკვალ ერი სულ უფრო მეტად ჰკარგავს იმას, რაც მის ძალას, ერთობასა და კავშირს წარმოადგენდა. ამასთან, ინდივიდის პიროვნება და გონება შესაძლოა ვითარდებოდეს, მაგრამ იმავდროულად ერის კოლექტიური ეგოიზმი ჩანაცვლდება მეტისმეტად განვითარებული ინდივიდუალური ეგოიზმით, რასაც თან ახლავს ხასიათის ძალისა და მოქმედების უნარის შესუსტება. ის, რაც მანამდე ერს, განსაზღვრულ ერთეულს, საერთო მასას წარმოადგენდა, იქცევა ინდივიდთა მარტივ აგლომერაციად ყოველგვარი კავშირის გარეშე, რომლებიც მხოლოდ დროებით არიან გაერთიანებულნი ტრადიციებისა და ინსტიტუტების მიერ. სწორედ მაშინ დგება მომენტი, როდესაც პირადი ინტერესებისა და მისწრაფებების მიხედვით გათიშული ადამიანები, რომლებსაც არ ძალუძთ საკუთარი თავის მართვა, მოითხოვენ, რომ მათ უმოკლეს ნაბიჯებსაც კი უხელმძღვანელონ, და სახელმწიფო ამყარებს თავის მშთანმთქმელ გავლენას.

იდეალის საბოლოოდ დაკარგვასთან ერთად ერი სამუდამოდ კარგავს მენტალობას. იგი იქცევა იზოლირებულ ინდივიდთა გროვად ანუ იმად, რასაც თავდაპირველად წარმოადგენდა - ბრბოდ. ასეთ დროს მასში ისევ იჩენენ თავს ბრბოსთვის დამახასიათებელი ცვალებადი თვისებები, რომლებსაც არც სიმყარე გააჩნიათ და არც მომავალი. ცივილიზაცია ჰკარგავს ფუნდამენტს და შემთხვევითობათა ძალაუფლებაში აღმოჩნდება. მდაბიონი მეფობენ და ბარბაროსები იბადებიან. ცივილიზაცია ჯერ კიდევ შეიძლება ბრწყინავდეს, რადგან ხანგრძლივი წარსულის მიერ შექმნილი მისი შენობის ფასადი შენარჩუნებულია, მაგრამ სინამდვილეში შენობა გამოხრულია, მას აღარაფერი აკავებს და იგი პირველივე რყევისას ინგრევა.

ბარბაროსობიდან ცივილიზაციისკენ მოძრაობა ოცნების ასრულების მიზნით, შემდეგ - თანდათანობითი დასუსტება და კვდომა, როგორც კი ეს ოცნება დაიკარგება - აი, რაში მდგომარეობს ყოველი ერის ცხოვრების ციკლი.

განმარტებები

1 ჟორჟ ბულანჟე - მე-19 საუკუნის ფრანგი გენერალი და პოლიტიკოსი, იმდენად სახელოვანი მესამე რესპუბლიკის წლებში, რომ პოპულარობის პიკზე, 1889 წელს, მარტივად შეეძლო დიქტატურის დამყარება.
2 ტარპეუმის ქიმი - შვერილი კაპიტოლიუმის ბორცვის სამხრეთ ნაწილში, რომელიც რომის ფორუმს გადმოჰყურებდა. გამოიყენებოდა დამნაშავეთა სიკვდილით დასასჯელად.
3 ადამიანებს, ვინც პარიზის ალყა გამოიარა, ბრბოთა მიმნდობლობის მრავალი მაგალითი აქვს ნანახი. ზედა სართულზე მოციმციმე სანთლის შუქი დაუყოვნებლივ იქნა მიჩნეული მოალყეთათვის მიცემულ ნიშნად, თუმცა წამიერი დაფიქრებაც საკმარისი იყო იმის ცხადად დასანახად, რომ რამდენიმე კილომეტრის დაშორებით სანთლის შუქის ამოცნობა სრულიად შეუძლებელი გახლდათ.
4 L'Eclair, 21 აპრილი, 1895.
5 ერთი ბრძოლის შემთხვევაში მაინც ვიცით, როგორ მიმდინარეობდა იგი? დიდად ვეჭვობ, რომ ვიცოდეთ. ჩვენ ვიცით გამარჯვებულებისა და დამარცხებულების ვინაობა, მაგრამ ეს ყველაფერია, რაც ვიცით. ის, რასაც დ'არკური ამბობს სოლფერინოს ბრძოლის შესახებ, რომელშიც იგი თავად იღებდა მონაწილეობას, შესაძლოა ყველა ბრძოლის მიმართ გამოვიყენოთ: „გენერლები (რომლებიც ინფორმაციას ასობით მოწმისგან იღებენ), საკუთარ მოხსენებებს ამზადებენ; რეგულარული ოფიცრები სახეს უცვლიან ამ დოკუმენტებს და მათ დეტალურ ანგარიშად აქცევენ; მეთაური საწინააღმდეგო მოსაზრებას გამოთქვამს და ყველაფერს ხელახლა გადაწერს ახალი შეხედულებების გათვალისწინებით; მზა დოკუმენტი მარშალთან მიაქვთ, ვინც შესძახებს: „ეს ყოველივე შეცდომაა“ და დოკუმენტის ახალ რედაქციას ქმნის. საწყისი ანგარიშიდან აღარაფერია დარჩენილი. დ'არკურს აღნიშნული იმის დასტურად მოაქვს, რომ ჭეშმარიტების დადგენა იმ შემთხვევაშიც შეუძლებელია, როდესაც საქმე ყველაზე გასაოცარ და კარგად ცნობილ ამბებთან გვაქვს.
6 ამ მიზეზით სრულიად გასაგებია, თუ რატომ ხდება ზოგჯერ, რომ ყველა მენეჯერის მიერ უარყოფილი პიესა დიდ წარმატებას აღწევს, თუ შემთხვევის გამოისობით მისი სცენაზე დადგმა ხერხდება. კარგად არის ცნობილი ფრანსუა კოპეს პიესის „Pour la Couronne“ ამასწინანდელი წარმატება და მაინც, მიუხედავად ავტორის სახელისა, იგი პარიზის მთავარ თეატრთა მენეჯერების მიერ ათი წლის განმავლობაში იყო უარყოფილი; ყველა თეატრის მიერ უარყოფილი „ჩარლის დეიდა“, საბოლოოდ საფონდო ბროკერის ხარჯით დაიდგა, რის შემდეგ იგი ორასჯერ იქნა წარმოდგენილი საფრანგეთში და ათასზე მეტჯერ - ლონდონში. ზემომოტანილი განმარტების გარეშე იმისა, რომ თეატრთა მენეჯერებისთვის შეუძლებელია გონებრივად ბრბოდ ქცევა, შეფასებისას დაშვებული შეცდომები კომპეტენტური ინდივიდებისგან, რომლებიც ყველაზე მეტად არიან დაინტერესებული არ გააფუჭონ საქმე, აუხსნელი იქნებოდა. ამ საკითხს მე ახლა ვერ განვიხილავ, მაგრამ ის უთუოდ იმსახურებს თეატრის საკითხების მცოდნე მწერლის კალამს, რომელიც იმავდროულად ფსიქოლოგსაც წარმოადგენს, მაგალითად ისეთისა, როგორიც ფრანსის სარსია.
7 ჰეკატომბა - ძვ. საბერძნეთში: სადღესასწაულო მსხვერპლად ასი ხარის შეწირვა. შემდგომში - ნებისმიერი დიდი სადღესასწაულო მსხვერპლშეწირვა.
8 ჩინგიზ ყაენი (დაახლ. 1155 ან 1162 – 25.08.1227) - მონღოლეთის იმპერიის დამაარსებელი და პირველი დიდი ყაენი, რომელმაც მიმოფანტული მონღოლური ტომები გააერთიანა. არის

კაცობრიობის ისტორიაში უმსხვილესი კონტინენტური იმპერიის ფუძემდებელი; თემურ ლენგი (09.04.1336-18.02.1405) - თურქული წარმოშობის შუააზიელი მხედართმთავარი და დამპყრობელი, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა შუა აზიის, კავკასიისა და რუსეთის ისტორიაში.

9 ესკიმოსები - გრენლანდიის, კანადის ნაწილისა და ალასკის ძირძველი მოსახლეობა.

10 ალექსანდრე მაკედონელი (20/21 ივლისი 356-10/11 ივნისი 323) - ასევე ცნობილი, როგორც ალექსანდრე დიდი. მაკედონიის მეფე არგეადთა დინასტიიდან; ანტიკური სამყაროს ერთ-ერთი უდიდესი იმპერიის შემქმნელი; ბრძოლაში დაუმარცხებელი, იგი ყველა დროის ერთ-ერთ უდიდეს მხედართმთავრად არის მიჩნეული; გაიუს იულიუს კეისარი (ჩვ. წ.ა. 13.07.100-15.03.44) - რომაელი პოლიტიკოსი, გენერალი და ავტორი; გადამწყვეტი როლი ითამაშა რომის რესპუბლიკის დაცემასა და იმპერიის წარმოქმნაში.

11 მარკუს ანტონიუსი (ჩვ. წ.ა. 14.01.83-01.08.30) - რომაელი პოლიტიკოსი და გენერალი, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა რომის რესპუბლიკის დაცემასა და იმპერიის წარმოქმნაში.

12 ბართლომეს ღამე (ფრ. massacre de la Saint-Barthélemy - წმ. ბართლომეს სასაკლაო) - ჰუგენოტთა მასობრივი ჟლეტა საფრანგეთში, განხორციელებული კათოლიკეთა მიერ 1572 წლის 24 აგვისტოს ღამეს, წმ. ბართლომეს დღესასწაულის წინადღით. სხვადასხვა შეფასებით დაახლოებით 30 ათასი ადამიანი დაიღუპა.

13 ნუმა დენი ფიუსტელ დე კულანჟ (18.03.1830-12.09.1889) - ფრანგი ისტორიკოსი, ფრანგული ისტორიოგრაფიისთვის მეცნიერული გზის გამკვალავი.

14 ბულანჟიზმი - მეცხრამეტე საუკუნის დასასრულის (1889-1891) საფრანგეთის პოლიტიკური მოძრაობა, რაც საფრთხეს უქმნიდა მესამე რესპუბლიკას. სახელი მომდინარეობს გენერალ ჟორჟ ბულანჟერიდან.

15 შურისძიება (ლათ.).

16 საკანონმდებლო თავშესაფარი, რომლის შესაბამისად პიროვნებას შეუძლია განაცხადოს უკანონო დაკავების ან დაპატიმრების შესახებ და თხოვოს სასამართლოს, მეურვის მეშვეობით, რომელიც, როგორც წესი, ციხის თანამდებობის პირს წარმოადგენს, სასამართლოს წარუდგინონ დაკავებული იმის დასადგენად, არის თუ არა დაკავება კანონიერი.

17 (სიტყვ. „დაბეჭდილი წერილები“ - ფრ.) წერილები, ხელმოწერილი საფრანგეთის მეფისა და მისი ერთ-ერთი მინისტრის მიერ და დალუქული სამეფო ბეჭდით. ისინი შეიცავდნენ ბრძანებებს უშუალოდ მეფისგან, უმეტესწილად დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების განსახორციელებლად, რომელთა გასაჩივრება არ შეიძლებოდა.

18 ამბოხი მთავრობის დამხობის მიზნით.

19 ჟირონდისტები, მონტანიარები - პოლიტიკური პარტიები საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდში.

20 ტერმიდორიანელები - 1794 წლის 27 ივლისის კონტრრევოლუციური ტერმიდორიანული გადატრიალების მონაწილეები.

21 ანტიკური სამყაროს ცნობილი ორატორი ათენიდან.

22 აზრი, გამოხატული ხმის მიცემის გზით.